საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№43 (181)
14 - 20 ნოემბერი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

ვის უნდა დამნაშავის მფარველი ნატო? 3

# ამერიკელი ჟურნალისტი საქართველოს სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდებაში ადანაშაულებს 4

„ციხის ბუნტი რამდენიმე წლის წინ მოეწყო იმიტომ, რომ გადაფარულიყო აზერბაიჯანელი ნარკომოვაჭრის მკვლელობა, რომელიც დიდი რაოდენობის მაღალი ხარისხის გადამუშავებული ჰეროინით დააკავეს. ეს ჰეროინი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლოში მტკიცებულების სახით, იგი გაყიდეს, რითაც დიდი სარგებელი ნახეს. პატიმრებისგან, რომლებიც იმ დროს იხდიდნენ სასჯელს ციხეში, გავიგე, რომ ეს ნარკოდილერი ციხეში მოწყობილი ბუნტის დღეს მოკლეს. ზოგიერთმა ისიც კი მითხრა, რომ ეს ბუნტი წინასწარ სწორედ ამ მიზნით იყო დაგეგმილი ბაჩოს მიერ“.



ჯეფრი სილვერმანი:

# ისინი ქართველ ჯარისკაცებს უიარაღო მოქალაქეების დასახოცად ამზადებდნენ

6 ცოცხი — მაგ წუნკლებს, ცოცხი!!!

ვინ და რატომ ებრძვის «ობიექტივს» 10

13 უნდა ვაიძულოთ სააკაშვილი, რომ მის მიერ დამხობილი ძეგლები თავისივე ხარჯით უკან დააბრუნოს!

თეა თუთბერიძე: შეიძლია თავი დავდო, რომ 14 პატიმრების ცემა და წამება არ ხდებოდა

არ გვკადრებათ, ბატონო 16 გიორგი!

სად ერეკლე და 21 სად კახა ბენდუქიძე! მთლად გარეკეთ, «ბატონებო»?

27 რამდენი კოლონია აქვს აშშ-ს

მამა გურამი:

# ეკლესია მიესალმება, თუ სათამაშო ბიზნესი აიკრძალება



„სათამაშო ბიზნესი ეკლესიისთვის ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან ადამიანი აზარტული თამაშებით არამხოლოდ ერთობა, არამედ, მისი წყალობით, ბევრი ადამიანი იღუპება და ბევრი ოჯახი ინგრევა. ზოგიერთი მოთამაშე საერთოდ თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს“

18

„ახალაიას უსაფუძვლო და სრულიად უსაგნო მტკიცების საწინააღმდეგოდ შეიძლება აშშ ელჩის ზუგდიდში ჩასვლა გამოვიყენოთ. ეს დიპლომატი იმიტომ ჩავიდა ზუგდიდში, რომ სწორედ „ნაციონალების“ მხრიდან ელოდა არეულობის საშიშროებას.“



9

# «ზუგდიდელები არ გაჰყვებიან ისეთ კაცს, რომელსაც ჭის სახურავი დაბოქლომებული აქვს, ვინმემ რომ არ მოუწამლოს»

# ვინ აწყობს გაფიცვებს და ვის აწყობს გაფიცვები? 8

ჯაბა ჯიშკარიანი:

# დავით კიკალიშვილი, ლაშა ხარაზიშვილი და ნოდარ მელაძე ისეთივე ზონდერები არიან, როგორიც გია უღესიანი 7

დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სააკაშვილისა და უგულავას ხელთ დარჩენილი ბერკეტები ლოდია, რომელიც „ნაციონალებს“ ფსკერისკენ მიათრევს. სწორი გადაწყვეტილება მათი მხრიდან, ალბათ, გადადგომა და ოპოზიციაში სრულფასოვანი გადაბარგება იქნებოდა და არა სწრაფვა ორხელისუფლებიანობისკენ, რომლის შენარჩუნებისთვის და გამოყენებისთვის რესურსი დღეს არ აქვთ.

# მიხეილ სააკაშვილი «ნაციონალური მოძრაობის» წინააღმდეგ




**სააკაშვილის რეჟიმის „ორმოცზე“ (თუ 1 ოქტომბრიდან დავითვლით) მისმა მთავარმა ჭირისუფალმა უცაბედად თავი შეგვახსენა და შეეცადა, გენერალი გიორგი კალანდაძე, რომელიც პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის პოსტზე დაებრუნებინა. მართალია, მომდევნო დღეს თბილისის საქალაქო სასამართლომ სააკაშვილის ეს გადაწყვეტილება აინუნშიც არ ჩააგდო და კალანდაძეს უფლებამოსილება შეუჩერა, მაგრამ მთელ ამ ისტორიაში მთავარი, ალბათ, არა მისი იურიდიული, არამედ პოლიტიკური შემადგენელია.**

**არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ ფრიად სერიოზული არჩევანის წინაშე დადგა. მას, ერთის მხრივ, შეეძლო ფსონის გაკეთება სწრაფ რევანშზე, რომლისთვისაც სააკაშვილის (აგრეთვე, თბილისის მერისა და გუბერნატორების) ხელთ ჯერ კიდევ დარჩენილ ბერკეტებს, კრიზისების მუდმივი წარმოქმნისა და ახალ ხელისუფლებასთან მწვავე დაპირისპირების ტაქტიკას გამოიყენებდა, რაც ძალიან მალე „გენერალურ ბრძოლამდე“ მიიყვანდა. „ნაცების“ საფირმო სულსწრაფობა, ბოლმა, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ მათ თვალწინ ასეთი რუდუნებით შეკოწიწებული რეჟიმი იმსხვრევა და მათი უმძიმესი ემოციური მდგომარეობა სწორედ ამ მიმართულებით უბიძგებდა.**

მეორე გზა გულისხმობდა პაუზას, შეცდომების ანალიზს, ოპონენტის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლას (რაც არჩევნებამდე ვერ მოახერხეს), ძალთა გადაჯგუფებას, თუნდაც ეს პარტიის რიგების შეთხელებას უკავშირდებოდეს, სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური და საინფორმაციო სტრატეგიების შემუშავებას, უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან ფრონტალური დაპირისპირების თავიდან არიდებას რამდენიმე წლის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ მასშტაბური შეტევის დაგეგმვას. თუ პარალელების გავლებას შევეცდებით, ყველაზე კარგ მაგალითს, ალბათ, მეორე პუნიკური ომის ისტორიაში მოვძებნით. პირველმა გზამ ძველი რომაელები კანას კატასტროფამდე მიიყვანა და რომი კინაღამ დაღუპა. ალტერნატიული ვარიანტი კი კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსის სახელს უკავშირდება, რომელსაც „კუნქტაქტორი“ (ნელი, გაუბედავი) შეარქვეს, რამეთუ ყველანაირად ცდილობდა, თავიდან აეცილებინა გადამწყვეტი ბრძოლა ჰანიბალთან, თუმცა მოხერხებული მანევრებით თანდათან გამოფიტა მისი არმია, შეუზღუდა თავისუფალი გადაწყვეტილების სივრცე და, საბოლოოდ, შექმნა ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ მას იტალია დაეტოვებინა. „ნაციონალებს“, მათთვის სამწუხაროდ, დღეს ასეთი ლიდერი არ ჰყავთ, სამაგიეროდ, ჰყავთ სააკაშვილი, რომლის პროვოცირება მოუმზადებელ გენერალურ ბრძოლაზე არც ისე რთულია.

**„ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს, ისევე, როგორც (სავარაუდოდ) მის ლიდერებს, არ სურთ, რომ „ნაცმოძრაობა“ მთავარ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდეს (ამ როლის შესრულება სხვა პარტიებსაც შეუძლიათ). მაგრამ იმისთვის, რომ ყოფილი მმართველი პარტიის სრულ დემონტაჟს, თუნდაც ის ხისტი მეთოდების გამოყენებით განხორციელდეს, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ოვაციებით შეხვდეს, ხოლო უცხოელი პარტნიორები გაგებით მოეკიდონ, აუცილებელია მისი წარმოჩენა უაღრესად დესტრუქციულ ძალად, რომელმაც შეიძლება ქვეყნის ისედაც ფარდობითი სტაბილურობა იმსხვერპლოს.** ძალად, რომელიც დღეს საბოტაჟს მიმართავს და ხვალ შეიძლება დივერსიებზე, ზეგ კი პუტჩზე დაფიქრდეს. სააკაშვილი მშობლიურ პარტიას, სავარაუდოდ, სწორედ ამ იმიჯისკენ მიაქანებს და „კალანდაძის ეპიზოდი“ ამ მხრივ კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს. ისევე, როგორც არჩევნებამდე, სააკაშვილი „ააგდეს“ და მან გადადგა იმპულსური ნაბიჯი, რომლის წარმოჩენა საბოტაჟის და დესტრუქციის აქტად საკმაოდ მარტივია. ამის შედეგად ის ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა და, მისგან თავის დაღწევის მიზნით, გამორიცხული არაა, კიდევ უფრო წამგებიანი ნაბიჯი გადადგას და ასე შემდეგ, სრული კმაყოფილების მიღწევამდე; მსგავსი რამ უკვე არაერთგზის მომხდარა და პროცესის ხელახალ აღწერას აზრი, ალბათ, არ აქვს.

სინამდვილეში, **სააკაშვილისა და უგულავას ხელთ დარჩენილი ბერკეტები, ლოდია, რომელიც „ნაციონალებს“ ფსკერისკენ მიათრევს.** სწორი გადაწყვეტილება მათი მხრიდან, ალბათ, გადადგომა და ოპოზიციაში სრულფასოვანი გადაბარგება იქნებოდა და არა სწრაფვა ორხელისუფლებიანობისკენ, რომლის შენარჩუნებისთვის და გამოყენებისთვის რესურსი დღეს არ აქვთ. **თუ ვანო მერაბიშვილი საკუთარ თავზე აიღებდა „ნაცმოძრაობის“ დიდი, თუმცა ერთობ ამორფული ნაწილის რეფორმირებას, ხოლო გიგა ბოკერია სათავეში შედარებით მცირე, მაგრამ ფარდობითად „იდეინი“ ნაწილს ჩაუდგებოდა (თუნდაც ეს გაყოფის ხარჯზე მომხდარიყო), ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლების პერსპექტივა, სავარაუდოდ, უფრო ოპტიმისტური გახდებოდა.** დღეს კი სააკაშვილსა და უგულავას თანაპარტიელები „ერთიანი ნაციონალური კრახისკენ“ მიჰყავთ, როგორც იმ სულსწრაფ და ამბიციურ რომაელ კონსულებს, რომლებმაც ბოლო მომენტამდე ვერ გაიგეს, რა ხდება მათ თავს; ხოლო რიგითებს ან თუნდაც ცენტურიონებს ამ საბედისწერო მარშის შეჩერების შესაძლებლობა არ აქვთ.

ამ მეტაფორის ექსპლუატაცია საკმაოდ დიდხანს შეიძლებოდა და ეს, სავარაუდოდ, ადრე თუ გვიან მიგვიყვანდა მოწოდებამდე „ჰანიბალი კარიბჭესთანაა, სააკაშვილი გადამალეთ!“, თუმცა, ბიძინა ივანიშვილის სავარაუდო სტრატეგიაზე საუბრისას, გაცილებით მართებულია არა რომაული, არამედ ჩინური გამოცდილების გახსენება; იქ ჯერ კიდევ X საუკუნეში (ეს როგორც მინიმუმი) მოიძებნა ზუსტი ფორმულირება იმის აღსაწერად, რასაც ივანიშვილი ჩვენ თვალწინ სააკაშვილს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, „უტარებს“: „და ცაო ძინ შე!“ (ურტყი ბალახს, რათა გველი დააფრთხო).

ეს მეცამეტე სტრატაგემაა 36-დან, რომელთა შესწავლა არცთუ უსარგებლოა ჩინური პოლიტიკის, ბიზნესისა და სამხედრო ხელოვნების ანალიზისთვის; ეს ირიბი გაფრთხილების, დაშინების და, საბოლოო ჯამში, პროვოკაციის სტრატეგემაა (მიუხედავად იმისა, რომაელი ავტორების ნაშრომებზე საუბრისას ჩვენ ვხმარობთ სიტყვას „სტრატეგემა“, ჩინურ მემკვიდრეობასთან მიმართებაში მიღებულია „ე“-ს ჩანაცვლება „ა“-თი; მაგალითად, ფრონტინის „სტრატეგემები“ და ჩინური „36 სტრატაგემა“). მისი გამოყენების დროს ხდება კონფლიქტური სიტუაციის შექმნა წინდაუხედავი, გაუფრთხილებელი რეაქციის მიღწევისთვის; მთავარი რესურსი, რომელიც ამ დროს გამოიყენება მოწინააღმდეგის გრძნობებია (სიამაყე, რისხვა, შიში და ა. შ.). წარმატების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ორი რამ: ფსიქოლოგიის კარგი ცოდნა და ზომიერება, რათა მოწინააღმდეგე არ მიხვდეს, რომ მანიპულაციის ობიექტი გახდა. ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ შექსპირის „ოტელო“ და გავიხსენოთ, რას და როგორ აკეთებდა იაგო.

**რაც შეეხება ჩინურ პოლიტიკას, საინტერესო მასალას ანალიზისთვის, ამ მხრივ 1957 წლის კამპანია გვაძლევს, რომელიც მაო ძედუნმა შემდეგი ლოზუნგით დაიწყო: „დაე, აყვავდეს ასი ყვავილი, დაე, ასი სკოლა ეპაექროს ერთმანეთს“. მან ინტელიგენციას მიმართა და მოუწოდა უფრო თამამად გამოეთქვა საკუთარი აზრი, გაეკრიტიკებინა ნაკლოვანებები და პლურალისტული დისკუსია დაეწყოთ. ჩინელ ინტელიგენტებს იმ დროისთვის სათქმელი საკმარისზე მეტი დაუგროვდათ, თუმცა თავიდან ფრთხილობდნენ და დიდად არ აქტიურობდნენ. მაო ძედუნმა გააკრიტიკა ისინი, „ვინც ხელისუფლების გაკრიტიკებას ვერ ბედავს“ და, საბოლოოდ მიაღწია იმას, რომ ინტელიგენციამ შიში დაძლია, კრიტიკული სტატიების გამოქვეყნება დაიწყო, მთავრობაში გამანადგურებელ წერილებს აგზავნიდა (და, რაც მნიშვნელოვანია, ამ წერილებს ხელს აწერდა) და მიტინგებსაც კი ატარებდა. მაომ საწადელს მიაღწია, მან აიძულა „გველი“ (ცხადია, მისი წარმოდგენით და შეფასებით) გამოჩენილიყო, შესაძლებლობა მისცა ოპონენტებს, თავი მაქსიმალურად წარმოეჩინათ, რის შემდეგაც „ასი ყვავილის“ კამპანია დაასრულა, ინტელიგენცია კონტრრევოლუციაში დაადანაშაულა და არნახული გააფთრებით დაერია მათ, ვინც მის კარგად დაგეგმილ პროვოკაციას წამოეგო.**

სხვადასხვა ქვეყნის ისტორიიდან „მეცამეტე სტრატაგემის“ გამოყენებაზე არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, დღეს საქართველოში მომდინარე მოვლენები გვაინტერესებს. **გიორგი კალანდაძის „ხელახალ დანიშვნასთან“ დაკავშირებულ ეპიზოდში სააკაშვილის რეაქცია, როგორც უკვე ვთქვით, იმპულსური და წინდაუხედავი იყო, მან ნათლად აჩვენა საქართველოსა და გარესამყაროს, რომ „ჯინაზე“ შეიძლება იბრძოლოს ორხელისუფლებიანობისთვის გაერთიანებულ შტაბში, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია და უდიდეს საფრთხეს უკავშირდება.**

## «ნაციონალური მოძრაობის» ბელადს საკუთარ შეცდომებზე სწავლის უნარი არ აქვს და ისევ ერთსა და იმავე ორმოში ვარდება; ეს კი მისი თანაპარტიელებისთვის ძალიან დიდ საფრთხეს მოასწავებს

სააკაშვილს ყველა წინაპირობა შეუქმნეს ამ გაუფრთხილებელი დემონსტრაციისთვის, შემდეგ კი საჯაროდ დაამცირეს, სასამართლომ კალანდაძეს უფლებამოსილება შეუჩერა, რამაც სააკაშვილს თითქოსდა უბიძგა მომდევნო, უფრო დესტრუქციული და საიმიჯო თვალსაზრისით, უფრო წამგებიანი ნაბიჯების გადადგმისკენ.

არაფერი ახალი ამ ალგორითმში არ არის, წინასაარჩევნო პერიოდში მსგავსი რამ (პროვოცირება-სულელური რეაქცია, ხელახალი პროვოცირება- უფრო სულელური რეაქცია და ა.შ.) არაერთგზის მომხდარა და ამან „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებაში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა. თუმცა კალანდაძის ეპიზოდმა, რომელიც სააკაშვილის წინა შეცდომებთან შედარებით გამორჩეულად რეზონანსული არ იყო, ნათლად აჩვენა, რომ **„ნაციონალური მოძრაობის“ ბელადს საკუთარ შეცდომებზე სწავლის უნარი არ აქვს და ისევ ერთსა და იმავე ორმოში ვარდება; ეს კი მისი თანაპარტიელებისთვის ძალიან დიდ საფრთხეს მოასწავებს.**

შესაძლოა, პირველ „დარტყმად ბალახზე“, არა ახალაიასა და კალანდაძის დაპატიმრება, არამედ ბიუჯეტიდან სააკაშვილის დაფინანსების შეზღუდვა უნდა ჩავთვალოთ. ვერ გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილი წყობიდან სწორედ ამან გამოიყვანა, თუმცაღა მას არ შეეძლო საკუთარი პრივილეგიები ღიად დაეცვა, რადგან ეს ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის მეტად წამგებიანია. სავარაუდოდ, ის გაფაციცებით ეძებდა მომენტს „შურისძიებისთვის“ და სწორედ ამ დროს მისი თვალთახედვის არეში „კალანდაძის საქმე“ მოხვდა (ნუთუ შემთხვევით?) და მან დაიწყო მოქმედება ისე, რომ მოსალოდნელ შედეგებზე არ დაფიქრებულა. **არადა, მას და მის პარტიას, მსგავსი ქცევა, სავარაუდოდ, მიიყვანს იქამდე, რომ საბოტაჟი და საკუთარი პოლიტიკური წარმატება მათთვის ურთიერთდაკავშირებული გახდება და, ამის შედეგად, ზე დესტრუქციულ პოზიციას დაიკავებენ. აქედან გამომდინარე, მათი ამოშანთვა პოლიტიკიდან საზოგადოების დაკვეთა №1 გახდება, რასაც დასავლელი პარტნიორები, მოწონებით თუ არა, გაგებით მოეკიდებიან, რადგან ალტერნატივა მსგავს სიტუაციებში სამოქალაქო ომია, რომელიც არავის სჭირდება და რომლის დაწყების თავი სააკაშვილის ჯგუფს, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით არ აქვს.**

შესაძლოა, „ნაციონალების“ ერთადერთი შანსი შექმნილ სიტუაციაში სააკაშვილის „გაკოჭვაა“. მათ შეუძლიათ ის დიდ თეორეტიკოსად, უდიდეს ბელადად ან თუნდაც უზენაეს ღვთაებად გამოაცხადონ და კაბინეტებში მისი ლეღვის ფოთლით (უკაცრავად, დაფნის გვირგვინით) დამშვენებული ქანდაკებები დადგან, თუმცა როგორც პოლიტიკოსს, მას, ალბათ, აღარ უნდა დაუჯერონ. ის, სავარაუდოდ, ფრიად დაიღალა და ახალი გამოწვევების ადეკვატური აღარ არის. **საინტერესოა, მოხდება თუ არა „ნაციონალურ მოძრაობაში“ შიდაპარტიული რევოლუცია, რომელსაც ავანსცენაზე უფრო გონიერი და წინდახედული ლიდერების გამოსვლა მოჰყვება.**

**ჯალათების გამოსარჩლება საქართველოს მოსახლეობისთვის შეიძლება ბოლო წვეთი აღმოჩნდეს მისი მოთმინების უძირო ფიალაში. 2008 წლის ომის შემდეგ ნატოზე გულაცრუებულ ქართველებს ბაჩო ახალაიას გამოსარჩლებაღა აკლია, რომ საქვეყნოდ უთხრას უარი ნატოს. თუ ბიძინა ივანიშვილი ამასაც გადაყლაპავს და დასასჯელის დასჯაზე „ნებაყოფლობით“ იტყვის უარს, ამომრჩეველი მას ისევე შეაქცევს ზურგს, როგორც თავის დროზე 94-პროცენტიან სააკაშვილს!**

სტრატეგიული პარტნიორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის უნდა დამნაშავის მფარველი ნატო?



## დევიდ პეტრეუსი ცოლის ღალატის გამო თანამდებობიდან გადადგა

**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი, 60 წლის დევიდ პეტრეუსი თანამდებობიდან გადადგა. ამის მიზეზი ცოლქმრული ღალატი გახდა.** „გუშინ პრეზიდენტისგან ჩემი გადადგომის თაობაზე თანხმობის მისაღებად თეთრ სახლში ვიმყოფებოდი. 37-წლიანი ქორწინების ფონზე მეუღლის ღალატით მიუტევებელი სისუსტე გამოვიჩინე. მსგავსი ქცევა დაუშვებელია როგორც ქმრის, ასევე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორისთვის“, — წერს პეტრეუსი კოლეგების მისამართით გაგზავნილ წერილში. პეტრეუსის ნაცვლად სადაზვერვო უწყების დროებით ხელმძღვანელად მაიკლ მორელი დაინიშნა. „თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე დევიდ პეტრეუსის თხოვნა დავაკმაყოფილე. ბოლომდე ვენდობი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ მაიკლ მორელის და სააგენტოს დანარჩენ თანამშრომლებს, რომლებიც ყოველდღიურად იცავენ ჩვენს უსაფრთხოებას“, — ნათქვამია ბარაკ ობამას განცხადებაში. ამჟამად აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო ცდილობს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა პეტრეუსის საყვარელს, ჟურნალისტ პოლა ბროდუელის წვდომა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ექს-დირექტორის ელექტრონულ ფოსტაზე. პეტრეუსის საყვარელი პოლა ბროდუელი გენერლის ოფიციალური ბიოგრაფია და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 40 წელზე მეტია მსახურობს. 2010-2011 წლებში პეტრეუსმა ბიოგრაფს ავღანეთში საკუთარ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე ექსკლუზიური წვდომის უფლება მისცა. საკუთარ წიგნში „ყოვლისმომცველი: გენერალ პეტრეუსის განათლება“ ბროდუელი დეტალურად აღწერს, როგორ გაემგზავრა სამხედრო მოღვაწესთან ერთად ავღანეთში, სადაც კვირების განმავლობაში მის გვერდით იმყოფებოდა. თავად ჟურნალისტი დაოჯახებულია და ორი შვილი ჰყავს. აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით მას ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

**საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე სოციალურ ქსელში წერდა: „ესე იგი... თოხარიკი ცხენებივით არბენინა მიშამ თავისი ლობისტები ევროსტრუქტურებში და ნატოში... ივანიშვილზე ნახევარი საათით ადრე რომ მიეღოთ... ახლა მითხრეს, რასმუსენი ისე გამოიყვანეს წყობილებიდან, ბოლოს კიოდა თურმე, ოღონდაც ბიორნის (მიშას შვედი ლობისტი) სიფათი არ დამანახოთ და ჯერ სააკაშვილს მივიღებ და მერე პრემიერ-მინისტრსო.... ეჰ, მაღალო, დაგლუპავს შენ ბოლმა... დაგლუპაავს!“**



მაღალს არ ვიცი და, ივანიშვილს ეს ლობისტური გაწამაწია ნამდვილად წინ დახვდა. ნახევარ საათში სააკაშვილმა ისე „დააბოლა“ ნატოს გენერალური მდივანი, რომ ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველოში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ფაქტის დადებითად შეფასების შემდეგ დასძინა, რომ **სერიოზულად არის შეშფოთებული საქართველოს ახალი მთავრობის პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებით.** პრაღაში მიმდინარე ნატოს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას რასმუსენმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, ყოველი ღონე იხმაროს, რათა არ მოხდეს სასამართლო პროცესებში პოლიტიკური ჩარევა. **„უაღრესად შეშფოთებული ვარ (არჩევნების შემდგომ) განვითარებული პროცესებით, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში ახლახან პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებით. ნატო დიდი ყურადღებით მიადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს“,** — განაცხადა რასმუსენმა.

რას ადევნებდა თვალს ბატონი რასმუსენი და მთელი ნატო, როცა საქართველოში პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებდნენ, ქონებას ართმევდნენ, აწამებდნენ და დასცინოდნენ ადამიანებს, კაცმა არ იცის. სოციალური ქსელი დაიძაბა: „ეტყობა, მიშიკომ მიუტანა ამბავი დიდ „უმფროსს“ – მავიწროებენ და მიშველეო... ამასაც მეტი რა საქმე აქვს, თავს სხვა ვერაფრით ირთობს, საქართველოსთან მიმართებაში შეშფოთებისა და აღშფოთების გარდა, ხოდა ამჯერად შეშფოთდა! **ნახევარი საქართველო ციხეებში რომ შეყარეს ამათ და უკანალში ცოცხებს რომ ჩრიდნენ, მაშინ რატომ არ ევსებოდა „შეშფოთების“ ფიალა დიდ დემოკრატს და ნაცმაცუნების უფლებადამცველ კაცმაცუნა რასმუსენს?“**

საინტერესოა, ქართული დელეგაციიდან ვინმემ შეახსენა თუ არა ნატოს გენერალურ მდივანს, რომ „პოლიტიკური ნიშნით“ დაპატიმრებული ბაჩო ახალაია სწორედ ის თავდაცვის მინისტრი იყო, რომლის დანიშვნამ 2009 წელს ზუსტად რასმუსენივით „შეაშფოთა“ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე თინა ქეიდენაუ. „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ ტელეგრამაში ნათქვამია: **„ქეიდენაუმ შეშფოთება გამოხატა თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით, აღნიშნა რა ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მისი ცუდი წარსული.** სააკაშვილმა მაშინვე უთხრა ქეიდენაუს, რომ მას არ ესმის, მის ამ საკადრო არჩევანს თუ რატომ მოჰყვა საერთაშორისო კრიტიკა; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის დროს ახალაია პასუხისმგებელი იყო, გამკლავებოდა მაფიას საქართველოში და შედეგად საქართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით უფრო მეტი წარმატება ჰქონდა, ვიდრე სხვა რომელიმე ყოფილ საბჭოთა ქვეყანას.

სააკაშვილის მტკიცებით, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ ვერ მიაღწია რეალურ პროგრესს რეფორმების კუთხით და რომ ის უკეთესი დიპლომატი იყო, ვიდრე მინისტრი და რომ ის (სააკაშვილი), როგორც პრეზიდენტი, ვალდებული იყო (2009 წ-ის მაისის) მუხროვანის (სახელით ცნობილი) გადატრიალების მცდელობისთვის სიხარულიძისთვის პასუხი მოეთხოვა.

სააკაშვილმა მოუწოდა ქეიდენაუს და სხვა ოფიციალურ პირებს, არ აჩქარებულიყვნენ ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანაში და ქეიდენაუს შესთავაზა ამ თანამდებობაზე ახალაიას მუშაობის შეფასება გაეკეთებინა. ქეიდენაუმ მოუწოდა პრეზიდენტ სააკაშვილს, გაეაზრებინა, თუ რა გავლენა იქონია ამ დანიშვნამ საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე და ხაზი გაუსვა მსგავსი ქმედებისგან მომავალში თავის შეკავების მნიშვნელობას“.

ამერიკის ადმინისტრაციის მიერ ბაჩო ახალაიას ადამიანის უფლებების დამრღვევად და ოდიოზურ მინისტრად აღიარების მიუხედავად, დღეს ნატოს გენერალური მდივანი „შფოთავს“ და ახალ მთავრობას „პოლიტიკურ დევნაზე“ ელაპარაკება. სააკაშვილმა, რომელმაც საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების თუ „შემმოწმებლების“ დიდ ნაწილს რომ „ეჟვანი შეაბა“, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და არც რასმუსენის „შეშფოთება“ უნდა იყოს უანგარო და უფასო. ამიტომაც არის, რომ რასმუსენის განცხადებას კიდევ ერთი კომენტარი მოჰყვა სოციალურ ქსელში: **„საინტერესოა, რა დაჯდა ეს განცხადება? და ისევ ჩვენი ფულით გაკეთდა“!**

ჯალათების გამოსარჩლება საქართველოს მოსახლეობისთვის შეიძლება ბოლო წვეთი აღმოჩნდეს მისი მოთმინების უძირო ფიალაში. **2008 წლის ომის შემდეგ ნატოზე გულაცრუებულ ქართველებს ბაჩო ახალაიას გამოსარჩლებაღა აკლია, რომ საქვეყნოდ უთხრას უარი ნატოს. თუ ბიძინა ივანიშვილი ამასაც გადაყლაპავს და დასასჯელის დასჯაზე „ნებაყოფლობით“ იტყვის უარს, ამომრჩეველი მას ისევე შეაქცევს ზურგს, როგორც თავის დროზე 94-პროცენტიან სააკაშვილს!**

არჩევნების შემდეგ ივანიშვილმა ურჩია სააკაშვილს, გადამდგარიყო, თუმცა, ამერიკელი მეგობრების მცდელობით, ამაზე ლაპარაკი მალევე შეწყვიტა. ახლა სააკაშვილმა მორიგი სვლა გააკეთა და ნატოში „ჩაუშვა“ პრემიერ-მინისტრი – ჩემს ხალხს იჭერსო! **თუ დამნაშავის დაჭერა „პოლიტიკური დევნაა“, მაშინ უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩებში დახოცვას რა ჰქვია?** ვის სჭირდება ისეთი „სტრატეგიული პარტნიორი“, რომელიც სამართალს და სამართლიანობას არად დაგიდევს და დამნაშავე ხელისუფლებას ხელს აფარებს?

### ვის სჭირდება ისეთი «სტრატეგიული პარტნიორი», რომელიც სამართალს და სამართლიანობას არად დაგიდევს და დამნაშავე ხელისუფლებას ხელს აფარებს?

სააკაშვილი რომ ამდენს ბედავს, უგულავას რომ ენა აქვს დაგრძელებული, თუთბერიძე რომ თეა წულუკიანის ფსიქიატრიულ შემოწმებას ითხოვს, ეს ნამდვილად არ არის მათი ბრალი; ეს ახალი ხელისუფლების მოუქნელობისა და სიზანტის ბრალია. ახალი ხელისუფლება კი საქართველოსთვის ბიძინა ივანიშვილია და არა მისი კოალიციის წევრები, რომლებმაც იმაზეც კი ვერ იზრუნეს, რომ ძალაუფლების აღებისთანავე გადაეწყვიტათ პირველი რიგის ამოცანები.

**თამარ დავითულიანი**

მოკლედ

## ირანს ბირთვული იარაღი არ სჭირდება

**ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, ირანს ბირთვული იარაღი არ სჭირდება. ამის შესახებ ისლამური რესპუბლიკის ლიდერმა ინდონეზიაში მიმდინარე დემოკრატიულ ფორუმზე განაცხადა.** მისი თქმით, ირანი ატომური ბომბის შექმნაზე არ მუშაობს იმიტომ, რომ საკუთარი თავის დაცვა სხვა მეთოდებითაც შეუძლია. აჰმადინეჯადი მიიჩნევს, რომ მსოფლიო დიდი ხანია შეიცვალა და ახლა ბირთვული იარაღი მნიშვნელოვანი აღარაა. „ამერიკელებმა იციან, რომ ირანელ ხალხს ატომური ბომბი არ სჭირდება. ჩვენი ერი შვიდი ათასი წელი ამგვარი აუცილებლობის გარეშე ცხოვრობდა. დაგისახელებთ ორ მიზეზს, თუ რატომ არ გვჭირდება ახლა ატომური ბომბი: პირველ რიგში, ბირთვული იარაღის გამოყენების ერამ ჩაიარა, მას ქვეყნის დაცვა არ შეუძლია. მეორე, ევროპას და აშშ-ს ამგვარი სახის შეიარაღება აქვს. მაგრამ დაეხმარა მათ ატომური ბომბი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტაში? ადამიანებმა განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, როდესაც ატომური ბომბი უკვე სულერთია“, — აღნიშნა ირანის პრეზიდენტმა. მისი თქმით, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება, დაათვალიერონ მისი ქვეყანა და დარწმუნდნენ, რომ იქ ბირთვული იარაღი არ იწარმოება.



ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რაც შეეხება კონგოში ჩამოგდებულ თვითმფრინავს, იმ დროს საქართველოს რამდენიმე მოქალაქე იქნა მოკლული, ხოლო თქვენ მიერ ზემოთ ნახსენები ქართველი მეზღვაურები, რომლებიც ტყვედ იქნენ აყვანილნი, ყველაფერი ეს იმ მექანიზმის ნაწილია, რომელიც უცხოურმა სადაზვერვო სამსახურებმა შეიმუშავეს."**

# ამერიკელი ჟურნალისტი საქართველოს სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდებაში ადანაშაულებს

## ჯეფრი სილვერმანი:

# ისინი ქართველ ჯარისკაცებს უიარაღო მოქალაქეების დასახოცად ამზადებდნენ



**უკვე დიდი ხანია, რაც საქართველო შუა აზიასა და ევროპას შორის, ბოლო ხანებში კი დანარჩენ მსოფლიოსთანაც, იარაღის კონტრაბანდის ტრანზიტისა და უკანონო ვაჭრობის პუნქტადაა აღიარებული. ამგვარი ვაჭრობის შეწყვეტა კი სამართალდამცავი ორგანოებისა და დაზვერვის სამსახურების უშუალო ინტერესების სფეროს უნდა წარმოადგენდეს. ამასთანავე, ამ სავაჭრო ქსელებს შორის კავშირების შესახებ ინფორმაცია, შესაძლოა, ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ამა თუ იმ „ინტერესების ჯგუფების", მათ შორის ტერორისტული ქსელებისა და მთავრობების, საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც ასეთი ვაჭრობის შეწყვეტით უფრო უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე მისი ხელშეწყობით. ჟურნალისტური გამოძიების სფეროს წარმომადგენელი ჯეფრი სილვერმანი, რომელიც უკვე უკვე 20 წელია საქართველოში ცხოვრობს, „საქართველო და მსოფლიოსთან" დეტალურად საუბრობს ამ საკითხებზე, რომლებსაც იგი „შიგნიდან" იცნობს, როგორც ყოფილი პროფესიონალი სამხედრო და ამჟამად ჟურნალისტური გამოძიებებით დაკავებული პირი.**

**— ბატონო ჯეფრი, როგორ იარაღდებოდა საქართველო და ვინ მონაწილეობდა ამ პროცესში?**

— აქ ჩართული იყო ამერიკა, სერბეთი, იორდანია, უკრაინა და ისრაელი – ზოგი მათგანი ოფიციალურად, ზოგი – არაოფიციალურად. **შეიარაღების პროცესი, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო, ხოლო იარაღის სატრანზიტო ქვეყნად გამოყენებული იქნა საქართველო, კერძოდ — მისი საპორტო და სარკინიგზო ქსელები. შემდგომში იარაღი მასობრივად „მოზღვავდა", როდესაც ამერიკის 64-მილიონდოლარიანი „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა ამოქმედდა.** როგორც იმ პერიოდში აღნიშნავდნენ, პროგრამის მიზანი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა იყო, მაგრამ ეს არ იყო მისი ძირითადი მოტივაცია.

საქართველოში აღმოჩნდა ასევე გერმანული წარმოშობის სხვადასხვა ტიპის იარაღი, მათ შორის „ჩემრინგის" ნაწარმი, სერბული წარმოშობის იარაღი, აგრეთვე, იორდანიის იარაღის ექსპორტის სახელმწიფო სააგენტოსთან გაფორმებული კონტრაქტით შემოზიდული, KADDB-სა და მელვეილის კორპორაციის — სეიშელში დაფუძნებული ოფშორული კომპანიის მიერ მოწოდებული იარაღი. ჩემს ხელში მოხვდა ამ მოწოდებების საბოლოო მომხმარებლების სერთიფიკატები და შევთავაზე კიდეც ისინი აშშ-ის საელჩოს გასაცნობად, მაგრამ ამ საკითხით იქ არავინ დაინტერესებულა.

**იარაღის სხვა სახეობები, რომლებმაც ოფიციალურად გამოიარეს გზა და მოხვდნენ საქართველოში, არის ისრაელში წარმოებული კასეტური ბომბები M-85 და ჩინეთში დამზადებული ავტომატები AK-47, საქართველოსა და რუსეთის არმიები ასევე ჰყიდდნენ იარაღს ჩრჩენ მეომრებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსებს ჯერ კიდევ ჰქონდათ სამხედრო ბაზები საქართველოში. საქართველო იარაღის ერთი დიდი ბაზარია.**

ეს სია კიდევ უფრო გრძელია, ხოლო საქართველო მნიშვნელოვან როლს თამაშობს იარაღით საერთაშორისო ვაჭრობაში, არა მხოლოდ მისი ტერიტორიული თვალსაზრისითა და საპორტო შესაძლებლობებით, არამედ საბანკო სისტემის მხრივაც. **მე მაქვს ასევე დოკუმენტაცია აშშ-ში წარმოებული იარაღის თურქმენეთში გადაზიდვის მცდელობების შესახებ.**

**— რა კავშირი არსებობს კონგოში ჩამოგდებულ თვითმფრინავს, ბატონ კოდუასთვის იარაღის ტრანსპორტირების შესაძლებლობების ჩამორთმევასა და ქართველ მეზღვაურებს შორის?**

— ქართველებთან მიმართებაში, ზემოაღნიშნული კავშირების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოში ბაზირებულ ჰოლდინგურ კომპანიებსა და რუს და სლოვაკ იარაღით მოვაჭრეებზე. **მე შემიძლია ზოგიერთი მათგანის გვარებიც კი ჩამოვთვალო, მაგალითად, რუსლან გილჩენკო და ვიქტორ დობრეგაიევი, რომლებიც ამჟამად აშშ-ის ფედერალურ ციხეში არიან საიდუმლო გამოძიების შედეგად, რომლითაც გამოვლინდა იარაღის ტრანზიტის მცდელობა საქართველოს გავლით.**

სწორედ ამ გამოძიებაზე დაყრდნობით შემიძლია მოგაწოდოთ იარაღის კონტრაბანდის დეტალები. აშშ-ის ფედერალური მოსამართლე დრედერიკ ჯეი მარტონი, აშშ-ის საოლქო მოსამართლე, შეეცადა შეეჩერებინა ეს გამოძიება 2012 წლის 18 ივლისის დაცვითი გადაწყვეტილებით.

მაგრამ მან ვერ მოახერხა, დაეცვა ფედერალური კანონი საპროცედურო განხილვისა და მართლმსაჯულების შესახებ. მოსამართლის მცდელობები, რომ დაეცვა ამერიკელი იარაღით მოვაჭრეები, წარუმატებელი აღმოჩნდა, გარდა „იუთუბიზე" და ინტერნეტში გავრცელებული კლიპებისა და ტიმ ბრინის, ახალგაზრდა ჟურნალისტისა და სამხედრო კორესპონდენტის, საქმიანობისა, რომელიც ჩემთან ერთად მუშობდა და რომელიც ჩამოაშორეს საქმიანობას, როდესაც ავსტრალიაში იმყოფებოდა.

**თვითმფრინავი „ილ-76" რეგისტრირებული იყო საქართველოში, ისევე, როგორც ბევრი სხვა თვითმფრინავი, რომლებსაც კონტრაქტის საფუძველზე იყენებდა გაერო აფრიკაში. როდესაც ეს თვითმფრინავები არ ასრულებენ გაეროს სამშვიდობო მისიებს ან არ გადააქვთ სურსათი, არ გადაჰყავთ დამხმარე პერსონალი და ა.შ., ისინი დაკავებულნი არიან იარაღის უკანონო გადაზიდვით. ჩემს ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნულ თვითმფრინავს მართავდა ბათუმში დისლოცირებული დასავლეთის საჰაერო ბაზის ეკიპაჟი,** რომელიც იყენებდა ახალი ზელანდიისა და ჰონგ-კონგის დოკუმენტაციას (Union Top Management), რაც სხვადასხვა ქვეყანაში იარაღის მიწოდების მექანიზმის ნაწილს წარმოადგენდა. **ეს და სხვა თვითმფრინავები უკავშირდებოდა აშშ-ის კომპანიებს კალიფორნიაში და სომხეთში და შემდეგ დაუბრუნდა უკან ვიქტორ ბუტის კერძო კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია შვეიცარიაში, თუმცა იგი რამდენიმე წლის შემდეგ მფლობელობაში გადაეცა დასავლეთის ბაზას ბათუმში, საქართველოში.** რაც შეეხება კონგოში ჩამოგდებულ თვითმფრინავს, იმ დროს საქართველოს რამდენიმე მოქალაქე მოკლეს, ხოლო თქვენ მიერ ზემოთ ნახსენები ქართველი მეზღვაურები, რომლებიც ტყვედ იქნენ აყვანილი, ყველაფერი ეს იმ მექანიზმის ნაწილია, რომელიც უცხოურმა სადაზვერვო სამსახურებმა შეიმუშავეს.

აქ მათი მოტივაცია ნათელი უნდა იყოს: **საქართველო არის იარაღის კონტრაბანდის მთავარი სატრანზიტო პუნქტი, იარაღი ნარკოტიკებზე იცვლება. ამ ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავალი კი გამოიყენება სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული საიდუმლო საქმიანობებისთვის.**

**— რა შეგიძლიათ თქვათ კრიალაშვილისა და ოთანაძის საქმის შესახებ და ერაყიდან ჩამოტანილ ხელოვნების ნიმუშზე?**

— ამ საქმეების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ არ გამიკვირდებოდა, თუ ერაყის საჰაერო ძალების რომელიმე ყოფილი გენერლის ვინმე ახლობელი, მაგალითად, შვილი რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში და მუშაობდა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტორთან. მე მითხრეს, რომ **ქართველ ჯარისკაცებს ხშირად მოჰქონდათ სხვადასხვა „სამახსოვრო საჩუქარი" ერაყიდან.**

**— არსებობს თუ არა ალბათობა, რომ „არაბული გაზაფხულის" პერიოდში, მოწინააღმდეგე მხარეები, განსაკუთრებით – სირიასა და ლიბიაში, საქართველოდან გატანილი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი?**

— დიდად სავარაუდოა, რომ ასე იყო. მე ამ საკითხზე ახლაც კი ვმუშაობ. მე **ნამდვილად ვიცი, რომ ე. წ. სირიული ოპოზიციის წარმომადგენლები არჩევნების წინ იმყოფებოდნენ საქართველოში და ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდნენ, დიდი ალბათობით, ეს მოხდა უცხოური სადაზვერვო სამსახურების მხარდაჭერითა და ხელშეწყობით. ჩემმა წყაროებმა შემატყობინეს, რომ საქართველოში ამჟამადაც კი შემოაქვთ იარაღი იორდანიისა და სხვა ქვეყნების გავლით და ხორციელდება მათი შემდგომი ტრანსპორტირება თურქეთში ქუთაისის ადგილობრივი აეროპორტისა და სხვა წყაროების მეშვეობით.**

ძირითადად, უცხოური მთავრობები, ნატოსთან დაახლოებული ქვეყნების ჩათვლით, საქართველოს იყენებენ, როგორც სატრანსპორტო დერეფანს მესამე ქვეყნებისკენ, და ეს პროცესი უკვე მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. ეს დასკვნა ემყარება არა მხოლოდ საბოლოო მომხმარებლის დოკუმენტს, რომელიც ჩემს ხელში მოხვდა, ან ჩემს საგამოძიებო მუშაობას, არამედ, აგრეთვე, საერთაშორისო ცნობებსაც აფრიკაში ჩამოგდებული თვითმფრინავისა და ჰოლდინგური კომპანიების მფლობე- ▶



**«ძალიან სარისკოა თამაში, რომელსაც სააკაშვილი თამაშობს ირანს, აშშ-სა და რუსეთს შორის. სულაც არაა გონივრული ის, რომ ირანს «სახლის ჩადგმის» ნება მისცე საქართველოში, რითაც იგი გვერდს უვლის სანქციებს, და დაეხმარო მას ნავთობის უკანონო ექსპორტში. ისეც კი ხდება, რომ ნავთობი უკან მიეყიდება ამერიკულ კომპანიებს და აზერბაიჯანის დახმარებით გადის დასავლეთის ბაზრებზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გავლით»**

# „საქართველო არის იარაღის კონტრაბანდის მთავარი სატრანზიტო პუნქტი, იარაღი ნარკოტიკებზე იცვლება. ამ ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავალი კი გამოიყენება სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული საიდუმლო საქმიანობებისთვის.“

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლობისა და რეგისტრაციის შესახებ, რომლებიც ამ მექანიზმშია გამოყენებული.

**დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოზე გადის იარაღის კონტრაბანდის ძირითადი მარშრუტი მესამე ქვეყნებისკენ.**

**— იარაღის კონტრაბანდის მექანიზმზე რას გვეტყოდით?**

— მე შემიძლია დეტალურად აგიხსნათ, თუ როგორ მუშაობს ეს მექანიზმი, და არა მარტო დოკუმენტურად, არამედ საიდუმლო ჩანაწერების მაგალითზე, რომელიც იარაღით ვაჭრობის ერთ-ერთი გარიგების დროს მოლაპარაკებებისას გაკეთდა ამერიკის მომხმარებელთა ოფისის აგენტებსა და დილონ აეროს — იარაღის მწარმოებელს შორის არიზონას (საიდანაც გახლავთ სენატორი ჯონ მაკკეინი) შტატიდან:

**„სპეციალური საიდუმლო აგენტი:** — *... ეს იქნება კანონიერი გადაზიდვა აშშ-დან, მაგრამ უკანონო შეტანა თურქმენეთში. ეს დაახლოებით ასეა. ხოლო ის, თუ საით წავა შემდეგ ეს იარაღი, უკვე სხვა საკითხია. ასეთი მექანიზმები იმ კომპანიების თამაშის ნაწილია, რომელშიც გერმანიაც მონაწილეობს და ყალბი დოკუმენტები და სერთიფიკატები გამოიყენება. ტრანზიტი განხორციელდება საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით“.*

**იარაღით მოვაჭრე:** — *კარგი, ეს არის უკანონო ან ნაწილობრივ უკანონო მიწოდება თურქმენეთში. როგორ მოვამზადებთ კონტრაქტს?*

**სპეციალური საიდუმლო აგენტი:** — *ჩვენ ვაპირებთ მოვამზადოთ კონტრაქტი, რომელიც არ იქნება უკანონო. ის, რასაც ვაპირებთ, არის, რომ დილონი ამას არ იზამს მანამ, სანამ არ მექნება დოკუმენტი, რომელსაც ისინი შეამოწმებენ. უკვე ითქვა, რომ დილონი უნდა გაეცნოს მას. იგი ყურადღებასაც კი არ მიაქცევს, ვინ მიუტანს. მან მომყიდა მე ეს გარიგება და მე შევკარი ყველაფერი. ამიტომ არსებობს რამდენიმე გზა, რომ ვიმოქმედოთ და შენი გადასაწყვეტია, რა ვქნათ. ყველაზე ადვილია, თუ მივიღებ საექსპორტო ლიცენზიას, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. მეორე უმარტივესი გზაა თქვენი ხალხი. შეგიძლიათ მიშოვოთ საბოლოო მომხმარებლის სერთიფიკატი თურქმენეთიდან? ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს, რადგან მე არ შემიძლია იქ შეტანა. ეს კი თქვენ გინდათ. ასე რომ, ის, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის საბოლოო მომხმარებლის პოვნა სხვა ქვეყნიდან. შეძლებთ ამას? თუ თქვენ მე გჭირდებით მხოლოდ იმიტომ, რომ გავაყალბო დოკუმენტები და მივიტანო იქ, სადაც უნდა წავიდე?*

**იარაღით მოვაჭრე:** — *მე ვფიქრობ, რომ ჩვენ თქვენ გვჭირდებით.*

**სპეციალური საიდუმლო აგენტი:** — *ამგვარად, გასაფორმებელ დოკუმენტებში ნათლად უნდა იყოს მითითებული საბოლოო მომხმარებელი, რადგან ის არის გადამხდელი ჩვენთვის. და ჩვენ გვჭირდება ეს დოკუმენტები. ჩვენ უნდა გამოვჩნდეთ, რადგან... დოკუმენტი, რომელიც შევა სერთიფიკატში, ზუსტად უნდა იყოს შედგენილი, რადგან ჩვენ არა მარტო გადავიხადეთ ფული, არამედ ჩვენც უნდა გადაგვიხადონ.*

*თურქმენეთის საბაჟო პროცედურები სხვადასხვაგვარია, თქვენ ეს უნდა იცოდეთ. ისინი ფულს გადაგვიხდიან მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ საბოლოო დანიშნულების ადგილი და საბოლოო მომხმარებელი იქნება თურქმენეთის ეროვნული უსაფრთხოების სამინისტრო. ეს მკაფიოდ უნდა მიეთითოს სატრანსპორტო დოკუმენტებში, რომლებსაც ჩვენ წარვუდგენთ საბაჟოს. და მეორე: NGCZ, რომელიც ახლა არის ჩვენი კომპანია და ამავე დროს არის თურქმენეთის ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს კონტრაქტორი, იგი ასევე უნდა მიეთითოს სატრანსპორტო დოკუმენტებში. ეს არის გზა, რომელსაც ისინი ყოველთვის ამჯობინებენ“.*


ნიკოლა სარკოზი

> **«მხოლოდ თურქეთის დახმარებითა და «ყარსის ხელშეკრულების» პირობების მეშვეობით გახდა შესაძლებელი ომის შეწყვეტა. მე ამაში ვერ ვხედავ საფრანგეთის პრეზიდენტის ან ფრანგული დიპლომატიის დიდ წვლილს. ეს უფრო ითქმის ძველდროინდელ შეთანხმებაზე, რომლის შესახებაც ქართველების უმრავლესობამ არც კი იცის, რომ იგი დღესაც მოქმედებს»**


რეჯებ ტაიპ ერდოღანი

**— როგორ შეაფასებთ დასავლელი ინსტრუქტორების ჩართულობას 2008 წლის ომის პერიოდში?**

— ძირითადად, ისინი იყვნენ სამხედრო კრიმინალის ნაწილი. **ისინი ამზადებდნენ ქართველ ჯარისკაცებს უიარაღო მოქალაქეების დასახოცად სამხრეთ ოსეთში, ხოლო ჯარისკაცების ქცევა, მორალური თვალსაზრისით, სრულიად მიუღებელი იყო, და არა მხოლოდ როგორც ჯარისკაცების შესაძლებლობებისა.** მე მაქვს სურათები და შემიძლია გიჩვენოთ ისინი. მათი ტრენინგების ხარისხი, შესაძლოა, საკმარისი ყოფილიყო ეროვნული გვარდიისთვის, მაგრამ ახლოსაც კი ვერ მიდიოდა მომზადების იმ მოთხოვნებთან, რაც უნდა ჰქონდეთ ჯარისკაცებს ომში, სადაც მათ წინააღმდეგ გამოდის ისეთი ძლიერი და უკეთ მოტივირებული ძალა, როგორიც რუსეთია. მათი ტრენინგი მოიცავდა მხოლოდ დამხმარე როლს ნატო-აშშ-ის მისიისთვის ავღანეთში, ასევე მეორე უკანონო ომში, რომელსაც აშშ აწარმოებდა ერაყში.

ჯარისკაცის პროფესიულ დონეზე მოსამზადებლად წლებია საჭირო. ცუდად შეიარაღებული და ცუდად გაწვრთნილი ჯარისკაცების ფრონტზე გაგზავნა დანაშაულია, რადგან იქ მათ ამოხოცავენ. **უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენი ინსტრუქტორები გაწვრთნიდნენ ქართველ ჯარისკაცებს, თუ როგორ უნდა იბრძოლონ რუსების წინააღმდეგ ერთგვარი წარმატებით.** მე აშშ არმიის ვეტერანი ვარ და კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს გაწვრთნილი ჯარისკაცი და რას – მოუმზადებელი.

**— მართალია, რომ იარაღი, რომლის ყიდვაც აკრძალულია ირანში, იქ საქართველოს გავლით შეჰქონდათ? იყო და დღესაც არის თუ არა საქართველო სატრანზიტო მარშრუტი ასეთი იარაღისთვის?**

— შემიძლია გითხრათ, რომ ფინანსური მექანიზმებისა და ნავთობგადაზიდვების მხრივ, ირანი იყენებს საქართველოს ბანკებსა და საგზაო ქსელს უკანონო ვაჭრობისთვის. ნავთობი საქართველოს გავლით გადაიზიდება აზერბაიჯანში ავტოცისტერნებით, დასავლეთის სანქციების დარღვევით. ამ მხრივ შემოსავლების მიღებაში ირანს, ძირითადად, მხარს უჭერს GoG-ი. **ძალიან სარისკოა თამაში, რომელსაც სააკაშვილი თამაშობს ირანს, აშშ-სა და რუსეთს შორის. სულაც არაა გონივრული ის, რომ ირანს „სახლის ჩადგმის“ ნება მისცე საქართველოში, რითაც იგი გვერდს უვლის სანქციებს, და დაეხმარო მას ნავთობის უკანონო ექსპორტში. ისეც კი ხდება, რომ ნავთობი უკან მიეყიდება ამერიკულ კომპანიებს და აზერბაიჯანის დახმარებით გადის დასავლეთის ბაზრებზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გავლით.**

**— არიან თუ არა ინფორმირებულები ამერიკელები და კონკრეტულად თეთრი სახლი იმაზე, რის შესახებაც თქვენ საუბრობთ?**

— მათ ყველაფერი იციან, რადგან ყველაფერ ამის ნაწილს წარმოადგენენ. მე მათ რამდენიმე ანგარიშიც კი მივაწოდე არაოფიციალური კონტაქტების მეშვეობით აშშ-ის მთავრობაში საიდუმლო სამსახურების ფარგლებში, და **ეს ინფორმაცია მათ გამოიყენეს აჭარის ყოფილი მმართველის, ასლან აბაშიძის, მოსაშორებლად და მისთვის იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის გზების ჩასაკეტად,** ყოველ შემთხვევაში, რაღაც დროით მაინც.

**— რა იყო იმის მიზეზი, რომ რუსმა ჯარისკაცებმა და რუსულმა იარაღმა გაიმარჯვა ამერიკულ შეიარაღებასა და ამერიკელების მიერ მომზადებულ ჯარისკაცებზე?**

— ეს არ იყო რეალური ომი. საშუალო ქართველი ჯარისკაცი უკეთესად იბრძოდა და, ძირითადად, იმარჯვებდა, მაგრამ ომის მოგება არასოდეს ყოფილა იმ პირთა განზრახვა, რომლებმაც მისი დაწყების ბრძანება გასცეს. **განზრახვა მდგომარეობდა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის კონტროლის მექანიზმების გამოცდაში, თუ როგორ კოორდინირებდნენ ისინი ჰაერში, ხმელეთსა და ზღვაში (ერთიანი კონტროლი), რომელი იარაღის გამოყენება შეეძლოთ. ამას დაზვერვის ენაზე ეწოდება „თამაშის თეორია“, ანუ ის, რომ გამოიცნო, თუ რა ნაბიჯს გადადგამს მოწინააღმდეგე ნახევრადსაომარ პირობებში.**

საქართველოს საჰაერო თავდაცვითი სისტემა განადგურდა. ქართული არმიის რადიოელექტრონული დაცვის სისტემა გაითიშა ერთი კვირით ადრე და მოსამსახურეები დაითხოვეს. ასე რომ, რუსეთმა სრულად შეძლო საჰაერო სივრცის გაკონტროლება. მათ სურდათ ენახათ, თუ როგორ იბრძვიან ქართველი ჯარისკაცები. **თავდაცვის დეპარტამენტის დამკვირვებელთათვის დიდად გასაკვირი იყო, რომ ქართული ჯარის ოფიცრები გარბოდნენ და ბრძოლაში სასიკვდილოდ წირავდნენ მიტოვებულ ჯარისკაცებს. თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი დონის ხელმძღვანელობამ მთლიანად დაკარგა მოვლენებზე კონტროლი.**

**მხოლოდ თურქეთის დახმარებითა და „ყარსის ხელშეკრულების“ პირობების მეშვეობით გახდა შესაძლებელი ომის შეწყვეტა. მე ამაში ვერ ვხედავ საფრანგეთის პრეზიდენტის ან ფრანგული დიპლომატიის დიდ წვლილს. ეს უფრო ითქმის ძველდროინდელ შეთანხმებაზე, რომლის შესახებაც ქართველების უმრავლესობამ არც კი იცის, რომ იგი დღესაც მოქმედებს.**

**— თქვენ მუშაობთ აჭარის საკითხებზე და იცით, რომ იქ რელიგიური ხასიათის პრობლემებია. საქართველოს მოქალაქეებს აშშ-ის ელჩის სიტყვები ესმით, როგორც თეთრი სახლის პოზიცია; ბატონ ჯონ ბასს ქართველების უმრავლესობისგან განსხვავებული შეხედულება აქვს ამ საკითხზე. ამიტომ ქართველები ფიქრობენ, რომ რელიგიასთან დაკავშირებული ყველა პროექტი ამერიკულია. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ თემაზე?**

— საქართველოში სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები ცხოვრობენ და ეს პრობლემა არაა. რელიგია პრობლემად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მისით მანიპულირებენ შიდა და გარე ძალები, სწრაფი სარგებლის მისაღებად. მე ძალიან კარგად ვიცი ჯონ ბასის ისტორია, მისი კავშირები ბეჩტელთან და KBR-თან, მისი გამოცდილება ლოჯისტიკაში. იგი საქართველოში დაინიშნა ამ გამოცდილების გამო, ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინთან კარგი ურთიერთობების წყალობით და არა როგორც კეთილი ნების ელჩი. **ჯონ ბასი აქ იყო იმიტომ, რომ აკონტროლებდა „ჩრდილოეთის მარშრუტს“ და ადგენდა საქართველოში აშშ-ის ექსპანსიის გეგმებს მეტი სამხედრო ბაზების შექმნის, ლოჯისტიკის გაუმჯობესების და ირანთან შესაძლო ომის გეგმების შესრულების გზით.**

**— გქონდათ თუ არა საუბრები საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან თქვენ მიერ გამოძიებულ საკითხებზე?**

— დიახ, მე მქონდა საუბრები ახალი ხელისუფლებს მაღალი რანგის ჩინოსნებთან. იმ ღამეს, ეგზიტპოლები რომ გამოქვეყნდა, მე ვუთხარი მათ, რომ ახლა უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს, რომ დამებრუნებინა საქართველოს მოქალაქეობა, განმეახლებინა 1993 წელს საქართველოს წინაშე დამსახურებისათვის ჩემზე გაცემული ქართული პასპორტი და ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ მეგრძნო თავი. იმ დოკუმენტების გარდა, რომლებიც უკვე გადავეცი ზოგიერთ მაღალჩინოსანს იმის შესახებ, თუ რა ხდება ახლა და რა ხდებოდა გასულ წლებში, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მე მაქვს დოკუმენტები და სხვა ინფორმაციაც, რომელთა გაზიარებაც შემიძლია დამატებით. **მე ასევე ვაპირებ, გადავცე მათ ჩემი გამოძიების მასალები ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელიც ჯერაც ფარდაახდელია და რომლის გასაიდუმლოებაშიც უშუალოდ მონაწილეობდა გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთი აგენტი.**

**— როგორ შეაფასებდით ბაჩო ახალაიას საქმეს და ციხეში გაკეთებულ ფარულ ჩანაწერებს?**

— **ეს წლების განმავლობაში ხდებოდა, ასეთი ფაქტების შესახებ იცოდნენ როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებმა, ისე ყველა სხვამ, მათ შორის უცხო ქვეყნების საელჩოებმა. მე ვესაუბრე ადამიანებს, რომლებიც პირადად იცნობენ ბაჩო ახალაიას. მათი თქმით, ახალაია ავადმყოფია, იგი ხალხს აწამებდა მხოლოდ იმიტომ, რომ გართობა სურდა.**

ბაჩოს ძმა — დათა და მათი მამა — როლანდი სააკაშვილის ვიწრო წრის დასაყრდენი იყვნენ. ისინი იმ პირებთან ერთად აკონტროლებდნენ დასავლეთ საქართველოს, რომლებიც მე ზემოთ დავასახელე. ასეთი ხალხის გარეშე სააკაშვილს არაფერი შეუძლია, რადგან ისინი, უკვე წლებია, ფაქტობრივად, აკონტროლებენ ყველაფერს. მათ უფრო მეტი რამ აქვთ დასაკარგი რეჟიმებისა და კანონის უზენაესობის ამოქმედების პირობებში, ვიდრე სააკაშვილს. ადრე თუ გვიან, რაც უფრო მოიკრებს ძალას ახალი ხელისუფლება, ყველა ასეთი საქმე იქნება გამოძიებული.

**ციხის ბუნტი რამდენიმე წლის წინ მოეწყო იმიტომ, რომ გადაფარულიყო აზერბაიჯანელი ნარკომოვაჭრის მკვლელობა, რომელიც დიდი რაოდენობის მაღალი ხარისხის გადამუშავებული ჰეროინით დააკავეს. ეს ჰეროინი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლოში მტკიცებულების სახით, იგი გაყიდეს, რითაც დიდი სარგებელი ნახეს.** პატიმრებისგან, რომლებიც იმ დროს იხდიდნენ სასჯელს ციხეში, გავიგე, რომ ეს ნარკოდილერი ციხეში მოწყობილი ბუნტის დროს მოკლეს, კვამლის გაშვებისას. ზოგიერთმა ისიც კი მითხრა, რომ ეს ბუნტი წინასწარ სწორედ ამ მიზნით იყო დაგეგმილი ბაჩოს მიერ.

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ჩანს, ამერიკელების სურვილის საწინააღმდეგოდ, „ნაცმოძრაობის“ (ცოცხების) პარტიას არ ასცდება გასამართლება, როგორც მავნებლების კრიმინალურ ბანდას. ამისთვის კი საჭიროა, რომ პარტიადწოდებული ნაცბანდის ლიდერები: დიმა შაშკინი, ზურაბ ადეიშვილი, მურთაზ ზოდელავა, გიორგი ბარამიძე, კოტე კუბლაშვილი, დათა ახალაია, როლანდ ახალაია (და ა. შ., თუ ვინმე გამომრჩა, მომიტევეთ), ბოლოს თვით უმაღლესი მთავარსარდალი ადრე თუ გვიან ბაჩო ახალაიას მეზობელ კამერებში მოვათავსოთ!**



# ფაშიზმის პოლიტიკური დევნა აუცილებელია, ანუ ცოცხი — მაგ წუნკლებს, ცოცხი!!!

**რა იყო ის, რისგანაც 1 ოქტომბერს გავთავისუფლდით, ანუ რას უთხრა არა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით ქართველი საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ? თუ კი ისეთ რბილ განსაზღვრებებს აღარ ვიხმართ, როგორებიც არის: ავტოკრატია, ჰიბრიდული დემოკრატია, ავტორიტარიზმი და ა.შ. რა ვიცი კიდევ, ვინ მოთვლის ამ მეცოცხეების მიმართ დასავლეთიდან წამოსულ „ლაით“ შეფასებებს, რითაც 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ „ყურს გვიხედნიდნენ“, ყველაფერს ნამდვილ სახელს დავარქმევთ — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არის ფაშისტური პარტია!!!**







## ამათ, ეტყობა, დაავიწყდათ, რომ «მეცოცხეთა» პარტიის წევრები არიან და, რომ დაავიწყდათ, ეს ჩვენი ბრალიცაა!

დიახ, არის და არა იყო, რადგან, სანამ ნაცების სახელით თუნდაც ერთი დეპუტატი იჯდება პარლამენტში, ამ პარტიაზე წარსულში საუბარი არ შეიძლება!

ერთადერთი, რაც წარსულში შეიძლება მათთან დაკავშირებით ვახსენოთ, ის არის, რომ მიშნაცების 9-წლიანი მმართველობა ფაშისტური რეჟიმი იყო, ანუ მათი ხელისუფლება მორჩა! სანამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თუნდაც ერთი „მეცოცხე“ მოიაზრება, ეს „იყო და არა იყო რა“ და რეჟიმის წარსულში მოხსენიება მანამდე არა თუ არამართებულია, არამედ სახიფათოც, რადგან დღეს პრაქტიკულად ორხელისუფლებიანობაა სახეზე, უფრო მეტიც, ფაშისტების რევანშისტული ზრახვებიც გაცხადებულია!

**თუ კი ყოველივე უკვე თქმულში მკითხველთან მეტ-ნაკლებ თანხმობაში ვართ, იმასაც ვიტყვით, რომ პოლიტიკური დევნა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს სოფლის მეურნეობის თუ სხვა „უწყინარ“ სამინისტროებში საშუალო და დაბალი ჩინოვნიკების მასიურ დათხოვნებს, მაგრამ რაც შეეხება ე. წ. ძალოვან უწყებებს (სოდი, კუდი, კრიმინალური პოლიცია, სასჯელაღსრულების სამინისტრო, სასამართლოები, გნებავთ, პატრული), აქ, მიუხედავად უფროს უმცროსობისა, შეიძლება ვინმეს უდანაშაულობაზე საუბარი?**

**აქედან გამომდინარე კი, ამ ხალხის პოლიტიკური და სამართლებრივი დევნა არა თუ უპრიანი, არამედ აუცილებელია ისევე, როგორც ეს ფაშისტური გერმანიის გესტაპოს მიმართ ხდებოდა ომის შემდგომ გერმანიაში!**

დიახ, შედარება სულაც არ მგონია გადაჭარბებული — იმ დროის კონტექსტის გათვალისწინებით, რასაც ნაცები საკუთარი ხალხის მიმართ სჩადიოდნენ, უფრო პირიქითაა — **ქართველი „ნაციონალები“ არაფრით ნაკლებნი არ არიან გერმანელ ნაციონალ-სოციალისტებზე და, დღეს რომ გასული საუკუნის 30-ანი წლები იყოს და არა XXI საუკუნის გარიჟრაჟი, დარწმუნებული იყავით, რომ კრემატორიუმებშიც დაგვწვავდნენ სადისტი ახალაიები , თუმცა ცოცხებამდე გესტაპოს ჯალათებსაც კი ვერ ეყოთ ფანტაზია...**

არა, რაღაც გამონაკლისები, ალბათ, ქართულ გესტაპოშიც იქნებიან, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად მიზერულია, რომ „იქაც არიან პატიოსანი პროფესიონალები“, მეოცნებეთა ასეთი რიტორიკა პრაქტიკულად უაზრობაა და უფრო მეტიც, მომაბეზრებელი!

ზემოთ ჩამოთვლილი უწყებები ხომ ძალადობის, სადიზმის, უსამართლობის, წამების დიდი სახელმწიფო მანქანის, ქართული გესტაპოს ცალკეული შემადგენელი სეგმენტებია, რომელზეც იდგა წლების მანძილზე მიშნაცების ქართველთმოძულე ფაშისტური რეჟიმი?!

ამ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც არხეინად განაგრძობს „მოღვაწეობას“ ძველ თანამდებობებზე: პროკურორებად თუ პოლიციის უფროსებად, ციხეებსა თუ სასამართლოებში და უფრო მეტიც, ზოგიერთები დაწინაურდნენ ან მომავალში იგეგმება მათი დაწინაურება ახალი ხელისუფლების პირობებში. განსაკუთრებით რეგიონებში შეიმჩნევა მსგავსი ტენდენციები!

რა თქმა უნდა, ძალოვანების, უჩინოთა თუ ჩინიანთა, კონკრეტული დანაშაულობები ცალ-ცალკე უნდა იქნას გამოძიებული, მაგრამ ეს იმხელა დროს მოითხოვს, რომ, როგორც რუსები იტყოდნენ, ამ დროის მანძილზე „ონი მნოგო დროვ ნალომაიუტ“. ამიტომ მანამდე, სანამ გამოძიება იტყვის თავის სიტყვას, ძალოვანების მაღალჩინოსნები ერთი ხელის მოსმით, ანუ პოლიტიკური ნიშნით უნდა განთავისუფლდნენ თანამდებობებიდან!

თუ მაინც და მაინც ვინმეს ამ უწყებებში პატიოსანი პროფესიონალების ზუსტი რაოდენობა აინტერესებს, ამის დადგენაც „იოლია“ მიშნაცების მიერვე უნებურად შექმნილი „ფორმულის“ მეშვეობით: **100 %-ს მინუს ამ წლების მანძილზე კუბლაშვილის სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები, ანუ 99,9%. რაც სხვაობაში 0,1%-ს შეადგენს — აი, პატიოსანი პროფესიონალების „ზუსტი“ რაოდენობა ძალოვან უწყებებში!..**

ასე რომ, „ჩიტი ბრდღვნად არ ღირს“, ანუ მეოცნებეების დემოკრატობა — ჰუმანურობის თამაშად, იმის შიშით, რომ რას იტყვის ევროპა. დოდო აბაშიძის პოლიცმეისტერის არ იყოს, „თვალი დაუდგეს ევროპას“, ემანდ ამ თამაშ-თამაშში მართლაც 1 ოქტომბრის მონაპოვარი არ დავაყენოთ საფრთხის ქვეშ!..

ძალოვანები იქით იყოს და ოპოზიციადქცეული ნაცბანდის სხვა ოდიოზები და მათი ბელადი, ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებული, რა დღეში არიან — კინაღამ წამომცდა, ნამუსი სულ დაკარგესმეთქი, მაგრამ რას დაკარგავდნენ, რაც არასდროს ჰქონიათ?!

ბაჩანა ახალაია, მართალია, სადისტი მანიაკია, მაგრამ მისი ეს „ღირსება“ მაინც ხალხის შეზღუდულმა რაოდენობამ იწვნია ფიზიკურად. ესენი კი: ბოცო წიკლაური, აკუკი მინაშვილი, თეა თუთბერიძე, დავით დარჩიაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, მარიკა ვერულაშვილი და რა ვიცი კიდევ, რამდენნი ხართ თქვე ..., ყველას რა ჩამოთვლის, საკუთარი ამაზრზენი კომენტარებით, მთელ საქართველოს დაგვცინიან და ცოცხების გარეშე გვაუპატიურებენ!

სიტყვამ მოიტანა და, ეტყობა, დაავიწყდათ, რომ მეცოცხეთა პარტიის წევრები არიან და რომ დაავიწყდათ, ეს ჩვენი ბრალიცაა!

როგორ შეიძლება მათ სისულელეებზე სერიოზული პასუხების გაცემა?

ბაჩო ახალაია გმირი, საზოგადო მოღვაწე, გულანთებული ქართველი, დამნაშავე რომ ყოფილიყო, თავის ფეხით არ მივიდოდა და ა. შ. საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი პასაჟები!

ეს იცოდეთ და კარგად დაიმახსოვრეთ — **ვინც ბაჩო ახალაიას ქომაგობთ, არანაკლები დამნაშავენი (იქნებ მეტიც) ხართ, ვიდრე თავად მანიაკი, სადისტი ახალაია!**

ვიმეორებ, ამ ყველაფერზე სერიოზულად კამათი არ შეიძლება! ამ ყველაფერს ცალ-ცალკე და ერთად მხოლოდ ერთი სიტყვით უნდა უპასუხო — ცოცხი!!!

ე. წ. საპარლამენტო უმცირესობამ, ბაჩანას გამო პარლამენტის ბოიკოტიც გამოაცხადა. მათმა ბელადმა მიშამ კი პატიმარყოფილი შტაბის უფროსი გენერალი კალანდაძე მთავარსარდლის უფლებით თანამდებობაზე აღადგინა. მართალია, სასამართლომ მეორე დღესვე გააუქმა მიხეილ **მაღალის**(?), არა, არა, მიხეილ **გრძელის** ბრძანება, მაგრამ ხომ ბრძანა, ანუ ხომ შეურაცხგვყო მთელი საქართველო?

იქით კიდევ ერთმა ციხის მომავალმა მდგმურმა — „ვანო ველარ გისმენთ მერაბიშვილმა“ სულ „კაგებეშნიკები“ გვეძახა, აქეთ კი გიგი უგულავამ დაიწყო ბიძინა ივანიშვილთან მერის „პრავების კაჩავი“. მართალია, მიხეილ გრძელის მსგავსად, გიგი ტანადმაც მიიღო საკადრისი, მაგრამ ხომ „იკაჩავა“ და...

ნეტავი რისი ან ვისი მერია, იმ თბილისის, სადაც ათივე რაიონი პირწმინდად წააგო ნაცბანდამ?

ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი აბსურდის თეატრიც აღარ არის. ეს უფრო გიჟების „დურდომს“ ჰგავს და ამის ყურება უკვე აუტანელია!

როგორც ჩანს, ამერიკელების სურვილის საწინააღმდეგოდ, „ნაცმოძრაობის“ (ცოცხების) პარტიას არ ასცდება გასამართლება, როგორც მავნებლების კრიმინალურ ბანდას. ამისთვის კი საჭიროა, რომ პარტიადწოდებული ნაცბანდის ლიდერები: დიმა შაშკინი, ზურაბ ადეიშვილი, მურთაზ ზოდელავა, გიორგი ბარამიძე, კოტე კუბლაშვილი, დათა ახალაია, როლანდ ახალაია (და ა. შ., თუ ვინმე გამომრჩა, მომიტევეთ), ბოლოს თვით უმაღლესი მთავარსარდალი ადრე თუ გვიან ბაჩო ახალაიას მეზობელ კამერებში მოვათავსოთ!

**ეს, რა თქმა უნდა, ძალოვანების ალაგმვისგან განსხვავებით, ადრე და მალე ვერ მოხერხდება, მაგრამ ბაჩო ახალაია ის ერთი მერცხალია, რომელიც გაზაფხულს ნამდვილად მოიყვანს. ასე რომ, მალე გაზაფხული მოვა!**

მანამდე კი, როგორც მეფე ერეკლეს უყვარდა, — „ხმალი — მაგ წუნკლებსო“, მისი პერიფრაზით: ცოცხი — მაგ წუნკლებს, ცოცხი!!!

**დავით მხეიძე**

## საფრანგეთმა ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა

**საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ ერთსქესიანი ქორწინება დააკანონა. „წყვილებისთვის დაქორწინების უფლების მიცემა უსაფრთხოებით, იმ ადამიანების დაცვით იყო განპირობებული, რომელთაც სქესის განურჩევლად ერთად ცხოვრება უნდათ.** მემარცხენეებს შეუძლიათ ამ რეფორმით იამაყონ“, — განაცხადა საფრანგეთის სოციალურ საქმეთა მინისტრმა მარისოლ ტურენმა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა კანონპროექტს „მთელი საზოგადოებისთვის პროგრესული“ უწოდა. ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია და მათთვის შვილის აყვანის უფლების მინიჭება ფრანსუა ოლანდის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ოლანდი საფრანგეთის პრეზიდენტად 2012 წლის მაისში აირჩიეს. საფრანგეთში ერთსქესიანი წყვილების ე.წ. სამოქალაქო ქორწინება 1999 წლიდან ნებადართულია, მაგრამ იგი შეზღუდვებს ითვალისწინებდა.

## ავღანეთში ნატოს ჯარისკაცი მოკლეს

**ავღანეთის სამხრეთით, სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა დაუდგენელმა პირმა ცეცხლი გაუხსნა ნატოს კონტინგენტის სამხედრო მოსამსახურეებს.** დაღუპულია ერთი ჯარისკაცი. ნატოს სარდლობა ჯერჯერობით არ ავრცელებს ინფორმაციას დაღუპულის ვინაობის შესახებ. მიმდინარე წელს ავღანეთში საერთაშორისო ძალების 50 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

**დაახლოებით ერთ კვირაში ამ ადამიანების სახელებისა და გვარების მთელ ნუსხას შევიტანთ ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ხოლო შემდეგ პროკურატურაში. იქ დაწვრილებით იქნება მოცემული მათ მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაული. ასევე მივაწვდით ინფორმაციას უდესიანზე და იმ ე. წ. ზონდერჟურნალისტებზე, რომლებიც რეჟიმის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ქართველი ხალხის შეურაცხყოფით იყვნენ დაკავებული.**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯაბა ჯიშკარიანი:

# დავით კიკალიშვილი, ლაშა ხარაზიშვილი და ნოდარ მელაძე ისეთივე ზონდერები არიან, როგორიც გია უდესიანი

**არჩევნებიდან ერთი თვის თავზე საზოგადოება ისევ ფართომასშტაბიანი საგამოძიებო პროცესის დაწყებასა და სააკაშვილის რეჟიმის ძირფესვიანად გასამართლებას ელოდება. ბაჩო ახალაიას „სასწაულებრივი" დაბრუნების შემდეგ ხალხი „ნაცმოძრაობის" სხვა მესვეურთა რიგის დადგომაზე საუბრობს...**
**რამდენად ადეკვატურად მოქმედებს დღეს საქართველოს პროკურატურა და რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ რეჟიმის მსახურებს, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება სამოქალაქო ფრონტის ლიდერი და ერთ-ერთი დამფუძნებელი ჯაბა ჯიშკარიანი.**


დავით კიკალიშვილი


ლაშა ხარაზიშვილი


ნოდარ მელაძე


გია უდესიანი

## ეს ადამიანები საზოგადოებამ უნდა გაიყვანოს ასპარეზიდან. ამაზრზენია დღეს მათი ყურება!

**— ჯაბა, 7 ნოემბრის ავბედითი მოვლენების 5 წლის თავზე ტელეკომპანია „იმედის" ღია ეთერში განაცხადეთ, რომ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის სამსახურში მყოფი ჟურნალისტები: ლაშა ხარაზიშვილი, დავით კიკალიშვილი, ნოდარ მელაძე და სხვები ისეთივე „ზონდერები" არიან, როგორიც გია უდესიანი. როგორ ფიქრობთ, რა ფორმით შეიძლება მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება?**

— დავიწყოთ იმით, რომ 7 ნოემბერი არ იყო მხოლოდ თარიღი და მხოლოდ დარბევა, ეს იყო ერთხმად დემონსტრირება სააკაშვილის ძალადობრივი სისტემისა საკუთარ ხალხზე და მაშინდელმა ხელისუფლებამ კარგად დაანახა საზოგადოებას, რომ ის არც ერთი ნაბიჯით უკან დახევას არ აპირებდა. გადაცემაზე, რომელიც ამ ავბედითი თარიღის ხუთი წლის თავს მიეძღვნა, დაისვა კითხვა: რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ 7 ნოემბერი არასდროს განმეორდეს? მე ვთქვი, უპირველესად, **ყველამ უნდა ილაპარაკოს სიმართლე ყველგან და ყოველთვის, მიუხედავად თანამდებობისა, სტატუსისა თუ რანგისა. აღარ უნდა იყვნენ საქართველოში კიკალიშვილები, ხარაზიშვილები და მელაძეები, ეთერშიც ვახსენე და ახლაც გავიმეორებ, რომ გასაგებია, გია უდესიანი იყო ზონდერი, რომლის დაჯგუფებაც ადამიანებს მოსაკლავად დასდევდა, მაგრამ არანაკლებ დიდი წვლილი შეჰქონდათ რეჟიმის არსებობაში ტელეზონდერებს და მათ ხელმძღვანელებს.** ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, **დავით კიკალიშვილი** როგორ აცხადებდა ოპოზიციის ლიდერებს რუსეთის აგენტებად და ეს იყო სრულიად დაუსაბუთებელი, ამაზრზენი რიტორიკა მისი მხრიდან. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ **ის არ არის ჟურნალისტი, ის არის ტელეზონდერი**, რომელიც კითხულობდა მერაბიშვილის, ადეიშვილის ტექსტებს და ამ ტექსტების საშუალებით აზრმავებდა მოსახლეობას. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, თქვენც და საზოგადოებასაც, რა თქმა უნდა, გახსოვთ, რა შედეგი მოჰყვა სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიის, — „იმედის" მიერ დადგმულ ე. წ. იმიტირებულ ქრონიკას — უამრავი ადამიანი ცუდად გახდა, უამრავს სასწრაფო დახმარება დასჭირდა და, ჩემი დაზუსტებული ინფორმაციით, ერთი მოქალაქე მოკვდა. ახლა ამას რატომ ვიხსენებ: **ყველას, ვისაც კი „ნაციონალური მოძრაობის" პროპაგანდის საშუალებებმა (პირველმა არხმა, „იმედმა" და „რუსთავი 2"-მა), მათმა ჟურნალისტებმა რაიმე სახის ზიანი მიაყენეს, შეუძლიათ მიმართონ პროკურატურას და შეიტანონ სარჩელი.** მაგალითად, გოგა ხაინდრავას შეუძლია იჩივლოს იმ მოტივით, რომ მას ეძახდნენ რუსეთის აგენტს, ვინაიდან ეს არ იყო მხოლოდ ინფორმაცია, ჟურნალისტი დარწმუნებით ამტკიცებდა ამას. ასევე შეუძლია იჩივლოს იმ ასობით და ათასობით პიროვნებას, რომელთა მისამართითაც მუდმივად გაისმოდა ლანძღვა და ცილისწამება, შეურაცხმყოფელი რიტორიკა. მე მოვუწოდებ მათ, ჩაერთონ ამ პროცესში და ამხილონ რეჟიმის ყურმოჭრილი მონები, რათა დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი; **წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხალხი შეიძლება შემოგვიტრიალდეს და რაღაც გარკვეული ფორმით ისევ შემოძვრეს ხელისუფლებაში.**

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— მინიშნებით შემიძლია გითხრათ, რომ ყველა ის ადამიანი, რომლებიც შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს მუშაობდნენ პოლიციაში და მთელი ამ წლების მანძილზე მოსახლეობის დატერორებით, ხშირად სიცოცხლის ხელყოფითაც იყვნენ დაკავებულნი, დღეს დაწინაურებულია შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჩვენ ამასთან დაკავშირებით აუცილებლად წერილს გავუგზავნით შესაბამის უწყებას და მივმართავთ თხოვნით, რომ გაითვალისწინონ ხალხის ნება, ხალხის ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ არ გაითვალისწინებენ, რა შეგვიძლია და რას გავაკეთებთ, საზოგადოება ამას ისედაც მიხვდება...

**— როგორ ფიქრობ, შინაგან საქმეთა სამინისტროში არ იციან, რომ ამ ადამიანებს წინა ხელისუფლების დროს უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი?**

— მე ერთი რამ ვიცი: წლების განმავლობაში ჩემს მეგობრებთან ერთად იმისთვის არ ვიბრძოდი, რომ ვიღაც „ზონდერი" დანიშნულიყო პოლიციის უფროსად ან შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელად. კონკრეტულ პიროვნებებს ახლა შეგნებულად არ ვასახელებ, მაგრამ ვიმეორებ, **დაახლოებით ერთ კვირაში ამ ადამიანების სახელებისა და გვარების მთელ ნუსხას შევიტანთ ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ხოლო შემდეგ პროკურატურაში. იქ დაწვრილებით იქნება მოცემული მათ მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაული. ასევე მივაწვდით ინფორმაციას უდესიანზე და იმ ე.წ. ზონდერჟურნალისტებზე, რომლებიც რეჟიმის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ქართველი ხალხის შეურაცხყოფით იყვნენ დაკავებულნი.**

— მიუხედავად ყველაფრისა, მათი დიდი ნაწილი დღემდე აგრძელებს იმ რიტორიკას, რაც ჰქონდათ მანამდე. ალბათ, დამეთანხმები, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და განსაკუთრებით „რუსთავი 2"-ს დიდად არ შეუცვლიათ ტონი „ნაცმოძრაობის" ოპონენტთა მიმართ.

— სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ეს ადამიანები საზოგადოებამ საბოლოოდ უნდა გაიყვანოს ასპარეზიდან. ამაზრზენია დღეს მათი ყურება! არაადეკვატური იყო 7 ნოემბრის ხუთი წლის თავზე იმავე კიკალიშვილის მიწვევა ღია ეთერში, მაშინ, როცა ტელევიზიის შენობაში არ უშვებდნენ ბატონ დათო საზანიშვილს; ეს არის ადამიანი, რომელმაც მკერდით შეუშვირა წყლის ჭავლს და ამ კადრებმა შეძრა მთელი მსოფლიო.

**...კიკალიშვილს მორალური უფლება არ აქვს, ქართველ ხალხს ელაპარაკოს; ციცხებით გაუპატიურების პოლიტიკის მქადაგებელ ნაგავ მაღალჩინოსნებს ემსახურებოდა ცხრა წელი, ახლა სადმე სოროში უნდა იყოს შემძვრალი, სინდისის ნატამალი რომ ჰქონდეს. საერთოდ, მინდა „ქართულ ოცნებას" მოვუწოდო, რომ ყველას ნუ ალაპარაკებენ, გოკა გაბაშვილსა და მსგავს ნაგავ ადამიანებს ვგულისხმობ. ეს არის დაცემისა და სულში ჩაფურთხების ტოლფასი საზოგადოებისთვის, იმიტომ, რომ ამით ისინი ცდილობენ გათეთრებას საკუთარი პოლიტიკური წარსულის, მომავლის და ა. შ.**

**— მოლოდინს, რომ შეიცვლებოდა თუ არა ხელისუფლება, „ნაცმოძრაობა" პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებოდა, ჯერჯერობით გამართლების პირი არ უჩანს. არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ კოალიცია, ცოტა არ იყოს, შებოჭილია და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას დიდ დროს ანდომებს?**

— ნაწილობრივ გეთანხმები, მაგრამ სიმართლეც უნდა ითქვას: არის ძალიან ბევრი ბარიერი, არის, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა. ჯერ მთელი რიგი უწყებების გადმობარება უნდა მოხდეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მერიის თვითმმართველობის ორგანოები ისევ წინა ხელისუფლების ხელშია, პრეზიდენტიც ისევ თავის პოსტზეა და ა. შ. ჩვენია მხოლოდ პრემიერი, რომლის უფლებამოსილებაც, კონსტიტუციით, ძალაში შედის ხუთი იანვრიდან, ანუ მომავალი წლიდან. აქედან გამომდინარე, ამ ყველაფერს, ცხადია, სჭირდება გარკვეული დრო. მოკლედ, **ახალმა გუნდმა უნდა შეძლოს ასი პროცენტით ძალაუფლების ხელში აღება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩვენ მოვთხოვოთ მას საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამების განხორციელება.** დღეს, ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი არის არაადეკვატური და საბოტაჟის ტოლფასი...

**— და როგორ უნდა აიღოს კოალიციამ ასი პროცენტით ხელისუფლება, როცა პარლამენტში „ნაციონალურ მოძრაობას" 65 დეპუტატი ჰყავს?**

— მთავარია ის, რომ პარლამენტში უმრავლესობა არის „ქართული ოცნების" და მერწმუნეთ, ძალიან ბევრი დეპუტატი, რომლებიც დღეს „ნაციონალურ მოძრაობაშია", გადმოვა კოალიციაში. თუნდაც ბოლო ფაქტი ავიღოთ ბაჩანა ახალაიას დაკავებასთან დაკავშირებით, რამდენი დეპუტატი დაუდგა მას თავდებში? 65 კაციდან ერთმა მესამედმა თავი შეიკავა.

**— ეს რას ნიშნავს?**

— ნიშნავს იმას, რომ ეს გუნდი არ არის შეკრული და, ფაქტობრივად, მორყეულია. გემი იძირება და ვირთხები გარბიან, ეს ყოველთვის ასე ხდება; ოღონდ ამ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ გემზე ყველა ვირთხაა.

**— გამოდის, რომ დროთა განმავლობაში ყველა გაიქცევა და კოალიცია მარტო დარჩება პარლამენტში?**

— მე მკითხაობას ვერ დავიწყებ, ვინ სად გაიქცევა, მაგრამ ერთი რამ ვიცი, გაქცევით ვერავინ თავს ვერ უშველის. აქვე, კიდევ ერთხელ ყველა ადამიანს, ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ვისაც წინა ხელისუფლების მიერ ძალადობის, უსამართლობის ხელი აქვს გამოცდილი საკუთარ თავზე, საკუთარ ოჯახსა და გარემოცვაზე, მოვუწოდებ, შეიტანოს სარჩელი გენერალურ პროკურატურაში და იურიდიულად, კანონიერად ეცადოს იმ პირსისხლიანი მაღალჩინოსნების დასჯას, რომლებიც წლების მანძილზე ემსახურებოდნენ რეჟიმს. ახალ პროკურატურას აქვს ძალიან ბევრი საქმე, სჭირდება კონკრეტული ფაქტები და, თუ ჩვენ უმოქმედოდ ვიჯდებით, ბუნებრივია, ის მარტო ვერაფერს გახდება.

**— სარჩელის შეტანა რადგან ახსენეთ, რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ გადაცემაში ეკა ტყეშელაშვილს პირზე დაადექით და პირადად თქვენ მიმართ უკანონო განაჩენის გამოტანაში დაადანაშაულეთ. აპირებთ მის წინააღმდეგ ჩივილს?**

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ახლა დამუშავების პროცესშია. ტყეშელაშვილის წინააღმდეგაც შევიტან სარჩელს და მისი ყოფილი მოადგილის — ლაშა კალანდაძისაც. საერთოდ, ყველა იმ მოსამართლის წინააღმდეგ ვაპირებ ბრძოლას, რომელთაც ოდესმე უსამართლო განაჩენი გამოუტანია. დაახლოებით 500-600 ასეთი საქმეა და არც ერთი არ დარჩება უყურადღებოდ, ამის გარანტიას გაძლევთ. ასე რომ, ვიღაც-ვიღაცებს, ახლა რომ სირაქლემას პოზაში არიან და ხმას არ იღებენ, ნუ ჰგონიათ, დანაშაული შერჩათ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„გაფიცვების პროვოცირება „ნაციონალებმა“ დაიწყეს, რათა ახალი მთავრობისთვის მყისიერად პრობლემები შეექმნათ, შემდეგ კი „ქართულმა ოცნებამ“ პრინციპით „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო“ იგივე იარაღი მათ წინააღმდეგ (გაფიცვების „თბილისურ“ ეტაპზე) გამოიყენა“. ამ ვერსიის თანახმად, ორივე მხარე ცდილობს, მშრომელების უდავოდ სამართლიანი, წლების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნები მოწინააღმდეგის დასასუსტებლად გამოიყენოს.

# ვინ აწყობს გაფიცვებს და ვის აწყობს გაფიცვები?

**გასულ კვირას თბილისელებმა, „ყვითელი ავტობუსების“ მძღოლების გაფიცვის გამო, გარკვეული დისკომფორტი იგრძნეს, თანაც სწორედ იმ მომენტში, როდესაც გაფიცულების დაპირისპირება ქალაქის ხელისუფლებასთან კულმინაციას უახლოვდებოდა, გაჩნდა ცნობები მეტროპოლიტენის თანამშრომლების შესაძლო გაფიცვის თაობაზე და რომ პროტესტს ახლო მომავალში შეიძლება სამარშრუტო ტაქსების მძღოლებიც შეუერთდნენ. ყოველივე ეს მთლიანობაში, დედაქალაქის შესაძლო პარალიზების არცთუ სახარბიელო წარმოსახვით სურათს ქმნიდა. რა მოტივები იდგა გაფიცულების მოქმედების უკან და რა შედეგი შეიძლება მოგვიტანოს გაფიცვების ტალღამ მომავალში?**



## რატომ მაინც და მაინც ახლა?

საინტერესოა, რომ ნებისმიერ ახალ გაფიცვასთან დაკავშირებით მყისიერად ორი ურთიერთგამომრიცხავი ვერსია ჩნდება: **ა) მათ პროვოცირებას ყოფილი ხელისუფლება ახდენს, რათა ახალს პრობლემები შეუქნას; ბ) ამას აკეთებს ახალი ხელისუფლება, რათა კედელთან მიიმწყვდიოს სააკაშვილის რეჟიმთან დაკავშირებული ჩინოვნიკები ან საწარმოების მეპატრონეები** (უპირველესად კი, თბილისის მერი — გიგი უგულავა), **რომლებიც, თავის მხრივ, აქტიურად უპირისპირდებიან მას.** მესამე, ყველაზე მარტივი, ლოგიკური და ნაკლებად კონსპიროლოგიური ვერსია, რომელიც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში დომინანტური გახდებოდა, **გ) „მშრომელები თავიანთი უფლებების დაცვისთვის იბრძვიან“,** ამ ორ ვერსიას შორის თითქოსდა იჭყლიტება და მას კომენტატორების შედარებით მცირე ნაწილი იზიარებს. ვერაფერს ვიზამთ, სამამულო კონსპიროლოგიას, რომლის ფარგლებში ნებისმიერი ადამიანი განიხილება, უპირველეს ყოვლისა, როგორც სხვა ძალების მარიონეტი, ჩვენს ცნობიერებაში ფესვები მყარად აქვს გადგმული და მათ ამოძირკვას წლები, თუ არა ათწლეულები, დასჭირდება.

**აუცილებელი წინაპირობა გაფიცვის დაწყებისთვის საქართველოში დასაქმებულის მკვეთრი უკმაყოფილებაა; მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით, ნებისმიერმა მათგანმა იცის, რომ ტოტალური უმუშევრობის პირობებში, უამრავი ადამიანი მისი სამუშაო ადგილის დაკავებას ნაკლები გასამრჯელოს სანაცვლოდაც დათანხმდება, ხოლო მონათმფლობელური შრომის კოდექსი, დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევს, ის, პრაქტიკულად, უპრობლემოდ ქუჩაში გამოაგდოს. ამიტომ საქართველოში არავინ გაიფიცება, თუ ამისთვის ძალიან სერიოზული მიზეზი არ იარსებებს და მდგომარეობა აუტანელი არ გახდება.**

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, რამდენი ითმინეს ქუთაისის ქარხანა „ჰერკულესის“ მეტალურგებმა, სანამ გასული წლის სექტემბერში გაიფიცებოდნენ. საწარმოს მფლობელები და ხელისუფლება მათ წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით მოქმედებდნენ. მაგალითად, როდესაც 2010 წლის ივნისში საწარმოს თანამშრომლებმა ხელფასის დაგვიანება გააპროტესტეს, 7 მათგანი დაიჭირეს და ხულიგნობისთვის 20-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს, დანარჩენებს კი მთელი თვის განმავლობაში შეირაღებული პირების (სავარაუდოდ, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელების) ზედამხედველობის ქვეშ ამუშავებდნენ. მეტალურგებს არ უნაზღაურებდნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ სასადილოთი, საშხაპითა და ტუალეტით სარგებლობის შესაძლებლობა, ღამის საათებში, როდესაც ტრავმების რისკი იზრდება, მედპუნქტი დაკეტილი იყო. მეტალურგებს უკრძალავდნენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნას, ამისთვის დაჭერით ემუქრებოდნენ და სამსახურიდან აგდებდნენ. როდესაც ისინი გაიფიცნენ, პოლიციამ მათი („საია“-ს შეფასებით, სრულიად უკანონო) დაკავება დაიწყო, „მეტს არ ვიზამ“ შინაარსის გაურკვეველ ხელწერილებს აწერინებდა და მუშაობის განახლებას აიძულებდა.

შეიძლება ზემოთქმულმა ოდნავ პათეტიკურად გაიჟღეროს, მაგრამ იმ პირობებში გაფიცვა და ბრძოლა სისტემის წინააღმდეგ გმირობის ტოლფასი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვის დროს „ჰერკულესის“ არაერთი თანამშრომელი დაზარალდა, მათ საწადელს ნაწილობრივ მიაღწიეს. გაფიცვამ არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, უცხოური პროფკავშირების, საელჩოების ყურადღება მიიზიდა და საწარმოს მეპატრონეები იძულებულები გახდნენ, შრომის პირობები ნაწილობრივ მაინც გაეუმჯობესებინათ. იმ დღეებში რამდენიმე საწარმოს თანამშრომლები, სოლიდარობის ნიშნად, თუნდაც მცირე ხნით რომ გაფიცულიყვნენ, ქუთაისელ მეტალურგებს პროტესტი სტალინგრადის ბრძოლასავით ძვირი არ დაუჯდებოდათ და ხელისუფლებას, ისევე, როგორც დამსაქმებლებს მთელი საქართველოს მასშტაბით, გონზე მოიყვანდა, თუმცა მათ ეს არ გაუკეთებიათ, შესაძლოა იმიტომ, რომ „სოლიდარობა“ საქართველოში ბოლო დროს ცარიელ სიტყვად იქცა, ან იმიტომ, რომ სამსახურის დაკარგვის და რეპრესიების შეეშინდათ.

**დღეს, როდესაც საწარმოს არაერთმა თანამშრომელმა ერთბაშად გადაწყვიტა ყველა გულისტკივილის გამოთქმა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის წლებში დაუგროვდა, თანაც ისე სწრაფად, რომ ახალ მთავრობას, 100 კი არა, 50 დღეც არ აცალა, კითხვა „აქამდე სად იყავით, თქვე ოჯახაშენებულებო?“ ხმამაღლა არავის დაუსვამს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს კითხვა საზოგადოებაში არ გაჩენილა;** მისი კვალის აღმოჩენა არაერთი კომენტარის თუ გამოსვლის ქვეტექსტში შეიძლება. ვერაფერს ვიზამთ, თავის დროზე ყველამ „ჰერკულესის“ თანამშრომლებს არ მიბაძა და გამბედაობა ვერ გამოავლინა; შედეგად კი მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს.

## შანტაჟი თუ საბოტაჟი?

მართალია, „ყვითელი ავტობუსების“ მძღოლების მოთხოვნების გაცნობის შემდეგ აშკარა ხდება, რომ ისინი პრეტენზიებს თბილისის ხელისუფლების მიმართ გამოთქვამენ და ახალ მთავრობასთან გასაყოფი არაფერი აქვთ, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ როგორ აღიქვამს შექმნილ სიტუაციას ჩვეულებრივი „ობივატელი“, რომელსაც კონფლიქტის არსში ჩაწვდომა ნაკლებად აინტერესებს და შეიძლება ძალიან მარტივ სააზროვნო შაბლონამდე მივიდეს, რომელიც მის ქვეცნობიერში დაილექება: „ადრე ტრანსპორტი ნორმალურად მუშაობდა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი პრობლემები შემექმნა“. ასე რომ, კრიზისი არა მხოლოდ უგულავას, არამედ, ირიბად, ახალ ხელისუფლებასაც აზარალებს და მისთვის არასასურველია, ის დიდხანს გაგრძელდეს. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია გამოიყენოს შექმნილი სიტუაცია იმისთვის, რომ გაარღვიოს „ნაციონალების“ პოზიციები დედაქალაქის ხელისუფლებაში და, მარტივად რომ ვთქვათ, უგულავა კუთხეში მიიმწყვდიოს, თუმცა დაპირისპირების გაწელვა, მისი მიყვანა იმ სტადიამდე, როდესაც თბილისს, ახალი გაფიცვების შედეგად, ტრანსპორტთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნება, მის ინტერესებში ნამდვილად არ შედის.

**გიგი უგულავას, ალბათ, მაინც არ აქვს შანსი, პოსტი ვადის ბოლომდე შეინარჩუნოს. მართალია, ფორმალური თვალსაზრისით, ის არჩეული მერია, მაგრამ ყველას ახსოვს, რა პირობებში ჩატარდა ის არჩევნები და მერის მდგომარეობა ამ მხრივ ერთობ საეჭვოდ გამოიყურება.** ამასთანავე, 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ თბილისის მოსახლეობამ „ნაციონალურ მოძრაობას“ ლამის ტოტალური უნდობლობა გამოუცხადა და აშკარაა, რომ დაპირისპირებაში ცენტრალურ ხელისუფლებასთან უგულავას არ აქვს შანსი თბილისელების უმრავლესობის კი არა, რამდენადმე წარმომადგენლობითი უმცირესობის მხარდაჭერას დაეყრდნოს. სტრატეგიული თვალსაზრისით, მისი მდგომარეობა უიმედო ჩანს, თუმცა ის წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობს, ისევე, როგორც სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში; **ორივეს აღარ ძალუძს რაიმე პრინციპულად შეცვალოს, თუმცა ჯერ კიდევ შეუძლია ბევრი რამ გააფუჭოს.**

გაფიცვების ტალღასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მოედო, არსებობს ფართოდ გავრცელებული ვერსია, რომლის მოკლე შინაარსის გადმოცემა დაახლოებით ასე შეიძლება **„გაფიცვების პროვოცირება „ნაციონალებმა“ დაიწყეს, რათა ახალი მთავრობისთვის მყისიერად პრობლემები შეექმნათ, შემდეგ კი „ქართულმა ოცნებამ“ პრინციპით „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო“ იგივე იარაღი მათ წინააღმდეგ (გაფიცვების „თბილისურ“ ეტაპზე) გამოიყენა“. ამ ვერსიის თანახმად, ორივე მხარე ცდილობს, მშრომელების უდავოდ სამართლიანი, წლების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნები (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ) მოწინააღმდეგის დასასუსტებლად გამოიყენოს.**

იმის თაობაზე, თუ რა როლს ასრულებს პროვოკაცია გაფიცვების დაწყებაში, ალბათ, აჯობებს არა ორ ბანაკად დაყოფილ ქართველ კომენტატორებს, არამედ საერთაშორისო სავაჭრო პალატის დირექტორს, ფადი ასლის, მოვუსმინოთ, რომელმაც ფოთის გაფიცვასთან დაკავშირებით 2 ნოემბერს შემდეგი განცხადება გააკეთა: **„პალატა მოუწოდებს პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და დაადგინოს იმ პირების ვინაობა, რომლებიც ინიციატორები არიან ამ ნეგატიური მოვლენების. ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაფიქსირდა მოქმედი მთავრობის სისტემატიური დისკრედიტაციის მცდელობა, რაც გამოიხატება სოციალური უკმაყოფილებით და აისახება ქმედებებში, როგორიცაა: ლტოლვილების მიერ თბილისის მრავალ შენობაში არაკანონიერი შესახლება, რეგულარული არეულობები საქართველოს ციხეებში და უამრავი გაფიცვის ინციდენტი, ხელფასების 100%-იანი გაზრდის და სხვა მრავალი არარეალური მოთხოვნით. კარგად დაგეგმილი და შესაბამისად კონტროლირებული ქმედებები ყოვლად მიუღებელია და ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ბიზნესგარემოზე, ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“** („ინტერპრესნიუსი“). თუ ამ განცხადების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამერიკელი ბიზნესმენი დარწმუნებულია იმაში, რომ გაფიცვები განგებ პროვოცირებული და მართულია. მან პირდაპირ თქვა ის, რასაც ბევრი ქართველი პოლიტიკოსი ერიდება იმის გამო, რომ „შეთქმულების თეორიების“ შეთხზვაში არ დაადანაშაულონ.

დამოკიდებულება ფადი ასლის მიმართ ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანია, თუმცა არავინ აყენებს ეჭვქვეშ იმას, რომ ის კარგად გრძნობს, რა მიმართულებით უბერავს ქარი აშშ-ის საელჩოს და საქართველოს მთავრობის დერეფნებში. თუ მსგავს განცხადებას, თავის დროზე, სააკაშვილი გაეცნობოდა, ის, სავარაუდოდ, გაიგებდა მას, როგორც მინიშნებას „კარტ-ბლანშის“ არსებობაზე, დიდი ალბათობით, ფოთში პოლიციის დამატებით ძალებს შეიყვანდა და გაფიცულებს სასტიკად გაუსწორდებოდა. თუმცა ბიძინა ივანიშვილი, მისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, აცნობიერებს, რომ სწრაფმა და ხისტმა მოქმედებამ ასეთ სიტუაციაში შეიძლება ნეგატიური შედეგი მოიტანოს. პროვოკატორების მოქმედებისა და გაფიცულების სამართლიანი მოთხოვნების გამიჯვნა ერთმანეთისგან სერიოზულ დაკვირვებასა და გარკვეულ დროს მოითხოვს; ეს, სავარაუდოდ, ▶

„ჩემი აზრით, პარლამენტში არ უნდა იყოს ისეთი კაცი, რომელიც ახლადარჩეული პარლამენტის მიერ მუშაობის დაწყების მეორე დღესვე უფლებას მისცემს თავის თავს, დასვას ასეთი შეკითხვა: — სად არის თქვენი დაპირებული ტრაქტორები? ხალხი ელოდება ამ შემოდგომაზე ტრაქტორებს... არადა, სწორედ ეს იკითხა ერთმა ჩვენმა კოლეგამ. ეს იმდენად აბსურდული შეკითხვა იყო, რომ, მგონი, უმცირესობის წევრებსაც გაეცინათ.“

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ის სიტუაციაა, როდესაც სჯობს, სამი დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს. ამიტომ ის არ ჩქარობს, მიუხედავად იმისა, რომ საფრთხეები, რომელზეც ფადი ასლი საუბრობს, უდავოდ არსებობს.

## ცეკვები ბეწვის ხიდზე

**პირველი და მთავარი, რაც ივანიშვილის ხელისუფლებამ რაც შეიძლება მალე უნდა გააკეთოს, „შრომის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაა“ (სხვათა შორის, ეს ციტატა ახალი მთავრობის პროგრამიდანაა). ამის გარეშე დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობების (ან თუნდაც მათი კონფლიქტის) მოქცევა ცივილურ კალაპოტში ვერ მოხერხდება და ის, ისევე, როგორც სააკაშვილის მმართველობის წლებში, დარჩება „ბრძოლად წესების გარეშე“.** ასევე სასურველია, რომ „ქართულ ოცნებას“ არ გაუჩნდეს ცდუნება, „ნაციონალების“ წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენოს იგივე იარაღი, რომლის წაპოტინება მათ სცადეს, პოლიტიკური მიზნების მიღწევა, გიგი უგულავას კაბინეტიდან გაძევება იქნება თუ ნებისმიერი სხვა, ამის გარეშეც შეიძლება.

**პროფკავშირებმა, ალბათ, კეთილი ნება უნდა გამოავლინონ და მომავალში (რადგან ამჯერად ეს ვერ მოხერხდა) გამოვიდნენ ინიციატივით, რომ ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, თუნდაც 100 დღის განმავლობაში, გაფიცვებზე მორატორიუმი გამოცხადდეს** (ეს შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ მათზე, ვინც დასაქმებულია ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში); **თუმცა მსგავს ინიციატივას არანაირი ფასი არ ექნება იმ შემთხვევაში, თუ თითოეული მოქალაქე არ გამოავლენს შეგნებას და თვითონ არ შეიკავებს თავს გაფიცვისგან, მანამ, სანამ გარდამავალი პერიოდი არ დასრულდება.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება მოხვდეს ხაფანგში, რომელშიც რუსეთის იმპერია 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოხვდა, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი თითქოს დათვრა ესოდენ ნანატრი თავისუფლებით და ერთდროულად ყველა სურვილის ასრულება, ყველა მოთხოვნის დაუყოვნებლივი დაკმაყოფილება მოითხოვა. ამან უდიდესი როლი შეასრულა იმ მექანიზმების მოშლაში, რომლებიც სახელმწიფოსა და ეკონომიკის მეტ-ნაკლებად ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა. დაიწყო ქაოსი, რომლითაც ბოლშევიკებმა ისარგებლეს, მათ ხელისუფლება აიღეს და „თებერვლის ოცნებები“ სამუდამოდ დაასამარეს. იმედია, ქართულ საზოგადოებას ეყოფა ძალა და ნებისყოფა იმისათვის, რომ მსგავს პრობლემებს თავი აარიდოს.

**დიმიტრი მონიავა**

# თემურ ჭკუასელი: ზუგდიდელები არ გაჰყვებიან ისეთ კაცს, რომელსაც ჭის სახურავი დაბოქლომებული აქვს, ვინმემ რომ არ მოუწამლოს

**თემურ ჭკუასელი შეუდგა დეპუტატის მოვალეობის შესრულებას — ჩოხატაურის რაიონის ამომრჩევლებმა იგი საქართველოს პარლამენტის წევრად მნიშვნელოვანი უმრავლესობით აირჩიეს. „მაჟორიტარი“ ჭკუასელი მადლობას უხდის „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას საარჩევნო კამპანიის პროცესში უანგარო მხარდაჭერისთვის, აღნიშნავს, რომ ჩვენი პუბლიკაციები ყოველთვის დროული იყო, მიუკერძოებლად წარმოაჩენდა ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და ხელს უწყობდა ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, მაშასადამე, ელექტორატს სწორ გეზს უჩვენებდა.**



— კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში თქვენმა გაზეთმა თავისი ნამუსიანი სიტყვა თქვა, — **ასკვნის ბატონი თემური.**

**— ბატონო თემურ, პარლამენტში ის სიტუაცია დახვდათ, როგორიც წარმოგედგინათ, როგორსაც ელოდით? შეეჩვიეთ პარლამენტარობას?**

— ამ ქვეყანაზე იმდენი რამ მაქვს გადატანილი, იმდენი ტყუილ-მართალი გადახარშული ჩემს გონებაში, რომ დაფეთებული არ ვიყავი — ეს მოულოდნელი შემოთავაზება ნორმალურად მივიღე. აქტიურობას თანდათან ვეჩვევი. არსებობენ გარკვეული ყაიდის დეპუტატები, რომლებიც მოწოდებულები არიან სალაპარაკოდ, რაც მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სტილია. მე კი მხოლოდ მაშინ ვამბობ, რასაც და როგორც ვფიქრობ, როცა სათქმელია, როცა მეკითხებიან.

უფრო მეტად ვაქტიურობ პარლამენტის კომიტეტებში, სადაც საკითხების საქმიანი და საგნობრივი განხილვა მიმდინარეობს.

ქართველებს ისტორიული თავისებურება გვახასიათებს ზოგადად — მოუთმენელი ხალხი ვართ. ამის გამო ბევრჯერ დავსჯილვართ ჩვენი ისტორიის მანძილზე. მაგალითად მარაბდის ომიც გამოდგება, როცა არ ისმინეს გიორგი სააკაძის, ამ სწორუპოვარი სარდლის, რჩევა, ახლა რომ იტყვიან, ტაქტიკური ხასიათის.

მცირენი იყვნენ ქართველები, მაგრამ გაიმარჯვეს, გაყარეს სპარსელები, მაგრამ შემდეგ შემოუბრუნდა მტერი და ცნობილია, რაც მოხდა...

**— „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“?**

— ეგრეა.

ყველაფერი ძალიან მალე გვინდა მოხდეს. მაგრამ საპარლამენტო მუშაობას, განსაკუთრებით, დღეს, როცა ქვეყანა გვაქვს დასალაგებელი, დრო სჭირდება: ფიქრისთვის, განსჯისთვის. შეცდომა რომ არ დავუშვათ. ხალხი, იცით, რას ითხოვს, უპირველეს ყოვლისა?

**— ?**

— სამართლიანობას. რომელიც ისეა შერყვნილი, რომ უცებ ვერ აღდგება.

**— მცირენი იყვნენო ქართველები, თქვენ ბრძანეთ, მაგრამ ახლა ხომ უმრავლესობა ხართ?**

— მართალია, მაგრამ ორივე მხარეს ქართველები ვდგავართ, თუმცა ეს ხელს არ უშლის საპარლამენტო უმცირესობას, განახორციელოს გამიზნულად ხელის შეშლის უაზრო ტაქტიკა.

**ჩემი აზრით, პარლამენტში არ უნდა იყოს ისეთი კაცი, რომელიც ახლადარჩეული პარლამენტის მიერ მუშაობის დაწყების მეორე დღესვე უფლებას მისცემს თავის თავს, დასვას ასეთი შეკითხვა:**

**— სად არის თქვენი დაპირებული ტრაქტორები? ხალხი ელოდება ამ შემოდგომაზე ტრაქტორებს.**

**არადა, სწორედ ეს იკითხა ერთმა ჩვენმა კოლეგამ.**

ეს იმდენად აბსურდული შეკითხვა იყო, რომ, მგონი, უმცირესობის წევრებსაც გაეცინათ.

ასეთი ჩასაფრებული პოზიციით იწყებს შემოტევას საპარლამენტო უმცირესობა.

ჩვენი, უმრავლესობის ვალდებულებაა, გავუძლოთ და მოვუთმინოთ, მაგრამ ხალხი, ამას რომ ისმენს და უყურებს, ძალიან ღიზიანდება.

**— გავრცელდა ინფორმაცია ახალაიების მამის განცხადების სახით, რომ თითქოს ირაკლი ალასანია ზუგდიდში გეგმავდა სახალხო დაპირისპირებასა და სამოქალაქო ომის დაწყებას. თქვენი შეფასება.**

**— ვინც ალასანიას ახლოს იცნობს, ის, რა თქმა უნდა, ამ ცილისწამებას არ დაიჯერებს. ეს ახალგაზრდა კაცი სახელმწიფოებრივად აზროვნებს, სულით ხორცამდე პატრიოტია თავისი ქვეყნის, კეთილშობილი და უპატიოსნესი ადამიანია. თავის დროზე მან ჩემი, ჩვეულებრივი მოქალაქის, ყურადღება სწორედ ასეთი თვისებით მიიქცია — თავისი მოღვაწეობით, აზროვნების სიწრფელით, კულტურით.**

ახალაიას უსაფუძვლო და სრულიად უსაგნო მტკიცების საწინააღმდეგოდ შეიძლება აშშ ელჩის ზუგდიდში ჩასვლა გამოვიყენოთ. ეს დიპლომატი იმიტომ ჩავიდა ზუგდიდში, რომ სწორედ „ნაციონალების“ მხრიდან ელოდა არეულობის საშიშროებას. მისი ვიზიტი პრევენციული ხასიათისა იყო.

ზუგდიდელებიც ამ აზრისანი არიან. ისინი არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებიან ისეთ კაცს, რომელსაც ჭა სახლში, შენობაში აქვს შეტანილი და ჭის სახურავი — დაბოქლომებული, ვინმემ რომ არ მოუწამლოს.

ეს შიში კი მისდამი ხალხის ზიზღის შედეგად ჩაუდგა ტვინსა და სხეულში.

ერთ-ერთმა პარლამენტარმა თქვა, რომ პატიმარ ბაჩანა ახალაიას ოპოზიციონერები ასე გამწარებით იმიტომ იცავენ, რომ უმრავლეს მათგანს მისი ბედის გაზიარება მოუწევსო.

გოგლა ჟვანიამ თქვა, რომ ელოდა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ბოდიშის მოხდით დაიწყებდნენ საუბარს.

მაგრამ მოხდა პირიქით და ეს თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

**— მათ შორის, ალბათ, იმაზეც, რომ ერთმანეთს მიყოლებული დემარშები ნაციონალ-ბოლშევიკების პარტიის ტაქტიკაა. ამას ადასტურებს გენერალური შტაბის დაპატიმრებული უფროსის ოჯახში სააკაშვილის დემონსტრაციული მისვლა. დინების წინააღმდეგ მიდიან?**

— თუ სათავეს მივაკითხავთ, ამ კითხვას პასუხი მარტივად გაეცემა. გამოდის პრეზიდენტი, საჯაროდ აღიარებს დამარცხებას, აცხადებს, რომ გადადის ოპოზიციაში. თავისთავად ამის განცხადება ცოტა სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ თავი დავანებოთ ამ ნონსენსს. მისგან ასეთი ალოგიკურობა ადრეც გვსმენია. ასე აზროვნებს: მე მაქვს ბერკეტები კრიზისის გამოსაწვევად, შემიძლია ექვს თვეში დავითხოვო პარლამენტი და ა. შ. მაგრამ ახლადმოსულ ძალას ვაძლევ საშუალებას, ჩამოაყალიბოს მთავრობა და გაშალოს საქმიანობა. ეს განაცხადა სიტყვიერად, როგორც ყოველთვის ხდებოდა, საქმით კი პირიქით ირჯება. ხომ თქვა, რომ ახალმა ძალამ მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოსო? თქვა. მთავრობაში თავდაცვის ახალი მინისტრიც ხომ მოიაზრება? მოიაზრება. მაგრამ თავდაცვის მინისტრის დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე იგი გენერალური შტაბის უფროსს ნიშნავს ისე, რომ არ ელოდება თავდაცვის მინისტრის მოსვლას.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ, მინიმუმ, არასახელმწიფოებრივად აზროვნებს და ქვეყანაში შეგნებულად ქმნის კონფლიქტს. ამაზე რატომღაც არ ლაპარაკობენ. მისი ქმედება თქვენს შეკითხვაზე გაცემული პასუხია და მიმართულია იქითკენ, რომ ახლადმოსული ძალა რაც შეიძლება მალე დასამარდეს, ანუ, როგორც თვითონ ამბობენ, ექვს თვეში აიღონ რევანში.

**— ბაჩანა ახალაიას დაპატიმრება მართლა უკანონოა? რა განწყობილებაა ამასთან დაკავშირებით დეპუტატთა კორპუსში?**

— პარლამენტარები ძალიან მშვიდად და წყნარად ვართ, რადგან მიგვაჩნია, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში ხორციელდება. განცხადებებიც არ კეთდება, პოლიტიკური ზემოქმედება რომ არ დაგვაბრალონ, თორემ სათქმელი ბევრია.

**«მთავარმა პროკურორმა და მისმა თანამშრომლებმა ძალიან კარგად იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ. ჩვენ კი თავი უნდა შევიკავოთ ჩარევისგან. ჩვენ მათ ვენდობით»**

**მთავარმა პროკურორმა და მისმა თანამშრომლებმა ძალიან კარგად იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ. ჩვენ კი თავი უნდა შევიკავოთ ჩარევისგან. ჩვენ მათ ვენდობით. თქვენს მკითხველებს შემიძლია პირდაპირ ვუთხრა, რომ არჩილ კბილაშვილი უაღრესად პატიოსანი ადამიანია. ყოველთვის მოქმედებს კანონის მიხედვით და, რახან ახალაია დაპატიმრებულია, ეს გაკეთებულია სავსებით კანონიერად, ამიტომ შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ.**

**— ხელისუფლება ხალხმა ახალაიას გამო არ შეცვალა. თქვენს ამომრჩევლებს ბევრი საკითხი ჰქონდათ მოსაგვარებელი. ჩოხატაურში დაიწყეთ მუშაობა დაპირებების შესასრულებლად?**

— მე, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს, ჩოხატაურის საკრებულოში დასალაგებელ საქმეებში ჩარევის უფლება არ მაქვს, მაგრამ შევხვდი საკრებულოს დეპუტატებს, ვესაუბრე და მივიღეთ გარკვეული გადაწყვეტილებები. მე ვუთხარი, რომ **დამთავრდა ის პერიოდი, როცა ისინი წესიერად თუ უწესოდ, ყველანაირად მებრძოდნენ, მაგრამ დავივიწყოთ-მეთქი ყველაფერი, წელიწად-ნახევარი ერთად მოგვიწევს მუშაობა. თუ თქვენი კუთხე გიყვართ, ამ პერიოდში უამრავი რამის გაკეთება შეიძლება და დავიწყოთ ერთობლივად ხალხის საკეთილდღეოდ საქმიანობა.**

დამეთანხმა ყველა. ოთხშაბათს, თქვენი გაზეთი რომ გამოდის, იმ დღეს ჩოხატაურში ვიქნები და შევუდგები პირველი რიგის საქმეების მოგვარებას. დავიწყებთ მოქალაქეების მიღებას — ძალიან ბევრი ადამიანი მელოდება, ჩვენი პრინციპი იქნება პრობლემების ერთობლივად მოგვარება და არა მოწყალების ერთდროულად გაცემით ფონს გასვლა.

**ბოლოთქმის მაგიერ:**

— არჩევნების მეორე დღეს, 2 ოქტომბერს სოფელ ბუკნარში გურულებმა ღია ცისქვეშ დიდი სუფრა გაშალეს, — **იხსენებს თემურ ჭკუასელი**, — მიგვიწვიეს. რა თქმა უნდა, წავედით მე და ჩემი მეგობრები. ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო, გულიანი, გულითადი, გულწრფელი სიხარული.

აგვიტაცა სიხარულის ამ ტალღამ და ჩვენ, ბიჭებმაც ვიმღერეთ. სიმღერა ვთქვით. ძალიან მოიწონეს, ტაშით დაგვაჯილდოეს და შემდეგ ჩაილაპარაკეს (ერთი გურული მეორეს ეუბნებოდა):

— აი (მე მგულისხმობდა, ეგო) ასე თუ აპირებს სოფლის შენებას, დავლუპულვართ და ეგ არისო!

***(გულიანად ვიცინით, დიდხანს):***

**„სოფლის შენებას რა უნდა,**
**ერთი პირველი ხმა უნდა“...**
**და ასე შემდეგ.**

**ჩამოვა ჩოხატაურიდან ბატონი თემური და ახალ ნაკვესებს ჩამოიტანს.**

**მაგიდაზე კი იდო მისი წიგნის ბოლო კორექტურის ამონაბეჭდი გვერდები.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყურადსაღებია, რომ ფარულავამ და აკობიამ ვიდეომასალა სიცოცხლის ფასად ჩაწერეს; მათ ხელში ფარული ვიდეოკამერა რომ ეპოვათ ან ვიდეოგადაღების პროცესი შეემჩნიათ, ორივეს წამებით მოკლავდნენ, ბედუკაძეს კი მსგავსი საშიშროება არ ემუქრებოდა, რადგან ვიდეოკადრებს ხელმძღვანელობის დავალებით იღებდა.**

# ვინ და რატომ ებრძვის «ობიექტივს»




**წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე):**
**„არა მგონია, სხვაგან იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილ-უბრალოდ ილანძღებოდეს, როგორც ჩვენში“...**

## წინათქმა, ანუ იძულებული ვართ, კიდევ ერთხელ განვმარტოთ

**პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოფირების გასაჯაროების შედეგად, სააკაშვილის რეჟიმი „ოპოზიციაში გადაბრძანდა.“ ახლადგამომცხვარმა ოპოზიციამ მედია-კავშირ „ობიექტივის“ წინააღმდეგ მზაკვრული კამპანია წამოიწყო: უეცრად გააქტიურდა ყველა ტელევიზია, გაზეთი თუ ინტერნეტგვერდი, რომლებსაც მიშა და ვანო ჯერ კიდევ აკონტროლებენ; გადმოიღვარა უამრავი ტალახი, ტყუილი და ცილისწამება. სამწუხაროდ, ამ კამპანიაში სხვა კატეგორიის ადამიანებიც ჩაერთნენ, რომლებსაც არც მიშასთან და არც ვანოსთან კონტაქტი არასდროს ჰქონიათ და არც ახლა აქვთ. ზოგს შური ამოძრავებს, ზოგს — არაჯანსაღი კონკურენცია, ზოგსაც, უბრალოდ, არ ვუყვარვართ. ისმება უამრავი შეკითხვა — ზოგი გააზრებული, ზოგიც გაუაზრებელი; ზოგს გულწრფელად სურს საკითხში გარკვევა, ზოგი კი ჩასაფრებულია და ცდილობს, რაღაცაში გამოგვიჭიროს და რაიმე დაგვაბრალოს. ამიტომაცაა, რომ მეორე თვეა გაუთავებლად განვმარტავთ, განვმარტავთ, განვმარტავთ და კვლავ განვმარტავთ...**

### ვინ მოგვაწოდა ვიდეოფირები

**განვმარტავ, რომ ვიდეოფირებსა და ინფორმაციას ჩვენ სამი სხვადასხვა წყარო გვაწვდიდა. ერთი მხარე იყო ვლადიმერ ბედუკაძე, მეორე მხარე — ფარულავა-აკობია, მესამე კი — ჩვენი მოკავშირეები შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამივე ერთმანეთისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი წყარო იყო.** მართალია, ბედუკაძეც, ფარულავაც და აკობიაც გლდანის ციხეში ერთად მუშაობდნენ, მაგრამ ბედუკაძემ არაფერი იცოდა ფარულავა-აკობიასთან ჩვენი თანამშრომლობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩვენი მოკავშირეების შესახებ. არც ფარულავასა და აკობიას ჰქონდათ ინფორმაცია ბედუკაძესთან ჩვენი თანამშრომლობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩვენი მოკავშირეების თაობაზე.

### რით განსხვავდებოდა ვიდეოფირები ერთმანეთისგან

**ბედუკაძის კადრები პრინციპულად განსხვავდებოდა ფარულავა-აკობიას კადრებისგან. ბედუკაძის კადრები ასახავს ციხის ცალკეული თანამშრომლების სასტიკ დანაშაულს, ანუ ერთი პირის თანამდებობრივ ბოროტებას. ფარულავა-აკობიას კადრები კი კოლექტიურ ბოროტებას ხდის ფარდას, რასაც თავად სააკაშვილმა „სისტემური კრახი“ უწოდა.** ახლავე ვიტყვი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წყაროების შესახებ ინფორმაციას არ გავამხელთ მანამდე, ვიდრე სააკაშვილსა და მერაბიშვილს შურისძიების რაიმე ბერკეტი ექნებათ ხელთ. აქ კი მხოლოდ დავსძენ, რომ ეს ადამიანები არიან საქართველოს ნამდვილი პატრიოტები. განვმარტავ, რომ ბედუკაძის კადრებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე, რადგან აქ ქართული აზროვნებისთვის გამაოგნებელი წამების ფაქტები ვიხილეთ. დასავლეთში კი სხვა ვითარება იყო. დასავლეთისთვის ფარულავა-აკობიას კადრებს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ეს კადრები ქვეყანაში მთლიანად ხელისუფლებას ამხელდა და ცხადყოფდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი არანაირ დემოკრატიულ ხელისუფლებას არ წარმოადგენს.

### გიორგი ლომიას როლი ვიდეოფირების მოპოვების საქმეში

**საიდუმლო არ არის, რომ „ობიექტივი“ და „წინააღმდეგობის მოძრაობა“ არაერთი წელიწადი იბრძვის პატიმართა უფლებების დასაცავად. ჩვენ ვაწყობდით ყოველკვირეულ მიტინგებს, საპროტესტო მსვლელობებს, საჯაროდ ვასახელებდით ჯალათთა გვარებს. ამის ამსახველი ვიდეომასალა ინტერნეტში ფართოდაა გავრცელებული.**

2010 წლის მიწურულს ჩემი ძმა — კოტე ინაშვილი დააპატიმრეს. ციხეში მან გაიცნო და დაუმეგობრდა ასევე პატიმარ გიორგი ლომიას. აღმოჩნდა, რომ გიორგი ლომია 2008 წლიდან იცნობდა „წინააღმდეგობის მოძრაობის“ თავმჯდომარეს — დავით თარხან-მოურავს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, კოტე ინაშვილი „ობიექტივსა“ და „წინააღმდეგობის მოძრაობას“ დაუბრუნდა. ამავე პერიოდში გიორგი ლომიაც გაათავისუფლეს და იგი ჩვენს გუნდს შემოუერთდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ პატიმრების უფლებებისთვის ვიბრძოდით და ყველანაირი ინფორმაცია გვაინტერესებდა, კოტეც და გიორგიც ამ მიმართულებით მუშაობაში ჩაერთნენ. **სწორედ გიორგი ლომიამ ითამაშა განსაკუთრებული როლი კადრების მოპოვების საქმეში.**

### გიორგი ლომიასა და ლადო ბედუკაძის დამეგობრება

**პატიმრობის პერიოდში გიორგი ლომიამ ლადო ბედუკაძე გაიცნო. მათ შორის ნდობა გაჩნდა, შემდეგ კი ეს ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა.**

ვლადიმერ, იგივე ლადო ბედუკაძე მრავალი წლის მანძილზე სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობდა. მისივე განცხადებით, პატიმრებს თავად არ აწამებდა და მხოლოდ ვიდეოფირებზე აღბეჭდავდა მათ წამებას. ბედუკაძე ხასიათდება არამდგრადი, მერყევი ფსიქიკით. დღეს მეგობრად გაცხადებს, ხვალ — მტრად. დღეს მწამებლები დამნაშავეებად მიაჩნია, ხვალ — ფირების გავრცელებას ნანობს, თანაც ამას ღიად წერს ინტერნეტსივრცეში — ეს, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს კაცისგან, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხედავდა და ვიდეოფირზე აღბეჭდავდა ადამიანების ესოდენ სასტიკ წამებას. მაგრამ **მთავარია, რომ ბედუკაძეს პერიოდულად აწუხებს სინდისის ქეჯნა. სწორედ ამ სინდისის ქეჯნამ განაპირობა გიორგი ლომიასა და ლადო ბედუკაძის თანამშრომლობა.**

### გიორგი ლომიასა და ლადო ბედუკაძის თანამშრომლობა

**ბედუკაძესთან ურთიერთობისას, გიორგი ლომიამ გაარკვია, რომ ბედუკაძეს ავალებდნენ პატიმრების წამების ვიდეოფირზე აღბეჭდვას. ბედუკაძე ლომიას გამოუტყდა, რომ მას ეგრეთ წოდებული დაწუნებული კადრები ჰქონდა.** „დაწუნებულს“ იმ ვიდეომასალას უწოდებდნენ, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებისთვის უინტერესო იყო. წარმოიდგინეთ, რა ვიდეოკადრები იგზავნებოდა ახალაია-მერაბიშვილ-სააკაშვილთან. თავად ბედუკაძე საშინელ სცენას აღწერდა, თუ როგორ აწამა და მოკლა მეგის ქარდავამ პოლკოვნიკი თეთრაძე. ამ ფაქტზე ბედუკაძემ ტელეეთერშიც ისაუბრა.

**დაიწყო ბედუკაძესთან ხანგრძლივი საუბრისა და მსჯელობის, გნებავთ, მრავალთვიანი საიდუმლო მოლაპარაკებების ეტაპი.** მოლაპარაკების პათოსი ასეთი იყო: წამების ფაქტების გამჟღავნება სიკეთეს მოუტანს როგორც პატიმრებს, ისე მთელ ქართველ საზოგადოებას. ეს ეროვნული და პატრიოტული საქმეა. მოლაპარაკებები შედგა!

**ახლავე ვპასუხობ ცრუ ბრალმდებლებს: მოლაპარაკებები მორალის ფარგლებს არ გასცდენია და კადრები ჩვენ ზნეობრივად მოვიპოვეთ.**




### რა მიზანი აქვთ „ობიექტივის“ მტრებს

**მაგრამ ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ კამპანიის მიზანი არ არის მხოლოდ „ობიექტივისა“ და მისი ხელმძღვანელის, ანუ ჩემი დისკრედიტაცია. მიშასა და ვანოს ბელგიის პროკურატურაში სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის ბედი აღელვებთ. ეს სარჩელი პატიმრების წამების ფაქტებზე გამოძიებასა და კონკრეტული დამნაშავეების დასჯას მოითხოვს.** კონკრეტულ დამნაშავეთა შორის ადვოკატ ამრანის დასახელებული ჰყავს ბატონები: სააკაშვილი, ზოდელავა, ახალაია, მერაბიშვილი. თუ მიშა და ვანო მოწმე ბედუკაძის ბრიუსელის სარჩელიდან „ჩახსნას“ მოახერხებენ, ცხადია, ისინი დასჯას გადაურჩებიან.

### ფარულავა და აკობია

**ბედუკაძესთან მუშაობის პარალელურად ჩვენ ციხის სხვა თანამშრომლებთანაც ვმუშაობდით, ცხადია, საიდუმლოდ. გიორგი ლომიამ აკობია-ფარულავასთან საერთო პოზიციები გამოძებნა. ისინი, ასევე, შეწუხებული იყვნენ ციხეებში არსებული ვითარებით.** ჩვენ ვიცოდით, რომ ციხის ჯალათები ყოველ პარასკევს „წითელს“ უწოდებდნენ, რადგან ამ დღეს პატიმრებს კოლექტიურ ცემა-ტყეპას უწყობდნენ. ამ დანაშაულის მხილების მიზნით ჩვენ ფარულავა და აკობია აღვჭურვეთ ფარული ვიდეოკამერით. დანაშაულის აღბეჭდვა ვიდეოფირზე 24 აგვისტოს მოხერხდა, ფარულავამ და აკობიამ ჩანაწერი გიორგი ლომიას გადასცეს, ლომიამ ჩვენ მოგვაწოდა, ჩვენ კი ბრიუსელში ჩავიტანეთ.

**ყურადსაღებია, რომ ფარულავამ და აკობიამ ვიდეომასალა სიცოცხლის ფასად ჩაწერეს; მათ ხელში ფარული ვიდეოკამერა რომ ეპოვათ ან ვიდეოგადაღების პროცესი შეემჩნიათ, ორივეს წამებით მოკლავდნენ, ბედუკაძეს კი მსგავსი საშიშროება არ ემუქრებოდა, რადგან ვიდეოკადრებს ხელმძღვანელობის დავალებით იღებდა.**

### ვიდეოფირების გასაჯაროების პირობები

**ჩვენმა გუნდმა შეიმუშავა ვიდეოფირების გასაჯაროების გეგმა. ცხადია, ეს გეგმა ბედუკაძის, ფარულავასა და აკობიას ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა. ლომიამ გეგმა შეუთანხმა როგორც ბედუკაძეს, ასევე ფარულავასა და აკობიას.** გეგმის მიხედვით, ვიდეოფირები უნდა გაგვეტანა ბრიუსელში; ბრიუსელშივე უნდა გაგვეყვანა მოწმეები: ბედუკაძე, ფარულავა და აკობია და ევროპარლამენტში, საგანგებოდ მოწყობილ ბრიფინგზე უნდა გაგვესაჯაროებინა ვიდეოკადრები. ნათელია, რომ უნდა შესრულებულიყო შემდეგი სამუშაო: ქვეყნიდან გაგვეყვანა ბედუკაძე და მისი ოჯახი, ასევე, ფარულავა და აკობია (არც ერთს ცოლ-შვილი არ ჰყავდა), გაგვეტანა კადრები, ექსპერტიზის გზით დაგვედასტურებინა კადრების უტყუარობა, მოგვეწყო ბედუკაძის, აკობიასა და ფარულავას შეხვედრები ევროჩინოვნიკებთან. სწორედ ამ დროს (ანუ უკვე ევროპაში) ბედუკაძეს უნდა გაეგო ამ საქმეში ფარულავასა და აკობიას მონაწილეობის შესახებ, ხოლო ფარულავასა და აკობიას — ამავე საქმეში ბედუკაძის მონაწილეობის თაობაზე.

### ქვეყნიდან ბედუკაძის გაყვანა და მისი ფირების გატანა

**ბედუკაძემ, ჩვენ მიერ შერჩეულ დროსა და ჩვენ მიერ დასახელებული მოტივით, დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ავადმყოფობის მიზეზით. ამის შემდეგ „ობიექტივმა“ ბედუკაძე ოჯახთან ერთად გამიზნულად გააგზავნა ბორჯომში, მისსავე მეგობართან, თითქოსდა სამკურნალოდ. ეს ყველაფერი რამდენიმე კვირის მანძილზე გრძელდებოდა. ამასობაში ჩვენ ვაკვირდებოდით, ხომ არ უთვალთვალებდნენ ბედუკაძეს. ამავე დროს, ჩვენი წყაროები შინაგან საქმეთა სამინისტროში თვალყურს ადევნებდნენ, — ხომ არ იყო ინტერესი ბედუკაძის პიროვნების მიმართ.** ბედუკაძე უსაფრთხო დროს ავტობუსით გადავიყვანეთ თურქეთში. ეს ვარიანტი თვითმფრინავზე უფრო უსაფრთხოდ მიგვაჩნდა. თურქეთში გავუკეთეთ ვიზა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში. შემდეგ კი სამი ქვეყნის გავლით ის აღმოჩნდა ბრიუსელში, სადაც ჩვენი მოკავშირეები ელოდნენ. ცხადია, ყველა ხარჯი ჩვენ გავიღეთ. ბედუკაძე დავაბინავეთ მერაბ ბლადაძესთან, რომელიც მაშინ „ობიექტივის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. ბედუკაძე ბლადაძესთან დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში ცხოვრობდა. ბლადაძე სტუმრად მოსულ მეგობრებს ბედუკაძეს, როგორც მის ნათესავს, ისე აცნობდა.

**ამის პარალელურად, სამი სხვადასხვა გზით ვიდეოფირები მე და ჩემმა მეგობრებმა ბრიუსელში ჩავიტანეთ.** ბედუკაძეც და მისი ვიდეოფირებიც მხოლოდ აგვისტოში აღმოჩნდა ბრიუსელში, ხოლო ფარულა- ▶

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ფირები ჩვენი მოკავშირეების მეშვეობით აღმოჩნდა. მათვე შეგვატყობინეს, რომ 15-17 სექტემბერს სააკაშვილს დაუკავშირდნენ მისი ამერიკელი მხარდამჭერები და აცნობეს, რომ არსებობდა უდავო მამხილებელი ვიდეომასალა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფო იქნებოდა და რომ სააკაშვილი არჩევნებში უნდა დამორჩილებოდა ქართველი ხალხის ნებას, ანუ არჩევნები არ უნდა გაეყალბებინა. ამიტომაც იყო, რომ სააკაშვილს არ უარუყვია ამ მასალების უტყუარობა და არავითარ რუსულ კვალზე არ უსაუბრია.**

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ვასა და აკობიასი — სექტემბრის დასაწყისში. ამ პერიოდში ბედუკაძის მეუღლემ საქართველოს დატოვებაზე უარი თქვა. აქვე აღვნიშნავ, რომ ბედუკაძესთან მოლაპარაკებისას ჩვენ ვიტვირთეთ მისი ცოლ-შვილის გადაყვანა კიევში, ან სხვა „უვიზო" ქვეყანაში. ჩვენ ბედუკაძეს ყოველთვის ვეუბნებოდით, რომ მის ცოლ-შვილს ვიზებს ვერ გავუკეთებდით.

**რაც შეეხება ფირებს, ფირები ბედუკაძეს აღარ ჰქონდა, ხოლო ბლადაძეს ეს ფირები არც ჰქონია და არც უნახავს, — მან მხოლოდ გადმოცემით იცოდა ვიდეოკადრების შინაარსი.**

## როდის გაიგეს ბედუკაძემ და ფარულავა-აკობიას ტანდემმა ერთმანეთის და „ობიექტივის" შესახებ?

**მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არც ბედუკაძემ იცოდა ფარულავასა და აკობიასთან ჩვენი მოლაპარაკებების, ანუ მათი თანამონაწილეობის შესახებ და არც ფარულავასა და აკობიას ჰქონდათ ინფორმაცია ბედუკაძესთან ჩვენი თანამშრომლობის თაობაზე. ფარულავასა და აკობიასთან მსჯელობისა და მოლაპარაკების პროცესში გიორგი ლომია არ ასახელებდა არც „ობიექტივს" და არც „წინააღმდეგობის მოძრაობას." ლომია ეუბნებოდა ბედუკაძესაც, ფარულავასაც და აკობიასაც, რომ არის სერიოზული ხალხი, ვინც კადრებსაც გაასაჯაროებს და თქვენს უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფსო.**

ბედუკაძემ ფარულავასა და აკობიას თანამონაწილეობის შესახებ სექტემბერში გაიგო, მას შემდეგ, რაც აკობიამ 24 აგვისტოს ციხის თანამშრომლების მიერ პატიმრების კოლექტიური წამება ვიდეოფირზე აღბეჭდა და ეს ვიდეომასალა გიორგი ლომიას გადასცა, ჩვენ კი ეს ფირები ბრიუსელში ჩავიტანეთ. როცა ბედუკაძემ ფარულავასა და აკობიას თანამონაწილეობის შესახებ გაიგო, იგი ფარულავას რამდენიმეჯერ დაუკავშირდა. ეს არასწორი და სახიფათო ქმედება იყო, განსაკუთრებით, ქვეყანაში გამეფებული მასობრივი მოსმენების ფონზე.

ვიდეოფირების გასაჯაროებამდე, ანუ 18 სექტემბრამდე ბედუკაძესთან ბრიუსელში მხოლოდ გიორგი ფოფხაძე და მერაბ ბლადაძე მუშაობდნენ. **შესაძლოა, ბედუკაძე კიდევაც ხვდებოდა, ვინ იყო მისი ფარული პარტნიორი, მაგრამ დანამდვილებით მან ეს მხოლოდ კადრების გასაჯაროების შემდეგ შეიტყო. კვლავ აღვნიშნავ, რომ ბედუკაძემაც, ფარულავამაც და აკობიამაც კადრების გასაჯაროებამდე, ანუ 18 სექტემბრამდე არ იცოდნენ, რომ ამ გამოძიების სათავეში მედიაკავშირი „ობიექტივი" და „წინააღმდეგობის მოძრაობა" იდგნენ.**

## დასავლეთში შესრულებული სამუშაო

**10-12 სექტემბრისთვის ვიდეოკადრები უკვე ნანახი ჰქონდათ როგორც ევროსტრუქტურების, ისე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკებს. ამ დროისთვის ბედუკაძე უკვე შევახვედრეთ ადამიანის უფლებათა ევროკომისრის აპარატს.** ევროსტრუქტურების სხვა თანამშრომლებს ბედუკაძესთან შეხვედრის სურვილი არ გამოუთქვამთ, მათ ვიდეოფირების ნახვა და ჩვენი ახსნა-განმარტება აკმაყოფილებდათ. **15 სექტემბრისთვის სამუშაო დასრულებული იყო და ჩვენ გვქონდა ევროპის მაღალჩინოსანთა თანხმობა მასალის გასაჯაროებაზე.** რჩებოდა მხოლოდ ერთი პრობლემა — ბედუკაძის ცოლ-შვილი; ასევე ქვეყნიდან უნდა გაგვეყვანა ფარულავა და აკობია და ისინი ბრიუსელში უნდა ჩაგვეყვანა. ბედუკაძის ოჯახის გაყვანა ვერ ხერხდებოდა, რადგან წინააღმდეგობას ქმნიდა მისი მეუღლე. იგი ძლივს დავითანხმეთ, 17 სექტემბრისთვის დაეტოვებინა საქართველო. შემდეგ, მისივე მიზეზით, ოჯახის გაყვანა გადავდეთ 19 რიცხვისთვის. ევროპარლამენტში პრესკონფერენცია 20 სექტემბრისთვის გვქონდა დანიშნული.

როგორც აღვნიშნე, **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ფირები ჩვენი მოკავშირეების მეშვეობით აღმოჩნდა. მათვე შეგვატყობინეს, რომ 15-17 სექტემბერს სააკაშვილს დაუკავშირდნენ მისი ამერიკელი მხარდამჭერები და აცნობეს, რომ არსებობდა უდავო მამხილებელი ვიდეომასალა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფო იქნებოდა და რომ სააკაშვილი არჩევნებში უნდა დამორჩილებოდა ქართველი ხალხის ნებას, ანუ არჩევნები არ უნდა გაეყალბებინა.** სააკაშვილი პარლამენტში უნდა დასჯერებოდა 30, მაქსიმუმ 40 დეპუტატს, ანუ რეალობასთან მიახლოებულ ციფრს. **ამიტომაც იყო, რომ სააკაშვილს არ უარუყვია ამ მასალების უტყუარობა და არავითარ რუსულ კვალზე არ უსაუბრია.**

## ფარულავასა და აკობიას დაკავება

**სამწუხაროდ, ჩვენ ვეღარ მოვასწარით ფარულავასა და აკობიას გაყვანა საქართველოდან. ფარულავა 17 სექტემბერს დააკავეს, ხოლო აკობია — 18 სექტემბერს, როცა ჩვენ მის საზღვარზე გადაყვანას ვცდილობდით.** დაკავების შემდეგ, ფარულავას სააკაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობა აიძულეს. მიგვაჩნია, რომ სასამართლომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს. ვფიქრობ, სასამართლომ, ასევე უნდა გაითვალისწინოს ფარულავას წვლილი პატიმართა წამების ამსახველი კადრების მოპოვებაში.

## სააკაშვილის დადგმული სპექტაკლი

**18 სექტემბერს სააკაშვილმა დადგა ყველასთვის ცნობილი სპექტაკლი: რეჟიმმა დაკავებული ფარულავა კამერაში შეიყვანა და აიძულა, პატიმარი ეცემა, ეს ყველაფერი კი ვიდეოფირზე აღბეჭდეს. ვიდეოფირი ხელისუფლების არხებმა — „რუსთავი 2"-მა და „იმედმა" ეთერში გაუშვეს და, რაოდენ სასაცილოც უნდა იყოს, პატიმრების წამების ორგანიზება ივანიშვილის გუნდს დააბრალეს.** პროკურატურამ განაცხადა, რომ პატიმარი თამაზაშვილი ბედუკაძესა და ციხის სხვა თანამშრომლებს კადრების გადაღებაში ფულს უხდიდა.

**თამაზ თამაზაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრია, ირაკლი ღარიბაშვილი კი — ბიძინა ივანიშვილის უახლოესი თანამებრძოლი. ჩვენ ვერაფრით დავუშვებდით, რომ ეს უდანაშაულო ხალხი ბინძური ცილისწამების მსხვერპლი გამხდარიყო. ამიტომ იძულებული გავხდით, პრესკონფერენციას აღარ დავლოდებოდით და კადრები სასწრაფოდ გაგვესაჯაროებინა; პირდაპირ და ღიად განგვეცხადებინა, რომ „ქართულ ოცნება" და თამაზაშვილი უდანაშაულონი იყვნენ, რაც გავაკეთეთ კიდეც.**

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ **ამ კადრების არსებობის შესახებ „მე-9 არხმა" გაიგო კადრების გადაცემამდე ერთი საათით ადრე.** მე პირადად ვესაუბრე კახა ბექაურს. ასევე, მე (ჩემი მეგობრების დახმარებით) კადრები მივაწოდე შალვა რამიშვილს. ამ ყველაფრის შემდეგ გამაოგნებელია, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჩნდებიან უზნეო ადამიანები, რომლებიც ხან ვანოს და ხან რუსეთის აგენტობაში, ხან ფულის აღებაში, ხან თანამდებობებისთვის ბრძოლაში და კიდევ არ ვიცი, რაში გვადანაშაულებენ.



**კადრების გასაჯაროებამ სააკაშვილის რეჟიმი ამხილა დასავლეთის თვალში და რეჟიმმა მასშტაბური გაყალბება ვეღარ გაბედა. მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, რეჟიმი არ შეიცვლებოდა**

## რეჟიმის კრახი

**ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თუ სხვა მაღალჩინოსანთა განცხადებები სწორედ ჩვენი გააზრებული მუშაობის შედეგია.**

ბევრი მეკითხება, მოიგებდა თუ არა „ქართული ოცნება" არჩევნებს იმ შემთხვევაში, ეს კადრები რომ არ გაგვესაჯაროებინა? — დარწმუნებული ვარ, კადრები რომ არ გამოგვექვეყნებინა, სააკაშვილის რეჟიმი არჩევნებს გააყალბებდა, 65%-70% დაიწერდა, ხოლო დასავლეთი ამ გაყალბებას „გააპრავებდა". სინამდვილეში კი საქართველოს მოსახლეობის 70%-ზე მეტი სწორედაც რომ ბიძინა ივანიშვილს უჭერდა მხარს. **კადრების გასაჯაროებამ სააკაშვილის რეჟიმი ამხილა დასავლეთის თვალში და რეჟიმმა მასშტაბური გაყალბება ვეღარ გაბედა. მეორეს მხრივ, ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, რეჟიმი არ შეიცვლებოდა.** კადრების გასაჯაროება სახალხო პროტესტს უდაოდ გამოიწვევდა; ვფიქრობ, ამის შემდეგ ციხეებში წამებები შეწყდებოდა, მაგრამ სააკაშვილი ხელისუფლებაში მაინც დარჩებოდა.

**აქვე მინდა ვურჩიო ცრუ ბრალმდებლებს, კარგად წაიკითხონ ეს წერილი. ვფიქრობ, ნათლად ავხსენით, თუ რატომ არ შეგვეძლო კადრების გასაჯაროება უფრო ადრე.**

## ბედუკაძის გადაყვანა სხვა ბინაში

**კადრების გავრცელების შემდეგ, ბედუკაძემ სხვა ბინაში გადაყვანა მთხოვა; მას მიაჩნდა, რომ საიდუმლოება დაირღვა და ბლადაძის ბინაში ყოფნა უსაფრთხო აღარ იყო.** ამ დროს ქალაქ ლიეჟში ჩვენი მეგობრის, გიორგი ლაფანაშვილის დედის ბინა იყო ცარიელი და ბედუკაძე ამ ბინაში გადავიყვანეთ. ამასობაში, ვატყობდი, რომ ბედუკაძე ძალზედ დაიძაბა. ის ნერვიულობდა ცოლშვილის გამო, არ გრძნობდა თავს დაცულად, სისტემატურად ეცვლებოდა განწყობა, ხან ჩვენი სჯეროდა, ხან — მუდმივად გვემუქრებოდა: ჩემი ოჯახი თურქეთიდან ბრიუსელში ჩამოიყვანეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენებას ისე შევცვლი, რომ ყველას დაგაზიანებთო. ეს ჩვეულებრივი შანტაჟი იყო.

## ბედუკაძის ოჯახი და „ობიექტივი"

**კვლავ აღვნიშნავ, რომ ბედუკაძეს არასდროს დავპირებივართ მისი ოჯახის ბრიუსელში ჩაყვანას. ჩვენი მოლაპარაკება ითვალისწინებდა საქართველოდან ბედუკაძის ბელგიაში გაყვანას, ხოლო მისი ოჯახის კიევში, ერევანში, ბაქოში ან სტამბოლში გადაყვანას. როცა ბატონი ბედუკაძე პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებდა, ოჯახის გადასვლას ბელგიაში არავითარი პრობლემა აღარ შეექმნებოდა.** მანამდე „ობიექტივი" თავის თავზე იღებდა კიევში (ან სხვა ქალაქში) ბედუკაძის ოჯახის (საცხოვრებელი და სხვა პირობებით) უზრუნველყოფას. სამწუხაროდ, ბედუკაძის მეუღლე დიდი ხნის განმავლობაში უარს აცხადებდა, დაეტოვებინა საქართველო. ამასობაში სიტუაცია შეიცვალა და კადრები გასაჯაროვდა. ბედუკაძე მუდმივად ითხოვდა ჩვენგან, — დაგვეცვა მისი ოჯახი და გაგვეყვანა საქართველოდან. მე ბრიუსელიდან დავურეკე ცნობილ ქართველ უფლებადამცველებს და სწორედ მათი და „ობიექტივის" ჟურნალისტების თანდასწრებით გავიყვანეთ ბედუკაძის ოჯახი მეზობელ თურქეთში. **ბედუკაძის მეუღლე ორჯერ სტუმრობდა ანკარას და საკონსულოში გასაუბრებაც გაიარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიზა ვერ მიიღო. ჩვენ მივმართეთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, წითელ ჯვარსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს. სამწუხაროდ, უშედეგოდ, — ბედუკაძის ოჯახმა ვიზები მაინც ვერ მიიღო.** ამ ვითარებით უკმაყოფილო ბედუკაძე ბრალს გვდებდა, — ჩემი ოჯახი ბრიუსელში არ გადმოგყავთ, სტამბოლში მძევლად გყავთო. რა მძევლობაზეა საუბარი? მძევლები რომ ყოფილიყვნენ, ამას კონსულს არ ეტყოდნენ? **ღვთის წყალობით, დღეს, როდესაც ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, ბედუკაძის ცოლ-შვილი თბილისში დაბრუნდა და მას აქ საფრთხე აღარ ემუქრება. იმედი მაქვს, ბედუკაძე ახლა მაინც მიხვდა, თუ რა სისულელეს გვაბრალებდა.**

## სარჩელი სააკაშვილის წინააღმდეგ

**შეგახსენებთ, რომ „ობიექტივი" დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ბელგიაში სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ საქმის აღძვრას. სწორედ ამ საქმეს ხელმძღვანელობდა მერაბ ბლადაძე ბრიუსელში.** „ობიექტივი" სხვადასხვა ადვოკატთან მუშაობდა. იმ პერიოდში, როდესაც ბედუკაძე ბრიუსელში ჩავიყვანეთ, ჩვენ ბელგიელ ამრანთან ვმუშაობდით. „ობიექტივი" ადვოკატ ამრანს ბედუკაძის დაცვაზეც შეუთანხმდა. სექტემბრის ბოლოს ამრანმა წარმატებას მიაღწია, ბელგიის პროკურატურამ მისი სარჩელი მიიღო. სარჩელის მთავარი მოწმე ბედუკაძე იყო. **სარჩელი პატიმრების წამების ფაქტების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას ითვალისწინებდა. დამნაშავეებად მოიაზრებოდნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაია და ზოდელავა.**

## ბედუკაძისთვის თავგზის აბნევა

პირდაპირ უნდა ითქვას, **რომ მერაბ ბლადაძემ გადამწყვეტი როლი შეასრულა უმნიშვნელოვანესი მოწმის დაცვის საქმეში; მას ბედუკაძე არ გაუცია და იგი ბოლომდე დაიცვა, როგორც მოწმე. ახლა კი ბედუკაძე ყველას გადაგვემტერა და მერაბ ბლადაძეს ხან ვანოს და ხან რუსეთის აგენტობას აბრალებს, ხან კი ფირების გაყიდვაში ადანაშაულებს, რაც აბსურდია.** ბლადაძე ფირებს ვერავის მიჰყიდდა, — უკვე გითხარით, რომ ეს მასალა მას არასდროს ჰქონია. ბედუკაძის ეს აბსურდული ბრალდებები ადამიანური ლოგიკის ფარგლებს სცდება.

დაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკი ჭელიძე ბლადაძეს ზოგჯერ მეუღლესთან ერთად სტუმრობდა და ბედუკაძეც იქ გაიცნო. დღეს ბედუკაძე და ჭელიძე ამტკიცებენ, რომ ისინი მრავალი წლის მეგობრები არიან, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. ბედუკაძეს სწორედ ჭელიძემ აუბნია თავგზა.

ჭელიძე ლაფანაშვილთანაც მეგობრობდა და სწორედ ლაფანაშვილისგან გაიგო ბედუკაძის ადგილსამყოფელი. ეს დანაშაულის ტოლფასია, რადგან ლაფანაშვილს არავისთვის არ უნდა გაემხილა ბედუკაძის ადგილსამყოფელი, მას ამის უფლება არ ქონდა. **იმის გამო, რომ ბედუკაძე ცარიელ ბინაში მარტო იყო, ჭელიძე მას, ფაქტობრივად, ჩაუსახლდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამის შესახებ გვიან გავიგეთ.**

## ვინ არის სინამდვილეში პოლკოვნიკი ჭელიძე

**ბრიუსელში ერთ-ერთი შეხვედრის დროს გიორგი ლაფანაშვილს ჭელიძე მოჰყვა. ჭელიძემ შემომთავაზა ბედუკაძის მართვა საერთო ძალებით. მითხრა, რომ სამხედრო პირია და ფლობს არამდგრადი ფსიქიკის მქონე პირების მართვის ხელოვნებას. მე მას ვეჩხუბე და ვუთხარი, რომ ჩვენ ბედუკაძეს კი არ ვმართავთ, ის ჩვენი თანამებრძოლია; შენ ვინ ხარ, საიდან მოხვედი, რა საერთო გაქვს ჩვენთან ან ჩვენს საქმიანობასთან-მეთქი. ასე დავშორდით.**

ამის შემდეგ, ჭელიძე ხელმეორედ და მოულოდნელად ქალაქ ლიეჟში დამხვდა, სადაც მე და გიორგი ფოფხაძე ბედუკაძის მოსანახულებლად ჩავედით. კაფეში უეცრად გამომეცხადა ჭელიძე და მითხრა, — ბედუკაძეს შენთან შეხვედრა აღარ სურს, ამიერიდან მე უნდა მესაუბროო. ეს მოულოდნელი შეხვედრაც კონფლიქტით დამთავრდა. მოკლედ, მე და ფოფხაძე შანტაჟის მცდლობას პირველად აქ წავაწყდით.

**პირველი რანგის კაპიტანი, ანუ პოლკოვნიკი ვიქტორ ჭელიძე 2006 წლიდან იძებნება სამხედრო პოლიციის მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 323-ე და 399-ე მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების ჯგუფურ მითვისებას, გაფლანგვას,** ▶

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაცხადებ, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების ყველა ქმედება, დაწყებული ბედუკაძესთან ურთიერთობით და დასრულებული ევროსტრუქტურებსა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობით, იყო მხოლოდ ზნეობრივი, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი.**

# ვინ და რატომ ებრძვის «ობიექტივს»

**თან — არაერთგზის. ასევე, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სამხედრო ქონების წესის დარღვევას.**

ვიქტორ ჭელიძე, მისივე განცხადებით, 1991 წლიდან მსახურობდა ეროვნულ გვარდიაში (ჩოლოყაშვილის ბატალიონში). ჩემთან შეხვედრისას განმიცხადა, რომ ხელმძღვანელობდა ამ ბატალიონს, რაც ტყუილია. აფხაზეთის ომში მონაწილე ჩემი ვეტერანი მეგობრები მას მხოლოდ ნეგატიურად ახასიათებენ.

საინტერესოა ფაქტი, რომ თავის დროზე ვიქტორ ჭელიძე ოქრუაშვილმა რუსეთთან ფარული თანამშრომლობის მოტივით გაათავისუფლა. საინტერესოა ისიც, რომ თავად ვიქტორ ჭელიძე, საქართველოდან გაქცევის შემდეგ, აბსოლუტურად უდანაშაულოდ თვლიდა თავს და ხელისუფლებისგან მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვდა: მისთვის მოესმინათ, თუნდაც იმიტომ, რომ 2004 წელს, აჭარის მოვლენების დროს, სწორედ მე ჩავშალე პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმაო, ანუ ჭელიძე რევერანსს უკეთებდა სააკაშვილს, — მე ოქრუაშვილმა აღმიძრა საქმე, გამომაგდო სამსახურიდან და შენ კი ჩემი ვალი გაქვს, მე შენზე თავდასხმა აღვკვეთე და ახლა მომისმინეო. მოკლედ, ჭელიძეს პრეტენზია უშუალოდ სააკაშვილთან არასდროს ჰქონია.

**ინფორმაციის შეკრების პროცესში დამიკავშირდნენ ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები, რომელთა ვინაობასაც საჭიროების შემთხვევაში დავასახელებ. ეს ადამიანები ჭელიძეს ახასიათებენ, როგორც თაღლითს, რომელიც შეკრული იყო კრიმინალურ დაჯგუფებებთან და საზღვარგარეთ, კონკრეტულად, ესპანეთსა და ბრიუსელში მცხოვრებ (შედარებით შეძლებულ) ქართველებს სხვადასხვა ფორმით ატერორებდა. ბელგიის პოლიციამ ჭელიძე, როგორც ამბობენ, სწორედ ნაქურდალი ნივთების შენახვის ბრალდებით დააკავა.**

**ჭელიძესთან ჩემი პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი, რომ იგი ამ საქმეში სრულიად მიზანმიმართულად გაჩნდა. დღეს კი მაქვს ინფორმაცია, რომ ჭელიძე ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის დავალებებს ასრულებს.**

## რა დავალება ჰქონდა ჭელიძეს

ბედუკაძისთვის ჭელიძემ კეთილი გულშემატკივრის როლი მაღალ დონეზე ითამაშა და, საბოლოოდ, ბატონი ლადო არა მარტო ბლადაძეს, არამედ მე და გიორგი ფოფხაძესაც დაგვიპირისპირა. **ჭელიძე ბედუკაძეს ეუბნებოდა, საქართველოს მთავარმა პროკურორმა ზოდელავამ რომ თქვა, ამ საქმეში 2 მილიონია გადახდილიო, ეს სიმართლეაო. ხან არწმუნებდა, — ეს ფული რუსებმა გადაიხადესო, ხან უმტკიცებდა, — ბიძინამ გადაიხადაო. შენ გმირი ხარ, დაფნის გვირგვინი უნდა დაგადგან და ფულადი ჯილდო მოგცენ, ამათ კი 2 მილიონი აიღეს და შენ „გადაგაგდესო“.**

**ჭელიძეს მარტივი დავალება ჰქონდა: მას ბედუკაძე ბრიუსელის სარჩელიდან უნდა „ჩაეხსნა“ — ამ შემთხვევაში სააკაშვილი და სხვანი სასჯელს გადაურჩებოდნენ.** გარდა ამისა, ჭელიძეს ბედუკაძე უნდა წარმოეჩინა, როგორც პიროვნება, რომელიც ალოგიკურ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს და, აქედან გამომდინარე, სანდო მოწმედ არ გამოდგება. კიდევ ერთი ამოცანა „ობიექტივის“ კომპრომეტირებაა.

## მითი ორი მილიონის შესახებ

**ბედუკაძემ, ეტყობა, კარგად ვერ გაიგო, თუ რა თქვა მთავარმა პროკურორმა. ზოდელავამ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრმა თამაზ თამაზაშვილმა ორი მილიონი გადაუხადა ციხის თანამშრომლებს, რათა მათ პატიმრები ეწამებინათ და ეს ყველაფერი ვიდეოფირზე აღებეჭდათ. ბედუკაძემ, ეტყობა, კარგად ვერ გაიგო, რომ ამ თანამშრომლებში იგი თავადაც მოიაზრებოდა.**

თამაზაშვილი რომ სრულიად უდანაშაულო იყო, ეს ბედუკაძემაც კარგად იცოდა; ამ საქმეში რომ 2 მილიონის გადამხდელი არავინ იყო, ბედუკაძეს ესეც უნდა სცოდნოდა. ვიდეოფირები რომელიმე ბიზნესმენისთვის რომ გვეჩვენებინა, ჯერ ერთი, შიშით ხომ გული გაუსკდებოდა, მეორეც, — პროვოკატორებად ჩაგვთვლიდა, იფიქრებდა, რომ ვაჭერინებთ, და მესამეც — ჩვენში ეჭვი რომც არ შეპარვოდა, ამ საქმეში მონაწილეობას მაინც არ მიიღებდა, რადგან ეს სიცოცხლისთვის საშიში იყო. გარდა ამისა, სააკაშვილის რეჟიმს უკლებლივ ყველა ბიზნესმენი დიდი ხანია ტერორში ჰყავდა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი აღარ ებმებოდნენ.

**რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას კადრებს თუნდაც იმიტომ ვერ ვაჩვენებდით, რომ მის ირგვლივ ყველაფერი ისმინებოდა, იწერებოდა და ვიდეოფირზეც აღიბეჭდებოდა. ამიტომ კადრების ჩვენება მისთვის ვერ მოხერხდებოდა. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ივანიშვილი ამ საქმეში არ მონაწილეობდა; მას არცერთ გამოსვლაში არ უხსენებია არც „ობიექტივი“, არც ირმა ინაშვილი და, საერთოდ, ამ საქმეზე კომენტარიც არ გაუკეთებია. უფრო მეტიც, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ „მეცხრე არხზე“ ჩვენი მხარდამჭერი არც ერთი სიუჟეტი არ მომზადებულა.**

ვფიქრობ, ბედუკაძე ახლა მაინც უნდა ხვდებოდეს, რომ ორი მილიონის ამბავი სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეთხზული მითია.

## სარჩელის ჩაშლა

აღსანიშნავია, რომ ჭელიძემ ბედუკაძეზე წარმოუდგენლად დიდი გავლენა მოიპოვა. **ჭელიძემ ბედუკაძე არამხოლოდ ბლადაძეს, ფოფხაძეს და მე, არამედ ლაფანაშვილს და ლომიასაც კი გადაამტერა. ეს გასაკვირი და გასაოცარია, რადგან ამ ადამიანებს ბედუკაძე არც ერთხელ არ დაუღალატებია და მრავალი თვის განმავლობაში ედგნენ გვერდით. მეტიც, ჭელიძემ ბედუკაძე ადვოკატ ამრანთანაც დააპირისპირა, ანუ სწორედ ის შეასრულა, რაც დავალებული ჰქონდა.** ჭელიძე ბედუკაძეს ადვოკატთან დაჰყვებოდა და ადვოკატის ნათქვამს ბედუკაძეს განზრახ არასწორად უთარგმნიდნენ. საბოლოოდ, ბედუკაძემ ღიად დაიწყო ადვოკატის შეურაცხყოფა ინტერნეტსივრცეში. ადვოკატთან ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა, სარჩელი ჩაიშალა. ადვოკატ ამრანს მიაჩნია, რომ ამგვარი ქმედებებით მისი საქმიანი რეპუტაცია შეილახა და, როგორც ჩემთვის ცნობილია, სათანადო რეაგირებასაც აპირებს.

## რეჟიმის მხრიდან კონტროლირებადი მედია და ბედუკაძის თემა

**ბედუკაძის გვერდით ვიქტორ ჭელიძის აღმოცენების შემდეგ, სააკაშვილ- მერაბიშვილის სტრუქტურებმა „ობიექტივის“ წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს. ამ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო როგორც თავად ჭელიძე, ისე სააკაშვილის დასაყრდენი მედიის ნაწილი.** ამიტომაც ემთხვევა დროში ვიქტორ ჭელიძის ბრალდებების ტირაჟირება („ობიექტივის“ წინააღმდეგ) და ვანო მერაბიშვილის განცხადებები, ციხის კადრებთან დაკავშირებით. ვიმეორებ: ამ კამპანიაში ყველა ის მედიასაშუალებაა ჩართული, რომლებსაც მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი ახლაც აკონტროლებენ.

დააკვირდით ფაქტს: მას შემდეგ, რაც საქართველოში დავბრუნდი, არც ერთ ტელეარხს (გარდა „ინფო 9“-ისა) გადაცემაში არ მივუწვევივარ. ბეჭდური მედია ძირითადად ბედუკაძისა და ჭელიძის განცხადებებზე მთხოვდა კომენტარს, თუმცა ახლა ვითარება ცოტათი გამოსწორდა.

ჟურნალისტმა ეკა ასათიანმა ყველა ჟურნალისტური სტანდარტის დარღვევით „კვირის პალიტრაში“ დაკვეთილი სტატია დაბეჭდა, რომელიც საფუძვლად გამოიყენა ტელეკომპანია „იმედმა“ და ფართო ასპარეზი მისცა ბედუკაძისა და ჭელიძის ცრუ ბრალდებებს.

**დააკვირდით: მსჯელობა და კამათი მიდის არა პატიმართა წამებაში ეჭვმიტანილ ახალაიაზე, მერაბიშვილსა თუ სხვებზე, არამედ რატომღაც აქტუალურია მოწმე ბედუკაძისა და თაღლითი ჭელიძის ცრუ ბრალდებები „ობიექტივის“ წინააღმდეგ.**

## ბოლო შეხვედრა ბედუკაძესთან

**ბრიუსელიდან წამოსვლამდე ერთი დღით ადრე ბედუკაძე ადვოკატ ამრანს ჩავაბარეთ. ადვოკატის თანდასწრებით ბედუკაძეს ბინის დასაქირავებლად გარკვეული თანხა გადავეცით.** ბედუკაძე ამ შეხვედრაზეც ჭელიძესთან ერთად მოვიდა. ადვოკატს მოვთხოვე ბედუკაძის გარემოცვის შესწავლა და მოწმისთვის ბელგიის ფედერალური პოლიციის მხრიდან დაცვის უზრუნველყოფა. ამას დაადასტურებს როგორც ადვოკატი ამრანი, ისე ჩემი კოლეგა გიორგი ფოფხაძე.

## გულსატკენი უსინდისობა

მინდა ზოგიერთ ჩემს კოლეგას შევახსენო, რომ, როცა ჟურნალისტი იმ ტიპისა და მნიშვნელობის ფაქტობრივი მასალის მოპოვების შესაძლებლობის წინაშე დგება, როგორიც იყო პატიმართა წამების ამსახველი კადრები, ის ვალდებულია, ყველა ზომას მიმართოს ამ მასალის მოსაპოვებლად და გასავრცელებლად. არ ვიცი, ვინ რას იგულისხმებდა „ყველა ზომაში“. მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ წამების ამსახველი კადრები ჩვენ პატიოსანი და ზნეობრივი გზით მოვიპოვეთ და გავავრცელეთ.

**ვაცხადებ, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების ყველა ქმედება, დაწყებული ბედუკაძესთან ურთიერთობით და დასრულებული ევროსტრუქტურებსა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობით, იყო მხოლოდ ზნეობრივი, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი.** ამ ვითარებაში გაოგნებული ვარ, როცა ზოგიერთი ჟურნალისტი და არაჟურნალისტი ლამისაა დამნაშავედ მაცხადებს და მუდმივად ეძებს „შავ კატას ნათელ ოთახში“ მაშინ, როდესაც ეს კატა ამ სრულიად ნათელ ოთახში არ არის.

**ქრისტეს სწავლებით, შური კაცობრიობის დაავადებაა. ასე მგონია, ჩვენს ქვეყანაში ამ დაავადებამ ეპიდემიის სახე მიიღო. ეს მადარდებს და გულს მტკენს. უმადურებს მინდა ავუხსნა: ეს საქმე რაიმე ეტაპზე რომ „გამსკდარიყო“, მე და მასში მონაწილე ჩემს თანამებრძოლებს ისეთი წამებით ამოგვხდიდნენ სულს, კალიგულას წამებები მონაგონი იქნებოდა. უბედურება არ ასცდებოდათ ჩვენი ოჯახების წევრებსაც.**

ამიტომ პირდაპირ გეტყვით, რომ ძალზედ ნაადრევად მიმაჩნია, მოითხოვოთ ჩემგან დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება, გამომდინარე ჩემი, ჩემი ოჯახის და ჩემი თანამებრძოლების უსაფრთხოებიდან. ჩემი შვილები ერთხელ უკვე გავწირე; როცა ბედუკაძის შვილებს თურქეთში ვაცილებდი, ჩემი შვილები საქართველოში სრულიად დაუცველნი რჩებოდნენ... ვისაც გონება აქვს, უნდა მიხვდეს. **გმირობას არ ვიჩემებ, ჩემი საქმე და ჩემი გზა მაქვს. ფაქტია, რომ პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელებით სააკაშვილის რეჟიმი გატყდა და არჩევნებში ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა.**

## ვინ არის ბედუკაძე – გმირი თუ ჯალათი?

**ბედუკაძე გმირია თუ ჯალათი? — ამ კითხვას უფრო ვრცლად ვუპასუხებდი, რომ არა ბედუკაძესთან შექმნილი დაძაბულობა და კონფლიქტი, რომელიც, საბოლოოდ, მისივე ხასიათიდან გამომდინარეობს.**

უამრავი პატიმარი ამბობს, რომ ბედუკაძეს იგი არ უწამებია, მას კარგად ეპყრობოდა; ასევე ძალიან ბევრი პატიმარი ამბობს, რომ ბედუკაძე პატიმრებს საერთოდ არ აწამებდა. ამავე დროს, **დღეისათვის გამოჩნდა რამდენიმე პატიმარი, რომლებიც პირადად ბედუკაძეს ადანაშაულებენ წამებაში. მაგალითად, მსჯავრდებულები: რატი რეხვიაშვილი, თამაზ რასოიანი, დავით და გიორგი მამულაშვილები. ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ვიდეომასალა, რომელშიც პატიმრები ასევე ადანაშაულებენ ბედუკაძეს.** აქედან გამომდინარე, კვლავ ისმის კითხვა: აწამებდა თუ არა ბედუკაძე პატიმრებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოძიების პრეროგატივაცაა და ვალდებულებაც. მე კი არ მინდა, რომ ვინმემ მიკერძოებულობაში დამდოს ბრალი, ამიტომ ზოგადი და უკამათო მოსაზრებებით შემოვიფარგლები.

უპირველესად, აღვნიშნავ, რომ **ასი კაცი სიკვდილს რომ გადაარჩინო და ერთი აწამო, მაინც დამნაშავე ხარ; შენ რომ არ გსურდეს და სხვისი ბრძანებითა და ძალდატანებით ადამიანი აწამო, მაინც დამნაშავე ხარ; ხელფასის ან ავადმყოფი მეგობრის გადასარჩენად ან თუნდაც შვილის სიცოცხლის შესანარჩუნებლად კაცი რომ აწამო, მაინც დამნაშავე ხარ; მეტიც, სამშობლოს გადასარჩენად რომ აწამო კაცი, მაინც დამნაშავე ხარ!** ეს სიტყვები ისე არ გაიგოთ, რომ ბედუკაძეს რამეში ვადანაშაულებ; მე მხოლოდ ზოგად პრინციპებზე ვსაუბრობ, ხოლო ბედუკაძის დამნაშავეობა-უდანაშაულობის დადგენა გამოძიების პრეროგატივაა.

რაც შეეხება გმირობას: კაცი, რომელიც ვიდეოკამერით იღებდა არასრულწლოვანი ახალგაზრდის ხელკეტით გაუპატიურებას და ამასთან, ვიდეოკამერის წინ ეკითხება ამ ახალგაზრდას: „ხარ მოტ...ული?!“, არის კი გმირი? კაცი, რომელიც თვლის, რომ სულიერად ავადმყოფს უკანალში ცოცხს თუ შეურჭობ, გაუპატიურება კი არა, დაცინვაა, არის კი გმირი?

**ხმამაღლა ვაცხადებ: ბედუკაძესთან ჩვენ რომ არ გვემუშავა, იგი დღესაც ციხეში იმუშავებდა და წამების ამსახველ კადრებს ძველებურად გადაიღებდა, ხოლო ვანო მერაბიშვილი დღესაც პრემიერ-მინისტრი იქნებოდა.**

**კვლავ ვამბობ: ბედუკაძესთან მუშაობას ჩვენ განვიხილავდით, როგორც ცოდვების გამოსყიდვის შანსს მისთვის. თანაც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბედუკაძე, როგორც თავად ამტკიცებდა, მარტოდენ ვიდეოოპერატორი იყო.**

## ბედუკაძის პრეტენზიების უსამართლობა

**ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ აბსოლუტურად ყველა შეთანხმება, რომელიც კი არსებობდა გიორგი ლომიას, ჩემს თუ ჩემი გუნდის სხვა წევრებსა და ბედუკაძეს შორის, პირნათლადაა შესრულებული. ბედუკაძის პრეტენზიები უსაფუძვლო და გაუგებარია.** საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ყოველთვის პირნათლად ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს ჩვენი მეგობრების, თანამებრძოლებისა და პარტნიორების წინაშე. ამ თვალსაზრისით, არც ბედუკაძეა გამონაკლისი.

**მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ჩვენ არ ვებრძვით ბედუკაძეს, არც ვებრძოდით და არც მომავალში ვაპირებთ მასთან ბრძოლას. ბედუკაძე გვებრძვის, მაგრამ ესმის კი რატომ გვებრძვის? ჩვენ მასთან არაფერი გვაქვს არც გასაყოფი და არც საბრძოლველი. დარწმუნებული ვარ, რომ ბედუკაძის ბრალდებები სინამდვილეში ბედუკაძის ბრალდებები კი არა, ჭელიძისა და მის უკან მდგომი ძალების ცილისწამებებია.** მათ სურთ, რომ ბედუკაძე ბრმა იარაღად აქციონ და უდანაშაულო ადამიანების კომპრომეტირებაში ჩააბან. **დაუფიქრდით: ხვალ, შესაძლოა, ბედუკაძეს რომელიმე ყოფილ, პატიოსან და უდანაშაულო პატიმარზე ათქმევინონ, რომ ის ე.წ. ნასედკა იყო, ან რომ იგი ხელკეტით გააუპატიურეს, მაშინ, როდესაც მსგავსი არაფერი მომხდარა.** კიდევ ერთხელ ვურჩევ ბედუკაძეს, რომ გონს მოეგოს და სიმართლის მხარეს დადგეს.

**ირმა ინაშვილი**,
**მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი.**

**„სწორედ ჩვენი „შეურიგებელი“, „რადიკალური“ ოპოზიციის დამსახურებაა ის, რომ 2007-2008 წლების მოვლენების შემდეგ, სააკაშვილი ისევ „პრეზიდენტია“, მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ცნობილი იყო: 2008 წლის არჩევნები სააკაშვილმა ტოტალურად გააყალბა, რაშიც მთავარი როლი თვით ქალბატონმა ბურჯანაძემ ითამაშა, რომელიც იმ პერიოდში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ!“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გივი ბერძენიშვილი:

# უნდა ვაიძულოთ სააკაშვილი, რომ მის მიერ დამხობილი ძეგლები თავისივე ხარჯით უკან დააბრუნოს!



**რამ გამოიწვია აყვავებული საქართველოს დაცემა-განადგურება გასული საუკუნის 90-იან წლებში? დამეთანხმებით, საკითხი ურთულესია! და მაინც, შევეცადოთ მასზე პასუხი გავცეთ. მე ვესტუმრე ბატონ გივი ბერძენიშვილს — მწერალს, სტალინის ეპოქის თვალსაჩინო მკვლევარს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს, ორი აკადემიის — ენერგეტიკისა და სამხედროს — ნამდვილ წევრს, დავით ალმაშენებლის პრემიის ლაურეატს, და ინტერვიუზე დავითანხმე.**

**— ბატონო გივი, უკვე ოცი წელია, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს (ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით), ჩამოყალიბებას საშველი არ დაადგა, რატომ?**

— სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლა-დაქუცმაცება შესრულდა ზუსტად იმ გეგმის მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებდა ე. წ. **დალესის დოქტრინა**. თუ ნებას მომცემთ, წაგიკითხავთ ამ საინტერესო დოკუმენტიდან ერთ ამონარიდს: **„...უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება, მაწანწალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი, უსირცხვილობა, ნაციონალიზმი, ხალხთა შორის მტრობა, უპირველეს ყოვლისა, რუსი ხალხის მიმართ, — ყველაფერი ეს ოსტატურად და შეუმჩნევლად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით“.**

აბა, ჩაუფიქრდით ამ ნათქვამს და მითხარით, არის თუ არა ეს განხორციელებული დღევანდელ საქართველოში?

**— საიდან დაიწყო ყოველივე ეს, ბატონო გივი?**

— გორბაჩოვმა და მოღალატეთა კასტამ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოდან დაიწყეს. გავიხსენოთ 1990 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც მარტში უნდა ჩატარებულიყო. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა მოახსენა კომპარტიის ცეკას პირველ მდივან გუმბარიძეს, რომ არჩევნებში იმარჯვებს კომპარტია. ეს, რა თქმა უნდა, ცნობილი გახდა გორბაჩოვისთვის. მოსკოვიდან — ზარი გუმბარიძეს: „არ დაუშვათ კომუნისტების გამარჯვება, ჩაშალეთ არჩევნები“ (!).

არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 28 ოქტომბერს. უმაღლეს საბჭოში „მრგვალი მაგიდა“ უმრავლესობით შევიდა. ზვიად გამსახურდია გახდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

შემდეგში მოვლენები დრამატულად განვითარდა:

ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის პირველი პირის თანამდებობაზე მოღვაწეობა დაიწყო ი. სტალინის ბარელიეფის ჩამონგრევით „იმელის“ შენობის ფასადიდან.

**გამსახურდიამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა უარი განაცხადა დსთ-ში შესვლაზე. საქართველო გამსახურდიას დსთ-ში რომ შეეყვანა, ქვეყანა არ დაკარგავდა არც სოხუმს და არც ცხინვალს. და, აი რატომ: დსთ იყო დემოკრატიულ, სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. საქართველო მასში გაერთიანებით არანაირად არ კარგავდა დამოუკიდებლობას. პირიქით, ზუსტად იმ დროს და იმ ვითარებაში დსთ თავისი შეიარაღებული ძალებით იქნებოდა მტკიცე გარანტი მისი ტერიტორიული მთლიანობის.**

**— შევარდნაძის მოღვაწეობას როგორ შეაფასებთ?**

— შევარდნაძემ, თითქოს გამოასწორა გამსახურდიას შეცდომა, ქვეყანა შევიდა დსთ-ში, მაგრამ ეს მოხდა სოხუმის დაკარგვის შემდეგ, როდესაც შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია უკვე რადიკალურად იყო შეცვლილი. თავის მხრივ, **შევარდნაძემ დაუშვა უმძიმესი შეცდომები, რაც გამოიხატა პრივატიზაცია-ვაუჩერიზაციაში, რამაც დასაწყისი მისცა ქვეყნის უზარმაზარი ღირებულებების — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული ძირითადი ფონდების განადგურება-გაჩანაგებას. ამან განუზომლად უფრო დიდი მასშტაბები მიიღო „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.**

**მათ არ დატოვეს ეროვნული სიმდიდრის არც ერთი სტრატეგიული ობიექტი გაუყიდავი, ყიდდნენ მიწებს უცხოელებზე, ქართველ გლეხს კი ტოვებდნენ მიწის გარეშე. ეს იყო ქვეყნის გაყიდვა, ე.ი. სამშობლოს გაყიდვა, გლეხობის სრული მოსპობა!**

...და ჩვენი ქვეყნის ამ დამაქცევარ ქმედებებს ეძახიან „წარმატებულ რეფორმებს და დემოკრატიის აღმაფრენას“.

**— ბატონო გივი, რეფორმირებული პოლიცია არაა პროგრესი?**

— პოლიციის „რეფორმა“ ფორმით იყო მიმზიდველი, შინაარსით კი — უბოროტესი ურჩხული, რომელიც პერმანენტულად იკვებებოდა ქართველი საჯიშე გენოფონდის სიცოცხლით! ასე, მაგალითად: „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, 2004 წლის 23 თებერვალს პატრულმა (რომელსაც მაშინ კანიბალი — ქალაქის პატრულის უფროსი, ვინმე მიქაძე ხელმძღვანელობდა) დიდუბის პანთეონთან ხელაწეული, ოციოდე წლის აბსოლუტურად უდანაშაულო ვაჟკაცი ბუტა რობაქიძე იარაღის მიბჯენით დახვრიტა, რითაც „პირნათლად“ შეასრულა თავისი შეფების — სააკაშვილისა და მერაბიშვილის ბრძანება: „ესროლეთ დამიზნებით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე“.

სააკაშვილისა და მერაბიშვილის მიერ წაქეზებული და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული მაღალჩინოსნები, წახალისებული მერაბიშვილის ცოლის, ვინმე სალაყაიას მიერ, ჩადიან გაუგონარ სისასტიკეს — რესტორნიდან იტაცებენ დედისერთა ქართველ ვაჟკაცს, სანდრო გირგვლიანს, აჰყავთ ოქროყანის სასაფლაოზე და წამებით კლავენ.

პატრულმა უმიზეზოდ ქუჩაში დახვრიტა უდანაშაულო 32 წლის სამი მცირეწლოვანი შვილის მამა გიორგი გამცემლიძე. კორტებთან დახვრიტეს ასევე უდანაშაულო ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი; ქუჩაში დღისით, მზისით, დახვრიტეს აკადემიკოსი გურამ შარაძე და ა.შ. და ა.შ.

**ქუჩაში დახვრეტილ უდანაშაულო ახალგაზრდათა რაოდენობა 140-ს აღწევს.**

**არც ერთი მკვლელი სათანადოდ არ დასჯილა!**

„პოლიციის წარმატებული რეფორმის“ შედეგად ქართული პოლიცია გახდა ძირფესვიანად პოლიტიზირებული და უსაზღვრო უფლებებით აღჭურვილი. იგი ახორციელებდა ტოტალურ კონტროლს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებსა და მის ხელმძღვანელებზე, ასევე საზოგადოების ყველა წევრზე. ტელეფონებით ისმინებოდა ყველა და ყველაფერი. ყოველივე ეს მოითხოვდა უნიკალურ ტექნიკურ, ძვირადღირებულ საშუალებებს, რაც დაკავშირებული იყო კოლოსალურ საბიუჯეტო ხარჯებთან. თუმცა შსს-ს მილიარდიან ბიუჯეტს სახსრების ხარჯვაში პრობლემები არ შექმნია, იგი ხელგაშლილად იძენდა უახლესი ტიპის, მიტინგებისა და თავყრილობების დასარბევ საშუალებებს: ხელკეტებს, ცრემლმდენ გაზმფრქვევ მანქანა-დანადგარებს, მძლავრი წყლის ჭავლის მანქანა-აგრეგატებს, ძალიან მტკივნეულ და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ რეზინისა და პლასტმასის ტყვიამფრქვევებს, რაც მათ 2007 წლის დემონსტრაციის დარბევისას გამოიყენეს.

**განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 2011 წლის 26 მაისს დატრიალებული „ბართლომეს ღამე“, რომლის დროსაც ადამიანების სისხლზე დაგეშილმა მანქურთებმა, ასობით დემონსტრანტი ფიზიკურად და მორალურად გაანადგურეს, დაასახიჩრეს, დააინვალიდეს, ღირსება აჰყარეს, სიცოცხლე მოუსპეს!..**

მერაბიშვილის „რეფორმირებული“ პოლიციის მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულთა ნუსხას ტომები დასჭირდება! ეს უწყება, რომლის დანიშნულება-მოვალეობაა მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა, თვითონ გადაიქცა იმავე ადამიანების უდიდეს საფრთხედ! შედეგად, ადამიანებში დაისადგურა უსაშველო, საკუთარი სიცოცხლის დაუცველობით გამოწვეულმა შიშის გრძნობამ...

სააკაშვილ-მერაბიშვილის პოლიციურმა რეჟიმმა ქვეყანა გადააქცია ერთ დიდ უზარმაზარ ციხედ, სადაც სიკვდილმისჯილი პატიმრები ცხოვრობდნენ!

**— ბატონო გივი, თქვენი აზრით, ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი?**

— ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა სრული სიმართლით აღნიშნა, რომ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო სააკაშვილმა 2008 წლის 7 აგვისტოს, რამაც გამოიწვია აბსურდული ცილისმწამებლური გამოხდომები მაშინდელი ოპოზიციის მხრიდანაც, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, ძნელია, გადააჩვიო ოპოზიცია, როგორც იტყვიან, „იმის“ ჭამას.

აი, რა წერია ეუთოს მისიის დასკვნაში, რომელსაც ქართული მხარეც აწერს ხელს: **„2008 წლის 7 აგვისტოს 23 სთ. და 35 წუთზე მიხეილ სააკაშვილმა ბრძანება გასცა, გაეხსნათ საარტილერიო ცეცხლი მძინარე ქალაქ ცხინვალის მიმართულებით, რასაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი როგორც სამშვიდობო მისიის შემადგენლობაში, ასევე მშვიდობიან მოსახლეობაში. ამ თავისი ქმედებით მ. სააკაშვილმა ჩაიდინა დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ“ (!).**

მან ომის პირველივე დღეს მიატოვა ფრონტის ხაზი, ჯარისკაცები, ბრძოლის ველი, სტუმარი — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი და თავქუდმოგლეჯილი გაქანდა თბილისისკენ, ანუ იქცა ქართული ჯარის №1 დეზერტირად; ამ ლაჩარს, როგორც ტრიუმფატორს, შეხვდა ქალაქი... ამ შეშინებულმა ვირთხამ ომი მოგებულად გამოაცხადა და, მიტოვებული დაჭრილი და დახოცილი ჯარისკაცების ფონზე რუსთაველის გამზირზე ტაშფანდური გამართა!.. საინტერესოა, მსოფლიო ისტორიაში სადმე მომხდარა ასეთი რამ?! ის კი ვიცი, რომ დეზერტირებს ასამართლებენ სიკვდილის განაჩენით. უცნაურად იქცევა ამ დროს ჩვენი „სახელოვანი ოპოზიციაც“. იმის ნაცვლად, რომ დარაზმოს ხალხი, დააპატიმროს მოღალატე „მთავარსარდალი“, გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს, ქ-ნი ნინო ბურჯანაძე და დავით გამყრელიძე მორატორიუმს აცხადებენ, ლევან გაჩეჩილაძე კი მხარდაჭერას უცხადებს დეზერტირს და ამბობს: ჩემს პრეზიდენტს არავის დავაჩაგვრინებო.

ასე თუ ისე, **სწორედ ჩვენი „შეურიგებელი“, „რადიკალური“ ოპოზიციის დამსახურებაა ის, რომ 2007-2008 წლების მოვლენების შემდეგ, სააკაშვილი ისევ „პრეზიდენტია“, მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ცნობილი იყო: 2008 წლის არჩევნები სააკაშვილმა ტოტალურად გააყალბა, რაშიც მთავარი როლი თვით ქალბატონმა ბურჯანაძემ ითამაშა, რომელიც იმ პერიოდში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ!**

გაყალბებული არჩევნებით მოვლენილი „პრეზიდენტი“ ნამდვილი შეურაცხადი გახდა. მისი ყველა ქმედება მიმართული იყო ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. აფექტში მყოფმა, საზღვარგარეთიდან ბრძანება გასცა და დათქმულ ვადაზე 2 დღით ადრე, როცა ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული უსაფრთხოების კედელი, ააფეთქებინა ქართველთა დიდების მემორიალი, რომელიც იყო არქიტექტურის გენიალური ნიმუში და არა მარტო ქუთაისის, არამედ სრულიად საქართველოს სავიზიტო ბარათი.

ამ ვანდალურმა ქმედებამ ორი უმანკო არსების, დედაშვილ ჯინჭარაძეების, სიცოცხლე შეიწირა. ამ ბოროტების ჩამდენს სხვა ქვეყანაში განზრახ მკვლელობის მუხლით გაასამართლებდნენ!!!

**— რას იტყვით, პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე?**

— პარლამენტის გადატანა ქუთაისში, რომლის შენობა, როგორც აცხადებენ, 400 მილიონამდე დაჯდა, დანაშაულია! საინტერესოა, ვინ გასცა ყოფილი პარლამენტის შენობის ვანდალური დარბევა-განადგურების ბრძანება, ვინ აგებს ყოველივე ამ უმსგავსობაზე პასუხს? საინტერესოა, რას ფიქრობს სააკაშვილი, როცა ასე უდიერად ექცევა სახალხო ქონებას და ქვეყნის ბიუჯეტს, რომელზეც დამოკიდებულია საქართველოს მოსახლეობის არსებობის, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. როგორ შეიძლება ქვეყნის ბედზე დაფიქრებულმა ხელისუფალმა უყაირათოდ ხარჯოს ბიუჯეტი, როცა მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა და უსახლკაროდაა დარჩენილი?!

ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტის სასახლის მშენებლობაზე გაწეული კოლოსალური სახსრები — 800 მილიონი ლარი. არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა; ასევე პარლამენტის შენობა ქუთაისში — 400 მილიონი ლარი; „მშვიდობის ხიდი“ — 75 მილიონი; პრეზიდენტის თვითმფრინავი — 65 მილიონი.

შევაჯამოთ: 800+400+75 +65=1 მილიარდ 370 მილიონ ლარს. ამ თანხით დაახლოებით 65 ათასი ოჯახის საცხოვრებელი პირობების მოგვარება შეიძლებოდა!

**— როგორ შეაფასებთ სააკაშვილის ბრძოლას ძეგლებთან?**

— იმ პირობებში, როცა მსოფლიოს თითქმის ყველა ქალაქში პერმანენტულად მიმდინარეობს იოსებ სტალინის ძეგლებისა და ბიუსტების დადგმა და რესტავრაცია, ფსიქიკურად მოშლილმა, დეგრადირებულმა სააკაშვილმა სტალინის ძეგლი ბელადის სამშობლოში დაამხო! ეს არ გაუკეთებია, არ უკადრებია თვით ხრუშჩოვსაც კი! აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ თვეში, როცა სააკაშვილმა გორში იოსებ სტალინის ძეგლი დაამხო, სტალინს ამერიკაში, ლოს-ანჯელესში ძეგლი დაუდგეს მოკავშირეების მიერ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის წლისთავზე.

სააკაშვილმა კი საქართველოში არ დატოვა სტალინის არც ერთი ძეგლი დაუმხობელი. რა ჰქვია ამას, თუ არა დანაშაული!

**ქართველმა საზოგადოებამ უნდა აიძულოს სააკაშვილი, რომ მის მიერ დამხობილი ძეგლები თავისივე ხარჯით უკან დააბრუნოს!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სასურველია, თეა წულუკიანმა ბევრი ისაუბროს, რადგან ბევრ შეცდომას უშვებს. დღეს, როცა ძიება მიმდინარეობს, გამოდის იუსტიციის მინისტრი და ბაჩო ახალაიას დამნაშავედ აცხადებს. ეს არის მისი, როგორც მინისტრის, მხრიდან ზეწოლა გამოძიებასა და სასამართლოზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდება პროკურატურის გავლენისგან.“**

თეა თუთბერიძე:

# შემიძლია თავი დავდო, რომ პატიმრების ცემა და წამება არ ხდებოდა



**„როდესაც ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარეს ვუსმენდი, ნამდვილად შემრცხვა და მივხვდი, რომ ისეთი მართლმსაჯულების ხელში, როგორიც ზურაბ ადეიშვილმა შექმნა იუსტიციის სამინისტროსა თუ პროკურატურაში, კიდევ დიდხანს გაუძლია მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას. მე მივხვდი, რამ გამოიწვია ხალხის უზარმაზარი უკმაყოფილება და რა უსამართლობაზე საუბრობდა ქართველი ხალხი“, — ამბობს თეა თუთბერიძე „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში, თუმცა ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრ ბაჩო ახალაიას უდანაშაულობაში კვლავ მტკიცედაა დარწმუნებული და აცხადებს, რომ ყველა მოწმის ჩვენება მხოლოდ ზეწოლის შედეგია. „საქართველო და მსოფლიოს“ თეა თუთბერიძე ესაუბრება.**

**— ერთადერთი ხართ, ვინც ბაჩო ახალაიას ასე აქტიურად უჭერს მხარს მისი დაპატიმრების შემდეგ. რას იტყვით იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც მის წინააღმდეგ არსებობს საქმეში და, როგორც მთავარი პროკურორი აცხადებს, უახლოეს დღეებში ახალი მოწმეები გამოჩნდებიან?**

— პროკურატურა მოწმეებზე ზეწოლას ახორციელებს. ახლახან მე წარვუდგინე ჟურნალისტებს ბაჩო ახალაიას თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმის, მანუჩარ დარასელიას, ვიდეომიმართვა. ის აცხადებს, რომ, ყალბი ჩვენების მიღების მიზნით, მასზე განხორციელდა ზეწოლა პროკურორ ხარებავას, გამომძიებლისა და პოლიციელების მიერ და ჩვენებაზე მას ხელი მოაწერინეს. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ მოწმის ჩვენებას ემყარება ბრალდების ვარაუდი, თითქოს ბაჩო ახალაიამ ზვიად აბესაძეს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა.

ასევე, მინდა ვთქვა, რომ **შეიარაღებული ძალების მე-4 ბრიგადა გადაიქცა ერთ დიდ საგამოძიებო ოთახად, სადაც ყოველდღიურად მიმდინარეობს ჯარისკაცების დაკითხვები და სადაც მათ ჩვენების მიცემას აიძულებენ. ჯარისკაცები მიჰყავთ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში — „სამართალი და თავისუფლება“, სადაც მათზე ხორციელდება ზეწოლა.**

**— აცხადებთ, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ყველა მოწმე მხოლოდ ზეწოლის შედეგად აძლევს ჩვენებას. რის საფუძველზე ამბობთ ამ ყველაფერს, რატომ უნდა დაგიჯეროთ საზოგადოებამ?**

— ნუ დამიჯერებთ, მაგრამ სასამართლო პროცესზე ცხადი იყო, რაც ხდებოდა, ბრალდების მხარეს არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია, გარდა მოწმეების ე.წ. ჩვენებებისა. ამ ადამიანებს რომ ჰქონოდათ რაიმე ინფორმაცია ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ, 6 ნოემბრამდე ჩუმად არ იქნებოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს მოქმედება, რაც ბაჩო ახალაია საქართველოში დაბრუნდა.

**— რას ცვლის თარიღი? წინა ხელისუფლების დროს ხომ, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო, ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ვინმეს ჩვენება მიეცა?**

— ეს ბევრ რამეს ცვლის. წინა ხელისუფლების დროს გამოძიების იმედი რომ არ ჰქონდათ, გასაგებია, მაგრამ ეს ხელისუფლება მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებას კვებავდა ინფორმაციით, რომ ბაჩო ახალაია მკვლელი, სადისტი და ჯალათია და ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ საკმაო პერიოდი გავიდა.

**— 6 ნოემბერს სულ რაღაც ერთი თვე იყო გასული...**

— ერთი თვე არაა მცირე დრო. გამოძიება დაწყებულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბაჩო ახალაიამ 5 ნოემბერს გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი. **ხელისუფლება დაიბნა, რადგან დაინახა, რომ ბაჩო დაიწყებდა ლაპარაკს ჟურნალისტებთან და ყველა იმ კითხვაზე გასცემდა პასუხს, რომლებიც საზოგადოებაში არსებობდა მის საქმიანობასთან დაკავშირებით. ხელისუფლებას შეეშინდა, რომ დაინგრეოდა მის მიერ შექმნილი მითი, რომ ბაჩო ახალაია ჯალათი და სადისტია.**

**— როგორც ვიცი, კიდევ აპირებთ აქციების გამართვას ბაჩო ახალაიას მხარდასაჭერად, მიუხედავად იმისა, რომ მაიაკოვსკის ძეგლთან გამართულ აქციაზე მხოლოდ ერთი ქალბატონი მივიდა, ხოლო საქალაქო სასამართლოსთან ოციოდე კაცი შეიკრიბა. რა შედეგს ელოდებით მაშინ, როცა ხალხის მხარდაჭერა არ გაქვთ?**

— ის ფაქტი, რომ სასამართლოს გარეთ რამდენიმე ადამიანმა დავიჭირეთ პლაკატები, არ ნიშნავს, რომ იმდენივე ვიყავით სასამართლოზე. ძალიან სასაცილოა, თუ ასე გაშუქდა ეს ყველაფერი. სასამართლო პროცესზე დასასწრებად უამრავი ადამიანი მოვიდა.

**— თქვენ ბაჩო ახალაიას დაპატიმრება ეროვნული ინტერესების შეურაცხყოფად შეაფასეთ, თუმცა ფაქტია, რომ ხელისუფლებამ წააგო არჩევნები და წააგო მისი შეცდომების გამო. ვინ უნდა აგოს პასუხი ამ შეცდომებზე? ყოფილი ხელისუფლების ნებისმიერი წევრის დაჭერას ამიერიდან ეროვნული ინტერესების შეურაცხყოფად და პოლიტიკურ დევნად შეაფასებთ?**

— არა, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ თურმე ბაჩო ახალაიას დაუქცევია ქვეყანა და მასზე დიდი დამნაშავე ქვეყანაში არ ყოფილა. არადა, **მან ხელისუფლებაში ყველაზე დიდი საქმე გააკეთა, კრიმინალური ავტორიტეტები დაამარცხა, რომლებიც, ფაქტობრივად, მართავდნენ ციხეს. ქვეყანაში შემცირდა დანაშაული.** ახალაიას წინააღმდეგ გამოსვლები და შავი პიარი კი სწორედ კრიმინალური ავტორიტეტების ახლობლებმა დაიწყეს და, სამწუხაროდ, კრიმინალური მენტალიტეტის მატარებელმა ე. წ. ადამიანის უფლებების დამცველებმა და პოლიტიკოსებმაც აუბეს მათ მხარი, მაგრამ, თუ ვინმე ფიქრობს, რომ იმ ფორმით, როგორიც ჩვენ გავრცელებულ ვიდეოკადრებში ვნახეთ, შეიძლება ებრძოლო ქვეყანაში ქურდულ სამყაროს, მას ამ უკანასკნელზე წარმოდგენაც არ ჰქონია.

**— ეჭვი შეიტანეთ ციხის კადრების ნამდვილობაში, ანუ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი დადგმულია და ციხეებში პატიმრების წამება და გაუპატიურება სინამდვილეში არ ხდებოდა?**

— მინდა გითხრათ, რომ ცოცხით გაუპატიურების კადრი დადგმულია. თავადაც თქვა ლადო ბედუკაძემ, რომ ეს იყო პატიმრის დაცინვა და არა გაუპატიურება, მაგრამ, თუ ეს კადრი დადგმულია, რატომ უნდა ვიყო დანარჩენი ორი ვიდეოს ნამდვილობაში დარწმუნებული, რომლებშიც ვხედავთ, როგორ სცემენ პატიმარს და დუბინკით აუპატიურებენ? **რაც შეეხება ჩანაწერს, რომელშიც შორიდან ჩანს კარანტინის დაშლის კადრები, სამწუხაროდ, ეს გვიჩვენებს, რომ ციხეებში ადგილი ჰქონდა ადამიანების ამ ფორმით ცემას.** თუმცა ასევე შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო და შეგიძლიათ ბევრ უფლებადამცველს ჰკითხოთ, 2005-2009 წლებში ასეთი რამ არ ხდებოდა.

**— ზუსტად უფლებადამცველები აცხადებენ, რომ ხდებოდა მსგავსი ფაქტები.**

— როდესაც დაიწყო კრიმინალთან ბრძოლა, დასაწყისში, შესაძლოა, იყო ძალის გამოყენების შემთხვევები, თავს ვერ დავდებ, რომ ყველა შემთხვევაში ეს ძალა ყოველთვის ადეკვატური იყო, მაგრამ ისეთი ცემა, როგორიც ვნახეთ ამ ვიდეოკადრებში, არ ხდებოდა.

**— საუბარი მხოლოდ პატიმრების ცემაზე არ არის. რა ვუყოთ პეტრე ოვანოვის წერილს, რომელიც მან ციხიდან გამოაგზავნა, რომელშიც შველას ითხოვდა და აცხადებდა, რომ „დუბინკით“ გააუპატიურეს? რა ვუყოთ კახა თედლიაშვილის წერილს, რომელიც ციხიდან იწერებოდა, რომ აწამებდნენ და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და ის ერთ კვირაში მართლაც გარდაიცვალა? წამებაზე საუბრობდა ლიკა ნატრიაშვილიც, რომელიც ასევე ციხეში გარდაიცვალა. უამრავი ასეთი ფაქტი შეიძლება ჩამოვთვალოთ. რას იტყვით ამ ადამიანებზე, ყველა ტყუოდა? ვიდეოკადრების გავრცელებამდეც ხომ არსებობდა ინფორმაცია, ბოლო-ბოლო არსებობდა სახალხო დამცველის დასკვნა, რომელსაც არავინ აქცევდა ყურადღებას?**

— 2008 წლის შემდეგ რა ხდებოდა, ამაზე თავს არ დავდებ, რადგან ციხეებში შესვლის უფლება აღარ მქონდა, თუმცა ყოველთვის მიმაჩნდა, რომ პატიმრის ნაამბობი არ შეიძლება აპრიორი ირწმუნო, როგორც სიმართლე. სამწუხაროდ, სახალხო დამცველს არ აქვს გამოძიების წარმოების უფლება და ისიც მხოლოდ პატიმრების ნაამბობს ეყრდნობა.

**— აქტიურად იცავთ ბაჩო ახალიას, მართავთ აქციებს, პრესკონფერენციებს, რატომ არ აპროტესტებდა ასე აქტიურად აქამდე უფლებადამცველი თეა თუთბერიძე სხვა პატიმრების მდგომარეობას?**

— უფლებადამცველობა არ ნიშნავს ბრმად ვიღაცების მხარდაჭერას, ხოლო **ბაჩო ახალაია რაში შეიძლება იყოს ან არ იყოს დამნაშავე, ვიცი, რადგან მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რა გაუკეთებია, ხოლო პატიმრები რასაც ყვებოდნენ, ვერ ვირწმუნებდი.** რატომღაც ჩემი ასეთი დამოკიდებულება აღიქმებოდა, თითქოს მე არ ვიცავდი ადამიანის უფლებებს. თუ ადამიანის უფლებების დაცვა იმას ნიშნავს, რომ, რასაც პატიმარი გეუბნება ან ციხიდან გწერს, გამოხვიდე და ამტკიცო, რომ ეს ასეა, ბოდიში, მაგრამ მე ამ კატეგორიის ადამიანებს არ მივეკუთვნები.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ არ აწამებდნენ პატიმრებს და ციხის წამების ვიდეოკადრებიც ყალბია?**

— მე ვამბობ, რომ შემიძლია თავი დავდო, პატიმრების ცემა და წამება არ ხდებოდა, როდესაც ბაჩო ახალაია იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი. მას ციხეების მართვისთვის კი არა, არაფრისთვის არ ეცალა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი უახლოესი მეგობარი იყო, სულ ოთხჯერ ვნახე ბოლო პერიოდში. ბაჩოს შემდეგ ვინც დარჩა სასჯელაღსრულების სამინისტროში სამუშაოდ, ვმეგობრობდი მათთან და მეუბნებოდნენ, რომ რაღაცები არ იყო ისე, როგორც საჭიროა და მათი ინფორმაციით, ვიღაცების მიმართ ხდებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, მათი მხრიდან ამაზე საუბარს ისე აღვიქვამდი, რომ უბრალოდ, არ მოსწონდათ ახალი ხელმძღვანელი.

**— და მაინც, როგორც მთავარი პროკურორი აცხადებს, თუ უახლოეს დღეებში ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ უტყუარი მტკიცებულებები აღმოჩნდება?**

— ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ თუ აღმოჩნდება უტყუარი მტკიცებულებები, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **მზად ვარ, ბაჩო ახალაიასთან ერთად, მეც ვაგო პასუხი. ამ მოწმეების ჩვენებები არაფერს ნიშნავს. პროკურატურას მოუწევს უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა.** თუ მათი საქმეები მხოლოდ ვიღაცების მონაყოლზე იქნება აგებული, ასე მეც შემიძლია მოწმედ გამოვიდე ალასანიასა და წულუკიანის წინააღმდეგ.

## «მზად ვარ, ბაჩო ახალაიასთან ერთად მეც პასუხი ვაგო»

**— იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გადადგომას ითხოვთ, მაგრამ მას თქვენზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს...**

— ჩემზე ბევრად მეტი მხარდამჭერი ჰყავს, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა არჩევნებში. სასურველია, თეა წულუკიანმა ბევრი ისაუბროს, რადგან ბევრ შეცდომას უშვებს. დღეს, როცა ძიება მიმდინარეობს, გამოდის იუსტიციის მინისტრი და ბაჩო ახალაიას დამნაშავედ აცხადებს. ეს არის მისი, როგორც მინისტრის, მხრიდან ზეწოლა გამოძიებასა და სასამართლოზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდება პროკურატურის გავლენისგან.

**— ანუ ადასტურებთ, წინა ხელისუფლების დროს პროკურატურის გავლენას სასამართლოზე?**

— ეს ჩანდა, სამწუხაროდ, იმ საქმეებზე, რომლებითაც დაინტერესებული იყო ხელისუფლება, მაგრამ წინსვლა სასამართლოს კუთხით იგრძნობოდა ჩვეულებრივ საქმეებზე, **სადაც არ იყო ხელისუფლებისა და პროკურატურის ინტერესი იქ აბსოლუტურად მიუკერძოებელი და სწორი გადაწყვეტილებები გამოჰქონდა სასამართლოს.**

**— სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქალაქო სასამართლოსთან ბაჩო ახალაის დასაცავად მისულმა განაცხადეთ: „მრცხვენია, რომ იმ ხელისუფლების წევრი ვიყავი, რომელმაც ასეთი მართლმსაჯულება შექმნაო“...**

— **როდესაც ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარეს ვუსმენდი, ნამდვილად შემრცხვა და მივხვდი, რომ ისეთი მართლმსაჯულების ხელში, როგორიც ზურაბ ადეიშვილმა შექმნა იუსტიციის სამინისტროსა თუ პროკურატურაში, კიდევ დიდხანს გაუძლია მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას. მე მივხვდი, რამ გამოიწვია ხალხის უზარმაზარი უკმაყოფილება და რა უსამართლობაზე საუბრობდა ქართველი ხალხი.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

„დემოკრატიულ პროკურატურაზე" ჟერჟეროზით არაფერს ამბობს გივი თარგამაძე, რომელსაც რეალური შანსი გაუჩნდა, ბაჩოს გვერდით იგემოს თავისუფლება. რუსმა ოპოზიციონერმა ლეონიდ რაზვოზჟაევმა გამოძიებას კონსტანტინე ლებედევის მეშვეობით გივი თარგამაძისგან გადაცემული 3300 აშშ დოლარი გადასცა.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად არის «პარაშა»?!

**გლდანის მე-8 დაწესებულებაში ბაჩო ახალაია სამარტოო საკანშია მოთავსებული. ჟურნალმა „ლიბერალმა" არც აცია, არც აცხელა და „ნომერ პირველ" პატიმართან ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა.**

„საქართველოს ყველაზე ცნობილი პატიმარი, თავდაცვისა და შსს-ს ექსმინისტრი ბაჩო ახალაია იზოლატორში სრულიად მარტოა.

პატარა მაგიდა, რამდენიმე ორსართულიანი საწოლი და პირსაბანი — სულ ესაა, რაც მის საკანში შეგიძლიათ ნახოთ. პატიმარს დაღლილი სახე აქვს, ბევრს ეწევა და დაბალ ხმაზე საუბრობს. ოდნავ წვერი მოუშვია, საწოლის კიდეზე წელში მოხრილი ზის და საუბრისას ცდილობს, არ ჩაეძინოს", – ასე გულის ამაჩუყებლად აღწერს ჟურნალისტი საკნის მკაცრ გარემოს. იყო თუ არა კამერაში ცოცხი, დაზუსტებული არ არის. არც „პარაშის" შესახებ არის რაიმე ნათქვამი.

სამაგიეროდ, „პარაშა" ბაჩო ახალაიას გლდანის ციხეში შესახლებისას დაახვედრეს: პატიმრები ხმამაღალი შეძახილებითა და სალანძღავი სიტყვებით შეხვდნენ ყოფილ მაღალჩინოსანს. ამის შესახებ „ივერონს" გლდანის ციხის ერთ-ერთმა პატიმარმა განუცხადა: „ამის მიზეზი ის ზიზღი და სიძულვილი იყო, რაც ახალაიამ პატიმრებში დაიმსახურა. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ ექცეოდა იგი პატიმრებს და რა დღეში ვყავდით მას. მან ნამდვილად დაიმსახურა, რომ დღეს თვითონაც პატიმარია".

ამ „დამსახურებას" არ იზიარებს ახალაიას ოჯახი, მისი თანაკლასელები, თეა თუთბერიძე, ნორჩი დეპუტატი მარიამ საჯაია და თავად ბაჩანა. ეს უკანასკნელი ჟურნალ „ლიბერალის" კითხვას –აქვს თუ არა სასამართლოს იმედი, ასე უპასუხებს: „არა! ძალიან გაბედული მოსამართლე უნდა იყოს, რომ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება მიიღოს. ცოტა პარადოქსულ რამეს გეტყვით. როცა ვბრუნდებოდი, მეგონა, რომ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალება მექნებოდა. თუნდაც აი ასე, ჟურნალისტებთან. ჩემზე ხომ ბევრი რამ ვრცელდებოდა, ის ბრალდებები, რითაც დამაკავეს, გაგიგიათ? გსმენიათ? ყველა დანარჩენ ბრალდებაზე მე კონკრეტული პასუხი მაქვს, ვინმემ შეიძლება ზოგი რამ გადაცდომად ჩათვალოს, მაგრამ კრიმინალი არსად არ იყო. ჩემი დაკავება რომ პოლიტიკური მოტივითაა ნაკარნახევი, ადვილი მისახვედრია. ავიღოთ ბოლო ერთი წელი, რამდენ კონტექსტში მახსენეს უარყოფითად! ალასანიამ უშიშროების საბჭოს გადასცა სიები, თითქოს უკანონო ბანდფორმირებების. ეს ერთ-ერთი უმსხვილესი ბრალდება იყო. სად არის ახლა ის სიები? იქ კონკრეტული გვარები იყო ჩამოთვლილი. გეხსომებათ ბრალდება, რომ ბინებში გატანილი გვაქვს იარაღი და სისხლისღვრას ვაპირებდით. სად არის ის ბინები? სად არის სისხლისღვრა? სად არის მტკიცებულებები?"

მარიამ საჯაიას, როგორც ჩანს, დედამ – ყოფილმა დეპუტატმა „ნაციონალური მოძრაობისგან" – ნაზი არონიამ დაუწერა „აღშფოთების წერილი", რომელშიც ნათქვამია: „დანის ტარი ჩაარტყა თავში"; „წაართვა მანქანა და 2 დღეში უკან დაუბრუნა"; „ჯარს აიძულა ეყვირა – გაუმარჯოს მე-4 ბრიგადას"! სასამართლო პროცესზე გაჟღერდა ეს ბრალდებები იმის ფონზე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალაიასგან შექმნეს სადისტი კრიმინალის სახე. ბრალდების მხარის პოზიცია ადასტურებს, რომ არ არსებობს სამართლებრივი დევნის რეალური საფუძველი".

ბრალდების მხარე, უფრო სწორად, მისი „პირველი ნომერი" – არჩილ კბილაშვილი კი საკუთარ პოზიციას საპირისპიროდ აფიქსირებს: **„რა ეპიზოდიც გახდა მათი დაკავების საფუძველი, ეს სრულიად საკმარისი იყო დასაკავებლად, მაგრამ ეს ერთადერთი არ არის. მეორე დღეს საზოგადოებამ მოისმინა ახალი ეპიზოდის შესახებ. ორშაბათს კიდევ ახალ ეპიზოდს მოისმენთ. ეპიზოდების უამრავი რაოდენობა არის",** — განაცხადა კბილაშვილმა. ორშაბათს ნორა კვიციანის განცხადება გახდა ცნობილი: **„ორთაჭალის ციხეში ბუნტი რომ მოხდა, ჩემი სიძე გიორგი ავალიანი იქ იჯდა. მას ერთ-ერთმა ნიღბიანმა ყელში წაუჭირა ხელი და ახრჩობდა. გიორგიმ ნიღაბი ჩამოგლიჯა და ბაჩო ახალაია შერჩა ხელში! ისე სცემეს, რომ სამი ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, ჯანმრთელობა გაუნადგურეს, დღესაც „რესპალნიცაზე" წევს".**

ეპიზოდებს რა გამოლევს ამ სერიალში, მაგრამ ბაჩანას დამცველები მაინც თავისას გაიძახიან: **„ყოვლად გაუგებარი და აბსოლუტურად აბსურდული ბრალდების საფუძველზე ბაჩო ახალაია დაპატიმრებულია, რაც თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ ეს არ არის მართლმსაჯულების განხორციელება. ეს გახლავთ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ მიზანმიმართულად გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის დასაკმაყოფილებლად",** — ნათქვამია ახალაიას ოჯახის განცხადებაში. შემდგომ ბაჩოს „მრწამსის, ბუნების, მსოფლმხედველობისა და ხასიათის" ქება-დიდება მოდის, ბოლოს კი – „მადლობა იმ უამრავ ადამიანს, რომელიც ამ დღეებში ჩვენ გვერდით გვიდგას და გვამხნევებს. მადლობა თქვენ, რომლებიც ბაჩოსადმი კეთილგანწყობამ მოგიყვანათ სასამართლო პროცესზე დასასწრებად შორი თუ ახლო მანძილიდან, სამეგრელოდან, თბილისიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (თუმცა დარბაზმა ვერ დაგიტიათ), და რომელთა შორის უმეტესობა ჩვენთვის სრულიად უცნობი სახეები იყავით".



**სამარტოო საკანში ბატონკაცურად გაჯგიმულ ბაჩო ახალაიას მალე შეიძლება სხვა „უდანაშაულო" თანამოაზრეებიც შეუერთდნენ და მაშინ მისი ყოფა აღარც უსაფრთხო იქნება და აღარც ასეთი უდრტვინველი**

ამ ზეაწეული წერილის ავტორებიც კი მიხვდნენ, რომ მეტისმეტად შეტოპეს და ერთი სიმართლე თავადვე თქვეს: „საკუთარი ოჯახის ქება რომ უკადრისი საქციელია, ყველამ იცის". თუმცა „თავმდაბლობის" შემოტევა აქვე დაუსრულდათ და იმავე ტონალობაში განაგრძეს: „მხოლოდ ერთში გვენდეთ: ბაჩო ახალაიას და მთელი ჩვენი ოჯახის წინააღმდეგ აგორებული კამპანია და მისი დაპატიმრება უკეთური მიზნით უკეთურ წრეში არის დაგეგმილი და არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან".

ჭეშმარიტებასთან არაფერი აქვს საერთო არც იმ მიმართვას, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა ბაჩო ახალაიას სახელით: „შეწყვიტეთ მოწოდებები ჩემი გათავისუფლების მოთხოვნით. ნუთუ ვერ ხვდებით, თუ რატომ ვარ მე დღეს აქ, სადაც ვარ?! ბაჩო ახალაია ის კაცი არ არის, რომ ჩეჩნების და ქურდების შეეშინდეს და ამიტომ თავის ნებით მიადგეს პროკურატურას. წლების განმავლობაში ყველაფერი ვილონე, რომ გავქცეოდი ერთადერთ არსებას, სად არ ვცადე მისგან დამალვა, მაგრამ მივხვდი, რომ ალქაჯი თუთბერიძისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ჩემი ციხეში ჩაჯდომა იყო (მე თქვენ გეტყვით, გამიჭირდებოდა). ამიტომ მივედი ჩემი ფეხით პროკურატურაში. როგორც იქნა, ვიგრძენი თავისუფლების გემო, ის აღარ დამდევს, აღარ მითვალთვალებს, აღარ მესმის მისი შემზარავი ხმა. გაიგეთ, რომ მე გარეთ არ გამოვალ, მეღირსა მშვიდი ცხოვრება! ვარ თავისუფალი, როგორც ჩიტი (ჩიორა არა)!

ახლა გლდანის ციხეში ვზივარ ნეტარი და ლაღი. მითხრეს, რომ თუთბერიძე აპირებს ციხესთან მოსვლას და კივილ-წივილს, რათა გამომიშვან. მოვუწოდებ ადამიანთა უფლებების დამცველებს: არ დაუშვათ ასეთი ფაქტი, დაიცავით ჩემი უფლებები! მზარავს ყველაფერი, ამ ვამპირთან დაკავშირებული! ძირს მოძალადე თუთბერიძე! კმარა თუთბერიძე, კ მ ა რ ა ! გაუმარჯოს დემოკრატიულ პროკურატურას!"

**„დემოკრატიულ პროკურატურაზე" ჟერჟერობით არაფერს ამბობს გივი თარგამაძე, რომელსაც რეალური შანსი გაუჩნდა, ბაჩოს გვერდით იგემოს თავისუფლება. რუსმა ოპოზიციონერმა ლეონიდ რაზვოზჟაევმა გამოძიებას კონსტანტინე ლებედევის მეშვეობით გივი თარგამაძისგან გადაცემული 3300 აშშ დოლარი გადასცა.** ამის შესახებ რაზვოზჟაევი საკუთარ ჩვენებაში წერს. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის მტკიცებით, ოპოზიციონერმა ჩვენება ნებაყოფლობით მისცა. ეს სიმართლეს უნდა ჰგავდეს, რადგან 10 გვერდზე წვრილად ნაწერი სწორედ ავტორის მონდომებასა და ნებაზე მეტყველებს. ლეონიდ რაზვოზჟაევს, კონსტანტინე ლებედევსა და სერგეი უდალცოვს რუსეთში მასობრივი არეულობის მზადებაში ადანაშაულებენ. გამოძიების ვერსიით, 2012 წლის ივნისში ისინი მინსკში გივი თარგამაძეს დაფინანსებასთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად შეხვდნენ.

**რუსმა ოპოზიციონერმა ლეონიდ რაზვოზჟაევმა გამოძიებას კონსტანტინე ლებედევის მეშვეობით გივი თარგამაძისგან გადაცემული 3300 აშშ დოლარი გადასცა**

სამარტოო საკანში ბატონკაცურად გაჯგიმულ ბაჩო ახალაიას მალე შეიძლება სხვა „უდანაშაულო" თანამოაზრეებიც შეუერთდნენ და მაშინ მისი ყოფა აღარც უსაფრთხო იქნება და აღარც ასეთი უდრტვინველი; „ნაცმოძრაობის" ელიტა ხომ საკუთარი მარცხის მიზეზად სწორედ მის „თავგანწირულ მოღვაწეობას" მიიჩნევს! და მერე არ დაიწყოთ ისევ „სად არის მტკიცებულებებიო"! მთელი საქართველო, ერთი მუჭა „ნაცების" გარდა, ფეხით მოსიარულე მტკიცებულებები ვართ და არ მოგვიყვანოთ, დამწკრივდით და თქვენი ფეხით მიბრძანდით ბაჩოს აპარტამენტებში!

ისე, „პარაშა" სად არის მაინც? ამათ დასაჯდომი ადგილი ხომ უნდათ?!

**თამარ დავითულიანი**

---

მსოფლიო

## «ისლამის უცოდველობის» პროდუსერს ერთი წელი მიუსაჯეს

**კალიფორნიის სასამართლომ სკანდალურ ფილმ „ისლამის უცოდველობის" პროდუსერს ნაკულა ბესლი ნაკულას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელი მან ვადაზე ადრე გათავისუფლების წესების დარღვევისთვის მიიღო.**

ნაკულა ბესლი ნაკულას, რომლის ნამდვილი სახელი **მარკ ბესლი იუსუფია**, 2011 წელს თაღლითობისთვის 21 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ 2012 წლის ივნისში ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების ერთ-ერთი პირობა იყო პოლიციის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ინტერნეტის და ფსევდონიმის გამოუყენებლობა.

**კალიფორნიაში მცხოვრები ეგვიპტელი კოპტი მარკ ბესლი იუსუფი 2012 წლის 27 სექტემბერს ვადაზე ადრე გათავისუფლების წესების დარღვევის გამო დააპატიმრეს.** გამოძიებამ დაადგინა, რომ მან ფსევდონიმის გამოყენების აკრძალვა არაერთხელ დაარღვია, მათ შორის სკანდალურ ფილმზე მუშაობისას. მარკ ბესლი იუსუფს ბრალდება რვა პუნქტით წაუყენეს. დანაშაული მან მხოლოდ ოთხი პუნქტით აღიარა.

**2012 წლის სექტემბერში ფილმ „ისლამის უცოდველობის" ინტერნეტში განთავსებულმა ფრაგმენტებმა მუსლიმანურ ქვეყნებში საპროტესტო ტალღა და სხვადასხვა ქვეყანაში აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობაზე შეტევა განაპირობა. ფილმი წინასწარმეტყველი მუჰამედის ალტერნატიულ ისტორიას ყვება და მუსლიმანების დაცინვას შეიცავს.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღია წერილი ბატონ გიორგი ოჩიაურს

# არ გეკადრებათ, ბატონო გიორგი!



**ბატონო გიორგი!**

**მინდა გამოვხატო თქვენ მიმართ დიდი პატივისცემა და მადლიერება თქვენ მიერ შექმნილი თვალსაჩინო და შთამბეჭდავი შემოქმედებითი ნამუშევრების გამო. მე გული დამწყდა, უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვა, გული ჩამწყდა, როცა თქვენ დაგინახეთ პარლამენტის სხდომაზე „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლებს შორის (დავიჯერე ის საგაზეთო სტატია, რომელშიც ეწერა, რომ თქვენ თითქოს აღარ აპირებდით ამ ჯგუფთან ერთად ე.წ. ოპოზიციაში ყოფნას). განმაცვიფრა თქვენმა შენიშვნებმა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, კერძოდ იმან, რომ ის, თქვენგან განსხვავებით, თურმე ვერ ამჩნევს იმ დიდ მიღწევებს, რომელთაც ამტკიცებს საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები. ყველაზე მეტად კი გული მატკინა იმან, რომ თქვენ, შემოქმედი ადამიანი, სიძულვილითა და ზიზღით უყურებდით ყველა დროისა და ქვეყნის შეუდარებელ და განუმეორებელ ქველმოქმედს — ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის ღვაწლის ჩამოთვლა ამ წერილში შეუძლებელია (ამ ჩამონათვალს მთელი წიგნი მიუძღვნა „ნაციონალურმა მოძრაობამ" არჩევნების წინ, ოლონდ თითქმის ყველაფერი თავის თავზე მიიწერა. იხილეთ წიგნი „ახალი საქართველო").**

## მთელი საქართველო გადაიქცა საპატიმროდ და მასში მცხოვრები ადამიანები უვადო პატიმრობის საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით

**არ გეკადრებათ, ბატონო გიორგი!** შეიძლება ეს იმით მოგდით, რომ რეალობას მოწყვეტილი ხართ და მწირი ინფორმაცია გაქვთ იმის შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. გთხოვთ, ნაკლებად დაუჯეროთ თქვენს გარემოცვას და გააკეთოთ ჯანსაღი ანალიზი, რაც მოხდა ამ 9 წელიწადში: **იცით თუ არა თქვენ, რომ მოსახლეობის 35% სიღარიბის ზღვარზე და 45% კი ზღვარს ქვემოთ იმყოფება? (ამდენი მათხოვარი საქართველოში არასდროს ყოფილა!) ამ პერიოდში სამუშაოს საძებნელად და ოჯახის შესანახად ქვეყნიდან გავიდა მილიონზე მეტი ადამიანი. 2003 წლისთვის იმერეთში ცხოვრობდა 700 ათასი ადამიანი, ახლა 266 ათასი ცხოვრობს, კახეთში იყო 405 ათასი, ახლა 250 ათასია, გურიაში იყო 143 ათასი, ახლა 76 ათასია, სამეგრელოში 464 ათასი იყო, ახლა 266 ათასია და ა. შ. ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის ნახევარზე მეტი უმუშევარია; იძულებით გადაადგილებულთა დიდი ნაწილი საცხოვრებელი ფართის გარეშეა, 300 ათასზე მეტი ოჯახი ბანკის ვალის გამო ბინებიდან გამოსახლების საფრთხის წინაშეა.** გაიზარდა კომუნალური გადასახადები, შემცირდა ან მოიხსნა მთელი რიგი დახმარებები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის; პენსია მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის თვალის ახვევის მიზნით ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შემცირებული, ადამიანის ნორმალური ფიზიკური არსებობისთვის აუცილებელი სურსათის საერთაშორისო ნორმების საფუძველზე გაანგარიშებულ ე.წ. კასტრირებულ, არარეალურ საარსებო მინიმუმსაც კი; განადგურდა მეცნიერება, განათლება, სოფლის მეურნეობა (2-ჯერ შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მოხმარებული სურსათის 80% იმპორტულია, შემოტანილია მონოპოლისტი ჩინოვნიკების მიერ; გაძვირდა სურსათი, მედიკამენტები, ენერგომატარებლები 2-2,5 ჯერ და ზოგი სახეობა მეტადაც (მათი ფასები მნიშვნელოვნად (35-45%-ით) აღემატება აშშ-ის ფასებსაც კი, სადაც საშუალო ხელფასი ჩვენსაზე 8-10-ჯერ მეტია); ჩინოვნიკებისაგან წარმოიშვა ელიტარული, კორუმპირებული ფენა, რომელთა სასახლეები და ბიზნესები შესაბამისად ათეულ და ასეულ მილიონებად არის შეფასებული და მათი ოჯახების ფუფუნებაში ცხოვრებასა და გართობას ეწირება ქვეყნის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი; სასამართლო გადაიქცა პროკურატურის მიერ შედგენილი ბრალდებების დამმოწმებელ ნოტარიუსად (გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 0,01%-ია, მაშინ, როცა სისხლიან 1937 წელსაც კი 7-8% იყო); **სამსახურის დაკარგვისა და მოსალოდნელი შიმშილის შიშით მორალურად გაიხრწნა ახალგაზრდობის ნაწილი, ე.წ. ზონდერები, რომლებიც ხელისუფლების დავალებით არაფრად დაგიდევენ ასაკს, ქალს თუ ბავშვს და უმოწყალოდ, სიკვდილამდე სცემენ ადამიანებს სამოქალაქო, მშვიდობიან აქციებზე;**

დამკვიდრდა არნახული ფარული თვალთვალი და მოსმენები, დევნა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ, მათი და მათი ოჯახის წევრების დათხოვნა სამსახურებიდან, ფართოდ გავრცელდა ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადების გზით ხალხის დაჭერა, გადაივსო ციხეები უდანაშაულო, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანებით (პატიმართა რაოდენობით საქართველო პირველ ადგილზეა ევროპაში, მესამეზე — მსოფლიოში); დაინერგა ადამიანების გაუგონარი მეთოდებით წამება და ა.შ. და ა.შ. **მთელი საქართველო გადაიქცა საპატიმროდ და მასში მცხოვრები ადამიანები უვადო პატიმრობის საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით.**

**ბატონო გიორგი! როგორ დავიჯერო, რომ თქვენი ოცნება სამშობლოს მომავლის მიმართ თანხვედრაში იყო ყოფილი ხელისუფლების მცდელობასთან — საქართველო გადაექციათ სინგაპურად, რომელშიც სახელმწიფო ენა ინგლისურია, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის 15%-ღა არის დარჩენილი, რომელიც ჩამოსული, მდიდარი უცხოელების მომსახურე პერსონალს წარმოადგენს.** სინგაპური ხომ ისეთი ქვეყანაა, რომელშიც სოფლის მეურნეობის პროდუქცია საერთოდ არ იწარმოება და ქვეყანა მხოლოდ იმპორტზეა დამოკიდებული. ქვეყანა, რომელიც გეორგიად (მიწის დამამუშავებლად) იწოდება, სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის, განადგურება და ქვეყნის იმპორტზე სრულად გადაყვანა იყო დაგეგმილი (სოფლის მეურნეობის არაპრიორიტეტულობაზე ღიად ლაპარაკობდა ხელისუფლება სინგაპურით გატაცების პერიოდში. მათი დამოკიდებულება ამ დარგისადმი ჩანს იმითაც, რომ სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი იყო მიზერული თანხა — ბიუჯეტის 1-1,5% წელიწადში; 2010 წელს — 0,44%, ანუ 30,6 მილიონი ლარი!).

საქართველოს სინგაპურიზაციის სურვილი გამოიხატებოდა ინგლისური ენის გაფეტიშებაშიც, ვიზების გამარტივებაში უცხოელი მოქალაქეებისთვის და მათთვის მიწების შესყიდვის ხელის შეწყობაში, დაუსახლებელ ადგილებში ახალი ქალაქების აშენების დაგეგმვასა და მათში საცხოვრებლად უცხოელების მოზიდვაში, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა საქართველოს დემოგრაფიულ სურათზე და ა. შ. ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ამ პროექტს ემხრობოდით (ღვთის შეწევნითა და პატრიოტი ხალხის ძალისხმევით, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გადარჩა!).

**როგორ დავიჯერო, რომ თქვენ ყოველივე ეს მოგწონდათ, ან როგორც შემოქმედ ადამიანს, არ გქონდათ შენიშვნა მაინც ერთი ახირებული ადამიანის გემოვნებით და დაკვეთით დადგმული ე.წ. ქანდაკებების მიმართ? ასევე დედაქალაქის უნიკალურ, ძველ უბანში გაკეთებული შუშის ხიდისა და 2 უზარმაზარი შუშის მილის მიმართ, რომელშიც მუსიკალური კომედიის თეატრის ფუნქციონირებაა დაგეგმილი?** ალბათ, დამეთანხმებით, რომ შუშის შენობებს კარგა ხანია დაემშვიდობა არქიტექტურა, თანაც ძველი ტრადიციული ქალაქისთვის იგი თავიდანვე შეუთავსებელი იყო. ამის მაგალითად პარიზიც საკმარისია, რომლის არა თუ ცენტრში, არამედ არც ერთ ქუჩაში ასეთ შენობებს ვერ ნახავთ, მას ადრევე (როცა მოდაში იყო) მიუჩინეს ცალკე ადგილი — ე. წ. თანამედროვე პარიზად წოდებული უბანი.

**ბატონო გიორგი!**

**ნუთუ თქვენ არ გაეჭვებთ „ქვეყნის წარმატებების განმახორციელებელ", უმაღლესი რანგის ხელისუფალთა ქვეყნიდან გაქცევა? განა ძნელია იმის გააზრება, რომ მათი ე. წ. რეფორმები და მოღვაწეობა კრიმინალთან იყო დაკავშირებული? ამ შესავლის შემდეგ საინტერესოა, პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას ყოფილი ხელისუფლების რომელი წარმატებები გქონდათ მხედველობაში?**

თქვენ, ალბათ, ბიზნესის იოლად დაწყების შესაძლებლობას გულისხმობდით, რითაც ჩვენი პრეზიდენტი რამდენიმე დღის წინ ამაყობდა, რომ, მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, მე-16 ადგილიდან თურმე მე-9 ადგილზე გადავინაცვლეთ. **ბიზნესის დაწყების პროცედურა, საბუთების გაფორმება და უფლების მიღება, მართლაც ძალზე იოლია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ როგორია დაწყებული ბიზნესის შემდგომი ბედი?** სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბიზნესის დიდი უმრავლესობა დატერორებული და დაყაჩაღებულია. ხელისუფლების მიერ ბევრ ბიზნესმენს ან მთლიანად წაართვეს ქონება (ან ზეწოლით აჩუქებინეს სახელმწიფოსთვის), ან ციხეებში ჩაყარეს (ამასწინათ გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიაში მათი ჩამონათვალი ორ გვერდზეც კი ძლივს ეტეოდა, დანარჩენების ვინაობას, ალბათ, შემდგომში შევიტყობთ; დღეს ბიზნესის 95%-ს სახელისუფლო კლანი აკონტროლებს). გასაკვირი არც არის, რომ ასეთი ქვეყანა ინვესტიციებს ვერ მოიზიდავს, ამიტომაც ინვესტიციები საქართველოში ძალზე მცირეა და იგი მნიშვნელოვნად (7-ჯერ) ჩამორჩება აზერბაიჯანს, ჩამორჩება, აგრეთვე, სომხეთსაც. ყოველივე ეს ამუხრუჭებს ეკონომიკის რეაბილიტაციასა და მის შემდგომ განვითარებას, ბუნებრივია შედეგიც: **საქართველო ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლის მიხედვით, მე-11 ადგილზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და იგი უსწრებს მხოლოდ შუა აზიის ყოფილ რესპუბლიკებს. ამით იწონებს თავს ჩვენი ყოფილი ხელისუფლება და ამით ამაყობთ თქვენ?**

მე მინდა სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები და მათი დასკვნები გაგაცნოთ. მოვიყვან რამდენიმე მათგანის შეფასებებს, თუ **როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ და როგორ ვცხოვრობთ:**

— Global Hanger Index-ის კვლევის თანახმად, საქართველო იმ სახელმწიფოთა შორის აღმოჩნდა, რომლებშიც **შიმშილობის საშუალო დონეა** (2010წ.).

ამავე კვლევის შედეგებით, **საქართველო ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს: სომხეთსა და აზერბაიჯანს.**

— გაეროს 2010 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 50% განსაზღვრულ მინიმუმზე (2100 კკალ) ნაკლებს იღებს, ხოლო 35% კი — კრიტიკულ ზღვარზე (1800 კკალ) ნაკლებს, თანაც მათი საკვები რაციონის 60-70%-ს პური წარმოადგენს (ნორმალურ ქვეყნებში რაციონში პურს 12-15% უჭირავს);

— საერთაშორისო ორგანიზაცია OXFAM-ის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 80% ძალზე დაბალი სოციალური პირობების გამო ვერ იძენს საჭირო რაოდენობის, მისი ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ცილოვან პროდუქციას (ხორცს, თევზს, რძის პროდუქტებს) და იძულებულია, იკვებოს (შიმშილი დაიოკოს) შედარებით იაფი (თუმცა 2-ჯერ გაძვირებული) პროდუქტით — პურით და ასევე საეჭვო ვარგისიანობის იაფფასიანი იმპორტული სურსათით, რაც მთელ რიგ სხვადასხვა დაავადებას იწვევს და ფატალური შედეგებით მთავრდება. ყოველივე ამას ადეკვატურად შეესაბამება **ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემები, განსაკუთრებით თვალშისაცემია ბავშვთა სიკვდილიანობა, რითაც ჩვენ ევროპაში პირველ ადგილზე ვართ;**

— HDI-ის (ადამიანის განვითარების ინდექსი) 2011 წლის მონაცემებით, საქართველო განვითარების დონით აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნების 75-ე ადგილზე;

— Low-Income Food-Deficit Countries-ის (დაბალშემოსავლიანი, საკვების დეფიციტიანი ქვეყნები) 2012 წელს გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად, **საქართველო დაემატა იმ 66 ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა შემოსავლები ძალზე მცირეა და აღინიშნება სურსათის მწვავე დეფიციტი.** ამ სიას კი თავი დააღწია ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა: ტუვალუ და ვანუატუ;

— FAO-ს მონაცემებით (2010 წ.), სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსით განხილულ 194 ქვეყანას შორის საქართველო ბოლო ადგილზე აღმოჩნდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა ყველა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყანასაც;

— იმავე ორგანიზაციის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარზე მნიშვნელოვნად ნაკლებია, რაც ყოველწლიურად ეცემა და **საქართველომ უღარიბესი ქვეყნების მე-5 ჯგუფიდან მე-6 ჯგუფში გადაინაცვლა;**

— UNFPA (მსოფლიო მოსახლეობის გაეროს ფონდის) მონაცემებით, 2011 წელს საქართველოს მოსახლეობის 13%-ს (თითქმის 600 ათასი ადამიანი) შეუძლია დახარჯოს დღეში 2 ლარი, მაშინ, როცა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში: სომხეთში ასეთი მოსახლეობის რაოდენობა 4%-ია, აზერბაიჯანსა და რუსეთში კი — 2%; ეს ყველაფერი მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის მილიონობით თანხები იფანტებოდა კონცერტებსა და გასართობ პროგრამებზე, ე. წ. ტაშფანდურზე, მაღალი რანგის ჩინოვნიკებისა და მათი ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ვოიაჟებზე, მრავალათასიანი, უძვირფასესი მანქანების შეძენაზე და ა. შ.

**ბატონო გიორგი!**

მე თქვენ გაგაცანით საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებების მხოლოდ ის ნაწილი (თანაც ზოგიერთი), რომელიც ჩემს პროფესიას ეხება. ამ შეფასებებს მიაღწია ყოფილმა ხელისუფლებამ 9-წლიანი „მოღვაწეობის" შედეგად.

აი, როგორი მემკვიდრეობა ერგო ახალ ხელისუფლებას! ხალხი თქვენი გუნდისგან არა უადგილო შენიშვნებს, უსაგნო კრიტიკას (თანაც დასაწყისშივე) და საბოტაჟს, არამედ მონანიებასა და ქვეყნის სამსახურში ჩადგომას ელოდება.

ვითვალისწინებ რა თქვენს ასაკს, თქვენდამი ჩემს და ქართველი ხალხის პატივისცემას, საერთაშორისო შეფასებებსა და რეიტინგების ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. მგონი, ესეც ბევრი მომივიდა და, ალბათ, გული გატკინეთ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

**პატივისცემით,**

**შოთა ჩხეიძე,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,**
**კვების მრეწველობისა და აგროტექნოლოგიის აკადემიების წევრი,**
**აკადემიკოსი,**
**ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში**

უარყოფითად აღიქმება, აგრეთვე, ასეთ პოსტზე ისეთი ადამიანის დანიშვნა, რომლის მეუღლე კოალიცია „ქართული ოცნება – ბიძინა ივანიშვილის“, ანუ ხელისუფლებაში მოსული პარტიული გაერთიანების, აქტიური წევრია (საარჩევნო შტაბის უფროსი). კანდიდატების შერჩევა უნდა მომხდარიყო უპარტიოების ან ძველი ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი სხვა პარტიების რიგებიდან, ცხადია, შესაბამისი დამსახურებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართული ოცნების» (უფრო ზუსტად, ბიძინა ივანიშვილის) მხარდამჭერის რეპლიკა

**„უმრავლესობის სამივე ფრაქცია შევთანხმდით, რომ ჩვენი კანდიდატი იქნება ნინა ხატისკაცი“, — განაცხადა უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ. ადამიანის უფლებები ჩვენთან ყველაზე მეტად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ირღვევა. ამიტომ სასჯელაღსრულების მინისტრს, სოზარ სუბარს, თავი უნდა შეეკავებინა ნებისმიერი კანდიდატის დასახელებისგან ომბუდსმენის ვაკანტურ თანამდებობაზე. მან კი სწორედ ხატისკაცი დაასახელა ამ ოციოდე დღის წინ. მართალია, ხატისკაცმა მაშინვე უარი თქვა ამ არაოფიციალურ შეთავაზებაზე (თამარ გურჩიანის სასარგებლოდ), მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, სახალხო დამცველის თანამდებობის დაკავების საწინააღმდეგო მას არაფერი ჰქონია. ჩემდა და, ალბათ, ბევრისთვისაც სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ერთხმად(!) იგი შეარჩია პარლამენტში წარსადგენად, რაც, ფაქტობრივად, დანიშვნის ტოლფასია.**


ნინა ხატისკაცი

ახალ ხელისუფლებას თავისი შეხედულებისამებრ რომ გაეკეთებინა არჩევანი მეტნაკლებად მისაღები კანდიდატებიდან, ამაში ცუდს ბევრს ვერაფერს აღმოვაჩენდით, მაგრამ სახალხო დამცველის პოსტზე აბსოლუტურად(!) შეუფერებელი კანდიდატურის წარდგენა, არამარტო მოულოდნელი, არამედ კატეგორიულად მიუღებელიცაა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის!

**ენერგეტიკისა და სხვა მინისტრების დანიშვნას რომ არ ეკითხებიან ხალხს, ამაში არაფერია უცნაური, ასეც უნდა(!) იყოს, მაგრამ ხალხს არ შეეკითხო, თუ ვინ სურს მას საკუთარი თავის დამცველად — „სახალხო დამცველად“, ეს, უბრალოდ, არ ეკადრება „ქართულ ოცნებას“!**

რა მაქვს სიმპათიური ქალბატონის, ნინა ხატისკაცის, საწინააღმდეგო პირადად მე? პირადულად — არც არაფერი! მისი სახელი და გვარი 2012 წლის აგვისტომდე არც გამეგონა, ისევე, როგორც — სხვას. მას გულით თანავუგრძნობდი, როდესაც სამსახურიდან გაათავისუფლეს, და შემდგომშიც, როცა მეუღლე ჟორჟოლიანი, მესტიაში „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსი, დააპატიმრეს წინასაარჩევნოდ.

მაშ, რას ვერჩი ამ პატიოსან ადამიანს? — თითქმის(!) არაფერს. თითქმის იმიტომ, რომ, როდესაც იმ სფეროში წარგადგენენ უმაღლეს(!) თანამდებობაზე, რომელ სფეროშიც საერთოდ არასოდეს გიმუშავნია, თუ ცოტა ჭკუა გიჭრის და სინდისიც გყოფნის, არაფრის დიდებით არ უნდა დასთანხმდე.

გავიხსენოთ ძველი ხელისუფლების მიერ მინისტრებად, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრადაც(!), დანიშნული გოგო-ბიჭები ან სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებად „არჩეული“ შემთხვევითი ადამიანები. **რა განსხვავება იქნება ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის, თუ „სახალხო დამცველად“ ახალიც არა უფლებადამცველს, არამედ „საარჩევნო(!) საკითხებზე“ მომუშავე სპეციალისტს დაგვისვამს?!** აკი, თავად ხატისკაცი აცხადებს: **„საზოგადოებრივი უფლებადამცველი“ – ასეთი სტატუსი არასოდეს მქონია“!** ხატისკაცის შრომითი საქმიანობიდან გამომდინარე, სრულებით არ იქნება მოულოდნელი, თუ მომავალში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედაც ვიხილავთ მას, მაგრამ ახლა — სახალხო დამცველად?! რაღა ეკა ტყეშელაშვილი — საგარეო მინისტრად და რაღა ნინა ხატისკაცი — სახალხო დამცველად!

**ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, დიდი იმედებისა და დაპირებების ასრულების მომლოდინე საზოგადოებას არ შეიძლება დამცველად დაუნიშნო ადამიანი, რომლის სახელი სულ ორჯერ გაიგონა** (მხოლოდ სახელისთვის ხომ არ ჰქვია ამ საპატიო თანამდებობას „სახალხო დამცველი“!)**, და რომელსაც თითქმის არავითარი თეორიული ცოდნა და, რაც მთავარია, უფლებადაცვის სფეროში მუშაობის არავითარი პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია.**

არ შეიძლება ისეთი პირის კანდიდატად წარდგენაც კი, რომლის პოზიცია, პოლიტიკური შეხედულებანი სხვადასხვა მტკივნეულ საკითხზე, კერძოდ, მართლმადიდებლობაზე, ე. წ. უმცირესობებზე და სხვა, ფართო საზოგადოებისთვის აბსოლუტურად უცნობია, რომელსაც სხვა ოთხი კანდიდატის (თამარ გურჩიანი, ლია მუხაშავრია, გელა ნიკოლეიშვილი, დიმიტრი ლორთქიფანიძე) მსგავსად არც ერთ საჯარო გამოსვლასა და დისკუსიაში არ მიუღია მონაწილეობა და არ უპასუხია იმ ხალხის შეკითხვებზე, რომლის დამცველობის პრეტენზიაც თურმე გააჩნია.

**უარყოფითად აღიქმება, აგრეთვე, ასეთ პოსტზე ისეთი ადამიანის დანიშვნა, რომლის მეუღლე კოალიცია „ქართული ოცნება – ბიძინა ივანიშვილის“, ანუ ხელისუფლებაში მოსული პარტიული გაერთიანების, აქტიური წევრია (საარჩევნო შტაბის უფროსი). კანდიდატების შერჩევა უნდა მომხდარიყო უპარტიოების ან ძველი ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი სხვა პარტიების რიგებიდან, ცხადია, შესაბამისი დამსახურებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.**

ოფიციალურად(!) დასახელებული ოთხი კანდიდატურის არგანხილვა პარლამენტში და მხოლოდ ერთზე, არაოფიციალური შეთავაზების მქონეზე შეჩერება, ეს, არსებითად, არა მარტო იმ კანდიდატების დამცირებაა, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გამუდმებით მონაწილეობდნენ საჯარო გამოსვლებსა და შეხვედრებში (სამი მათგანი, გურჩიანის გამოკლებით, განსაკუთრებით კი დიმიტრი ლორთქიფანიძე, აქტიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის, ქუთაისის, ქსნის თუ რუსთავის საპატიმროებში), **ეს შეურაცხყოფაცაა იმ 350 ორგანიზაციისა და დაახლოებით 100 ათასი ხელმომწერის, რომლებმაც სახალხო დამცველად ლია მუხაშავრია, თამარ გურჩიანი, გელა ნიკოლეიშვილი და დიმიტრი ლორთქიფანიძე წარადგინეს! ასეთ არაობიექტურ და საპატივცემულო ხალხის ღირსების შემლახავ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ ველოდი „ქართული ოცნებისგან“! იმედს ვიტოვებ, ამ არასასიამოვნო სიტუაციიდან იპოვის გამოსავალს ბატონი ბიძინა!**

იქნებ, განსაკუთრებული შრომითი ბიოგრაფია აქვს ხატისკაცს ან თავი გამოიჩინა რაიმეთი უკანასკნელ წლებში და ამან განაპირობა სახალხო დამცველად მისი, ყველასთვის მოულოდნელი წარდგენა? ამ მხრივაც ბევრს ვერაფერს ვპოულობთ, თუ არ ჩავთვლით, რომ ოთხი წელი, 2012 წლის აგვისტომდე, მუშაობდა ე.წ. არასამთავრობო კვლევით(!) ორგანიზაციაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ (2000 წელს დაარსებულსა და, რაღა თქმა უნდა, უცხოეთიდან დაფინანსებულში!), რომელიც თურმე მსოფლიოში კორუფციის აღმოსაფხვრელად იღვწის (იმიტომაც მოსპეს!) და ნაწილობრივ საარჩევნო საკითხებსაც აგვარებს (იმიტომაც მოაგვარეს!), და რომლის მეთვალყურე ხელმძღვანელი და დამკვალიანებელი(!) საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ იმ ინსტიტუტის — „ენ-დი-აის“ ყოფილი დირექტორი, რომელსაც დღეს ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი ლუის ნავარო წარმოადგენს! ე. ი. **არათუ ხატისკაცს, არამედ ამ ორგანიზაციას მთლიანად, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, შეხება არ აქვს უფლებადამცველობასთან. გურჩიანის ერთ-ერთ მინუსად მისი, თითქმის მხოლოდ თეორიული საქმიანობა ითვლებოდა, ხატისკაცს კი ეს თეორიული მომზადებაც არ აქვს! მაშინ, როცა დანარჩენ სამს — მუხაშავრიას, ნიკოლეიშვილსა და ლორთქიფანიძეს, შეიძლება ითქვას, ჭიპი აქვთ მოჭრილი ამ სფეროში.**

მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ერთ, ჩემის აზრით, ყველაზე ღირსეულ კანდიდატზე და დამატებით მოკლედ ვიტყვი იმათ გასაგონად, ვინც მას შარს სდებენ ჰომოფობიაში.

რამდენიმე წლის წინათ ვინმეს შეურაცხმყოფელი, გნებავთ, უტაქტოდ ნათქვამი (ხშირად კი, კონტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვები) არ შეიძლება დღეს კაცმა ხელზე დაიხვიო და ხაზი გადაუსვა ამ კონკრეტული პიროვნების დამსახურებას, წლების მანძილზე უშურველად გაღებულ ამაგს, ეს დიდი უმადურობაა. ასეთი სიტყვიერი გადაცდომებისგან არავინაა დაზღვეული და ამის მოწმენი ვართ არა მარტო ჩვენთან, არამედ უცხოეთის დემოკრატიულად წოდებულ ქვეყნებშიც. პირიდან გამოფრენილი ამ კატეგორიის სიტყვები, რომლებზეც „შარის“ მოდება შეიძლება (როცა ამის ძალიან დიდი სურვილი აქვს ვინმეს!), ჰქონიათ პრეზიდენტსაც, დეპუტატებსაც, მინისტრობის კანდიდატებსაც და პრემიერ-მინისტრსაც, მაგრამ არც ერთისთვის ეს არ გამხდარა ხელისშემშლელი მიზეზი არჩევის, დანიშვნის თუ მუშაობის გაგრძელების. **რატომღაც მხოლოდ ლორთქიფანიძეზე მიდიან შტურმით „არასამთავრობოები“, უფრო სწორად, მათი მარჩენალი-პატრონები, რომლებმაც, დიდი ალბათობით, პირდაპირი, უფრო კი, ირიბი ზეწოლა განახორციელეს ახალ ხელისუფლებაზე! სხვაგვარი ახსნა ძალიან ჭირს, რადგანაც დიმიტრი ლორთქიფანიძესავით მომზადებული, განათლებული, წესიერი და ხალხის გულშემატკივარი კაცი სანთლით საძებნელია ყველა პატიოსანი ხელისუფლებისთვის!**

**იაკობ ლეჟავა,**
**7 ნოემბერი, 2012 წ.**

**P.S.** **თუკი ყველაფერში თავის რელსებზე გადაგვიყვანს დასავლეთი, არა მგონია, ეს ჩვენს ქვეყანას წაადგეს!**

## სასიკვდილო ექსპერიმენტები

**იტალიელი კარდიოლოგები პაციენტებზე სასიკვდილო ექსპერიმენტების ჩატარებაში არიან ეჭვმიტანილნი. იტალიის პოლიციამ კარდიოლოგების ჯგუფი დააკავა.** უცხოური მედიის ცნობით, ისინი პაციენტებზე სასიკვდილო ექსპერიმენტების ჩატარებაში არიან ეჭვმიტანილნი. დაკავება სპეცოპერაცია „ჭუჭყიანი ხალათების“ ფარგლებში მოხდა. საპატიმროში ერთი ექიმია გადაყვანილი, დანარჩენ კარდიოლოგებს კი შინა პატიმრობა აქვთ მისჯილი და სახლიდან გასვლა ეკრძალებათ. მათ ბრალი ედებათ თაღლითობაში, საექიმო ეთიკის დარღვევასა და პაციენტების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაში. ექიმები ეჭვმიტანილები არიან გულით ავადმყოფი პაციენტებისთვის დაბალხარისხიანი იმპლანტანტების გადანერგვაში. სპეცოპერაცია „ჭუჭყიანი ხალათის“ ფარგლებში სამართალდამცავებმა 12 სამედიცინო დაწესებულების 67 ექიმი დააკავეს. როგორც იტალიელი სამართალდამცავები აცხადებენ, ექსპერიმენტების შედეგად რამდენიმე პაციენტი გარდაიცვალა. გარდა ამისა, დამნაშავეები ოპერაციებისთვის საჭირო ფულს სადაზღვევო კომპანიების საშუალებით „ათეთრებდნენ“, საიდანაც მოგებამ ერთ მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა.



## ინტერპოლის ხელმძღვანელი ქალი გახდა

**პირველად ინტერპოლის ისტორიაში ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალი გახდა.** რომში ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის პრეზიდენტად ფრანგი პოლიციის კომისარი **მირეი ბალესტრაზი** აირჩიეს. ბალესტრაზი პოლიციის კომისარი 1975 წელს გახდა. მან ცნობადობა ბორდოსა და კორსიკაზე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლით მოიპოვა. 2010 წლიდან 58 წლის ბალესტრაზი ევროპაში ინტერპოლის აღმასრულებელი კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მუშაობდა. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მანიუელ ვალსმა განაცხადა, რომ ბალესტრაზი „იმ ქალებს ეკუთვნის, რომლებითაც ფრანგული პოლიცია ამაყობს“. მისი თქმით, ბალესტრაზს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გამოცდილება ახალ თანამდებობაზე სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში ნარკომოვაჭრეებთან და მაფიასთან ბრძოლაში დაეხმარება.

საქართველო და მსოფლიო
რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ არ შეიძლება სახელმწიფო აკანონებდეს გარყვნილებას, რადგან ჩვენ უძველესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქრისტიანი სახელმწიფო ვართ. ქრისტიანობა ჩვენთან საუკუნეებს ითვლის და, შესაბამისად, იმდენად ძირძველი და ახლობელია საქართველოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, რომ არ შეიძლება გარყვნილების ლეგალიზება."**

# მამა გურამი: ეკლესია მიესალმება, თუ სათამაშო ბიზნესი აიკრძალება

**„საქართველო და მსოფლიოს" ვახტანგ გორგასლის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გურამ გურამიშვილი ესაუბრება.**

**— მამაო გურამ, მთელმა საქართველომ იხილა საქართველოს ციხეებში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრები. ასეთ დროს როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს მორწმუნე ქრისტიანს: უნდა ამხილოს ჯალათები თუ უნდა გაჩუმდეს?**

— ვფიქრობ, მართლაც შემაძრწუნებელი ფაქტები ვიხილეთ. აღმოჩნდა, რომ საქართველოს ციხეებში, წლების მანძილზე პატიმრებს აწამებდნენ და ეს ყველაფერი მხოლოდ ახლა გამოაშკარავდა. როდესაც ასეთი ფაქტი ხდება, საზოგადოებამ მყისიერად უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული ადამიანი ხატება და მსგავსებაა ღვთისა და ღვთის ქმნილების შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს. ამიტომ ის, ვინც ასე შეურაცხყოფს ადამიანს, ამით უფალსაც შეურაცხყოფს.** ძალადობა დაუშვებელია და, რაც მოხდა, ეს მარტო ერთი კაცის კი არა, მთელი ერის შეურაცხყოფა იყო. ამიტომ განსაკუთრებით მივესალმები იმ ფაქტს, რომ ძალადობის წინააღმდეგ ახალგაზრდებმა ასეთი პროტესტი გამოხატეს.

**— საზოგადოების ნაწილი სასულიერო პირებსაც ადანაშაულებდა უმოქმედობაში. ვინაიდან თქვენ ხშირად გქონდათ პატიმრების ნახვის შესაძლებლობა, ფლობდით ინფორმაციას პატიმრების წამების შესახებ...**

— ჩვენ არ ვრჩებით მარტო პატიმართან, როგორც ეს ტრადიციულად აღსარების დროს ხდება. მოძღვარი და პატიმარი ერთმანეთს ხვდებიან სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, სადაც მათ საუბარს ციხის თანამშრომლები კამერით იღებენ და ისმენენ. ამიტომ ეს არ არის აღსარება, რადგან აღსარება საიდუმლოებაა, რომელიც მხოლოდ ღვთისა და მოძღვრის წინაშე ცოდვების აღიარებას ითვალისწინებს. ამას საპყრობილეში პატიმარი მოკლებულია. ასე რომ, ასეთ დეტალებზე პატიმრები მოძღვართან ვერ საუბრობენ. **ყოფილა შემთხვევები, როდესაც პატიმარს უთქვამს, რომ სცემეს ან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ასეთ შემთხვევებზე საპატრიარქო საკუთარ პოზიციას ყოველთვის გამოხატავდა. უწმინდესსაც არაერთხელ მიუმართავს ხელისუფლებისთვის და უთქვამს, რომ არ შეიძლება პატიმრების ცემა, დამცირება, წამება.**

ერთადერთი ისღა გვრჩება, ვანუგეშოთ პატიმარი, ლოცვისკენ, მართალი ცხოვრებისკენ მოვუწოდოთ, მაგრამ შეუძლებელია, პატიმარმა გულწრფელად ისაუბროს საკუთარ თავზე, რადგან მან კარგად იცის, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ მის მოძღვართან არ საუბრობს. **ვერც ვეუბნებით პატიმრებს, რომ გულწრფელები იყვნენ. უნდა ითქვას, რომ ესეც პატიმრების უფლებების შელახვაა და არამარტო მათი, ასეთი ფაქტები სასულიერო პირების შეურაცხყოფაცაა.**

**— მამაო, სასულიერო პირებს ხშირად ადანაშაულებენ აგრესიულობაში. ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლა გამორიცხავს თუ არა ძალადობას?**

— მართალია, სასულიერო პირები ვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ ეკლესიაში უნდა ვილოცოთ და საკუთარი პოზიცია არ უნდა გამოვხატოთ. ვინაიდან, გარდა იმისა, რომ სასულიერო პირები ვართ, ჩვენ ამ ქვეყნის შვილებიც ვართ, გვყავს ოჯახები და გვინდა, ჩვენი შვილები ღირსეულ ქვეყანაში იზრდებოდნენ, ღვთისმოშიშები იყვნენ და ქვეყანაში გარყვნილების პროპაგანდა არ მიმდინარეობდეს. ჩვენ ვალდებულებიც კი ვართ, ჩვენი პოზიცია გამოვხატოთ, ოღონდ ზომიერების ფარგლებში. **ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ არ შეიძლება სახელმწიფო აკანონებდეს გარყვნილებას, რადგან ჩვენ უძველესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქრისტიანი სახელმწიფო ვართ. ქრისტიანობა ჩვენთან საუკუნეებს ითვლის და, შესაბამისად, იმდენად ძირძველი და ახლობელია საქართველოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, რომ არ შეიძლება გარყვნილების ლეგალიზება.** მახსენდება, რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა ამერიკელმა თქვა, მე საქართველოში ისეთი ძველი სახლი ვნახე, რომ ჩემი ქვეყანა არ არის ამ ხნისო.

**— როგორია ეკლესიის ხედვა ხელისუფლების დამნაშავე წევრების მიმართ?**

— საკუთარი ცოდვების გამო, ღვთის წინაშე ყველა ადამიანი პასუხს აგებს. **დამნაშავე ხელისუფალს, რომელიც ამა თუ იმ თანამდებობაზე იმყოფებოდა და ბოროტად იყენებდა თავის სამსახურეობრივ მდგომარეობას, ვფიქრობ, საკადრისი პასუხი უნდა მიეზღოს. ყველა ფაქტი უნდა იყოს გამოძიებული და ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს.** უნდა გვახსოვდეს, რომ იმქვეყნად მაინც ყველაფერი მოგვეკითხება. მჯერა, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ქვეყანაში კანონიერება დამკვიდრდება.



**«ჩვენ შეუწყნარებლობას ვერავინ დაგვწამებს, საქართველო თავისი ტოლერანტობით გამორჩეული ქვეყანაა»**

**— მამაო, თქვენ დაუსჯელობის სინდრომი ახსენეთ, ქრისტიანულად ყველას მიეტევება, ვინც მოინანიებს, ეს დაუსჯელობის სინდრომის განვითარებას არ გამოიწვევს?**

— ადამიანს, რომელიც გულწრფელად ნანობს ჩადენილ ცოდვებს, უფალიც მიუტევებს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული და ამას არც აღიარებენ, არ ინანიებენ. არსებობს ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული, რომელიც აღსარებაში უნდა მოინანიოს ადამიანმა და არსებობს ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული, როდესაც დამნაშავემ კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი.

**—სხვა სასულიერო პირებთან ერთად, რამდენიმე ხნის წინ, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხს აპროტესტებდით, თუმცა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეჩეთის აშენებას არც ახალი ხელისუფლება ეწინააღმდეგება. რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ბათუმში აზიზის მეჩეთის მშენებლობა?**

— **ტაო-კლარჯეთში უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენის სანაცვლოდ, საქართველოში რომ მეჩეთები ავაშენოთ, არასწორი იქნება. ეს ყველაფერი ვაჭრობას ემსგავსება. მითუმეტეს მიუღებელია აზიზის მეჩეთი, ვინაიდან აზიზი იყო დამპყრობელი და ქართველთა სისხლის მსმელი. ბათუმში აზიზის მეჩეთის მშენებლობა იგივე იქნება, თბილისში რომ შაჰ-აბასის ან ჯალალ-ედ-დინის სახელობის მეჩეთები ავაშენოთ. ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები ისტორიული ძეგლებია, რომლებიც სასწრაფოდ შველას ითხოვს და ამით ვაჭრობა გაუმართლებელია.** ჩვენი ხელისუფალი სხვა ქვეყნის ინტერესებს კი არ უნდა ატარებდეს ქვეყანაში, არამედ საკუთარი ხალხის ინტერესებით უნდა მოქმედებდეს და ქართული ძეგლების გადარჩენას ცდილობდეს.

**— ამ შემთხვევაში, მეჩეთის აშენება სხვა ქვეყნის ინტერესების გატარებას ნიშნავს?**

— რა თქმა უნდა. იმის გამო, რომ სხვა ქვეყნის ხელისუფალი ასიამოვნო, ქვეყანაში მეჩეთი არ უნდა ააშენო და ჩვენი სარწმუნეობა და ერის ინტერესები ფეხქვეშ არ უნდა გათელო. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელია და ეკლესიის დიდი ავტორიტეტიც ცნობილია. **ჩვენ შეუწყნარებლობას ვერავინ დაგვწამებს, საქართველო თავისი ტოლერანტობით გამორჩეული ქვეყანაა.** ერთ პატარა ადგილზე შეიძლება იყოს თავმოყრილი მეჩეთი, სინაგოგა, სომხური და მართლმადიდებლური ტაძრები და ყველა მშვიდად ლოცულობდეს. მეტსაც გეტყვით, **აბანოთუბანში მდებარეობს მუსლიმანური მეჩეთი, სადაც შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ. ასეთი რამ მსოფლიოში არსად ხდება.** შიიტები და სუნიტები ერთმანეთს სალოცავებს უფეთქებენ და ჩვენთან კი ერთად ლოცულობენ.

**ახლახან იერუსალმის წმინდა მიწა მოვილოცე, სადაც ქართველმა წყვილმა ჯვარი დაიწერა და მინდა აღვნიშნო, რომ ისრაელში სხვა რელიგიის წარმომადგენლები ასე თამამად ვერ იქცევიან, როგორც ეს საქართველოში ხდება. ყველანაირად შეზღუდული ხარ. თითქმის შეუძლებელია, ქართველმა მოძღვარმა იერუსალიმში ღვთისმსახურება აღასრულოს. ასევეა ტაო-კლარჯეთშიც, სადაც ღვთისმსახურების აღსრულება წარმოუდგენელია და ამ დროს თურქეთი ითხოვს, რომ საქართველოში ახალ-ახალი მეჩეთები აშენდეს.**

საქართველო უნიკალური ქვეყანაა. აქ ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელს შეუძლია ღვთისმსახურება აღასრულოს, თავისი სალოცავი ააგოს და ჩვენთვის შეუწყნარებლობის დაბრალება არასწორი იქნება.

**— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საუბარი დაიწყო სათამაშო ბიზნესის აკრძალვაზე. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და რა საფრთხეს ხედავს ეკლესია სათამაშო ბიზნესის არსებობაში?**

— სათამაშო ბიზნესი ეკლესიისთვის ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან ადამიანი აზარტული თამაშებით არამხოლოდ ერთობა, არამედ, მისი წყალობით, ბევრი ადამიანი იღუპება და ბევრი ოჯახი ინგრევა. ზოგიერთი მოთამაშე საერთოდ თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს, ამიტომ ეკლესია მიესალმება, თუ სათამაშო ბიზნესი აიკრძალება ან შეიზღუდება მაინც. ვინაიდან, ისევე როგორც ლოთობა, ნარკომანია და გარყვნილება, აზარტული თამაშებიც ადამიანის დაღუპვის ერთ-ერთი საშუალებაა.

**— თუმცა უშუალოდ საპატრიარქოს წინ არსებობს კაზინო „შანგრილა", რომლის მშენებლობამაც თავის დროზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მაგრამ უშედეგოდ...**

— კაზინოს მშენებლობას საპატრიარქო კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არავინ შეისმინა. და საერთოდ, არამარტო საპატრიარქოს წინ არ შეიძლება კაზინოს აშენება, თუ გავითვალისწინებთ, როგორი დამღუპველია სათამაშო ბიზნესი ადამიანისთვის, ის საერთოდ არ უნდა არსებობდეს.

**— საქართველოს პატრიარქი გამოვიდა ინიციატივით, რომ რიყეზე, „ბუდა-ბარის" ადგილზე ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძარი აშენდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში რა ბედი ელოდება, უნდა დაინგრეს თუ არა უკვე აშენებულ „ბუდა-ბარი"?**

— სანამ ეს „ბუდა-ბარი" აშენდებოდა, უწმინდესი მანამდეც ბრძანებდა, რომ **რიყეზე უნდა აშენებულიყო ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძარი.** ვინაიდან რიყე ასი ათასი მოწამის სისხლით მორწყული ადგილია. ამით მთელი ერი ერთგვარ პატივს მივაგებთ ასი ათას მოწამეს და ვფიქრობ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ტაძრის მშენებლობაში, ყველამ თითო აგური უნდა დავდოთ. კონკრეტულად რა ადგილზე აშენდება და სად გამოყოფს ადგილს სახელმწიფო, ეს არ ვიცი.

რაც შეეხება „ბუდა-ბარს", მისი აშენება თავის დროზე ყოვლად დაუშვებელი იყო. **ისეთ მართლმადიდებელ, ტრადიციულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რიყეზე „ბუდა-ბარისა" და საპატრიარქოს წინ კაზინოს მშენებლობა მთელი ქართველი ერის შეურაცხყოფა და საპატრიარქოს მიმართ უპატივცემულობის აშკარა გამოხატულებაა.** იმედი მაქვს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ასი ათასი მოწამე ნამდვილად იმსახურებს, რომ მათ სახელზე ტაძარი აშენდეს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**სათამაშო ბიზნესის ასეთი აღვირახსნილი რეკლამირება, გარდა დიდი დანაშაულისა, აგრეთვე, დიდი სირცხვილიცაა, რადგან, როგორც ამას სათამაშო ბიზნესის ავკარგიანობაში კარგად ჩახედული სპეციალისტები დაუფარავად ამბობენ, კაზინოს მოთამაშეებს ჰგონიათ, რომ ერთმანეთს ეთამაშებიან, მაგრამ ყველა მათგანი სინამდვილეში ეთამაშება კაზინოს, რომელთანაც მოგება პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო, თუ ვინმე ამას მოახერხებს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ეს მეტად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს.**

ფოსტა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აზარტული თამაშების ყველა სახეობა სერიოზულად უნდა შეიზღუდოს!



**უმჯობესია, მკითხველს ახლავე გამოვუტყდე: სათამაშო ბიზნესის ლეგალიზების ძველ და ახალ მომხრეთა მიმართ ძველი ანგარიშები მაქვს. კერძოდ, იმ სამარცხვინო დროს, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს აზარტული თამაშების ორგანიზაციისა და მათში მონაწილეობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და, ამასთან ერთად, სათამაშო ბიზნესის სრული, პრაქტიკულად უკონტროლო დაშვება მოხდა, რამაც ამ საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებულ დანაშაულს ცალსახად მიკუთვნებულ, თანამედროვე ყომარბაზობას (როგორც ამ დიდ სოციალურ ანომალიას, უკვე მრავალი წელია, მოვიხსენიებ ხოლმე) საქართველოში ფართო გზა გაეხსნა, თანაც, რაც მეტი დრო გადიოდა, იგი სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა და მახინჯ ფორმებს იღებდა. და ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა თავისი პირუთვნელი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სათამაშო ბიზნესის შემდგომი, ყოვლადუკონტროლო წარმოება შეუთავსებელია ქართველი ხალხისა და მისი წარმმართველი ძალის — „ქართული ოცნების“ სახელით ცნობილი პოლიტიკური კოალიციისთვის.**



## აზარტული თამაშების რეკლამა კატეგორიულად უნდა აიკრძალოს!

გამოგიტყდებით, რომ მე უფრო პესიმისტურად ვიყავი განწყობილი იმ ცნობილი და ქვეყანაში დამკვიდრებული მოსაზრების გამო, რომლის მიხედვით, სათამაშო ბიზნესი, მართალია, ბინძური საქმეა, მაგრამ მისი ორგანიზატორებისა და ხაზინისთვის დიდად მომგებიანია, ამიტომ ამ მუქთი შემოსავლის წყაროს ვერ შეველევითო.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა, ალბათ, სხვაგვარად განსაჯეს და დაასკვნეს, რომ **ბოროტების წყარო, რაგინდ ფინანსურად მომგებიანი იყოს, უნდა გადაიკეტოს, რადგან ამგვარი შემოსავალი, რომელიც მრავალი ათასი ადამიანისთვის, მათ შორის და პირველ რიგში, სწორედ მოსახლეობის შეჭირვებული ფენებისთვის არის დიდი ზიანის მომტანი, არც თუ იშვიათად ნამდვილი უბედურების წყარო ხდება ხოლმე მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის ზნეობრივი გადაგვარებით დაწყებული და წაგებით მოტივირებული, ბოლო ხანს გახშირებული თვითმკვლელობებით დამთავრებული.**

რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის მომგებიანობას თუნდაც სახელმწიფო ხაზინისთვის, მართალია, ეს მოსაზრება დღემდე სახელისუფლო წრეებშიც (რომელიც ფულის შოვნის წყურვილით შეპყრობილი არავითარ, მათ შორის, უზნეო და, გნებავთ, დანაშაულებრივი მეთოდების გამოყენებას არ თაკილობდა) და სამოქალაქო საზოგადოებაშიც ჭეშმარიტად მიიჩნეოდა (მომგებიანობა) და ამ თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევდა. სინამდვილეში, ჩემი სრულიად საფუძვლიანი ვარაუდით, ამ პრობლემის სათანადო მეცნიერული მეთოდებით გამოკვლევის გზით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ყველაფერთან ერთად იგი, ანუ **სათამაშო ბიზნესი, სახელმწიფო ბიუჯეტისა და მითუმეტეს მთელი საზოგადოებისთვის წამგებიანი უფროა, ვიდრე მომგებიანი**, თუ იმ ზარალს დავთვლით, რომელსაც ამ მავნე ჩვევისა თუ გატაცების გავრცელება საბოლოო ჯამში იწვევს.

კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრასთან არსებულმა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის დავალებითა და დაფინანსებით, ჩაატარა სსრ კავშირში, ალბათ, პირველი და უკანასკნელი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის მძიმე შედეგების სოციალ-ეკონომიკური გამოკვლევა, რისთვისაც შეიქმნა ჩემი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დროებითი სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივი, რომელმაც სამი წლის მანძილზე გამოიკვლია ამ პრობლემის ეკონომიკური ასპექტები. კერძოდ, სერიოზული კვლევითი სამუშაოს შესრულების გზით დავადგინეთ, თუ რა შემოსავალსა და მოგებას აძლევდა სახელმწიფოს სპირტიანი სასმელების წარმოება და რეალიზაცია, რომელიც სახელმწიფო მონოპოლიად იყო გამოცხადებული, რადგან არავის ეპარებოდა ეჭვი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში, რომ სპირტიანი სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის ინდუსტრია სახელმწიფოსთვის დიდი მოგების წყარო იყო. ამ კვლევის შედეგად, რომელსაც სსრ კავშირში ანალოგი არ აღმოაჩნდა, დადგინდა, რომ, **მართალია, სპირტიანი სასმელების რეალიზაციიდან სახელმწიფო ხაზინაში დიდი ფული შედიოდა, მაგრამ, ზარალის დეტალურად და მაღალკვალიფიციურად დათვლისა და მოგებასთან შედარების შემდეგ, დამაჯერებლად დამტკიცდა, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სსრ კავშირის მასშტაბით ამ გზით მიღებულ მოგებას მნიშვნელოვნად სჭარბობდა მიღებული მატერიალური ზარალი, მორალურსა და სოციალურზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც იმ დროს დიდ აღმოჩენად იქნა მიჩნეული.**

ამ მართლაც უნიკალური გამოკვლევის შედეგები რუსულ ენაზე გამოქვეყნდა გრიფით „სამსახურეობრივი სარგებლობისთვის“ სპეციალურ კრებულში და გავრცელდა სათანადო წესების დაცვით სსრ კავშირის იმ ორგანიზაციებში, რომელთაც ასეთი ინფორმაცია ესაჭიროებოდათ. ინფორმაციის კონფიდენციალურობის იმ დროს არსებული წესების ზუსტი დაცვის მიუხედავად, ამ ინფორმაციამ უცხოეთში გაჟონა და მოხდა ის, რასაც არც ერთი ჩვენგანი არ ელოდა: ორი დღის განმავლობაში რადიოსადგურები „ამერიკის ხმა“, „ბიბისი“ და სხვა, რომელთაც იმ დროს აქტიურად ახშობდნენ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები, რუსულ და ქართულ ენებზეც გადმოსცემდნენ მრავალჯერ მოკლე ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ **საქართველოში ანზორ გაბიანის ხელმძღვანელობით ჩატარდა კოლექტიური გამოკვლევა, რომლის შედეგები ცხადყოფენ, რომ სპირტიანი სასმელების წარმოება და რეალიზაცია საბჭოთა კავშირში, რომელიც მონოპოლიზირებულია სახელმწიფოს მიერ როგორც დიდი მოგების მომტანი, სინამდვილეში თურმე ზარალიანი ყოფილა.**

ამგვარად, მკითხველი ვგონებ დარწმუნდა, რომ მაქვს მსგავსი სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევის განხორციელების საკმაო გამოცდილება, ამიტომ **ბაქიაობაში ნურავინ ჩამომართმევს, თუ პრეტენზიას ვაცხადებ იმ მითის გაქარწყლებაზე, რომ სათამაშო ბიზნესი თურმე იმიტომ უნდა შევინარჩუნოთ, რომ სახელმწიფო ხაზინისთვის ძალიან მომგებიანია და ჩვენი გაჭირვებული ქვეყნის მოსახლეობის ამ მდგომარეობიდან გამოყვანისთვის აუცილებელი რამ არის.**

თუ საქართველოში ვინმესთვის მომგებიანია სათამაშო ბიზნესი, თუნდაც კომერციული თვალსაზრისით, ესენი საქართველოს აწ უკვე ოპოზიციაში გადასული ე. წ. ნაციონალური ხელისუფლების მაღალჩინოსნები არიან, რომლებიც, ჩემი მონაცემებით, სწორედ იმიტომ უწყობენ ხელს სათამაშო ბიზნესს და მის სრულიად უკანონო რეკლამირებას, რომ პირადად იყვნენ დაინტერესებულები. ამ, **აწ უკვე ყოფილი ხელისუფლების რიგი ლიდერებისა არც იმას თაკილობდნენ, რომ „შავად“ დაებეგრათ აზარტული თამაშების კონკრეტული ობიექტები, მაგალითად, რაოდენობრივად ძალზე გაზრდილი სლოტკლუბები, როგორც უკანონო შემოსავლების სერიოზული წყაროები, და ამ გზით ათეულობით მილიონი დოლარის უკანონო შემოსავალს იღებდნენ.**

**სათამაშო ბიზნესის ყველაზე საშიში ობიექტების, სამორინეებისა და სლოტკლუბების, გაზრდილი რაოდენობა კარგახანია ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.** ეს საკითხი საფუძვლიანად არის გაშუქებული გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის 6 ნოემბრის №41-ში გამოქვეყნებულ კრიტიკულ პუბლიკაციაში „სამორინეების „მორევში“, რომლის ავტორია ასმათ ჯალმაიძე.

სამწუხაროდ, აზარტული თამაშების ფართოდ გავრცელება დღევანდელ საქართველოში, გარდა დიდი ეკონომიკური ზარალისა, სოციალურადაც არის საშიში იმის გამო, რომ ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის ანალოგიურად, იწვევს ისეთ ფსიქიკურ მოვლენებს (ძირითადად ახალგაზრდობაში), რომელიც უმთავრესად პათოლოგიურ მიჩვევასა და ამ უბედურებაში ჩათრეული ადამიანების ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ დეგრადაციაში ვლინდება. **ამ დაავადებას ფსიქიატრები ცალსახად მძიმე ავადმყოფობად მიიჩნევენ, რომლისგანაც განკურნება გაცილებით ძნელია, ვიდრე ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისგან.**

ამ დიდ სოციალურ უბედურებას საფუძვლიანად განიხილავენ 2012 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ პირველ, მსგავსი ხასიათის სამეცნიერო მონოგრაფიაში „აზარტომანია, როგორც XXI საუკუნის ნარკომანია“ ფსიქიატრ-ნარკოლოგები, პროფესორები: შოთა გამყრელიძე, მისი აწ ტრაგიკულად დაღუპული შვილი აკაკი გამყრელიძე. ნაშრომის ავტორები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ **აზარტომანიის არსებული დიდი მასშტაბების დაძლევას არა მარტო საქართველოს ახალი ხელისუფლების, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობის აქტიური ჩართულობა სჭირდება.**

ამ უმძიმესი სოციალური უბედურების ალკვეთისა და თავიდან აცილების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო უპრიანი აზარტული თამაშების სრული აკრძალვა იქნებოდა დღევანდელ გაჩანაგებულ საქართველოში, მაგრამ ამის ერთბაშად გაკეთებას მხარს ამჯერად არ დავუჭერ იმ იმედით, რომ გავა გარკვეული დრო და საქართველოს ისეთი ხანა დაუდგება, როდესაც ამ მეტად მძიმე პრობლემის გადაჭრის რადიკალური გზის განხორციელება შედარებით უმტკივნეულოდ გახდება შესაძლებელი.

**დღეს კი გადაუდებელ საჭიროებად მიმაჩნია აზარტული თამაშების (ფულზე) ყველა სახეობის სერიოზული შეზღუდვა, მსგავსი სახის ყველა დაწესებულების რაოდენობრივი შეზღუდვის შემოღება, აგრეთვე, დედაქალაქიდან და სხვა ქალაქებიდან კაზინოების პერიფერიებში გადატანა, საქართველოს თითო რეგიონში მათი დროებითი განთავსება დაახლოებით ისე, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია. და, რაც მთავარია, სასურველია, საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა დაუყოვნებლივ მიიღონ გადაწყვეტილება აზარტული თამაშების ყველა სახეობის რეკლამის კატეგორიულად აკრძალვის თაობაზე, რადგან ის, რაც ამ მხრივ დღეს ხდება, ნამდვილი უმსგავსობაა.**

აბა, სხვა რა ვუწოდო იმას, რომ, სანამ საქართველო საარჩევნო პრობლემებით იყო დაკავებული, გარკვეულმა ძალებმა დრო იხელთეს და სატელევიზიო არხებიც კი აამოქმედრს აზარტული თამაშების დღედაღამ პოპულარიზაციის მიზნით.

**სათამაშო ბიზნესის ასეთი აღვირახსნილი რეკლამირება, გარდა დიდი დანაშაულისა, აგრეთვე, დიდი სირცხვილიცაა, რადგან, როგორც ამას სათამაშო ბიზნესის ავკარგიანობაში კარგად ჩახედული სპეციალისტები დაუფარავად ამბობენ, კაზინოს მოთამაშეებს ჰგონიათ, რომ ერთმანეთს ეთამაშებიან, მაგრამ ყველა მათგანი სინამდვილეში ეთამაშება კაზინოს, რომელთანაც მოგება პრაქტიკულად შეუძლებელია,** ხოლო, თუ ვინმე ამას მოახერხებს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ეს მეტად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს. მკითხველი, ვგონებ, მიხვდება, თუ რატომ.

მაგრამ, თუ აღმოჩნდებიან ოპტიმისტები, რომლებიც მზად არიან, გადალახონ ყოველგვარი წინააღმდეგობა, გნებავთ, საფრთხე და მაინც მიმართონ კაზინოს, სპეციალისტები მათ ურჩევენ, რომ როგორმე გახდნენ კაზინოს მეპატრონეები, რადგან ამ მიზნის მისაღწევად ყოველი სხვა გზა ფუჭი მანამ იქნება, სანამ ამ ტიპის თამაშები მთლიანად არ აიკრძალება.

**ანზორ გაბიანი,**
**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი.**

რუბრიკის პრემიერა

# პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ელექტრონულ პრესას მიჩერებული და სააკაშვილისდროინდელ ვირტუალურ გარემოში არსებობას მიჩვეულ ჩვენს მოსახლეობას თანდათან უყალიბდება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური ტრანსფორმაცია პატიმრებისა და დევნილების რევოლუცია იყო: ტელესივრცე მაინც და მაინც ამ თემატიკითაა გაჯერებული.

ამ დროს კი ქვეყანა სოციალური ჭაობიდან არის ამოსაყვანი, დასაძლევია ეკონომიკის კატასტროფული რეცესია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში ახალი მთავრობის საქმიანობის მხარდასაჭერად ჩვენი გაზეთი დღევანდელი ნომრიდან გთავაზობთ ახალ რუბრიკას „პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ!“, რომლითაც გამოვაქვეყნებთ მეცნიერების, ექსპერტების, სპეციალისტების წერილებს ეკონომიკის წარმართვის აქტუალურ საკითხებზე.

ვიმედოვნებთ, რომ ეს ინიციატივა წაადგება საქართველოს და ჩვენს თანამოქალაქეებს.

დღეს წარმოგიდგენთ საქართველოს „წყლის პროექტის“ ინვესტირების იდეას, რომლის ავტორია ინჟინერი ვიტალი ნიშნიანიძე.



# მოჩუხჩუხე მილიარდები

**დადგა დრო, როცა ძველი რევოლუციური სიმღერის პოეტური შეძახილი ღარიბების დამშრალი ბედის წყაროსადმი — „რამ დაგაშრო, შე ოხერო, ღარიბების ბედის წყარო, ამოქუხდი, რომ ქვეყანა ერთნაირად გაახარო“, — გარითმული სტროფიდან რეალობად უნდა იქცეს. ჩემი საქმიანი შემოთავაზებაც ამისკენაა მიმართული.**

საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების ფონდი, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, დაფუძნებულია აკადემიკოს იოსებ ბუაჩიძის მეცნიერული გამოკვლევებით მიღებულ მონაცემებზე. მისი საერთო მოცულობა შეადგენს 573 კუბურ მეტრს წამში, საექსპლუატაციოდ დასაშვები ნორმა 301 კუბური მეტრია, რაც შეეფარდება 26 მილიარდ ლიტრს დღე-ღამეში. ამ რესურსის გამოყენებით მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა შეგვიძლია წელიწადში 12 მილიარდი აშშ დოლარით გავზარდოთ. **ეს სიმდიდრე გადაურჩა განიავებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დაფინანსების ფონდები იდეის დამუშავების სტადიაზე ვერ მოიძიეს, ხოლო პროექტის სტრუქტურა არ იყო მზად ფონდების მოსაძიებლად.**

ამიტომ „ქართული ოცნების“ თემატურ ჯგუფში გაერთიანებულმა სპეციალისტებმა დავამუშავეთ იდეა, რომელიც სწორედ ამ პრობლემას მოაგვარებდა. **ეს არის ფასიანი ქაღალდების პორტფელის კონტროლირებადი მართვა, რომელიც ინვესტორს საშუალებას აძლევს, მიიღოს მიმზიდველი მოგება სტრუქტურირებული ინვესტიციური პროცესის გზით, რომელიც მის პირად ფინანსურ მოთხოვნებსა და მიზნებზე იქნება დამყარებული. ამ იდეის განსახორციელებლად ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მივიჩნიეთ არსებული წყლის რესურსების კაპიტალიზაცია და 12 მილიარდ აშშ დოლარზე მიბმული ბიზნეს-პროექტის განხორციელება** (ქონების გადაქცევა ფულად კაპიტალად).

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მსოფლიო საფინანსო საინვესტიციო ბაზარზე ცნობილი ინვესტორის, ბიძინა ივანიშვილის, შემოსვლა საქართველოს საინვესტიციო კურსის 180 გრადუსით შემობრუნებას ნიშნავს. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საინვესტიციო სეგმენტი დაიკავოს ეროვნულმა ინვესტიციამ.

მოქმედება უნდა განვითარდეს საქართველოს „წყლის პროექტის“ კაპიტალიზაციის გამოყენებით, კერძოდ, **ინვესტორმა გამოუშვას 1 მილიარდი ლარის ღირებულების 3-პროცენტიანი კლასიკური (ჩვეულებრივი) „ოქროს ობლიგაცია“ მინიმუმ 10-20 წლის ვადით (ეს ვადა შეიძლება დაზუსტდეს), რომლის ემიტენტი განსაზღვრულ ვადაში იხდის პროცენტს მოზიდულ საშუალებაზე, ხოლო ობლიგაციების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ გამოისყიდის მას,** ე. ი. დარიცხული წლიური პროცენტი ნაწილდება საქართველოს მოსახლეობაში. **ობლიგაციები უსასყიდლოდ მიეცემა სიღარიბის მიღმა მყოფ მოქალაქეებს, ყველა პენსიონერს, ყველა პატიმარსა და პრობაციონერს, ძალოვანი სტრუქტურების ყველა თანამშრომელს.** ეს იქნება 220,6 მილიონი ლარის ობლიგაცია, დანარჩენი 779,4 მილიონი ლარის ობლიგაციის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს მოსახლეობას შორის მოქალაქეთა სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით.

ამ სქემას გააჩნია ის უპირატესობა, რომ ობლიგაციის შემოსავალი ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე ნაწილდება საქართველოს მოსახლეობაში, ერთი მილიარდი ლარის 3 პროცენტი შეადგენს 30 მილიონ ლარს წელიწადში, ე. ი. **მოსახლეობა 10 წლის განმავლობაში მიიღებს 300 მილიონ ლარს შემოსავლის სახით და ვადის ამოწურვასთან ერთად დაიბრუნებს მასზე გაწეულ დანახარჯს — ერთ მილიარდ ლარს.**

ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული 779,4 მილიონი ლარი მოხმარდება ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებას, რომელთა განხორციელებას გადაწყვეტს ობლიგაციის გამომშვები ინვესტორი. მაგალითად, ნაწილი სახსრებისა მიმართული იქნება ელექტრომეურნეობის გრძელვადიან დაფინანსებაზე, ანუ თბილსრესის მოდერნიზაციაზე, გადასაიარაღებელია აზოტოვანი სასუქების ქარხანა, განსავითარებელია სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, უწინარეს ყოვლისა, ბინათმშენებლობა.

ამრიგად, **ჩემ მიერ შემოთავაზებული ფინანსური სქემა გათვლილია საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელმაც წვლილი შეიტანა თავისი მხარდაჭერით ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცვლილებებში და დიდი მოლოდინი აქვს სწრაფი შედეგების, ბიძინა ივანიშვილის წარმატებული გამოცდილებიდან გამომდინარე.**

**ვიტალი ნიშნიანიძე**

### ექსპერტის კომენტარი:

არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით, აღნიშნული პროექტი ძალზე საყურადღებოა და სერიოზულ განხილვას, აღქმასა და გააზრებას მოითხოვს.

ის, რომ სასმელი წყალი ახლო პერსპექტივაში ძალიან მოთხოვნადი იქნება მისი მზარდი დეფიციტურობის გამო, ეჭვს არ იწვევს. ამდენად, საქართველოს უჩნდება კარგი შესაძლებლობა, იყოს სერიოზული მიმწოდებელი სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტისა. ამასთან, წყლის რესურსის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და თანმიმდევრული განხორციელება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ქვეყანამ და ჩვენმა მოქალაქეებმა დიდი სარგებელი მიიღონ.

**დემურ გიორხელიძე**

# წინ და უკან მორბენალი ცარიელი ვაგონები

**„საქართველო და მსოფლიოს“ წლევანდელ მეორმოცე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, რომელშიც სხვა პრობლემებთან ერთად გაკვრით ვილაპარაკე ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის გაგრძელების უაზრობაზე... დღეს შევეცდები, უფრო დეტალურად ვილაპარაკო ამ და სხვა პროექტების უარყოფით მხარეებზე.**

ჯერ იმას ვიტყვი, რომ, ზემოთ ნახსენები პროექტის გარდა, ხორციელდება ორი პროექტი და სამივეზე შეიძლება ითქვას, რომ მავნებლურია.

**ჯერ პირველზე ვილაპარაკებ.**

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ჩვენი მონაკვეთი ახალქალაქი-მარაბდის უბანია, რომლის მშენებლობაზე დახარჯული სახსრები ქვეყნისთვის ფუჭად გადაყრილი ფულია. **700 მილიონი დოლარი უკვე დაიხარჯა და... სამუშაოების 10 პროცენტიც არ არის გაკეთებული.**

იგი მომგებიანი არის თურქეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის კი, ვიმეორებ, წამგებიანია მისი ამოქმედება. **ყოველწლიურად დავკარგავთ — პორტებიც და რკინიგზაც — 100 მილიონ დოლარს.** აქ კიდევ ერთი მილიარდი ლარიც რომ დაიხარჯოს, ამ მონაკვეთზე შეიძლება გატარდეს წელიწადში ერთი მილიონი ტონა, დიდი-დიდი — მილიონ-ნახევარი ტონა. მარაბდიდან ახალქალაქამდე მონაკვეთზე ვლაპარაკობ, სადაც 35-ათასიანი ქანობია. მატარებელს აქ გაზრდილი სიჩქარით ვერ ვამოძრავებთ, მაშასადამე, გამტარუნარიანობას ამით ვერ გავზრდით. იგი უცვლელი დარჩება, ანუ დაბალი.

**ჩემი გათვლების სისწორეს ნებისმიერ ოპონენტს დავუდასტურებ, თუ ამის საჭიროება იქნება.**

მშენებლებს რკინიგზის გაყვანა ხელს აძლევს: დასაქმებულებიც არიან და შემოსავალიც აქვთ. ამიტომ მხოლოდ მათ არგუმენტებზე დაყრდნობა რეალურ სურათს ვერ წარმოგვიდგენს. საჭირო იქნება სხვადასხვა დარგების სპეციალისტების ერთობლივი დასკვნა, რომელიც ეფექტიანობის რეალურ პერსპექტივას დაგვისახავს.

ახლა **მეორე პროექტის** შესახებ, ანუ **თბილისის შემოვლითი ლიანდაგის შესახებ, რომლის მშენებლობა დაწყებულია და რომელიც, აგრეთვე, გადაყრილი თანხაა.**



**ჯერ ერთი, მცდარია ის პრინციპი, რომელიც ამ პროექტს საფუძვლად დაედო — რკინიგზის ქალაქის ცენტრიდან გატანა, რაც სურთ, წარმოგვიდგინონ, თითქოს თანამედროვე ურბანიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. ამ დროს კი, ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში რკინიგზა ყველგან ცენტრზე გადის და მას თვალისჩინივით უფრთხილდებიან.**

ასევე უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს მოსახლეობა წუხდება იმით, რომ რკინიგზა მათი სახლების მახლობლად გადის და ხელს უშლის ნორმალურ ცხოვრებასა და დასვენებას. ამის საწინააღმდეგოდ დავასახელებ ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს, რომელთა მიხედვით **მოსახლეობა სარკინიგზო ლიანდაგს დაშორებული უნდა იყოს მაქსიმუმ 50, მინიმუმ 20 მეტრით, რაც გარანტიაა იმისთვის, რომ მოქალაქენი არ შეწუხდნენ შემადგენლობების გავლით გამოწვეული ვიბრაციითა და ხმაურით, მითუმეტეს, რომ შეიძლება დამატებითი ღონისძიებებით სრული სიმშვიდის, აბსოლუტურად ნორმალური პირობების შექმნა. ჩვენ, მაგალითად, დავიწყეთ ქალაქში გამავალი ლიანდაგის ორივე მხარეს კედლების ამოყვანა, ე. წ. მიწისზედა გვირაბში მაგისტრალის მოქცევა.**

ამასთან ერთად, ეს შემოვლითი გზა რომ ამოქმედდება, გადაზიდვების ტარიფი 2-2,5 დოლარით გაიზრდება. ამის მიზეზი კი ის ქანობია, რომელიც გვაიძულებს, ორი წევით ვატაროთ მატარებლების შემადგენლობები. ეს კი გაზრდის ელმავლების, ამ ელმავლების მემანქანეების რაოდენობას: ერთი მატარებელი ორი ელმავლით რომ მოძრაობს, ორი მემანქანე და ორი თანაშემწე უნდა იყოს. პლიუს ლიანდაგების ცვეთა, ელექტროენერგიის ხარჯი და ა. შ., რაც ზრდის ტარიფს. ამ დროს კი ჩვენი მეზობელი ქვეყნები — რუსეთი და თურქეთი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ტვირთი წაგვართვან. და, თუ თვითღირებულებას გავზრდით, ჩვენკენ არავინ გამოიხედავს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს **შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა, რომელსაც ჩინეთის კომპანია ასრულებს, დღესვეა შესაჩერებელი, უკვე დახარჯულ 303 მილიონს უაზროდ გადაყრილი ფული კიდევ რომ არ დაემატოს.**

საბჭოთა კავშირის დროს რამდენიმეჯერ იყო მცდელობა, გაეყვანათ ეს შემოვლითი რკინიგზა, მაგრამ საბოლოოდ ხელი აიღეს, იმდენად არაპერსპექტიულად მიიჩნიეს.

**მესამე პროექტი ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთია.** მოლითიდან წიფამდე და წიფადან ლიხამდე სამი წევით დადის აქ მატარებლები — ძალიან დიდი დანახარჯია. ჩვენ გავაკეთეთ პროექტი, რომლის ავტორია ინჟინერი ქუცნაშვილი, (ზაქრო ქუცნაშვილის მამა), მივიყვანეთ ეს პროექტი ისეთ კონდიციამდე, რომ უნდა დაგვეწყო მშენებლობა. ამათ გადააკეთეს და, სამწუხაროდ, კეთდება ისე, რომ ხვალ და ზეგ ხელმეორედ იქნება გასაკეთებელი. ვფიქრობ, საჭირო იქნება სპეციალისტების კომისიის შექმნა და მისი დასკვნის მიხედვით ქუცნაშვილის პროექტთან მაქსიმალურად დაახლოვებული სამუშაოების გაგრძელება.

აქვე თავისთავად დგება გვირაბის პრობლემა. არსებული გვირაბი თავის დროზე ინჟინრებმა ზუსტად გათვალეს და გაიყვანეს ორლიანდაგიანი რკინიგზა. ახლა კი, 21-ე საუკუნეში, ახალ გვირაბს ერთლიანდაგიანს აკეთებენ(?!).

ეს მავნებლური გადაწყვეტილებაა.

მაშასადამე, **სამი პროექტი — ყარსი-ახალქალაქი, თბილისის შემოვლითი რკინიგზა და უღელტეხილის უბანი — ყოვლად მიუღებელია.**

არაფერს ვიტყვი ისეთ პროექტებზე, როგორიც თბილისის აეროპორტში მიმავალი სარკინიგზო შტოა და რომელშიც 17 მილიონი ლარი გადაყარეს, ვითომდა ტურისტების მისაზიდად. არ დაგიმალავთ, ამგვარი პროექტი ჩვენც გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ეს იქნებოდა ორვაგონიანი შემადგენლობა, მონიკელებული ორთქლმავლით — სტილიზებული სიძველე, ძველებური სადგურით და ა.შ. ასეთ ეკზოტიკას მართლა შეიძლება მოეზიდა თბილისში ჩამოსული ტურისტები.

ახლა რა გამოვიდა? ტურისტი საქართველოში ერთი-ორი თუ ჩამოდის, მაგრამ ეს თანამედროვე მატარებელი არც იმ თითო-ოროლა ადამიანს იზიდავს და, მგონი, ვაგონები საერთოდაც ცარიელი დარბიან წინ და უკან.

**აკაკი ჩხაიძე**

# პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ!

რუბრიკის პრემიერა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად ერეკლე და სად კახა ბენდუქიძე! მთლად გარეკეთ, «ბატონებო»?

**მეოცე საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა გლობალური დათბობის საფრთხე იწინასწარმეტყველეს. სამწუხაროდ, კაცობრიობამ მხოლოდ მაშინ „დაინახა“ ეს პრობლემა, როდესაც საფრთხე რეალური გახდა და ეკოლოგიური სისტემების დაშლის პროცესი უკვე დაწყებული იყო.**

**ეკოსისტემების შეცვლა, რომელიც აუცილებლად მოჰყვება გლობალურ დათბობას, იმითაა სახიფათო, რომ ცვლის იმ გარე სამყაროს, რომელსაც შეგუებულები ვართ. შესაბამისად, შეიცვლება ჩვენი ცხოვრების წესი, შემცირდება საკვები პროდუქტების ის არეალი, რომელსაც დღეს ვიყენებთ, და საერთოდ შეიცვლება ის ფლორა და ფაუნა, რომელსაც „ვიცნობთ“.**

ეკოსისტემების შეცვლა ხანგრძლივი პროცესია. საზოგადოებას ჰყავს მოაზროვნე ადამიანები, რომელთა პროფესიაც ფიქრი და განსჯაა. სწორედ მათი საფიქრალია, მწვავე ბუნებრივ პროცესებთან გამკლავება და ისინი ამას ახერხებენ კიდეც. ასეთი ადამიანები საქართველოშიც იყვნენ და მათ მეცნიერები ერქვათ!!!

**მაინც რა უნდა გააკეთონ ადამიანებმა, როგორ უნდა შეებრძოლონ გარდაუვალ სტიქიურ მოვლენებს?** პასუხი ერთია: **ცოდნით და გონიერებით. ადამიანი კარგად უნდა იცნობდეს იმ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობს, აკვირდებოდეს და სწავლობდეს მის ირგვლივ არსებულ სიტუაციას, ცოცხალ ორგანიზმებს... მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს თავის გადარჩენას და ახალ სიტუაციაში დამკვიდრებას.**

ეკოსისტემების შეცვლის პროცესის პარალელურად, მცენარეც იწყებს ახალ გარემოსთან შეგუების პროცესს, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება მასში არსებული ენერგიის ახალი სტრუქტურის შექმნა, რაც ადამიანების დახმარების გარეშე მცენარეს გაუჭირდება. მაგრამ, **თუ ადამიანებს არ აქვთ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ისინი სხვა ცოცხალ არსებებს ვერ დაეხმარებიან და ამით საკუთარ არსებობასაც საფრთხეში აგდებენ. დახმარება კი მხოლოდ იმათ შეუძლიათ, რომლებმაც იციან „საქმე“, ასეთები კი მეცნიერები არიან.**

მსოფლიოში ბევრი ბუნებრივ-კლიმატური ზონაა, რაც მრავალფეროვან ეკოსისტემებსაც გულისხმობს, ამიტომ კლიმატის დათბობა, რომელმაც უკვე სერიოზულად შეაშფოთა მსოფლიო, დედამიწის გეოგრაფიულ სარტყლებში არათანაბრად აისახება. იმ რეგიონებში, სადაც დედამიწა უფრო მეტ სხივურ ენერგიას იღებს, დათბობა უფრო ინტენსიური და მწვავე იქნება, ვიდრე იქ, სადაც მზის ენერგიის მიღების ინტენსივობა დაბალია და ა. შ.

ამიტომ, **ყველასთვის გამოსადეგი, ერთიანი მეთოდიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ყველა ქვეყანამ** (ან ქვეყნების ჯგუფებმა) **თავის პრობლემებს თვითონვე უნდა მიხედოს.** არც საქართველოა გამონაკლისი. **ჩვენი პრობლემები, ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ. ვართ კი ამისთვის მზად?..**

„საქართველო და მსოფლიოში“ ვწერდი, თუ როგორ ბარბაროსულად გაანადგურეს სააკაშვილმა და მისმა გაუნათლებელმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ლომაიამ ქართული აზროვნება და მისი კერები. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მთლიანად გაქრა ერთ დროს საქვეყნოდ აღიარებული ქართული აგრობიოლოგიური მეცნიერება.

მაშ, **ვინ უნდა აღუდგეს წინ მოსალოდნელ საფრთხეს? ვინ შექმნის მარცვლეულისა და მრავალწლიანი ნარგავების ახალ მდგრად ჯიშებს? ვინ იმუშავებს შინაური ცხოველების ახალი სახეობების გამოყვანაზე?..** ეს კითხვები უკვე არის და მომავალში მოთხოვნებად იქცევა...

— ბენდუქიძე, ბენდუქიძე...
— ისმის სადღაც შორიდან.

— კი, მაგრამ, რა შუაშია მძიმეწონიანი ბენდუქიძე? — იკითხავს მავანი.

ეჰ, ბატონებო, შუაში კი არა, თავშია წამოსკუპებული, მაგრამ, სანამ მასზე უფრო დაწვრილებით მოგახსენებდეთ, მინდა პატარა ექსკურსი შემოგთავაზოთ.

ადამიანების გამოკვებისთვის აუცილებელ პროდუქტს გვაძლევს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები, აგრეთვე, მეცხოველეობა.

**საქართველოში არსებობდა ერთწლიანი კულტურების კვლევის ულტრათანამედროვე ცენტრი — მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,** რომელსაც მთელ საქართველოში საცდელი სადგურებისა და მეურნეობების ფართო ქსელი ჰქონდა. აქ გამოჰყავდათ ერთწლიანი კულტურების ახალი, უხვმოსავლიანი და დაავადებაგამძლე ჯიშები. ინსტიტუტში არსებობდა, ერთწლიანი კულტურების გენეტიკური ბანკი, რომლის სპეციალურ საცავებში ინახებოდა ქართული აბორიგენული და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი, ქართველი სელექციონერების მიერ გაუმჯობესებული ჯიშები. თითოეულ მათგანს თან ახლდა წარმომავლობის ისტორია, გენეტიკური დახასიათება და ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებელია მომავალი კვლევისთვის.

**მრავალწლიან ნარგავებში კვლევებს ახორციელებდა მევენახეობა-მებაღეობისა და ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მსოფლიო რეიტინგის მქონე კვლევითი ინსტიტუტები.** ორივეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ჰქონდა კვლევებისთვის საჭირო ფილიალები და ნარგაობათა უნიკალური კოლექციები.



> **თუ ადამიანებს არ აქვთ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ისინი სხვა ცოცხალ არსებებს ვერ დაეხმარებიან და ამით საკუთარ არსებობასაც საფრთხეში აგდებენ. დახმარება კი მხოლოდ იმათ შეუძლიათ, რომლებმაც იციან «საქმე», ასეთები კი მეცნიერები არიან**

**მეცხოველეობის პრობლემებს ემსახურებოდა საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი** თავისი ფილიალების ფართო ქსელით.

დასახელებულ ძირითად მიმართულებებს ემსახურება, აგრეთვე: **აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა დაცვის, რადიოლოგიის, მექანიზაციის, სამთო მიწათმოქმედების, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სხვა სამეცნიერო ცენტრები და დაწესებულებები.**

საქართველოში სოფლის მეურნეობისთვის მაღალკვალიფიციური საწარმოო და სამეცნიერო კადრების მომზადებას ემსახურებოდა აგრარული, უკვე დასახელებული, ზოოვეტერინარული და სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტები, რომელთა კათედრებზე, აგრეთვე, მიმდინარეობდა სერიოზული კვლევითი სამუშაოები.

მე მხოლოდ იმ კვლევითი დაწესებულებების ნაწილი დავასახელე, რომელთა სამეცნიერო პროდუქციასაც კარგად ვიცნობ, თუნდაც იმიტომ, რომ იმ აკადემიის პრეზიდენტი ვიყავი, რომელიც მათ საქმიანობას უწევდა კოორდინაციას. ცხადია, ისიც ვიცი, რომ **საქართველოში, ფუნდამენტური კვლევების მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრებიც არსებობდა, რომლებსაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აერთიანებდა.** იქ არსებულ პრობლემებზე თქვენს გაზეთში ნაწილობრივ ბატონმა ფრიდონ თოდუამაც ისაუბრა, ალბათ, კიდევ გამოჩნდება სხვა პუბლიკაციებიც...

ლეგიტიმურია კითხვა: **სად გაქრა ქართული მეცნიერება, რომელიც მოახლოებულ საფრთხეებთან დაკავშირებით ჰაერივით გვჭირდება?**

**ვინ შეეჭიდება იმ გამოწვევებს, რომელთაც ბუნება გვიმზადებს? სად არიან ის ერთუჯრედიანი არსებები, რომლებმაც პირისაგან მიწისა აღგავეს ქართული მეცნიერება? ვინ თქვა პირველად: საქართველოს მეცნიერება და განათლება არ სჭირდებაო?**

სამწუხარო ისაა, რომ ძალიან კარგად ვიცით, ვინც „დაასამარა“ ქართული მეცნიერება და განათლება, ვინც მოშალა ის ბუდე, რომელშიც ქართული მეცნიერების კორიფეები დაფრთიანდნენ, კიდევ ბევრი რამ ვიცით!.. მაგრამ რა?!

სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე მინისტრად ბენდუქიძე მოიყვანა და ფულის „შოვნა“ დაავალა. მანაც მიიხედ-მოიხედა და უეკონომიკო ქვეყნის ბიუჯეტის „შევსება“ იმ ქონების გასხვისებით დაიწყო, რომელიც წინა თაობების ოფლით იყო შექმნილი — ზოგი გაყიდა, ზოგი ნისიად გასცა, ზოგიც გააჩუქა... როდესაც მიხვდა, რომ ქვეყანაში გასაყიდი აღარაფერი დარჩა, მინისტრობა მიატოვა და თავის თავს იმით „უშველა“, რომ აგრარულ განათლებასა და მეცნიერებას დაეპატრონა, რამდენიმემილიონიანი ქონება ისე მიითვისა, რომ არავინ იცის, ვისგან იყიდა, რამდენად და სად წავიდა ეს ფული. კითხვები იმდენია, რომ კვალიფიციური ფინანსისტიც კი ვერ გაერკვევა. **მხცოვანმა და „ძალიან ბევრი ხარისხებისა და ტიტულების“ მქონე, ჩარეცხილმა მეცნიერებმა კი მხოლოდ ის ვიცით, რომ მოხდა მსოფლიო დონის თაღლითობა, ხალხს კი დასცინოდნენ: „ყველაფერი თქვენი კეთილდღეობისთვის კეთდება“... მართლა დონ-კიხოტები ხომ არა ვართ ქართველები, რომ ყველაფერი დავიჯეროთ?**

ორიოდე დღის წინ მომაწოდეს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 მარტის №136 დადგენილება, რომელსაც ხელს ნიკოლოზ გილაური აწერს (შეგახსენებთ, რომ იყო ასეთი პრემიერ-მინისტრი). დადგენილება, რომელიც „სეროჟას სიზმარს“ გავს, ბუნდოვანია თავიდან ბოლომდე, არ ჩანს, ვის რა ვალდებულებები ეკისრება, არაა მითითებული განკარგულების საფუძველი და ა.შ. ბუნდოვნობა და გაურკვევლობა ხომ სააკაშვილის მთავრობის მუშაობის სტილი იყო!..

„საქართველო და მსოფლიოდან“ მინდა მივმართო **განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს,** რომლის დანიშვნასაც ქართული სამეცნიერო საზოგადოება იმედით შეხვდა: **გთხოვთ, სრულად გამოაქვეყნოთ ის დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე ბენდუქიძემ დაისაკუთრა აგრარული მეცნიერებისა და განათლების კუთვნილი ქონება** (აგრარული უნივერსიტეტი, კვლევითი ინსტიტუტების შენობები, მიწის ნაკვეთები, კაბინეტ-ლაბორატორიები და ა.შ.).

**ქვეყნის მოსახლეობამ და, პირველ რიგში, „ჩარეცხილმა“ მეცნიერებმა უნდა ვიცოდეთ, ვინ მისცა ბენდუქიძეს იმისი უფლება, რომ განესაზღვრა ქართული აგრობიოლოგიური განათლებისა და მეცნიერების ბედი, ვინ გახადა იგი მონოპოლისტი და, რაც მთავარია, როგორ შეიძლება ქონება დაუბრუნდეთ კანონიერ მფლობელებს?**

რამდენიმე დღის წინათ აგრარულ უნივერსიტეტში გაიმართა ახალი სამეცნიერო ცენტრის — „კოგნიტიურ ნეირომეცნიერებათა ინსტიტუტის“ პრეზენტაცია, რომელიც, როგორც ითქვა, მუშაობს თვალისა და ტვინის პრობლემებზე!!! ერიჰა... ამაზეა ნათქვამი, **სად ერეკლე და სად კახა ბენდუქიძე! მთლად გარეკეთ, „ბატონებო“? აგრარული მეცნიერება დაასამარეთ და მის ნანგრევებზე მედიცინას აშენებთ? ასეთმა „ჭკვიანებმა“ თავი ერთად როგორ მოიყარეთ? თქვენ შეაჩერებთ კარს მომდგარ საფრთხეებს? ვაი, სირცხვილო! პეტრე მელიქიშვილის, მიხეილ საბაშვილის, ტარასი კვარაცხელიას, იოსებ დიდებულიძისა და სხვა დიდი მამულიშვილების ნაღვაწი და ნალოლიავები ქართული აგრობიოლოგიური მეცნიერება ვის ხელში ჩავარდა?!**

და მაინც! შეიძლება თუ არა ქართული აგრარული მეცნიერების გადარჩენა?.. რამდენიმე დღის წინ, ხანგრძლივი საუბარი მქონდა **სოფლის მეურნეობის მინისტრ ბატონ დავით კირვალიძესთან.** მან შესანიშნავად იცის, რომ უკიდურესად გაპარტახებული სოფლის მეურნეობის აღორძინება მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია; გვქონდა საუბარი მეცნიერებისა და აგრარული განათლების რეანიმაციაზეც. დამაიმედა იმან, რომ იგი მეცნიერთა ოჯახში გაზრდილი კაცია და თვითონაც ცნობილი მეცნიერია.

**აგრარიკოსებიც იმედით შევყურებთ ბატონ ბიძინას, რომელმაც, არნახული ძალისხმევისა და მოთმინების შედეგად, ჩვენი ქვეყანა იმ ჭაობიდან ამოიყვანა, რომელშიც ბოლომდე ვიყავით ჩაფლული და საშველად გაწვდილი ხელებიღა გვიჩანდა.**

იმედია, საკადრისი პასუხი გაეცემა ყველა იმ გარეწარს, ვინც დღესაც კოლექტიურად ცდილობს ისტორიის სანაგვეზე მოსროლილი ხელისუფლების რეანიმაციას.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

**პატარა მინაწერი: ბატონო ბიძინა, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი მმართველობის დროს გამოსცა განკარგულება, იმ რექტორების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებსაც ამ თანამდებობაზე მუშაობის 10 წლის სტაჟი ჰქონდა. სააკაშვილმა კი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისეთი გაშმაგებით გააუქმა აღნიშნული განკარგულება, რომ თითქოს ჩვენ უცხო ქვეყნიდან საქართველოს დასანგრევად შემოსული მტრები ვიყავით. იმდროინდელი რექტორები დღეს საკმაოდ ხანდაზმულები ვართ, ამიტომ ჩვენთვის მატერიალურზე უფრო ღირებული ღირსების აღდგენაა, რომელიც ასე უხეშად შეგვილახა სააკაშვილმა. იქნებ აღადგინოთ გაუქმებული განკარგულება და ტვირთნატარებ რექტორებს „ჩარეცხილების“ იარლიყი მოგვაცილოთ!**

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ცალკე ისტორიაა ისრაელიდან ინვესტორის შემოსვლა, რომელსაც ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის ყიდვა უნდოდა, და ჩვენც დაგვიკავშირდა. გვეგონა, საქმეს წაადგებოდა, თუ ეს კაცი — ქართველი იუდეველი — იყიდდა სახელმწიფოს კუთვნილ 30-პროცენტიან წილს, ჩვენც ამოვუდგებოდით ჩვენი 51 პროცენტით და ავტოსადგურსაც ფეხზე დავაყენებდით. აქაური რეკეტიორი ხელისუფლებაც შეგვეშვებოდა. ამ კაცს რა დამართეს, სხვა ამბავია."

# «აჭარაში ჩვენი კანონები გვაქვს!»

**სააკაშვილის ზეობის ხანაში აჭარის ხელმძღვანელობა ისე ხშირად აგინებდა ასლან აბაშიძეს, რომ... ზუსტად იმავე ბონაპარტიზმით დაავადდა, რისთვისაც ასლან იბრაგიმოვიჩს აკრიტიკებდნენ. ერთი მაგალითი, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ, და რომელიც თბილისელ ბიზნესმენს — ავთანდილ ენუქიძეს გადახდა, ამის დამადასტურებელია.**



— საქმე ეხება ბათუმის ცენტრალური ავტოსადგურის აქციებს, — **აზუსტებს ბატონი ავთანდილი და იწყებს „ფორსაიტების საგის" აჭარული ვარიაციის თხრობას.**

— ეს ავტოსადგური თავის დროზე სახელმწიფომ ვაუჩერებზე გაყიდა და ჩვენც ვაუჩერებით შევიძინეთ. 30,9 პროცენტი სახელმწიფომ დაიტოვა. ეს ასლან აბაშიძის დროს მოხდა. დანარჩენი შეისყიდა აქციონერთა ჯგუფმა, რომელშიც იყო ჩემ მიერ დაფუძნებული ფირმა და კიდევ რამდენიმე აქციონერი. ვფლობდით 51 პროცენტს — საკონტროლო პაკეტი ჩვენ გვქონდა. არსებული კანონმდებლობით, ვინც ფლობს ამ პაკეტს, თუ დააყენებს საკითხს, უფლებამოსილია, იყიდოს სახელმწიფოს ხელთ არსებული წილი. ეს, რა თქმა უნდა, ეხება არასტრატეგიულ ობიექტებს. დავაზუსტებ, 51 პროცენტის მფლობელები შესყიდვის დროს პრივილეგიით სარგებლობენ. ლაპარაკია არა თანხის ოდენობაზე, არამედ წილის შესყიდვაზე.

ამ უფლების გამოსაყენებლად განცხადება შევიტანეთ ერთხელ, მეორედ.

პირველად — უშედეგოდ. მეორედ რომ შევიტანეთ, გვიპასუხეს: **შესყიდვის უპირატესობის კანონი კი არსებობს, მაგრამ აჭარაში სხვა კანონი გვაქვს მიღებული, საქართველოს ეს კანონი არ გადისო.**

**— ვინ გითხრათ ეს ბრძნული უარი?**

— აჭარის ფინანსთა და ქონების მართვის სამინისტრომ.

მოხდა „ვარდების რევოლუცია" და „ახალმა რეფორმატორებმა" მოინდომეს ჩვენი ავტოსადგურის ხელში ჩაგდება.

**— ასეთი სახარბიელო რა ნახეს?**

— ჯერ ერთი, ობიექტი ქალაქის ცენტრშია; მეორე, ოთხივე მხრიდან გზები ერთყმის; შემდეგ, ფართობი 14550 კვადრატული მეტრია, შენობა კაპიტალურია.

ტრანსპორტს აქვს ერთი ასეთი თავისებურება: მგზავრის მიჩვევა იცის. სხვა ადგილზე, რაგინდ კარგი და თანამედროვე სადგური აუშენო, მაინც შეჩვეულს ამჯობინებს. ჩვენს ბიზნესში მგზავრების ნაკადი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია — მგზავრების გადაყვანას მოაქვს შემოსავალი. ამასთან, თუ ხელს გაძლევს, შენს ტერიტორიაზე შეგიძლია გახსნა სავაჭრო მომსახურების ობიექტები, სხვა ინფრასტრუქტურა განავითარო, ანუ დაუმატო შენს ბიზნესს სხვა პროფილი და ეს დამატებით შემოსავალს მოგცემს.

ამიტომ დაინტერესდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი ამ ობიექტით და ჩვენ — კერძო მეწარმეს, ფიზიკურ პირს და ერთ იურიდიულ პირს მოგვთხოვეს ჩვენი 51 პროცენტის მათთვის მიცემა. ეს იურიდიული პირია „სისტემა სოლო პლიუსი", რომლის ასპროცენტიანი დამფუძნებელიც მე ვარ.

რა თქმა უნდა, უარი ვუთხარით.

**— ყიდულობდნენ?**

— არა, გვართმევდნენ „ძლიერის უფლებით", მაგრამ მაგრად დავხვდით, რადგან კანონი ჩვენს მხარეს იყო.

მაგრამ, როგორც ვთქვი, კანონი ამათ „თავისი" ჰქონდათ: ფინანსური პოლიცია, რომლის უფროსი იყო არსოშვილი შემოდის ავტოსადგურში და აკავებს დირექტორს, ბადრი სოლომონიძეს.

**— კონკრეტულად იყო ვინმე დაინტერესებული თქვენი ობიექტით თუ ინტერესი საერთო ტენდენციის გამოხატულება იყო?**

— ტენდენცია კი იყო საერთო, მაგრამ დაინტერესებული ბრძანდებოდა, თუ არ ვცდები, აჭარის პროკურორი — ვინმე მაისურაძე. ბადრი სოლომონიძეს ციხეში წილის დათმობა მოთხოვეს.

**— მაშ, შევიდა თქვენს ობიექტზე ფინანსური პოლიცია...**

— შევიდა და, სხვა დარღვევა რომ ვერ აღმოაჩინა, სადგურის დირექტორი დააკავა აბსურდული მიზეზით — რატომ იყიდა ავტომანქანა (!), ეს ერთი, და მეორე, რატომ ჰყიდდა ელექტროენერგიას...

**— ვერ გავიგე...**

— ახლავე გავშიფრავ. ეს ჩინური წარმოების მანქანა სადგურს აუცილებლად სჭირდებოდა საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე და შევიძინეთ კოლექტივის შრომის უკეთ ორგანიზების მიზნით, შინ არავის წაუყვანია. თითიდან გამოწოვილი მიზეზი იყო; მეორე — დენის გაყიდვა — საერთოდ ირეალური.

სადგურის ტერიტორიაზე არის გაქირავებული ფართები, პრაქტიკულად ყველგან ასეა. როგორც წესი, დამქირავებელი იხდის დენის გადასახადს დამოუკიდებლად, იმ მრიცხველის მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ადგილზეა. ყველა ხელშეკრულებაში ჩაწერილია დამქირავებლის ვალდებულება, გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, მაგრამ აბონენტად რჩება გამქირავებელი, ჩვენს შემთხვევაში, ავტოსადგური.

ეს მიზეზიც თითიდან გამოწოვილი იყო. დირექტორს ჩაუწერეს, რომ ულიცენზიოდ ჰყიდდა ელექტროენერგიას.

იძულებული გავხდით, სემეკისთვის მიგვემართა განმარტებისთვის, და მოგვცეს ცნობა, რომ მილიონზე მეტ კილოვატსაათს უნდა აწარმოებდეს ორგანიზაცია, რათა სემეკმა მისცეს ელექტროენერგიის გაყიდვის უფლება.

ასეთი მასშტაბებია.

დამიბარეს მეც სხვებთან ერთად და ერთი პატარა ბიჭი, რომელიც გამოიძიებდა ამ საქმეს ასეთ სისულელეს მეკითხება: — თანახმა ხართ თუ არა, ციხეში რომ ზის სადგურის უფროსი, დაისაჯოსო?

**— უკვე მეორედ ვერ ვიგებ და გეკითხებით: ეს უაზრობა რას უნდა ნიშნავდეს?**

— ჩემგან ითხოვდნენ დადებით პასუხს, რათა სადგურის დაპატიმრებული დირექტორისთვის ეჩვენებინათ, რომ მე ვითხოვ მის დასჯას. ამით თავიანთი პოზიციის გამაგრებას ცდილობდნენ.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მეც ვარ ნამუშევარი, უმაღლესი იურიდიული განათლებაც მაქვს მიღებული და მარტივად მივხვდი, რასაც აპირებდნენ, ამიტომ ვუპასუხე: — თანახმა ვარ, დაისაჯოს ყველა, ვისაც დარღვეული აქვს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნილება და ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული...

თავი დამანება!

**— გამაგებინეთ, რად უნდოდათ ამხელა სიცრუის გორგალის დახლართვა ერთი ავტოსადგურის ხელში ჩასაგდებად? რომელი გრაფ მონტე კრისტოს საგანძური ეს იყო? თუ აქაც გამჟღავნდა პროვინციული „კროხობორობა" — მენამცეცეობა?**

— არც ისეთი სანამცეცო ობიექტია. დავთვალოთ: ფართი — 14550 კვადრატული მეტრი, ერთი კვადრატული მეტრი მიწის ღირებულება ბათუმის ამ უბანში 800-დან 1000 დოლარამდე მერყეობს. ეს რომ გავამრავლოთ 14 ათასზე, თოთხმეტი მილიონი გამოდის.

მსუყე ლუკმაა.

მაგრამ ისტორია არ დამთავრებულა.

სასამართლოზე, როგორც წესი, დადგებოდა საკითხი გირაოთი გათავისუფლების შესახებ. პროკურორი დაასახელებდა დიდ თანხას, იმიტომ, რომ შემდეგ უფრო ძვირად გაეყიდათ.

ასეთი იყო მათი სქემა.

სასამართლო სხდომის დროს მოსამართლემ მართლაც დააყენა საკითხი გირაოს თაობაზე და ბრალდებულმა თანხმობა განაცხადა. პროკურორმა 180 თუ 200 ათასი ლარის გირაო დაასახელა.

სადგურის დირექტორი დათანხმდა. მაშასადამე, გირაოს გადახდისთანავე იგი გათავისუფლდებოდა. ეს ოქმში დაფიქსირდა.

აი, აქ საოცრად ჭკვიანური და ძალიან ეშმაკური რამ გათამაშდა. ჩვენმა პარტნიორმა აჭარლებმა ხულოს რაიონის ოთხ სოფელში აღწერეს თავიანთი ნათესავების ქონება (ეს კანონითაა გათვალისწინებული — გირაოში თანხის ან შესაბამისი ქონების გადახდა). მთელი ბიძაშვილ-მამიდაშვილების ქონება მათი თანხმობით, აღუწერიათ (მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი) და ჩაუდვიათ გირაოში. როგორც კი გირაოს რაოდენობა გამოცხადდა, ამათ ეს ქონება ჩადეს და ეს ჩვენი ბიჭი გარეთ გამოვიდა.

ასე დაუსხლტა კანონის ძალით მოძალადეებს ავტოსადგურის უდანაშაულო დირექტორი.

სადგურის მუშაობის პარალიზება ამ გზით რომ ვერ მოახერხეს, აიღეს და სადგურის გარშემო შვიდი ახალი „სადგური" გახსნეს მგზავრების წასართმევად და ჩვენი ბიზნესის მოსაკლავად. ერთი ასეთი „სადგური" ვინმე ჩიჯავაძემ გასტრონომში გახსნა — ხორცის დახლის გვერდზე იყიდებოდა ბილეთები. არც ერთ ასეთ მეკობრულ ობიექტზე მეპატრონეები არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ, ადგილობრივი მთავრობის ხელდასმულები იყვნენ და იმიტომ.

**— ამათ რა კონკურენცია უნდა გაეწიათ თქვენთვის?**

— რახან გადასახადს არ ახდევინებდნენ, მგზავრები იაფად გადაჰყავდათ. ბინძური კონკურენციაა.

ვარშალომიძის, ბათუმის მერის — ჩხაიძის სახელზე ვწერთ საჩივრებს არსებულ წესებზე დაყრდნობით, რომ რეგულარული რეისები თბილისი-ბათუმი უნდა გადიოდეს საწყისი სადგურიდან, ვჩივით, ვაგზავნით. ვინ მოგაქცია ყურადღება!

**ცალკე ისტორიაა ისრაელიდან ინვესტორის შემოსვლა, რომელსაც ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის ყიდვა უნდოდა, და ჩვენც დაგვიკავშირდა. გვეგონა, საქმეს წაადგებოდა, თუ ეს კაცი — ქართველი იუდეველი — იყიდდა სახელმწიფოს კუთვნილ 30 პროცენტიან წილს, ჩვენც ამოვუდგებოდით ჩვენი 51 პროცენტით და ავტოსადგურსაც ფეხზე დავაყენებდით. აქაური რეკეტიორი ხელისუფლებაც შეგვეშვებოდა.**

**ამ კაცს რა დამართეს, სხვა ამბავია.**

**— კერძოდ?**

— უმჯობესია, თვითონ მოგიყვეთ. მე კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ, როგორც ჩემთვის ცნობილია, მიჰყიდეს გემთმშენებელი ქარხანა 2,5 მილიონ დოლარად.

ჩვენ ჩვენი საქმე გაგვჭირვებია.

ინვესტორთან ერთად შევქმენით შესაბამისი სტრუქტურა და ქონების მართვამ მოგვყიდა სახელმწიფოს კუთვნილი 30 პროცენტი. ეს ყველაფერი 2008 წლის 3 აპრილს გაფორმდა. მართალი გითხრათ, საკითხი უპრობლემოდ და სწრაფად გადაწყდა, მაგრამ შემდეგ გამოჩნდა, რა ჩანაფიქრიც ჰქონიათ.

დაიწყო სადგურის სარეკონსტრუქციო პროექტის კეთება და ომიც დაიწყო, აგვისტოს ომი რუსეთთან.

ყველაფერი უკეთეს დღეებამდე გადაიდო (კრიზისიც ამ პერიოდს დაემთხვა), თუმცა პროექტი მაინც დასრულდა და ჩაბარდა ბათუმის მერიას.

ამასობაში საპატიმროდან გამოსული ჩვენი ავტოსადგურის დირექტორი კობა დავითაშვილის „სახალხო პარტიაში" შედის. ამის გამო მერიის ჩინოვნიკები ყალყზე დადგნენ და ამ ჩვენს ინვესტორს პირდაპირ უთხრეს, სანამ აჭარლებს (ჩემს აჭარელ პარტნიორებზეა ლაპარაკი) არ გააგდებ, პროექტს არ დაგიმტკიცებთო. მივიტანეთ მეორე პროექტი. არ ამტკიცებენ.

**— აქედან რა ხეირი აქვთ?**

— დროს წელავენ, რათა პროექტის მიუღებლობით, მაშასადამე, ინვესტიციის ჩაუდებლობის მომიზეზებით, ანუ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო წაგვართვან ის, რაც უკვე ჩვენი საკუთრებაა, რაშიც ფული გადავიხადეთ.

**— პროექტი არ არის, ინვესტიცია არ ჩაიდო, სამუშაო არ დაწყებულა, ე.ი. ხელშეკრულების პირობა ინვესტორმა დაარღვია.**

— ზუსტად ამ მიზეზთა წყების წამოყენება სურდათ: ჩვენს გადახდილ ფულსაც იბრუნებდნენ და საკუთრებაც კვლავ მათი ხდებოდა.

**— მერე, ალბათ, გაყიდდნენ ისევ. ეს ხომ ბინძური სპეკულაციაა!**

— ყაჩაღობაა... მესამე პროექტიც რომ დაიწუნა მერიამ, ამ ჩვენმა ინვესტორმა, ჩემი თანდასწრებით პირდაპირ უთხრა: რახან ჩემი არ მოგწონთ, თქვენი მომეცით და მე დავაფინანსებო.

ვითარება ისეთი ყალიბდება, რომ გრძნობს ის ჩვენი ებრაელი პარტნიორი, გემთმშენებელი ქარხანა რომ აქვს ნაყიდი, იმასაც წაართმევენ.

აიღო და დაინიშნა თავისი თავი ავტოსადგურის დირექტორად: უცხო ქვეყნის მოქალაქე ვარ, ჰაიჰარად ვერაფერს შემომბედავენო. შემოავლო სადგურს ღობე და დაიწყო რეკონსტრუქცია.

**— ეს ნიშნავს, რომ დაიწყო ინვესტიციის ჩადება და მოხსნა მოსალოდნელი ბრალდება ხელშეკრულების ვალდებულების დარღვევის თაობაზე.**

— მართალია. და მაშინ დაიწყო ის, რისი მოწმეც დღეს ვართ — **ლტოლვილებს მაინც და მაინც „ოცნების" კოალიციის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მოუნდათ ცარიელ შენობებში შევარდნა, მეშახტეებს, ავტობუსების შოფრებს ახლა გაახსენდათ, რომ გაფიცვის უფლება აქვთ, ხოლო პროფკავშირები, სადაც გაფიცულებს დაინახავენ, იქ მივარდებიან, და სათავეში ჩაუდგებიან, თითქოს წინა ხელისუფლების დროს მუშების თანადგომა მათი უშუალო მოვალეობა არ იყო.**

**ასეთნაირად აამხედრეს ადგილობრივები და ამ ჩვენს დირექტორს, სამუშაო კაბინეტში რომ იჯდა, უროთი კედელი შემოუნგრიეს. შეყვეს ოთახში თავები და აგინებდნენ, რატომ არემონტებ სადგურსო. ვიღაცები იყვნენ, ვისაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც სადგურთან, არც ჩვენთან.**

ეს ყველაფერი ვიდეოფირზე გვაქვს დაფიქსირებული.

განცხადებასთან ერთად ჩვენი მტკიცებულებანიც მივიტანეთ პოლიციაში... დღემდე, ბარე ორი წელიწადია, არავინ არ დაუკითხავთ!

**— შემდეგ რა მოხდა?**

— როგორც კი 31 მაისი დადგა, ანუ ამოიწურა ვადა ინვესტიციის ჩადების, გაიტანეს სასამართლოზე და ჩამოგვართვეს ჩვენთვის მოყიდული 30 პროცენტი.

ასე უწყობდნენ ხელს ბიზნესის განვითარებას საქართველოში და ასე იზიდავდნენ ინვესტორებს!

ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე არაფერს ვამბობ.

ასე გაგვამწარეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ, რადგან 55 პროცენტი ჩვენს ხელთაა.

ადგა ვარშალომიძე და „თურქმოლთან" ერთად თავის ძმას აუშენა ავტოსადგური, გამოვიდა ადგილობრივი ტელევიზიით და გამოაცხადა: — ახლა ამ სადგურიდან ივლის ყველაო.

**— დღეს რა ვითარებაა?**

— ჩვენი პარტნიორი, ისრაელის მოქალაქე დღე-დღეზე ჩამოვა, მოითხოვს თავისი წილის დაბრუნებას და არა მგონია, რომ ახლა მაინც არ აღდგეს სამართლიანობა.

**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

**„იბერიული დიდი კვადრატი“ და შარაგასის სტელა აგებულია უაღრესად ნიჭიერი და განსწავლული ქართველი ხუროთმოძღვრების მიერ, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურას. „ნეკრესის მზის ტაძარი“ იბერიული ცივილიზაციის გამორჩეული ძეგლია.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლევან ჭილაშვილი (1930-2004) — არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, „საპატიო ნიშნის“, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, 1974-2004 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.



აკადემიკოსმა ლევან ჭილაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ძველი ქართული ქალაქების შესწავლას. ამ საკითხებს ეძღვნება მისი მონოგრაფიები: „ქალაქი რუსთავი“, „ნაქალაქარი ურბნისი“, „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“ I, II ტ., „ძველი გავაზი“, „კახეთის ქალაქები“, „არეში“, „ნეკრესის უძველესი წარწერები“ და „ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები“, რომლებიც სამაგიდო წიგნებად იქცა ქართველ ისტორიკოსთა რამდენიმე თაობისთვის.

ქართული კულტურის ისტორიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი უძველესი ქართული წარწერები, რომლებიც აკადემიკოსმა ლევან ჭილაშვილმა დაათარიღა ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე. ამით საბოლოოდ მტკიცდება ქართული დამწერლობის წინარექრისტიანული წარმომავლობა.

სამწუხაროდ, ქართული დამწერლობის წინარექრისტიანული წარმომავლობა არ არის წარმოდგენილი „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში.

სწორედ ქართული დამწერლობის წინარექრისტიანული წარმომავლობის დასაბუთებას ეძღვნება პროფესორ რაულ გვეტაძის წინამდებარე წერილი.

# ნეკრესის წარმართული სამლოცველოები და ქართული ისტორიოგრაფია

**ნეკრესი ქართული ცივილიზაციის უძველესი კერაა, სადაც რელიგიური მრწამსის განვითარების რამდენიმე საფეხური დასტურდება. ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია ნეკრესის ნაქალაქარის დასავლეთ მხარეს აღმოჩენილი ციურ მნათობთა ტრიადისადმი მიძღვნილი სამლოცველო, რომელიც თარიღდება ძვ. წ. აღ. XIV-XII ს.ს.-ით. სამლოცველოს შესასვლელი კორიდორი, ისევე, როგორც საყოველთაოდ ცნობილ სტოუნხენჯში, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზეა ორიენტირებული. ირკვევა, რომ იგი მზის კულტის გავლენით აშენდა. აქ ჩვენ წინაშე ჩანს ის ტიპიური მოვლენა, როდესაც, როგორც ცნობილია, ზაფხულის მზებუდობისას მზე თითქოს ჩერდება და მისი დახრილობა 23.5 გრადუსით ხდება.**


სურ. №1. „ნეკრესის მზის ტაძრის“ ნანგრევი

ნეკრესის წინაქრისტიანული ხანის საკულტო ძეგლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გრანდიოზული და დახვეწილი დაგეგმარების **სატაძრო ნაგებობების ნაშთი (იხ. სურ. 1),** რომელიც მდებარეობს ნაზვრევი გორის ძირში, გაშლილ ველზე. მონუმენტური არქიტექტურული ანსამბლის ცენტრში მდებარეობდა **კვადრატული ნაგებობა (იხ. სურ. 2).** სამწუხაროდ, დღეს იგი დანგრეულია და მხოლოდ მისი საძირკველიღაა შემორჩენილი. მისი ოთხივე კედლის ირგვლივ განთავსებული იყო დერეფნებით გამოყოფილი აფსიდიანი ოთხი ნაგებობა, რომლებიც ცენტრალური კვადრატისკენ მიმართული იყო აფსიდის რკალით. თვით აფსიდიანი სათავსოები განლაგებული იყო ჯვარედინად. მთლიანად ანსამბლი შედგებოდა შვიდი დამოუკიდებელი ნაგებობისგან. ისინი მოქცეული იყო კვადრატის ფორმის ზღუდს შორის, რომლის გარე ზომები იყო 50(50 მ. კვადრატული ზღუდის თითოეული კედლის ცენტრში 5 მ-ის სიგანის ღიობებია, რომლებიც უსწორდება იმავე სიგანის აფსიდიანი დარბაზების შესასვლელ კარს. დანარჩენი ნაგებობები და სათავსოები, რომელთაგან თითოეულს აქვს 1,5 მ სიგანის კარი, ერთმანეთთან დაკავშირებული იყო კორიდორული სისტემით.

**2004 წელს პროფესორებმა: ირაკლი სიმონიამ, ნოდარ ბახტაძემ და ასტრონომიის ისტორიის ცნობილმა ბრიტანელმა მკვლევარმა კლაივ რაგლსმა ერთად ჩაატარეს ნეკრესის ტაძრის არქეოასტრონომიული კვლევა. საველე აზომვებისა და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, მათ განსაზღვრეს ლანდშაფტში შენობის მდებარეობის კოორდინატები. დადგინეს, რომ 21-22 დეკემბერს, ზამთრის მზებუდობისას, როდესაც წლის მანძილზე ყველაზე მოკლე დღეა, ამომავალი მზის პირველი სხივი სამხრეთ-აღმოსავლეთ აფსიდას ანათებს (იხ. სურ. 2).**

„ნეკრესის მზის ტაძარი“ არქიტექტორ და არქეოლოგ ნოდარ ბახტაძის მიერაა აგეგმილი. პროფესორმა გურამ ყიფიანმა ამ არქეოლოგიური კომპლექსის კვადრატული ფორმის გეგმას „დიდი კვადრატი“ უწოდა. კვადრატის შიგნით, თითოეული შესასვლელის პირდაპირ სამ და ოთხსათავსოიანი ბლოკია. თითოეული ბლოკის შემადგენლობაში ერთი აფსიდიანი დარბაზია, რომელიც ცენტრალური შესასვლელის პირდაპირ მდებარეობს. „დიდი კვადრატის“ ჩრდილოეთი და სამხრეთი მხარეებზე განთავსებულია სამნავიანი აფსიდიანი ბლოკები, ხოლო დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებზე — ოთხსათავსიანი ნაგებობები. „დიდი კვადრატის“ დიაგონალზე სამი სწორკუთხა დარბაზია: ერთი ცენტრშია და თითო — კუთხეებში. ჯვარედინად განლაგებული აფსიდიანი ნაგებობები ჰარმონიული და ლამაზი არქიტექტურული კომპლექსის შთაბეჭდილებას ქმნის. მათ ერთობლიობას ჯვრის ფორმა აქვს. აფსიდური დარბაზები ჯვარედინად და სიმეტრიულად არის განლაგებული, ხოლო ოთხსათავსოიანი ბლოკები „დიდი კვადრატის“ მიმართ ასიმეტრიულად არის განთავსებული. ამავე დროს ეს **ოთხსათავსოიანი აფსიდური ბლოკები, ცენტრალურ კვადრატულ სათავსოსთან ერთად, სვასტიკის მკვეთრად გამოხატულ ორ ფრთას გამოსახავს (იხ. სურ. 2).** დავნომროთ ტაძრის გალავნის შიგნით განთავსებული სათავსოები და გავიხსენოთ, რომ ძველად ქართულ ასომთავრულ ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდათ. მაშინ ოთხაფსიდიან ბლოკში, რომელიც ზამთრის მზებუდობას უკავშირდება, მე-4 პოზიციაზე აღმოჩნდება მზის სიმბოლო — ასო „დონ“-ი. ამ ბლოკის ოთხეულის რიგითი ნომრების ნამრავლი უტოლდება დღე-ღამის ხანგრძლივობას 24 საათს (=1(2(3(4). მე-3 აფსიდური სათავსოს ნომრის კვადრატული მნიშვნელობაა 3x3=9, რაც გვიჩვენებს, რომ ზამთრის მზებუდობისას, 21-22 დეკემბერს დღის ხანგრძლივობა შეადგენს 9 საათს. სვასტიკის სამხრეთ-დასავლეთ ფრთის მე-10, მე-11 და მე-12 სათავსოების შესასვლელ კარებს ერთნაირი დამხრობა აქვს. შევაჯამოთ ამ სათავსოთა რიგითი ნომრების კვადრატული მნიშვნელობები 10x10+11x11+12x12=365, რაც მზის კალენდარული წლის ხანგრძლივობაა. აფსიდიანი სათავსოების რიგითი ნომრების ჯამი უდრის 36 (=3+7+11+15). ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ **ტაძრის გეგმარება უკავშირდება 36-ასოიანი იბერიულ-ქართულ ანბანურ წყობას, ამიტომ ამ არქიტექტურულ კომპლექს ჩვენ ვუწოდეთ „იბერიული დიდი კვადრატი“. კვლევით დადასტურდა, რომ არქიტექტურული ანსამბლის გეგმარებაზე აისახა მზის ტაძრის აგების თარიღი. დადგინდა, რომ ფარნავაზის ეპონიმური წელთაღრიცხვით, ძეგლი აგებულია 323 წელს (=17(19), რაც ეთანადება ახ. წ. 40 წელს. ტაძრის გეგმაზე აითვლება თვალსაჩინო ასტრონომიული მოვლენა — მზის დაბნელების თარიღი, რომელსაც მზებუდობის პერიოდში ახ. წ. 19 წლის 21 ივნისს ჰქონდა ადგილი.** ასევე აღმოჩნდა, რომ ძეგლზე აღნიშნული თარიღი დაკავშირებულია ფარსმან მეფის ზეობის პერიოდთან. „იბერიულ დიდ კვადრატზე“ დიაგონალურად განთავსებულია N5, NN17 და N13 სათავსოები. ვთქვათ, ამ სათავსოებში ჩავსვათ შესაბამისი ქართულ ანბანის ნიშანთა სახელები: **„ენ“, „პარ“, „მან“ (იხ. სურ. 3).** წყვილი „პარ“ და „მან“ ერთად გვაძლევს სიტყვას „პარ[ს]მან“, რაც მეფე ფარსმანის სახელის ირანული ჟღერადობაა. „იბერიული დიდი კვადრატის“ დიაგონალურ სათავსოებში მთლიანად დაფიქსირებულია სახელი: „უფალი პარ[ს]მან“.



სურ. №2. „ნეკრესის მზის ტაძრის“ გეგმა



სურ. №3. „ნეკრესის მზის ტაძარზე“ ამოკითული იბერიის მეფე ფარსმან I-ის სახელი (პარსმან)

**„ნეკრესის მზის ტაძარი“ რიტუალური და მემორიალური დანიშნულების უნიკალური არქიტექტურული ანსამბლია. ასტრალური ღვთაების სადიდებლად აგებულ კომპოზიციაში მზის კალენდარული პარამეტრის ასათვლელ სტრუქტურულ ელემენტებთან ერთად შერწყმულია იბერიის დიდი მეფის ზეობის თარიღი და სახელის ამსახველი კომპონენტები.**

„იბერიული დიდი კვადრატი“ და შარაგასის სტელა აგებულია უაღრესად ნიჭიერი და განსწავლული ქართველი ხუროთმოძღვრების მიერ, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურას. „ნეკრესის მზის ტაძარი“ იბერიული ცივილიზაციის გამორჩეული ძეგლია. იგი ქართული ეროვნული არქიტექტურული აზროვნების შედევრია. მასში შერწყმულია ასტრონომიული, კალენდარული და ისტორიული ხასიათის ინფორმაციის ამსახველი ელემენტები. „ნეკრესის მზის ტაძარი“ და ნეკრესის მთვარე-მზის წარმართული კალენდარი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს.

**„საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულიდან ნეკრესის კულტურული მემკვიდრეობის გამორიცხვამ გამოიწვია იბერიული ცივილიზაციის გაუჩინარება და მისი როლის დაკნინება.** განა ნეკრესის უძველეს კულტურულ ტრადიციას არ უნდა ვუმადლოდეთ ყველაზე ადრეული, VI ს.-ით დათარიღებული ნეკრესის მცირე ბაზილიკად წოდებული ქრისტიანული ეკლესიის არსებობას, რომელიც წარმართული სამლოცველოს გადაკეთების გზით არის მიღებული? შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, ბოლო წლებში იბერიული ცივილიზაციის კვლევაში ქართველმა მეცნიერებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს, მაგრამ ამ მასალების შეფასებასა და სათანადოდ აღიარებზე თავს იკავებს „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგია. **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულ ანბანში დაფიქსირებულია მზის კალენდარული სისტემა, რომელიც შეიქმნა იმხანად, როდესაც საქართველოში გაბატონებული იყო მზის კულტი, მაშინ გაუგებარია, „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში რატომ არ აღმოჩნდა ადგილი ისეთი უნიკალური და ფუნდამენტალური მნიშვნელობის ძეგლისთვის, როგორიცაა „ნეკრესის მზის ტაძარი“...**

**რაულ გვეტაძე,**
პროფესორი

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფედერალური სარეზერვო სისტემა თვეში 40 მილიონ დილარს ხარჯავს, რომ იპოთეკურ სესხებზე პროცენტები შეამციროს, რამაც, თავის მხრივ, ამერიკელებს სახლების შეძენისკენ უნდა უბიძგოს. ამის ნაცვლად მისი პოლიტიკა, შესაძლოა, უფრო მეტ სარგებელს აძლევდეს ბანკებს და არა ბანკების მოვალეებს.**

# მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადადის

**მსოფლიო სავალე კრიზისი თავისი განვითარების გზაზე ახალ სახიფათო ფაზას მიუახლოვდა. სამწუხაროდ, ამერიკელების უმეტესობა ჯერ კიდევ ვერ ამჩნევს ამას, რადგან მოვლენათა მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ ხდება, ამერიკის ფინანსური ბაზრები კი ჯერ კიდევ ზრდას აჩვენებენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისი ახლა შენელებული კადრის სისწრაფით ვითარდება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ყველაფერში იდუმალი საფრთხე არ იმალება.**







ეკონომიკური კოლაფსი ერთადერთი განცალკევებული მოვლენა არ იქნება. კი, იქნება დღეები, როდესაც დოუს ინდექსი 500-ზე მეტი პუნქტით დაიკლებს, მაგრამ ძირითადად იქნება ჩუმი სასოწარკვეთის დღეები იმის შესაბამისად, რომ მსოფლიო ეკონომიკური სისტემა სულ უფრო შორს შეტოპავს მოუსავლეთში, თუმცა ეს უკვე ხდება.

უკვე ჩვენ თვალწინაა იმის არაერთი დადასტურება, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი წუთიწუთზე გადავა თავის ახალ დონეზე. ეს მტკიცება შემდგომ ჩამოთვლილ ფაქტებს ეფუძნება.

ისრაელის ბანკის თავმჯდომარე სტენლი ფიშერი საუბრობს იმის შესახებ, რომ მსოფლიო ეკონომიკა რეცესიასთან „უკიდურესად ახლოსაა".

გასულ კვირას გამოაცხადეს, რომ საბერძნეთში უმუშევრობის მაჩვენებელმა მთელი დროის მანძილზე უმაღლეს დონეს — 25,1%-ს მიაღწია. 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის უმუშევართა დონემ 54%-ს გადააჭარბა.Არადა, ჯერ კიდევ 2010 წლის აპრილში საბერძნეთში უმუშევრობა სულ რაღაც 11,8%-ს შეადგენდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამბობს, რომ საბერძნეთის ვალები, შესაძლოა, კიდევ ერთხელ იქნეს „რესტრუქტურიზებული".

შვედეთის ფინანსთა მინისტრი ანდერს ბორგი აცხადებს, რომ **შესაძლოა, საბერძნეთმა ევრო დატოვოს და ეს, სავარაუდოდ, მომავალი 6 თვის განმავლობაში მოხდება.**

დაახლოებით 40 ათასმა განრისხებულმა ბერძენმა ათონის ქუჩები იმისთვის გადაავსო, რომ საბერძნეთში გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, ჩასვლა გაეპროტესტებინა. მოსწავლეებით დაწყებული, პენსიონერებით დამთავრებული — ყველა ქუჩაში იყო და ცდილობდა, დაენახვებინა გერმანიის კანცლერისათვის საკუთარი აღშფოთება ქვეყანაში მიმდინარე მკაცრი ეკონომიის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ხელისუფლების მიერ საპროტესტო აქციებისთვის დაწესებული აკრძალვის ღიად ფეხებზე დაკიდებით, ის ადამიანები, რომელთა საერთო რაოდენობა, შეფასებების თანახმად, 40 ათასს შეადგენდა, პარლამენტის შენობასთან მძვინვარებდნენ, ბევრ მათგანს ხელში ეჭირა ტრაფარეტები, რომლებზეც გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ნაცისტების ფორმაშია გამოწყობილი. ნიღბიანი ახალგაზრდები პოლიციას ქვებს უშენდნენ. საპასუხოდპოლიციისგან ცრემლსადენი გაზი მიიღეს. ხელისუფლებამ ადგილზე პოლიციის შვიდი ათასი თანამშრომელი, წყალმფრქვევები და ვერტმფრენი გაგზავნა. გერმანელი ლიდერისთვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შენობების სახურავებზე სნაიპერები ისხდნენ.

სულ უფრო მეტ მღელვარებას იწვევს არგენტინის სავალე კრიზისი.

**როგორც ვარაუდობენ, თანაფარდობა სახელმწიფო ვალსა და საერთო შიდა პროდუქტს შორის იტალიაში წელს 126 პროცენტს გაუტოლდება. საბერძნეთში იგივე მაჩვენებელი 198 პროცენტია, იაპონიაში კი — 237.**

სააგენტო „Standard & Poors"-მა ესპანეთის სახელმწიფო ვალის საკრედიტო რეიტინგი „BBB"-ს დონემდე დააგდო, რაც სულ ოდნავ აღემატება სანაგვის დონეს.

**ჯერ კიდევ 2000 წელს ესპანეთში საერთო ვალის თანაფარდობა ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტთან 192 პროცენტს შეადგენდა, 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 363 პროცენტს მიაღწია.**

ესპანური ბანკებიდან გააქვთ რეკორდულად დიდი რაოდენობის ფული და ქვეყნის უამრავი მსხვილი ბაკი გაკოტრებისკენ მიექანება.

**მსოფლიო ეკონომიკური სისტემა სულ უფრო შორს შეტოპავს მოუსავლეთში, თუმცა ეს უკვე ხდება. უკვე ჩვენ თვალწინაა იმის არაერთი დადასტურება, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი წუთიწუთზე გადავა თავის ახალ დონეზე**



ზედიზედ 17 თვეა, ესპანეთში განუხრელად იკლებს საწარმოო აქტივობა.

არსებული ტენდენციების საფუძველზე გამოითქმება ვარაუდი, რომ 2013 წლის ბოლოსთვის ესპანეთში უძრავ ქონებაზე ფასები კიდევ 15 პროცენტით შემცირდება.

**საფრანგეთში უმუშევრობის დონე 16 თვის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა და ახლა მისმა დონემ ქვეყანაში 10 პროცენტს მიაღწია.**

სახეზეა ნიშნები, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს, რომ **შვეიცარია მთელი ევროპის მასშტაბით მასობრივი ბუნტებისთვის ემზადება.**

ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი მაღალი რანგის მოხელე აცხადებს, რომ **ევროპის ცენტრალური ბანკი პანიკის მდგომარეობაშია** და სასოწარკვეთილი ცდილობს, როგორმე მოაგვაროს ევროპის სავალე კრიზისის საკითხი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის უკანასკნელი ანგარიშების თანახმად, **მომავალი 14 თვის მანძილზე ევროპის ბანკები, შესაძლოა, იძულებულნი გახდნენ, 4,5 მილიონი დოლარის აქციები გაყიდონ**, რათა შეესაბამებოდნენ კაპიტალისადმი ახალ მკაცრ მოთხოვნებს.

**აგვისტოში ამერიკული ექსპორტი გასული წლის თებერვლიდან ყველაზე დაბალ დონეზე დავიდა.**

ეკონომიკის პროფესორი ბარი აიკენგრინი ძალზე შეშფოთებულია იმის გამო, რაც ამერიკის საფონდო ბაზარს ელის. „შეშფოთებული ვარ იმის გამო, რომ ამერიკის შტატების სააქციო ბაზრები ეკონომიკურ ზრდაზე წინ გაიქცნენ", — განაცხადა მან.

**მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში ინვესტორებმა საინვესტიციო ფონდებიდან 10 მილიარდ დოლარზე მეტი გაიტანეს. სულ მიმდინარე წლისთვის ამერიკის სავალე ფონდებიდან 100 მილიარდ დოლარზე მეტია გატანილი.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდი იტყობინება, რომ **არსებობს კიდევ უფრო დიდი ეკონომიკური ვარდნის სახიფათოდ მაღალი რისკი.**

სატრანსპორტო კომპანიების მიერ შტატების შემცირება ეკონომიკური აქტივობის შენელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიგნალია. ამიტომაც ატყდა განგაში, როდესაც ერთ-ერთმა საერთაშორისო ექსპრეს-გზავნილების ფირმამ გამოაცხადა, რომ რამდენიმე ათასი თანამშრომლით აპირებს შტატის შემცირებას. მედიის ცნობით, ამ ბიზნესს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება აყენებს მძიმე დარტყმებს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თითქოს არავის ულხინს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთებიც არიან. სავალუტო სტიმულირების მესამე რაუნდი ხელს აძლევს აშშ-ის მსხვილ ბანკებს და მდიდრებს კიდევ უფრო ამდიდრებს.

როგორც „Washington Post"-ი წერს, ქვეყნის უმსხვილესი იპოთეკური კრედიტორები „JPMorgan Chase" და „Wells Fargo" არ აპირებენ, მნიშვნელოვნად შეამცირონ პროცენტები მოსახლეობისთვის იპოთეკურ სესხებზე.ასეთია ეკონომიკის სტიმულირების ფედერალური ინიციატივის მშრალი ნარჩენები. **ფედერალური სარეზერვო სისტემა თვეში 40 მილიონ დილარს ხარჯავს, რომ იპოთეკურ სესხებზე პროცენტები შეამციროს, რამაც, თავის მხრივ, ამერიკელებს სახლების შეძენისკენ უნდა უბიძგოს. ამის ნაცვლად მისი პოლიტიკა, შესაძლოა, უფრო მეტ სარგებელს აძლევდეს ბანკებს და არა ბანკების მოვალეებს.**

მესამე კვარტალში „JPMorgan"-მა იპოთეკიდან 57%-ით უფრო მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში. „Wells Fargo"-ს შემთხვევაში ანალოგიურმა მაჩვენებელმა 50 პროცენტს გადააჭარბა.

შეიძლება კი, რომ ფედერალური რეზერვისგან რაიმე სხვას ველოდოთ?

ამერიკელებს სჯერათ, რომ „ფედი" მათი ქვეყნის ეკონომიკას გადაარჩენს, არადა მას საკუთარი ნაღდი ფულის შენარჩუნება უზრუნველჰყოს. როგორც გაირკვა, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ სულ ახლახან ახლადდაბეჭდილი 100-დოლარიანი ბანკნოტების დიდი პარტია დაკარგა. თუმცა, შესაძლოა, ადამიანებისთვის იმის საშუალების მიცემა, რომ მისი კუთვნილი ფურგონებიდან ფული გაზიდონ, კიდევ ერთ საშუალებაა, რომლითაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ეკონომიკის სტიმულირებას ცდილობს.

**მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში ინვესტორებმა საინვესტიციო ფონდებიდან 10 მილიარდ დოლარზე მეტი გაიტანეს. სულ მიმდინარე წლისთვის ამერიკის სავალე ფონდებიდან 100 მილიარდ დოლარზე მეტია გატანილი**

mixednews.ru

**თუ გერმანია აშშ-დან თავის ოქროს გაიტანს, ეს ძალიან გააფუჭებს ორი ქვეყნის ურთიერთობას და ვერავინ იტყვის, რომ ამ დაპირისპირებაში აშშ გაიმარჯვებს, რადგან გერმანიის გვერდით ევროკავშირის 27 ქვეყანა დგას. მაგრამ თავად გერმანელებსაც ეშინიათ ხმაურის ატეხვის, რადგან ამ ხმაურში შეიძლება გაირკვეს, რომ გერმანიის ახლანდელი ოქრო ყოფილი რაიხის ოქროა, რომლისგანაც ამერიკამ უკვე დაამზადა ყალბი ზოდები.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნდა ველოდოთ თუ არა ოქროს მასობრივად ამოღებას?




**როგორც კი საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა გაიგო, რომ ფრანგული ოქრო ამერიკის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში ინახებოდა, როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, თქვა: „საეჭვოა, ამის შემდეგ მშვიდად ძილი შევძლო“. 1965 წელს მან ფრანგული გემები ატლანტიკის მიღმა იმისთვის გაგზავნა, რომ ნიუ იორკში მდებარე საცავებიდან 150 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო პარიზში გადმოეტანა, რაც ნამდვილად კეთილგონივრული გადაწყვეტილება იყო დე გოლის მხრიდან.**

დე გოლს მშვენივრად ესმოდა, რომ იმას, რასაც აშშ აკეთებდა, საერთაშორისო აფერის მეტს ვერაფერს უწოდებდი. აშშ პირობას დებდა, რომ დოლარების მფლობელნი ნებისმიერ დროს შეძლებდნენ ფულის ოქროზე გადაცვლას იმხანად დადგენილი კურსის მიხედვით. მაგრამ, როგორც ყოველთვის ემართებათ მათ, ვინც ჩეკს უზრუნველყოფის გარეშე წერენ, სულ მალე ნათელი გახდა, რომ აშშ გაცილებით უფრო მეტ დოლარს ბეჭდავდა, ვიდრე ზემოხსენებული კურსის შესაბამისი ოქრო ჰქონდა.

დე გოლი პირველი აღმოჩნდა, მოგვიანებით კი სხვა ქვეყნებმაც იყნოსეს აფერა და დოლარების სანაცვლოდ საკუთარი ოქრო მოითხოვეს.

ამას მოთხოვნებისა და ოქროს დაბრუნების მთელი ტალღა მოჰყვა...

**1971 წლის მარტში მხოლოდ ერთი დღის მანძილზე გაცვლითი მექანიზმიდან ამოღებულ იქნა 400 ტონა ოქრო, რამაც ბოლოს და ბოლოს ლონდონის ოქროს ფონდის დაშლა განაპირობა. აგვისტოში პრეზიდენტმა ნიქსონმა ოქროს ფანჯარა საბოლოოდ დახურა, რაც თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ ამერიკამ არ შეასრულა მოვალეობები, რომლებიც აბსოლუტურად არაორაზროვნად იტვირთა დოლარის კონვერტირებასთან დაკავშირებით.**

საფრანგეთის მსგავსად, გერმანიასაც მწარე გამოცდილება აქვს არაუზრუნველყოფილი ქაღალდების ჰიპერინფლაციასთან დაკავშირებით. ახლაღახდება შესაძლებელი იმის გაცნობიერება, თუ რას ნიშნავს ის ნაბიჯები, რომლებსაც თანმიმდევრულად დგამს გერმანია და რომლებიც ეხება მსოფლიოს ცენტრალური ბანკების საცავებში შენახულ ოქროს.

**„The Daily Telegraph“-ის ერთ-ერთ მასალაში საუბარი იყო იმის შესახებ, თუ როგორ გაგზავნა გერმანიამ მოთხოვნა იმ ოქროს დასაბრუნებლად, რომელიც ლონდონში, პარიზსა და ნიუიორკში ინახება.**

გერმანიის ოფიციალურმა სტრუქტურებმა შეადგინეს ანგარიში, რომელშიც ამტკიცებენ, რომ ოქროს ფიზიკური შენახვადობა არასდროს გაკონტროლებულა. ამასთან დაკავშირებით ბუნდესტაგს დაევალა, უზრუნველეყო საცავებთან უსაფრთხო წვდომა.

გერმანიამ უკანასკნელ სამ წელიწადში 150 ტონა ოქროს დაბრუნება მოითხოვა ზოდების წონისა და ხარისხის გადამოწმების მიზნით. როგორც ცნობილია, ფრანკფურტს არ გააჩნია დანომრილი ზოდების რეგისტრაცია.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ 2000 და 2001 წლებში ბუნდესბანკმა ლონდონში თავისი დაბანდება 1440-დან 500 ტონამდე შეამცირა, თითქოსდა შენახვის ძალზე დიდი საფასურის გამო. მეტალი ფრანკფურტში საჰაერო გზით გადაზიდეს.

მაინც რა უყვეს ოქროს ცენტრალურმა ბანკებმა?

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოქროს ზოდი არსებობს, ჩნდება კითხვა, თუ ვინ და როგორ გამოიყენებს მას, შეიძლება თუ არა მისი გასესხება, დაგირავება, გაცვლა ან გაყიდვა.

„The Telegraph“-ის ზემოხსენებულ პუბლიკაციაში საუბარია იმაზე, რომ გერმანიის ქმედებები განპირობებულია იმ მოთხოვნებით, რომლებიც წამოაყენეს მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებმა კამპანიის „დაგვიბრუნეთ ჩვენი ოქრო“ ფარგლებში. მათ გვერდით ედგნენ ანტიმონოპოლური კომიტეტის ამერიკელი მოკავშირეებიც, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ოფიციალური მონაცემების ნდობა არ შეიძლება. ისინი ირწმუნებიან, რომ **ცენტრალურმა ბანკებმა მათი ოქროს მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაანიავეს.**

საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხი შემოწმებისას უნდა გაეცეს,მაგრამ არსებობს კიდევ ერთი სერიოზული ხიფათი იმ ზოდების ნამდვილობასთან დაკავშირებით, რომლებიც ცენტრალურ ბანკებსა და სხვა საცავებში ინახება.

მათ, ვინც 1971 წლის 15 აგვისტოს შემდეგ მოინდომეს დოლარის ოქროზე გადაცვლა, დააგვიანეს, დე გოლმა კი იგრძნო, რომ ამერიკის მონეტარულ მანიპულაციებში რაღაც მახე იყო დაგებული, თანაც იგრძნო უფრო ადრე, ვიდრე ნიქსონი გამოაცხადებდა, რომ ამერიკა უარს აცხადებდა თავისი ოქროს ვალდებულებებზე. დღეს კი გერმანია იქცევა ისე, თითქოს რაღაც საფრთხეს გრძნობს.

**დღეს მრავალი საგანგაში სიგნალის დაჭერა შეიძლება. ეს სიგნალები ფულადი სისტემის სისუსტესა და იმაზე მიანიშნებენ, რომ ქაღალდის დოლარის დღეები დათვლილია. ამგვარ სიტუაციაში ურიგო არ იქნებოდა იმაში დარწმუნება მაინც, რომ ხალხის კუთვნილი ოქრო შენახულია.**

Canada Free Press

# არსებობს თუ არა რაიხის ოქრო?

**ოფიციალურად გერმანიის ოქროს 31 პროცენტი გერმანიაში ინახება, 45% — აშშ-ში, 13% — ბრიტანეთში და 11% — საფრანგეთში, მაგრამ სინამდვილეშიც ასეა?ცხადია, საუბარი არაა ჰიტლერისდროინდელი რეიხის ოქროზე, მაგრამ, თუ ქალბატონ მერკელს მართვის მამაკაცური მანერების გამო ჟურნალისტები ხანდახან რეიხსკანცლერს უწოდებენ, მაშინ ოქროც რეიხისაა. უნდა აღინიშნოს, რომ თავად სიტყვა რეიხსკანცლერში არაფერი მოიაზრებოდა ცუდი, ვიდრე ის ჰიტლერის გერმანიასთან არ ასოცირდებოდა. ხომ გასაგებია, რომ ჰიტლერი ნებისმიერ სიტყვას გაუფუჭებდა მნიშვნელობას. და მაინც, რა ხდება გერმანულ ოქროსთან დაკავშირებით და რამდენად მართალნი არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ აშშ-ში, ფორტ-ნოკსში ოქრო საიმედოთ ინახება?**




ყველაზე საინტერესო ისაა, რატომ ალაპარაკდნენ ჟურნალისტები გერმანიის ოქროს შენახვაზე.საქმე ისაა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა კერძო ფინანსური ორგანიზაციაა და ის შემოწმებას უნდა დაქვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა, არც გერმანელ პოლიტიკოსებს და არც ფინანსისტებს ეს ოქრო არასდროს უნახავთ. ფორტ-ნოქსში ამერიკელი სენატორები და კონგრესმენებიც კი არ დაიშვებიან.

**შესაძლოა, ეს ფორტ-ნოქსი საერთოდაც არ არსებობს.ქაღალდზე გერმანია, როგორც კი დასჭირდება, იღებს დოლარების კრედიტს და ქაღალდზევე დებს გირაოში არარსებულ ოქროს,ანუ არაუზრუნველყოფილი დოლარის სანაცვლოდ იძლევა არარსებულ ოქროს. თავბრუდამხვევი კომერციაა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ორმხრივი ბლეფი მშვენივრად მუშაობს.**

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ოქროს ფასი და მისი როლი საერთოდ არაფერს შეესაბამება. ეს რაღაც ერთგვარი კერპია, რომლის ირგვლივაც ბრუნავს მსოფლიოს ვალუტები. ოქრო მხოლოდ იმის გამო იქნა არჩეული, რომ ბუნებაში დიდი რაოდენობით არ არსებობს და სახელმწიფო ხაზინების გასამდიდრებლად ადვილად ვერავინ მოიპოვებს. ოქრო მხოლოდ რაღაც ღირებულების ექვივალენტია. ამ შემთხვევაში **ძალიანაც კარგია, თუ ბლეფის ტრიალი ოქროს გარეშეც მშვენივრად ხერხდება,მაგრამ ერთ დღესაც გერმანია თავის ოქროს უკან რომ მოითხოვს და ეს ოქრო ადგილზე არ აღმოჩნდება, უმალ დაემხობა როგორც ევრო, ისევე ყველა საბირჟო და საბანკო ქაღალდი.**

როგორც გერმანიის ფედერალური ბანკის მმართველობის ერთ-ერთი წევრი ამბობს, გერმანიამ ოქროს პირველი პარტია ნახევარი ტონის ოდენობით 1951 წელს შეიძინა, **1956-ში კი გერმანიის ოქროს მარაგი 1328 ტონას შეადგენდა.** იმ პერიოდში არა მხოლოდ გერმანია, არამედ მთელი ევროპაც ნანგრევებად იყო ქცეული. საიდან გამონახა ამდენი ოქროს შესაძენი ფული ძირფესვიანად განადგურებულმა ეკონომიკამ?

მაშინ გერმანიაში ჯერ კიდევ ყველა არ იყო დაპურებული და ოქროს შეძენა უცხო ქვეყნების საცავებში დასალაგებლად პოპულარული იდეა ნამდვილად ვერ იქნებოდა. გარდა ამისა, 1328 ტონა ოქრო ფანტასტიური სიმდიდრეა, რომლის შესაძენი ფული გერმანიას, უბრალოდ, არ ჰქონდა.

როგორც ჩანს, სწორედ მაშინ დაიდო ის „ჯენტლმენური გარიგება“, რომლის წყალობითაც დღეს ამბობენ, რომ ფორტ-ნოქსში გერმანული ოქრო დევს. **დღეს კი, აშშ-ის ფინანსური იმიჯის გაუარესების პირობებში, გერმანიამ გადაწყვიტა, თავისი ოქრო უკან გამოიხმოს. ეს ძალზე სახიფათო გადაწყვეტილებაა არა მხოლოდ მისთვის, ვინც გერმანიის მხრიდან ამის განხორციელებას გაბედავს, არამედ თავად ოქროსთვისაც.**

საქმე ისაა, რომ ვიდრე ფორტ-ნოქსში გერმანიის ოქრო დევს (ან არ დევს და მხოლოდ ითვლება, რომ დევს), აშშ-ში გერმანიის ოქროს აქტივები შეადგენს ოქროს მარაგის 45%-ს. როგორც კი გერმანია ამ ოქროს წაიღებს, ეს იქნება ერთადერთი, რაც გერმანიას შერჩება ხელში.

ამბობენ, რომ ოქროს ზოდები მხოლოდ ამოვლებულია ოქროს წყალში, შიგნით კი ვოლფრამია, მაგრამ ამას დადასტურება სჭირდება. დადასტურება კი ნიუიორკის ერთ-ერთი ოქროს დილერია, რომელიცახლახან ჩაიჭრა საქმეში ოქროში ამოვლებული ვოლფრამის ზოდების გამო.

მრავალი წლის მანძილზე ეს დილერი ოქროს ერთი და იმავე მიმწოდებლისგან ყიდულობდა. ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ ზოდები მალე გადამუშავდებოდა. მაშ, რაღატომ მისცა მუდმივ კლიენტს ასეთი საქონელი?

აბსოლუტურად ნათელია, რომ დილერთან სხვისთვის განკუთვნილი ოქრო მოხვდა. ეს ზოდები უნდა გადაეცვალათ დოლარზე ხალხისთვის, რომელიც ზოდს, ცხადია, შუაში არ გადახერხავდა. სწორედ ასეთ ზოდებს გაგზავნიან გერმანიაშიც. ბუნდესბანკს ამერიკელები სრული სვლით მოამარაგებენ ამ „ფარშირებული“ ოქროს ზოდებით. ეს ზოდები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებენ ოქროს ღირებულებას, თუ გერმანელები მას ხელს არ ახლებენ და ისევ ამერიკელებს დაუტოვებენ მათი ვალების ასანაზღაურებლად.

გერმანია კი მაინც აპირებს ოქროს გამოზიდვას პატარ-პატარა პარტიებით და აცხადებს, რომ ის თანამედროვე და უფრო მოხერხებულ ზოდებად უნდა გადაადნოს. ამ განცხადებით გერმანია ამერიკას აფრთხილნებს, რომ ყველა ზოდს შეამოწმებს.

**თუ გერმანია აშშ-დან თავის ოქროს გაიტანს, ეს ძალიან გააფუჭებს ორი ქვეყნის ურთიერთობას და ვერავინ იტყვის, რომ ამ დაპირისპირებაში აშშ გაიმარჯვებს, რადგან გერმანიის გვერდით ევროკავშირის 27 ქვეყანა დგას. მაგრამ თავად გერმანელებსაც ეშინიათ ხმაურის ატეხვის, რადგან ამ ხმაურში შეიძლება გაირკვეს, რომ გერმანიის ახლანდელი ოქრო ყოფლი რაიხის ოქროა, რომლისგანაც ამერიკამ უკვე დაამზადა ყალბი ზოდები.**

digitalmetro.us

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის, რასაც ორპოლარული მსოფლიო ერქვა, სინამდვილეში იყო მსოფლიო, რომელსაც ორად ყოფდა ორი მეტროპოლია — აშშ და სსრკ. პოლიტიკური პოლუსები ერთმანეთთან კონფლიქტში იყვნენ, ამასთან, თავად მსოფლიოს მდგრადობა შეურყეველი რჩებოდა.**

# ვაშინგტონი სპარსეთის ყურეს «დენთის კასრად» აქცევს

**ვითომდა ირანის ხელთ ბირთვული იარაღის გაჩენის მზარდი საფრთხის მიზეზით, აშშ-ის ადმინისტრაციამ შესამჩნევად გაააქტიურა თავისი ძალისხმევა სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების მილიტარიზაციის მიმართულებით. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება აშშ-ის ექვსი მოკავშირე რეგიონის მონარქია საუდის არაბეთის სამეფოს მეთაურობით. ისინი ქმნიან რეგიონულ ორგანიზაციას — სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის კავშირი და ერაყი.**




**უახლოეს რამდენიმე წელიწადში სპარსეთის ყურის არაბულმა სახელმწიფოებმა ამერიკისგან 120 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების იარაღი უნდა იყიდონ. ამერიკის იარაღის ბარონები კვლავაც დაითვლიან «სისხლიანი ბიზნესიდან» მიღებულ ზეშემოსავლებს**

ვაშინგტონმა მოახერხა, ამ სახელმწიფოთა ლიდერები დაერწმუნებინა, რომ თეირანი ბირთვული იარაღის შექმნისკენ მიისწრაფვის და აპირებს შიიტური ფუნდამენტალიზმის ექსპანსიას, ეგრეთ წოდებული შიიტური ნახევარმთვარის შექმნას აპირებს. ამასთან, აშშ-ის ადმინისტრაციას ოდნავაც არ აღელვებს ის ფაქტი, რომ ირანის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ჰამენეიმ, გამოსცა ქვეყანაში პრეზიდენტის განკარგულების ტოლფასი ძალის მქონე ფეტვა ქვეყანაში ბირთვული იარაღის შექმნის დაუშვებლობის შესახებ. ირანის ხელისუფლება თითქოს ახლავე აქეზებს ბაჰრეინის, საუდის არაბეთის, იემენის, ლიბანისა და სხვა არაბული სახელმწიფოების შიიტ საზოგადოებას არაბულ-სუნიტური ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებისკენ. ყველაზე სუსტ რგოლად ამ ჯაჭვში ბაჰრეინი ითვლება. იქ შიიტი არაბები მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენენ, მაგრამ, ფაქტობრივად, ვერ ეკარებიან ხელისუფლებას. ერ-რიადში მთელი სერიოზულობით შიშობენ, რომ ბაჰრეინში გაჩაღებული შიიტური მღელვარება შეიძლება საუდის არაბეთის აღმოსავლეთ პროვინციებს გადაედოს, იქ კი ნავთობის ყველაზე მდიდარი საბადოები და უმეტესად შიიტი მოსახლეობაა.

გაცილებით რთული იყო ერაყის ხელისუფლების დარწმუნება იმაში, რომ შეეძინა ახალი ამერიკული იარაღი, რადგან ქვეყანას ჯერ კიდევ არ აღუდგენია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები ხანგრძლივი ომის შემდეგ და აბსოლუტურად ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა აქვს ირანთან. ბაღდადშიც და ტეირანშიც ხომ ისლამის შიიტური მიმართულების წარმომადგენლები არიან ხელისუფლების სათავეში. **გარდა ამისა, ერაყი, ფაქტობრივად, ყოველ დღე არის ტერორისტების მასშტაბური შეტევების მსხვერპლი, გრძელდება შიდა დაპირისპირება შიიტ არაბებს, სუნიტ არაბებსა და ქურთებს შორის.** ერაყის პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე ნური ალ-მალიკის განმეორებითი დანიშვნისას მიღწეული კონსენსუსი ძალიან მყიფეა და ნებისმიერ წუთს შეიძლება დაირღვეს. ეთნოკონფესიური ნიშნით ქვეყნის დაშლის შესაძლებლობა ან სამოქალაქო ომის გაჩაღების საფრთხე კვლავინდებურად დგას დღის წესრიგში. მაგრამ, როგორც ჩანს, ვაშინგტონი ამანაც ვერ შეაჩერა. **ამერიკელმა ემისრებმა საჭირო არგუმენტები მოძებნეს ბაღდადისთვის. მათ ერაყის მმართველ წრეებზე თავიანთი გავლენის ბერკეტები მაქსიმალურად გამოიყენეს, რათა ეს ქვეყანაც ჩაეთრიათ შეიარაღების უაზრო შეჯიბრში.**

შედეგად, აშშ-ის მილიარდობით დოლარი, რომელიც არაბული ნავთობის გამოსასყიდად დაიხარჯა, ისევ უკან, მის მბეჭდავ ქვეყანაში დაბრუნდა ამერიკული და დასავლური წარმოების შეიარაღების ახალი არსენალების სანაცვლოდ. მიახლოებული შეფასებებით, უახლოეს რამდენიმე წელიწადში სპარსეთის ყურის არაბულმა სახელმწიფოებმა ამერიკისგან 120 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების იარაღი უნდა იყიდონ. ამერიკის იარაღის ბარონები კვლავაც დაითვლიან „სისხლიანი ბიზნესიდან" მიღებულ ზეშემოსავლებს.

პენტაგონმა უკვე გამოაქვეყნა საკუთარი გეგმები ერ-რიადისთვის „F-15" ტიპის 84 გამანადგურებლისა და სხვადასხვა საბრძოლო მასალის, მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფების მიწოდების შესახებ, ასევე საუდის არაბეთის სამხედრო საჰაერო ძალების შეიარაღებაში არსებული იმავე ტიპის 70 თვითმფრინავის მოდერნიზების შესახებ. მხოლოდ ამ ერთი გარიგების საფასური 60 მილიარდ დოლარს შეადგენს. საუდის არაბეთთან კი აშშ სხვა კონტრაქტებსაც განიხილავს, კერძოდ საუბარია დამრტყმელ ვერტმფრენებზე „AH-64D", მრავალსამიზნიანი სატრანსპორტო და სასწავლო ვერტმფრენების რამდენიმე ვერსიაზე, ასევე „ჰაერი-ზედაპირი" და „ჰაერი-ჰაერი" კლასის რაკეტებზე. გარდა ამ ყველაფრისა, 2011 წლის აპრილის დასაწყისში საუდის არაბეთმა აშშ-ისგან ითხოვა ამერიკისგანვე ადრე ნაყიდი გემების გარემონტებისა და მოდერნიზაციის ღირებულების დადგენა. გარიგების პოტენციური თანხა 20 მილიარს შეადგენს.

ამავე დროს **აშშ შეუდგა იარაღით სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების მომარაგებასაც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე ხსენებული ყველა კონტრაქტი აშშ-ის კონგრესის მიერ სრულად იქნება მოწონებული, რადგან პენტაგონმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ ერ-რიადი და მისი სატელიტები რეგიონში ამერიკის საკვანძო მოკავშირეები არიან. ამერიკა ხელს უწყობს სპარსეთის ყურის ქვეყნების შეიარაღებაში თავის ნატოელ მოკავშირეებსაც.** მაგალითად, მზადდება შეთანხმება გერმანიასა და საუდის არაბეთს შორის გერმანული ჯავშანტექნიკის მიყიდვის თაობაზე და ეს შეთანხმება ასევე გამაოგნებელ მასშტაბებს მოიცავს. საუბარია 600-დან 800-მდე თანამედროვე ტანკზე „ლეოპარდი 2". მომსახურებასთან ერთად ეს სიამოვნება საუდის არაბეთის ხაზინას 10 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

ისრაელი და კონგრესში მისი მომხრეები ადრე საკმაოდ ეჭვით უყურებდნენ არაბული სახელმწიფოების სამხედრო მომძლავრებას, მათ შორის საუდის არაბეთსაც, მაგრამ რეგიონში დატრიალებულმა არაბულმა გაზაფხულმა მათ სპარსეთის ყურის მონარქიის როლსა და მნიშვნელობაზე ახლებურად აუხილა თვალი. არაბული სამყაროს ტრადიციული ლიდერების — ეგვიპტის, სირიისა და ლიბიის ადგილი თავდაჯერებულად დაიკავა საუდის არაბეთმა და მისმა მოკავშირეებმა წვრილწვილი ემირატებისა და სუნთანატების სახით. ეს სახელმწიფოები ნახშირწყალბადების პრაქტიკულად შეუზღუდავ მარაგებს ფლობენ და ბევრი ფულიც აქვთ, ახლა კი მათ წამყვანი როლი ეკუთვნით არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში. სწორედ ეს ქვეყნები, კერძოდ კი საუდის არაბეთი და ყატარი, უწყობდნენ ხელს ლიბიაში კადაფის რეჟიმის დამხობას და აფინანსებდნენ სირიაში შეიარაღებულ ოპოზიციას. ობიექტურად სწორედ სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის კავშირის ხელით ახორციელებს აშშ ჟანდარმისა და ფარის როლს რეგიონში ირანის მხრიდან მომავალი წარმოსახვითი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ბაჰრეინსა და აღმოსავლეთ პროვინციებში შიიტი არაბების საპროტესტო აქციების უმკაცრესი ჩახშობა საუდელი სამართალდამცავების მხრიდან სწორედ ამის დადასტურება იყო. როგორც ჩანს, თელ-ავივში აშშ-ის ადმინისტრაციის ამგვარ დასკვნებსა და შეფასებებს დაეთანხმნენ და წინააღმდეგობა არ გაუწევიათ ვაშინგტონის გეგმებისთვის სპარსეთის ყურის მონარქიის, მასთან ერთად კი ერაყის მილიტარიზაციასთან დაკავშირებით. აშშ-ის კონგრესმა ასევე დაუჭირა მხარი სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის წინადადებას ამის თაობაზე.

აშშ-ის ერთ-ერთი საპილოტო პროექტი რეგიონში გაერთიანებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნაა. 2012 წლის აპრილში ბაჰრეინის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთაურმა განაცხადა, რომ აშშ და სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის კავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ რეგიონული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნაზე.

**ამრიგად, ვაშინგტონი ცდილობს, სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის კავშირის ბაზაზე შეაკოწიწოს ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელსაც ირანისკენ მიმართული ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ექნება. ამასთან, პენტაგონი გეგმავს, ამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას მიაბას გემებზე განლაგებული საკუთარი სისტემა „იჯისი" და თავისივე სამხედრო ბაზების სახმელეთო ელემენტები. ამ სისტემის მიზნები აბსოლუტურად ნათელია: აშშ-ის სამხედრო ბაზების დაცვა საჰაერო შეტევისგან, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფების დაცვა, ნავთობის დაცვა და ისრაელზე ირანის თავდასხმის ალკვეთა.** „მინი-ნატოს" შექმნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ორმუზის სრუტეში გემების მიმოსვლის დაცვაა, ეს ხომ სპარსეთის ყურიდან ნავთობისა და გაზის ექსპორტის მთავარი მარშრუტია.

სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის კავშირის ქვეყნების ნაჩქარევი შეიარაღებით აშშ არა მხოლოდ თავის პოზიციებს გაიმყარებს რეგიონში და კიდევ უფრო მეტ იზოლაციაში მოაქცევს ირანს, არამედ თავის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს მისცემს ზეშემოსავლებს მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში.



ერაყი, მართალია, არ შედის სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თა- ▶

**საქმე ისაა, რომ ეს არის ერთადერთი არაბული ქვეყანა, რომელსაც სახმელეთო საზღვარი აქვს ირანთან. და თუ სპარსეთის მონარქიის არაბული ქვეყნების შემთხვევაში ფსონი კეთდება მათი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სასაზღვრო დაცვის გაძლიერებაზე, ერაყის ტერიტორია განიხილება, როგორც ირანის წინააღმდეგ ომის სახმელეთო თეატრი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნამშრომლობის კავშირში, მაგრამ რეგიონში აშშ-ის სტრატეგიულ გეგმებში არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. **საქმე ისაა, რომ ეს არის ერთადერთი არაბული ქვეყანა, რომელსაც სახმელეთო საზღვარი აქვს ირანთან. და თუ სპარსეთის მონარქიის არაბული ქვეყნების შემთხვევაში ფსონი კეთდება მათი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სასაზღვრო დაცვის გაძლიერებაზე, ერაყის ტერიტორია განიხილება, როგორც ირანის წინააღმდეგ ომის სახმელეთო თეატრი.** ამერიკამ ჯერ კიდევ არ იცის, მაინც ვინ იომებს დასავლეთისთვის ესოდენ საძულველი ირანის წინააღმდეგ — ერაყი, თურქეთი, არაბული ქვეყნების კოალიცია, თავად აშშ თუ მისი ნატოელი პარტნიორები. მაგრამ სამხედრო მზადება უკვე სრული სვლით მიდის. იმის ნაცვლად, რომ გააძლიეროს სამართალდამცავი ორგანოები, ტერორიზმთან ბრძოლა, გადაჭრას სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ამოცანები, აღადგინოს წყალმომარაგებისა და ელექტრომომარაგების სისტემები, ააშენოს ინფრასტრუქტურის ობიექტები, სკოლები, საავადმყოფოები და ასე შემდეგ, ერაყი იძულებულია, იარაღის ახალი გროვები შეიძინოს და თავისი სამხედრო ინფრასტრუქტურა დახვეწოს.

**ვაშინგტონის გავლენით ერაყის მთავრობა შეუდგა მძიმე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შეძენას აშშ-ში. ამ შენაძენში იყო „F-16 IQ“ ტიპის 36 გამანადგურებელი. ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავები, რომელთაც მოუწევთ ამ გამანადგურებლების მართვა, უკვე გადიან მომზადების კურსს აშშ-ში. არიზონაში, აშშ-ის ნაციონალურ ბაზაზე სწავლების კურსს რამდენიმე ათეული ერაყელი ოფიცერი გაივლის. ერაყელები ამერიკელებისგან მიიღებენ რადიოლოკაციურ საშუალებებსაც, რაკეტსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს, ბრონიტრანსპორტერებს, ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და ტანკებს.** საერთო ჯამში ერაყმა ამერიკას უკვე შეუკვეთა 12 მილიარდი დოლარის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა. უახლოეს წლებში დაგეგმილია ამ თანხის 32 მილიარდამდე გაზრდა.

სპარსეთის ყურის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობისა და ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე მისი ფეთქებადსაშიშროების გათვალისწინებით რუსეთმა არაერთხელ შესთავაზე თავის დასავლელ პარტნიორებს, თავი შეეკავებინათ რეგიონისთვის იარაღის ახალი პარტიების მიწოდებისგან და იქ მშვიდობის ზონა შეექმნათ. როგორც ჩანს, ამერიკასა და მის ადმინისტრაციას მოვლენათა ამგვარი განვითარება არ აწყობს. რეგიონი დენთის კასრს ემსგავსება და იქ ახალი, ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღების საშიშროებაც დღითიდღე იზრდება.

peacekeeper.ru

# რამდენი კოლონია აქვს აშშ-ს

**პლანეტა მოლოდინისგან ერთ ადგილას გაიყინა. ყველა სულგანაბული მისჩერებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და ელოდა, თუ ვინ დაიკავებდა მთავარ სავარძელს თეთრ სახლში. სინამდვილეში მთელ პლანეტას ფეხებზე კიდია, ვინ იქნება ამერიკის პრეზიდენტი, მაგრამ არავის კიდია ფეხებზე ის, თუ როგორ საგარეო პოლიტიკას გაატარებს ეს ადამიანი. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მსოფლიოში ჯერ კიდევ შემორჩნენ გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის შეცვლით ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა რამენაირად განსხვავებულ გზას დაადგება...**



ყველა მოვლენა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისევე, როგორც საკუთარი თავის იმპერიად წარმომდგენ ნებისმიერ სხვა ქვეყანას, ერთადერთი და უცვლელი კურსი აქვს და ამ კურსის მიზანია ტოტალური მსოფლიო მბრძანებლობის მიღწევა ყველა არსებული რესურსის გამოყენებით. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ეს მსჯელობა გააკრიტიკოს და მას შეშლილი ამერიკანოფობის ბოდვა უწოდოს, მაგრამ ამაში არაფერია მიკერძოებული და ამ თვალსაზრისის გასამართლებლად მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გადახედვაც კი კმარა. არსებობს მსოფლიოში რეგიონი, რომელშიც ჯერ კიდევ არ მოუკიდებიათ ფეხი ან არ ცდილობენ ფეხის მოკიდებას ჩვენი „პარტნიორი“ ამერიკელები? ამგვარი რეგიონის ძებნას, შესაძლოა, უსასრულოდ ბევრი დრო დასჭირდეს.

დღეს უკვე შეიძლება საკუთარ თავს გამოუტყდე იმაში, რომ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა რეალობას არ შეესაბამება. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკად მოიაზრება დოკუმენტი, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრებს ასახავს. ენციკლოპედიური მონაცემების თანახმად, მსოფლიოში დღეისთვის 194 დამოუკიდებელი სახელმწიფო და 20 არამდგრადი პოლიტიკური სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეული არსებობს. მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, დე იურე მონაცემებია, დე ფაქტო კი — მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიომ კოლონიალური მსოფლიო წყობის ახალი ფორმა მიიღო. ამ ფორმის პირობებში მსოფლიო რუკაზე რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება.

**ის, რასაც ორპოლარული მსოფლიო ერქვა, სინამდვილეში იყო მსოფლიო, რომელსაც ორად ყოფდა ორი მეტროპოლია — აშშ და სსრკ. პოლიტიკური პოლუსები ერთმანეთთან კონფლიქტში იყვნენ, ამასთან, თავად მსოფლიოს მდგრადობა შეურყეველი რჩებოდა.** ბირთვული იარაღის ქონა და ჯანსაღი აზრი არ აძლევდა საშუალებას მხარეთაგან არც ერთს, რომ თავისი მოწინააღმდეგისთვის ღია სამხედრო დარტყმის მიყენებით გადაეწყვიტა ესა თუ ის საკითხი. აქედან გამომდინარე, დაპირისპირება იატაკქვეშეთში მიმდინარეობდა და ხანდახან იჩენდა ხოლმე თავს „მესამე“ ტერიტორიებზე, რომლებიც გარემოებათა დამთხვევის წყალობით ან საერთოდ არ იყო პოლუსების ძალთა მოქმედების არეალში (ავღანეთი), ან გაყოფილი იყო ამ პოლუსებს შორის (ვიეტნამი, კორეა).

დრო მიდიოდა და რუკაც იცვლებოდა. დაპირისპირება ახალ ფაზაში გადადიოდა და 1991-მა წელმა მსოფლიოს იმის შესახებ ამცნო, რომ ორპოლარულ მსოფლიოს დიდი

**არსებობს მსოფლიოში რეგიონი, რომელშიც ჯერ კიდევ არ მოუკიდებიათ ფეხი ან არ ცდილობენ ფეხის მოკიდებას ჩვენი «პარტნიორი» ამერიკელები?**

დღე აღარ ეწერა. პოლუსი ერთადერთი დარჩა, რაც, ფაქტობრივად, დედაბუნების კანონებს ეწინააღმდეგებოდა. არადა, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ვიცით, რომ ბუნებაში არ არსებობს ერთპოლუსიანი მაგნიტები. თუ ფიზიკაში კანონებიდან უცნაური გადახვევები და გამონაკლისები გვხვდება, პოლიტიკაში კანონებზე საერთოდ არაა საუბარი: ყველა ცდილობს, იდაყვი გაჰკრას თავის უახლოეს მოწინააღმდეგეებსა თუ კონკურენტებს და როგორმე ზედაპირზე ამოტივტივდეს.



ომისშემდგომი მსოფლიოს კოლონიალური სტადია 1991 წლიდან სულ უფრო მეტად გამოვლინდა. სახელმწიფოები, რომლებიც თავს იმ აზრით იმშვიდებდნენ, რომ უზომოდ დამოუკიდებლები აღმოჩნდნენ, ვაშინგტონისთვის ერთგულების შეფიცვაზე გადავიდნენ და იმაზე ალაპარაკდნენ, თუ რამდენად ახლოსაა დემოკრატიული იდეალები მათი მმართველებისა და ხალხისთვის. ახლადგამომცხვარი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლიდერები აუცილებლად უნდა ჩასულიყვნენ ვაშინგტონში, რომ იქ მათთვის მხარზე ხელი შემოერტყათ და შეექოთ. ამასთან, რაც უფრო მეტი პრეზიდენტი, პრემიერი თუ სხვა ფსევდოლიდერი აცხადებდა, რომ სამუდამოდ და უკან მიუხედავად გაწყვიტეს კავშირი კომუნისტურ წარსულთან, მით უფრო უხვსიტყვიანი იყო მათი მისამართით წარმოთქმული ქებაც, მეგობრობისა და მხარდაჭერის მით უფრო მეტ დაპირებას იღებდნენ ისინი მეტროპოლიისგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ჩანს, ზეიმობდნენ გამარჯვებას და ძლივს ასწრებდნენ სიაში მონიშვნების აღნიშვნას ახალი კოლონიების სახელების წინ. ახლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა ამ კოლონიების მართვა თავიანთი ვასალების ადგილებზე დანიშვნით და ახალი და ახალი რესურსებით სარგებლობა.

მაგრამ, როგორც ყველა იმპერიის შემთხვევაში იყო, რომელსაც ძალის მხრივ საპირწონე არ ჰყავს, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც გადახდა შემდეგი ისტორია: ამ ქვეყანაში მსოფლიოს ტოტალური მბრძანებლობით თამაში დაიწყეს. ეს იმას ჰგავს, რომ ბავშვმა დიდხანს ითამაშოს ჯარისკაცობანა და შემდეგ საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად რეალურ სამყაროშიც მოინდომოს ამ თამაშის გმირობა.

ახალი და ახალი კოლონიების დაუფლების წყურვილმა დაიპყრო ამერიკის ხელმძღვანელი პირებისა და იმ ძალების ტვინები, რომლებიც ამ ხელმძღვანელების უკან დგანან. თამაში ნელ-ნელა გადავიდა იმ სტადიაში, რომლის დროსაც ამ ადამიანებმა საკუთარი თავისთვის დაიწყეს მტკიცება, რომ სწორედ ასე მოქცევა იყო საჭირო. **ამერიკელი ლიდერები ასი პროცენტით დარწმუნებულნი არიან, რომ, თუ მათ ჯარები შეჰყავთ ერაყში, ავღანეთში და შემდეგ ყველგან, ამით ამ ქვეყნების ხალხებს ეხმარებიან. მათ აბსოლუტურად ავიწყდებათ, რომ ეს კოლონიზატორული აქტივობის მორიგი გამოვლინებაა, რაც, როგორც ჩანს, უკვე ავადმყოფობად იქცა.**

ამ სიტუაციას შეიძლება ამერიკის პოლიტიკური ელიტების ქრონიკული სინდრომი ეწოდოს. სინდრომი იოლად დიაგნოსტირდება, მაგრამ მთელი მსოფლიოს სამწუხაროდ, ამ სინდრომისგან განკურნება ჯერჯერობით არანაირ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია. სინდრომი, როგორც ნებისმიერი ქრონიკული დაავადება, მკაცრად განსაზღვრულ დროის მონაკვეთებში ვლინდება: საპრეზიდენტო არჩევნებს შორის პერიოდში. კანდიდატობის პერიოდში ყველა პაცეფისტია და მსოფლიოს დამოუკიდებელ განვითარებას ჰპირდება, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე ნებისმიერი არჩეული უმალ ხდება ზემოხსენებული სინდრომის მსხვერპლი და მისი წინასაარჩევნო დაპირებები ჰაერში ორთქლდება. სამაგიეროდ, ნაწვიმარ მიწაზე სოკოსავით მრავლდებიან ამერიკის სამხედრო ბაზები.

**სიმართლე რომ ითქვას, დღევანდელი მსოფლიო ერთი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური კოლონიაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ექვემდებარება. ამ კოლონიის ნაწილები კი ამა თუ იმ ხარისხით დამოკიდებულნი არიან მეტროპოლიაზე. ამერიკა იმავე კოლონიზატორული გავლენის მოხვევას ცდილობს რუსეთზეც და მის ყველა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, რომელიც თვალში არ მოუვა, საინფორმაციო ომით უპირისპირდება. არადა, რუსეთში ადრეც შეიარეს „ბატონებმა“ გარკვეული დროით, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც ცნობილია, მდინარე უგრასთან დასრულდა...** იქნებ ღირს, ახალ და ერთადერთ მეტროპოლიას იმპერიის ისტორია შევახსენოთ, თორემ, როგორც ჩანს, მათ სახელმძღვანელოებში ისტორიულ მოვლენებს სრულად არ აშუქებენ...

**სიმართლე რომ ითქვას, დღევანდელი მსოფლიო ერთი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური კოლონიაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ექვემდებარება**

topwar.ru

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი აქტიურად და მრავალმხრივ უწყობდა ხელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა მაო ძედუნის ჰეგემონისტურ მისწრაფებებში, რომელთა შენიღბვასა და დაფარვას იგი მონდომებით ცდილობდა, მაგრამ ზოგჯერ ვერ ახერხებდა.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-41 (139-179)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

მაო ძედუნი იმთავითვე შეეცადა, თავისი ინტერესებისთვის გამოეყენებინა წინააღმდეგობანი, რომლებიც სსრკ-სა და აშშ-ს შორის არსებობდა. იგი ხშირად სტუმრობდა ამერიკელების წარმომადგენლებს, რომლებიც ჩინეთის საგანგებო რაიონში იმყოფებოდნენ. გარკვეულ როლს ამ ურთიერთობებში მაოს მეოთხე ცოლი — ციან ცინი, ყოფილი შანხაელი კინომსახიობი თამაშობდა. მას ქმარზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. მაგალითად, როცა მაო ავად იყო, მხოლოდ ცოლის მიწოდებულ წამალს სვამდა. ცინის უკან კი კან შენის — კომინტერნში ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენლის, ბოროტი ფიგურა იდგა. იგი შემდგომ მაოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელი გახდა.

კან შენი ცნობილი იყო, როგორც მაოს ერთგული და მონდომებული ჯალათი. მაოს ბრძანებით იგი სასიკვდილო დარტყმებს აყენებდა ჩინეთის კომპარტიაში ინტერნაციონალური ხაზის მომხრეთა რიგებს, როცა მიმდინარეობდა მოძრაობა პარტიული სტილისა და მეთოდების დახვეწის მიმართულებით.

**მაოს მზარდი ნაციონალიზმი და ამერიკელებთან მისი გახშირებული კონტრაქტები, ცხადია, ხელს არ უწყობდა სტალინის მისდამი ნდობის განმტკიცებას. საბჭოთა ლიდერი ეჭვობდა, რომ გაერთიანებული ჩინეთის სათავეში ასეთი ფიგურის მოსვლა გამართლებული იქნებოდა. მას ფსონი ორ ჩინეთზე უნდა დაედო: ჩრდილოეთ ჩინეთზე, რომელსაც მაო ძედუნი ედგა სათავეში, იყო კომუნისტური და პროსაბჭოთა მიმართულების, და სამხრეთ ჩინეთზე, რომელიც კაპიტალისტური, პროამერიკული და ჩანკაიშისტური იყო.**

სტალინი იძულებული იყო, განეგრძო ურთიერთობა ჩან კაიშისთან და გონივრულად გამოეყენებინა წინააღმდეგობები, რომლებიც მასსა და მაოს შორის არსებობდა. მაგრამ ამ სტრატეგიას ხელს არ უწყობდა საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების ტენდენციები. ომის შემდგომ პირველ წლებში აშშ-მა ერთგვარად შეამცირა ჩინეთის სამოქალაქო ომში ჩარევის ინტენსიურობა, უპირატესად შეფიქრიანებული იყო ევროპული საქმეებით. იტალიასა და საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში კომუნისტების მოსვლის მზარდი პერსპექტივა, კომუნისტი პარტიზანების გააქტიურება ესპანეთსა და საბერძნეთში ამერიკელთა ყურადღების ამ მიმართულებით გადატანას ითხოვდა. დიდი სამხედრო კონტინგენტების ჩინეთში გაგზავნა აშშ-ს არ შეეძლო, არც სურდა, რადგან ამჯობინებდა, ჩანკაიშისტების ხელით ეგლიჯა ნარი, მით უფრო, რომ ამერიკელები მათთვის სამხედრო ტექნიკის მიწოდებაში არ ძუნწობდნენ.

მოვლენები მნიშვნელოვანწილად მოულოდნელად განვითარდა მას შემდეგ, რაც მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ ჩინეთის სახალხო გამათავისუფლებელმა არმიამ მთავარსარდალ ჯუ დეს ნომინალური მეთაურობით, ფაქტობრივად კი მაო ძედუნის ხელმძღვანელობით განახორციელა წარმატებული მარში და ჩრდილოეთ ჩინეთიდან ზღვის სანაპირომდე მიაღწია. მილიონნახევრიან არმიას (ეს რაოდენობა ჩინეთის მასშტაბისთვის უმნიშვნელო იყო) ფართომასშტაბიან დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი მანჯურიის მეშვეობით), სადაც ძალაუფლება ხელთ ეპყრა სტალინის კაცს — გაო განს. მოგვიანებით მაო უკმაყოფილებას არ მალავდა, რომ მისი პორტრეტები მანჯურიაში თითქმის არსად იყო გამოფენილი, სტალინის კი — ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ჩინეთის კომპარტიის გამარჯვების მთავარი მიზეზი და კონტინენტური ჩინეთის მთლიანი (თავდაპირველად — ტიბეტის გარეშე) იყო ის, რომ თავმჯდომარე მაომ სრულად აითვისა არა მხოლოდ ჩინური ფილოსოფიისა და დიპლომატიის მრავალსაუკუნოვანი სიბრძნე, არამედ იმიტომაც, რომ შესანიშნავად იცნობდა ქვეყნის თავისებურებებს და ჩინელების ფსიქოლოგიას. ჩანკაიშელი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ იმ დროისთვის უახლესი ამერიკული შეიარაღებით, მასობრივად და უბრძოლველად გადადიოდნენ ჩინელი კომუნისტების მხარეს. **სტალინი თავმჯდომარე მაოს გამარჯვებისა და მის მიერ ერთიანი ჩინეთის ცენტრალური მთავრობის ფორმირების დაწყების ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. ეს კი სრულად ესადაგებოდა აღმოსავლეთში სტალინურ, ხანგრძლივი დროისთვის გათვლილ სტრატეგიას.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც იქმნებოდა, იმპერიალისტური დასავლეთისა და, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის საპირწონის მნიშვნელობას იძენდა.

სტალინი აქტიურად და მრავალმხრივ უწყობდა ხელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა მაო ძედუნის ჰეგემონისტურ მისწრაფებებში, რომელთა შენიღბვასა და დაფარვას იგი მონდომებით ცდილობდა, მაგრამ ზოგჯერ ვერ ახერხებდა. მაგალითად, მიიჩნევდა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ჩინეთის ნაწილი იყო.

### სახალხო ბელადები

მაო ძედუნი შეეცადა ქებათა-ქებით, მლიქვნელობითა და პირფერობით მოეპოვებინა სტალინის ნდობა. მან იცოდა, რომ სტალინი ამერიკელებთან მისი ურთიერთობის საქმის კურსში იყო და მოინდომა, ძირშივე აღმოეფხვრა ამგვარი ეჭვი. გადაწყვიტა, რომ მის მიერ ფორმირებულ მთავრობას არავითარი ურთიერთობა არ დაემყარებინა დასავლეთის ქვეყნებთან.

1949 წლის 19 აპრილს სტალინმა დეპეშა გაუგზავნა საკ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ი.ბ. კოვალიოვს:

**„მაო ძედუნს რომ შეხვედებით, აცნობეთ შემდეგი:**

**პირველი. მიგვაჩნია, რომ ჩინეთის დემოკრატიულმა მთავრობამ უარი არ უნდა თქვას აშშ-სთან ოფიციალური ურთიერთობის დამყარებაზე.**

**მეორე. მიგვაჩნია, რომ უარი არ უნდა თქვას უცხოურ სესხზე და გარკვეულ პირობებში კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე. საქმე ის არის, რომ პირობები ისეთი ეკონომიკური ან ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისროს ჩინეთს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ... ჩინეთის ეროვნული მრეწველობის მოსაშთობად“.**

ჩინეთის კომპარტიის ცკ მოხსენებაში, რომელიც 1949 წლის ივლისში გაუგზავნეს მოსკოვს, გადმოცემული იყო მაოს პოზიცია: „ჩვენ გვსურს, რომ საკ.კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და ამხანაგმა სტალინმა ყოველთვის და ყოველგვარი მორიდების გარეშე, მოგვცენ თავიანთი მითითებები და გააკრიტიკონ ჩინეთის კომპარტიის საქმიანობა და პოლიტიკა“.

საბჭოთა ბელადი კატეგორიულად არ დაეთანხმა: **„ჩვენ დიდად მადლობელი ვართ ამგვარი პატივისცემის გამო, მაგრამ არ შეიძლება აღიქვათ ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება, რომელსაც გადმოგცემთ, როგორც მითითება... ჩვენ შეგვიძლია გირჩიოთ, მაგრამ არ შეგვიძლია მიგითითოთ“.**



მიუხედავად ამისა, მაო თავისაზე იდგა და ირწმუნებოდა, რომ იგი და მისი თანამებრძოლნი ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს კვლავაც განახორციელებენ „საკ.კპ (ბ) ცკ და ამხანაგ სტალინის მითითებით“. გამორიცხული არ არის, რომ ასეთ დაპირებებში იდო საბჭოთა კავშირის გამოცდილების გაზიარების გულწრფელი სურვილი. მაგრამ, უთუოდ, სხვა ასპექტიც არსებობდა. იმ პერიოდში მწვავდებოდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კონფლიქტი. კრემლ-

**სტალინმა მოახერხა კაცობრიობის გადარჩენა მესამე მსოფლიო ომისგან. დადასტურებულია, რომ აშშ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, მტკიცედ დაეცვა თავისი ინტერესები, რომლებიც სამხრეთ კორეასთან იყო დაკავშირებული, რისთვისაც მზად იყო ფართომასშტაბიანი ომის გასაჩაღებლად. საბჭოთა კავშირის ჩათრევა კორეის ომში ნიშნავდა სსრკ-აშშ საომარ დაპირისპირებას, რაც, ფაქტობრივად, მსოფლიო ომის დაწყებას ნიშნავდა, აქედან გამომდინარე, კატასტროფული შედეგებით. კორეის ომის მშვიდობიანი ფინალი სტალინის დიპლომატიის კიდევ ერთი გამარჯვება იყო.**

## უკომენტაროდ

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ში შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ იქმნებოდა საშიშროება „ჩინელი ტიტოს“ გამოჩენის. მაო ცდილობდა მიეღო მოსკოვში ჩასვლის მიწვევა, რათა პირადად შეხვედროდა სტალინს და გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი. მაგრამ სტალინი მიიჩნევდა, რომ მისი ვიზიტი არაოფიციალური სტატუსით ნაადრევი იქნებოდა და აჭიანურებდა მაოს ჩამოსვლას, იმ დრომდე, სანამ ეს უკანასკნელი ოფიციალურად გახდებოდა ჩინეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელი.

1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, კვლავ დადგა მაო ძედუნის, როგორც ჩინეთის მთავრობის თავმჯდომარის, მოსკოვში ჩამოსვლის საკითხი. მაომ მოსკოვს შეატყობინა, რომ სსრკ დედაქალაქში სურს ჩამოვიდეს დეკემბრის თვეში, რათა „პირადად მიულოცოს ამხანაგ სტალინს დაბადების დღე“. ჯოუ ენლაის მეშვეობით შემოთვალა, რომ მისი ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი დასვენება და მკურნალობაა. ეს გაითვალისწინა სტალინმა.

1949 წლის 16 დეკემბერს მაო ძედუნი მოსკოვში მატარებლით ჩავიდა. იმ დროს არსებული დიპლომატიური პროტოკოლით მაღალი სტუმრების მისაღებად ან გასაცილებლად აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებზე სტალინი არ დადიოდა. მაოს საბჭოთა ბელადი იმავე დღეს შეხვდა. საუბარი ძალიან თბილი, მეგობრული და ურთიერთპატივისცემის ხასიათისა იყო, რაც უარყოფს ვერსიებს იმის თაობაზე, რომ სტალინი სტუმარს ჯეროვანი ყურადღებითა და პატივისცემით არ ეპყრობოდა. საეჭვოა, აგრეთვე, ვერსია თითქოს სტალინი ისწრაფოდა დაეტოვებინა საბჭოთა ჯარები პორტ-არტურში და, საერთოდ, — ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე. პირიქით, იგი პარტნიორებს სთავაზობდა იქიდან მათ გამოყვანას. მაგრამ მაო კატეგორიულად არ ეთანხმებოდა, ამერიკელებისა და იაპონელების შესაძლო საფრთხის გამო. მან შესთავაზა ამ წინადადების განხილვის გადადება იმ დრომდე, სანამ ჩინეთში მიმაგრდებოდა კომუნისტური ხელისუფლება.

ასეც შეთანხმდნენ.

ძალიან დიდი სიფრთხილე გამოიჩინა სტალინმა საბჭოთა კავშირის ძალოვანი მონაწილეობის შესახებ ტაივანის ხელში ჩაგდების საკითხის განხილვისას. ამ კუნძულს შეაფარეს თავი გაქცეულმა გომინდანელებმა. მაო ითხოვდა სსრკ შეიარაღებული ძალების დახმარებას.

საბჭოთა ლიდერმა უპასუხა: „დახმარება გამორიცხული არ არის, მაგრამ დახმარების ფორმები მოსაფიქრებელია. აქ მთავარია, რომ ამერიკელებს ჩარევის საბაბი არ მივცეთ. რაც შეეხება შტაბის თანამშრომლებს და ინსტრუქტორებს, მათი გამოგზავნა ნებისმიერ დროს შეგვიძლია. დანარჩენი მოვიფიქროთ“.

**სტალინს მიაჩნდა, რომ ჩინეთისთვის ძალიან საშიშია ტაივანის გამო შეერთებულ შტატებთან კონფლიქტი. არ სურდა ამ კონფლიქტში სსრ კავშირის ჩათრევა. ამას ადასტურებს დოკუმენტები, რომლებიც ბოლო დროს მოპოვებულია სტალინის პირადი ფონდიდან.**

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკება დაემთხვა საბჭოთა ბელადის 70 წლის იუბილის საზეიმო აღნიშვნას. სტალინი უამრავ მისალოც წერილსა და ბარათს იღებდა. სხვებისგან განსხვავებით, მაოს მიმართვა სტალინისადმი, როგორც საბჭოთა დიპლომატი ა.მ. ლედოვსკი აღნიშნავს, „იყო მოკლე, შედგენილი იყო ფრიად ოფიციალურ სტილში, და თვალშისაცემად „მშრალი“ ჩანდა, როგორც იტყვიან „ფორმალურ-ბიუროკრატიულ“ ხასიათს ატარებდა. რით შეიძლება ამის ახსნა, ძნელი სათქმელია“.

ამის მიუხედავად, 21 დეკემბრის საზეიმო სხდომაზე მაო პრეზიდიუმში ყველაზე უფრო საპატიო ადგილზე დასვეს და სტუმართაგან მას პირველს მისცეს სიტყვა. მაოს სიტყვა ემოციური და ბრწყინვალე იყო.

საზეიმო მიღებაზე სტალინმა პირველად მაოს სადღეგრძელო წარმოთქვა.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების დადების დროს (1950 წლის 14 თებერვალს) სტალინმა თავისი ნებითა და ინიციატივით ჩინეთს გადასცა ყველაფერი, რაც ჩან კაიშისგან ხელშეკრულებით ჰქონდა მიღებული 1945 წლის 14 აგვისტოს. ეს ძალიან გულუხვი საჩუქარი იყო.

**დრომ დაგვიდასტურა, რომ სტალინის გეოსტრატეგიულმა პოლიტიკამ ჩინეთში სრულად გაამართლა. საბჭოთა კავშირის მიერ გომინდანელების მხარდაჭერა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებით დასრულდა, რის შემდეგაც კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ შექმნა ჩინეთის სახელმწიფო. იგი სოციალისტური ბანაკის დასაყრდენი გახდა აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის საპირწონედ, რომლის უკან იდგა მომავალი მსოფლიო ჰეგემონი აშშ. იმ მომენტისთვის კაპიტალისტური გავლენის ზონები მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც სტალინის იდეებისა და მისი დიპლომატიის დადასტურება იყო.**

აზიის მრავალ ქვეყანაში გამწვავდა ადგილობრივი კომუნისტების დაპირისპირება იმპერიალისტური დასავლეთის მომხრეებთან და მეხოტბეებთან. ფილიპინები და მალაია, ბირმა (ამჟამინდელი მიანმა) და ინდონეზია სისხლისმღვრელი ომების ასპარეზად იქცა.

ასეთ პირობებში ჩინეთის კომპარტია და მისი ლიდერი აზიის ავანსცენაზე გამოვიდნენ. მაო ძედუნს საშუალება მიეცა, გამხდარიყო „აზიის სტალინი“. მან წამოაყენა წინადადება შეექმნათ უმსხვილესი აზიური კომპარტიების საერთაშორისო ორგანიზაცია: ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის, ჩრდილოეთ ვიეტნამის, ინდოეთის, ინდონეზიის, იაპონიის — ევროპული კომინფორმის ანალოგი.



პეკინი, 1952 წლის 1 მაისის პარადი

**დრომ დაგვიდასტურა, რომ სტალინის გეოსტრატეგიულმა პოლიტიკამ ჩინეთში სრულად გაამართლა. საბჭოთა კავშირის მიერ გომინდანელების მხარდაჭერა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებით დასრულდა, რის შემდეგაც კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ შექმნა ჩინეთის სახელმწიფო**

სტალინს ესმოდა, რომ მას შედარებით მალე მოუწევდა მსოფლიო პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლა: წლებს თავისი მიჰქონდა. თავისი ქვეყნის მომავალზე იგი უწინაც დაფიქრებულა. მსოფლიო მასშტაბით კი მისი მემკვიდრე შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ „აზიის სტალინი“ — მაო ძედუნი.

ისინი**, ვინც დარწმუნებული არიან, თითქოს სტალინი თავისი მოღვაწეობის დროს ხელმძღვანელობდა ძალაუფლების უსაზღვრო სიყვარულით, შეიძლება ეგონოთ, რომ მას ეშინოდა ჩინეთის ბელადის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის სათავეში დაწინაურების, საფუძველშივე ცდებიან. სტალინის ქცევა პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობის მისეული ჩვევაც კი ამგვარი დაეჭვების არავითარ საფუძველს არ იძლევა.**

მისი პოლიტიკა მიმართული იყო შორეული ძალიან შორეული მიზნებისკენ, რომლებიც ათეული წლებით სცილდებოდა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას და ამას ადასტურებს არა მხოლოდ მისი სიტყვები (მაგალითად, „დიდი სამეულის“ სამიტზე — XX საუკუნის ბოლომდე პლანეტაზე დამყარებული მშვიდობის შესახებ), არამედ მისი საქმენიც, მაგალითად, ბუნების გარდაქმნის ცნობილი სტალინური გეგმა, რომელსაც ეკონომიკური ეფექტიანობით დღემდე ანალოგი არ მოეძებნება.

ამ თვალსაზრისით, **სავსებით შესაძლებელია, რომ სტალინი მაო ძედუნს თავის მემკვიდრედ მოიაზრებდა. მაგრამ იმ პერიოდში ეკონომიკურად ჩამორჩენილი ჩინეთი ვერ გახდებოდა კომუნისტური მოძრაობის ფლაგმანი.** ამ პოზიციაზე იდგა საბჭოთა კავშირი და სტალინს ეს რეალობა უნდა გაეთვალისწინებინა. როგორც ჩანს, მაოსაც კარგად ესმოდა, რა სიტუაცია იყო მსოფლიოში და ყოველმხრივ ხაზს უსვამდა სტალინის ლიდერობას. საბჭოთა ბელადი ხელს უწყობდა მაოს აღმასვლას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მოუწოდებდა, გამხდარიყო აზიის ქვეყნების ლიდერი. ამ პერიოდში ეს ქვეყნები ერთიმეორის მიყოლებით თავიანთი ყოფილი მეტროპოლიებიდან დამოუკიდებლობას იღებდნენ, მართალია, ზოგჯერ ფორმალურად.

პარალელურად კორეის ნახევარკუნძულზე კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა. ჩრდილოეთ კორეა (პროკომუნისტური) და სამხრეთ კორეა (პროამერიკული) იმდენად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მათი ურთიერთობა იმდენად თავშეკავებული იყო, რომ ომი გარდაუვალი ჩანდა. სტალინი მოუწოდებდა კიმ ირ სენს — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბელადს, სიფრთხილისკენ, მოუწოდებდა, რჩევა ჩინეთის მხარისგან მიეღო. მაგრამ მაო აქეზებდა კიმის რადიკალიზმს, არწმუნებდა, რომ მისი მხრიდან მხარდაჭერა გარანტირებული ექნებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მაოს „გამოცდა გეოპოლიტიკურ სიმწიფეში“, რადგან იგი უკვე გამოდიოდა როგორც წამყვანი მოთამაშე დიდ საერთაშორისო ასპარეზზე აღმოსავლეთ აზიის უზარმაზარ რეგიონში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ისეთი გიგანტების ინტერესები, როგორიც იყო აშშ, იაპონია, ჩინეთი, ასევე ორი კორეული ქვეყანა და გომინდანური ტაივანი.

სტალინმა საბჭოთა კავშირი ამ სახიფათო თამაშიდან გამოიყვანა, ჩამოაცილა კონფლიქტს, რომელიც შეიძლება გადასულიყო საომარ მოქმედებაში. შეერთებული შტატები იმ პერიოდში „ატომური კომბლის“ ექსკლუზიური მფლობელი იყო.

კორეის საკითხში მაო ძედუნის პოლიტიკას წარმატებულად ვერ მივიჩნევთ. მან ვერ შეძლო (თუ არ მოისურვა?) პრობლემების მშვიდობიანად მოგვარება. გამორიცხული არ არის, რომ მას სსრკ-ს აქტიური დახმარების ეიმედებოდა.



როცა 1950 წელს კორეაში იფეთქა ომმა, სტალინმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისადმი საბჭოთა კავშირის თანადგომა სამხედრო-ტექნიკური დახმარებით შემოსაზღვრა. მაო იძულებული გახდა, ჩრდილოეთ კორეის დასახმარებლად თავისი ჯარები გაეგზავნა. ამ ნაბიჯის გადადგმას იგი საკმაო ხანს აჭიანურებდა, მაგრამ, როცა ამერიკული ნაწილები კორეა-ჩინეთის საზღვარს მიუახლოვდნენ, დაძრა თავისი დივიზიები დასაღუპად განწირული მოკავშირის გადასარჩენად.

ძნელია დღეს იმის თქმა, რით დამთავრდებოდა ასეთი დახმარება, საბჭოთა ავიაციას რომ არ გამოედო თავი. ომის სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, საბჭოთა ასებმა ათასზე მეტი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს. სახმელეთო ბრძოლებში კი უპირატესობა კორეელ და ჩინელ მრავალრიცხოვან ჯარისკაცებს ჰქონდათ.

სტალინისთვის უმთავრესი ამოცანა იყო სამხედრო კონფლიქტის ჩაქრობა, რათა იგი ლოკალური საომარი მოქმედების საზღვრებს არ გასცილებოდა, და, მით უფრო, არ ეიძულებინა ამერიკის შეერთებული შტატები გამოეყენებინა ატომური იარაღი.

ამასთან, მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ხელ-ფეხი შეეკრა აშშ-სთვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ამით შეესუსტებინა მისი პოზიცია ევროპაში, საიდანაც საბჭოთა კავშირს შეიძლებოდა დამუქრებოდა საფრთხე.

კორეის ომი, როგორც დიპლომატები ამბობენ, საყაიმო ანგარიშით დამთავრდა. მაგრამ მათი და ანალიტიკოსების შეფასებით, სწორედ ამ ლოკალურმა ომმა მსოფლიო მასშტაბით განამტკიცა ჩინეთის პოზიცია და აამაღლა მაო ძედუნის ავტორიტეტი. სტალინისთვის მნიშვნელოვანი იყო ეს კონფლიქტი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების წინამძღოლობით დასავლეთის ქვეყნები შეეჯახნენ ჩინეთს, შემოფარგლულიყო კორეის რეგიონით. საბჭოთა კავშირი ამ დაპირისპირების მიღმა დარჩა, მართალია, — ფორმალურად, შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი, დაამტკიცა, რომ იგი ერთგული რჩებოდა სამშვიდობო პოლიტიკის და არ სურდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან კონფრონტაცია.

**სტალინმა მოახერხა კაცობრიობის გადარჩენა მესამე მსოფლიო ომისგან. დადასტურებულია, რომ აშშ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა მტკიცედ დაეცვა თავისი ინტერესები, რომლებიც სამხრეთ კორეასთან იყო დაკავშირებული, რისთვისაც მზად იყო ფართომასშტაბიანი ომის გასაჩაღებლად. საბჭოთა კავშირის ჩათრევა კორეის ომში ნიშნავდა სსრკ-აშშ საომარ დაპირისპირებას, რაც, ფაქტობრივად, მსოფლიო ომის დაწყებას ნიშნავდა, აქედან გამომდინარე, კატასტროფული შედეგებით.**

**კორეის ომის მშვიდობიანი ფინალი სტალინის დიპლომატიის კიდევ ერთი გამარჯვება იყო.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ოქროს მაკბუკი

**სოლიდური რეპუტაციის მქონე ადამიანებს მაღალტექნოლოგიური „სათამაშოებით“ სურთ საკუთარი სტატუსის ხაზგასმა.** სწორედ ასეთი ადამიანებისთვის შეიქმნა კომპანია Apple-ის მაკბუკი. კომპიუტერი მთლიანად ოქროს ჩარჩოშია მოთავსებული, ხოლო მისი მონიტორი 11-დიუმიანია. ამ უძვირფასესი კომპიუტერის ფასი 7500 დოლარია. მათთვის, ვისთვისაც ეს ფუფუნება საკმარისი არ არის, სპეციალური შეკვეთით, ბრილიანტის თვლით გაწყობილ Apple-ისლოგოიან მაკბუქს დაამზადებენ.

## მილიონერი პუდელი

**იტალიაში მცხოვრები პუდელი, სახელად ჩიკო, თავისი პატრონის გარდაცვალების შემდეგ მილიონერი გახდება. 84 წლის მდიდარმა იტალიელმა ქალბატონმა მთელი ქონება თავის ოთხფეხა მეგობარზე გადააფორმა.მემკვიდრეობა 2 სახლს, მიწის ნაკვეთს და 2 მილიონ ევროს შეადგენს.**

ეს გადაწყვეტილება იღბლიანი ძაღლის პატრონმა ქმრის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. მან დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ ლუჩი ესპოზიტოს, რომელმაც ყველა საჭირო საბუთი მოამზადა.

იტალიური კანონმდებლობით, შინაური ცხოველებისთვის მემკვიდრეობის დატოვებას იურიდიული ძალა არ აქვს, თუ არ დაინიშნება მეურვე, რომელიც თანხას განკარგავს. მეურვე ვალდებულია, სიცოცხლის ბოლომდე ოთხფეხა მემკვიდრე სრულ კომფორტსა და ღირსეულ პირობებში ამყოფოს. ადვოკატმა ესპოზიტომ ეს „მძიმე“ ვალდებულება სიამოვნებით იტვირთა.

ჩიკოს პატრონი მარტოხელა სულაც არ გახლავთ.მას ქალიშვილი და შვილიშვილები ჰყავს. როგორ შეხვდნენ ისინი მოხუცის გადაწყვეტილებას, უცნობია.



## პარიზში ბატუტის ხიდს ააშენებენ



**პარიზში, მდინარე სენაზე თეთრი ხიდი აშენდება. კონსტრუქცია ერთგვარი ბატუტია, რომელიც სამი რგოლისგან შედგება. მსურველებს გასაბერ კონსტრუქციაზე გართობა და ხტუნვა შეეძლებათ.**

როგორც პროექტის ორგანიზატორები აცხადებენ, კონსტრუქციის კონცეფციას საფუძვლად გართობა უდევს.

**„პარიზში ბევრი ხიდია, მაგრამ ეს კონსტრუქცია ადამიანებს გართობის საშუალებას მისცემს. ჩვენი მიზანია, პარიზელებმა ცხოვრება გაიხალისონ“,** — აცხადებენ არქიტექტურული ფირმა AZC-ის წარმომადგენლები.

## შიშველი მოგზაური

**56 წლის სტივენ გოუ ყოფილი ბრიტანელი სამხედროა.მან 2003-2004 წლებში დიდი ბრიტანეთი შიშველმა შემოიარა. 2005-2006 წლებში სტივენმა იგივე მარშრუტი გაიმეორა.ახლა კი „შიშველი მოგზაური“ მთელი მსოფლიოს შემოვლას გეგმავს.**

2005-2006 წლებში, როდესაც სტივენ გოუმ ინგლისში მოგზაურობა მეორედ წამოიწყო, დააპატიმრეს.მან ბოლო 6 წელი ციხეში გაატარა: ყოველ ჯერზე, როდესაც მას ციხიდან უშვებდნენ, იმავეს აკეთებდა.

სტივენ გოუმ სასჯელის უდიდესი ნაწილი შოტლანდიაში, საუტონისა და პერტის ციხეებში მოიხადა. სტივენი საკუთარ საიტზე წერს, რომ ადამიანის იძულება, ტანსაცმელი ჩაიცვას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს ეწინააღმდეგება.

გარდა ამისა, აქტივისტი აცხადებს, რომ მის მიმართ კონვენციის მე-3 და მე-5-11 მუხლებიც არაერთხელ დაირღვა. სტივენი ჯგუფის წევრია, რომელსაც „თავისუფლებაა, იყო ისეთი, როგორიც ხარ“ ჰქვია. ორგანიზაციის წევრები მხარს უჭერენ საზოგადოებრივ ადგილებში გაშიშვლებას.

2012 წელს ბრიტანელმა მამაკაცმა მორიგი სასჯელი მოიხადა და ციხიდან გამოსვლიდან მეორე დღესვე ქუჩაში შიშველი გამოვიდა.







# სიცოცხლე ხმელეთზე გაჩნდა

**დედამიწაზე სიცოცხლის პირველი უჯრედული ფორმა, შესაძლოა, გაჩნდა თბილი, ლორწოვანი ტალახის გუბეში, რომელიც ვულკანური ცხელი დინებებით საზრდოობდა და არა თავდაპირველ ოკეანეებში, — გვამცნობენ მეცნიერები.**

იდეა, რომელიც ემყარება ბოლოდროინდელ უჯრედულ და გეოლოგიურ კვლევებს, მოგვაგონებს დიდი მეცნიერის, ცნობილი ბუნებისმეტყველის, ჩარლზ დარვინის, მოსაზრებას, რომ სიცოცხლე, შესაძლოა, გავრცელებულიყო „პატარა თბილი გუბეებიდან“, რომლებიც მკვებავი ნივთიერებებით იყო მდიდარი.

დარვინის ამ აზრების მიუხედავად, თეორიები, რომლებიც სიცოცხლის წარმოშობის ადგილად ოკეანეს ასახელებდნენ, ბოლო წლებში ძალიან პოპულარული იყო და მეცნიერთა დიდი ნაწილი ემხრობოდა, რადგან ოკეანოგრაფები მუდმივად პოულობდნენ სიცოცხლის ოაზისებს ფსკერის კვლევისას.

ამ ღრმა წყლის ეკოსისტემებში მარტივი, თუმცა სიცოცხლისუნარიანი მიკრობები იკვებებიან მავნე მინერალებით, რომლებიც ცხელი ვულკანური ხვრელებიდან ამოიფრქვევა ხოლმე. მრავალი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ სწორედ ასეთი სიტუაცია იყო პირველი უჯრედების დაბადებისას.

მაგრამ ახალ კვლევებზე დაყრდნობით ექსპერტები ეჭვქვეშ აყენებენ იმ მოსაზრებას, რომ სითხე, რომელსაც ყველა უჯრედი ინახავს თხელ გარსში, ოკეანეში გაჩნდა. მათი თქმით, უძველესი ოკეანური წყლები და უჯრედული სითხე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. სანაცვლოდ მკვლევართა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ეს სითხე ძალიან ჩამოჰგავს სქელ ორთქლს, რომელსაც ხმელეთზე არსებულ ვულკანურ ტალახში პოულობენ.

ხმელეთზე არსებული ასეთი ადგილები განსაკუთრებით გამოირჩევა კალიუმისა და ნატრიუმის უხვი მარაგით. ამ ორ ელემენტს ვხვდებით ცოცხალ უჯრედებშიც. ამის საპირისპიროდ, ოკეანის არეებში ნატრიუმი უფრო იშვიათია.

„იმისთვის, რომ პროტეინების – მათი მოლეკულური მანქანების – სინთეზირება მოახდინონ, უჯრედებს დიდი რაოდენობით კალიუმი ესაჭიროება. ნატრიუმი ამ ქმედებებს ბლოკავს“, — განაცხადა კვლევის თანაავტორმა არმენ მულკიჯანიანმა — ოსნაბრიუკის უნივერსიტეტის (გერმანია) ბიოფიზიკოსმა.



შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა პროტეინების სინთეზირების გარეშე, რასაც კალიუმის დიდი ოდენობა სჭირდება.

დღესდღეობით უჯრედები რთული პროტეინების საშუალებით ახდენენ მემბრანიდან ზედმეტი ნატრიუმის გამოდევნას, რის შედეგადაც ნორმალურად ფუნქციონირებას ახერხებენ.

თუმცა პირველ უჯრედებს მათ განკარგულებაში ასეთი „აღჭურვილობა“ არ გააჩნდათ — მათ ჰქონდათ პრიმიტიული უჯრედული მემბრანები და საკვები ნივთიერებები, რომელთა გამოჭერასაც და უჯრედის შიგნით შეყვანასაც მოახერხებდნენ.

ამის გამო პირველი უჯრედები გამოირჩეოდნენ მაღალი გამტარობით და მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ გარემო პირობებზე. კალიუმისა და ნატრიუმის პროპორცია გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ერთი ერთზე, კალიუმის სასარგებლოდ. მაგრამ უძველეს ოკეანეებსა და ზღვებში, ისევე, როგორც თანამედროვე წყლებში, ნატრიუმი კალიუმს 40-ჯერაჭარბებდა.

ამ დაბრკოლების გაანალიზების შემდეგ მულკიჯანიანმა თავის კოლეგებთან ერთად დასახმარებლად გეოლოგებს მიმართა, რათა გაერკვია, სხვაგან სად შეიძლებოდა სიცოცხლე გაჩენილიყო დაახლოებით 4.3-3.8 მილიარდი წლის წინა პერიოდში.

გუნდის წევრები მიხვდნენ, რომ ხმელეთზე არსებული გეოთერმული ველები, შესაძლოა, სიცოცხლის ჩასახვის კანდიდატები ყოფილიყვნენ, განსაკუთრებით კი ტალახიანი გუბურები, როგორიცაა, მაგალითად, იელოსტოუნის ეროვნულ პარკში.

„ტალახიანი გუბურები იქ ჩნდება, სადაც დინება დედამიწის ზედაპირზე ამოდის და შემდეგ სქელდება, თან მოაქვს ბევრი მინერალი, მათ შორის კალიუმიც. შესახედაობით ისინი ლორწოს ჰგვანან და პირველი უჯრედებისთვის შესანიშნავი ინკუბატორი იქნებოდა“, — განაცხადა მულკიჯანიანმა.

მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში უვლიდნენ გვერდს ვულკანური ტალახის გუბეების ვერსიას, რადგან თანამედროვე გუბეები სავსეა გოგირდმჟავით (H2SO4), რაც მომაკვდინებელი ქიმიური ნაერთია და წარმოიქმნება მაშინ, როცა გოგირდწყალბადი (H2S) ურთიერთობაში შედის ატმოსფეროში არსებულ ჟანგბადთან.

ბევრს ეშინოდა ამ მჟავური მდგომარეობის საკითხის გამო, მაგრამ, როცა სიცოცხლე გაჩნდა, მაშინ დედამიწის ატმოსფეროში ძალიან ცოტა ჟანგბადი იყო. ჟანგბადის უკმარისობით გამორჩეული გარემო უცვლელად რჩებოდა მილიონობით წლების მანძილზე და, სავარაუდოდ, ხელის შემწყობი იყო პლანეტაზე პირველი სიცოცხლის გაჩენისთვის.






## COVERGIRL-ის ახალი სახე კიბოთი დაავადებული გოგონა გახდა

**კოსმეტიკურ კომპანია Covergirl-ს ცნობილი სახეები წარადგენენ: პინკი, სოფია ვერგარა და ტეილორ სვიფტი. მაგრამ კომპანიის 2012 წლის მოდელი არა ვარსკვლავი, არამედ 13 წლის ბიუთი-ბლოგერი და კიბოთი დაავადებული გოგონა გახდა.** მსხვილი მოდური და ბიუთი-ბრენდები ხშირად ატარებენ საქველმოქმედო აქციებს კიბოს წინააღმდეგ: ტომი ჰილფიგერი და რენე ზელვეგერი აუქციონზე ყიდიან ჩანთებს, ხოლო ესტე ლაუდერმა მთელი კომპანია წარმართა მკერდის კიბოსთან საბრძოლველად.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე პატარა მოწყობილობები

**მხოლოდ საბჭოთა კავშირი ამაყობდა იმით, რომ მისი მიკროპროცესორები მსოფლიოში ყველაზე დიდი იყო. დანარჩენ მსოფლიოში კი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი სულ უფრო მეტ პატარა მოწყობილობებს ქმნიდა.**



**მობილური ტელეფონი Neo 808i** მსოფლიოში ყველაზე პატარა სრულფასოვანი მობილურია. ტელეფონს ღილაკებიანი კლავიატურა, 1,2-მეგაპიქსელიანი ფოტოკამერა, ეკრანი და 4- გიგაბაიტიანი მეხსიერება აქვს.



კომპანია 3M-ის პროექტორი **Tiny Projector**-ი მსოფლიოში ყველაზე პატარად ითვლება. იგი მობილური ტელეფონებისთვისაა გათვლილი.



რუსმა დიზაინერებმა, ანატოლი და სტანისლავ კონენკოებმა, მსოფლიოში ყველაზე პატარა **აკვარიუმი** შექმნეს. იგი სიგრძეში — 30, სიგანეში — 14, სიმაღლეში კი 24 მილიმეტრია. მასში 10 გრამი წყალი და დანიო-რერიოს სახეობის მხოლოდ ერთი თევზი ეტევა.



ყველაზე პატარა პერსონალური კომპიუტერი **Raspberry Pi** მეხსიერების ჩიპის ზომისაა. ამასთან, ეს მუშა პერსონალური კომპიუტერია, რომელსაც ტექსტური სიხშირის 700 მეგაჰერციანი პროცესორი, ვიდეოპორტი, მოსახსნელი ინფორმაციის მატარებელი, 128-მეგაბაიტიანი ოპერატიული მახსოვრობა და USB-პორტი აქვს.



**ნოუთბუქი UMID Mbook**-ი, რომელსაც 4,5-დიუმიანი ეკრანი აქვს, მსოფლიოში ყველაზე პატარაა. ამის მიუხედავად, მას სრულფასოვანი QWERTY-კლავიატურა, Atom-ის პროცესორი და ვებ-კამერა აქვს. იგი ოპერაციული სისტემა Windows XP-ს საშუალებით მუშაობს.



ყველაზე პატარა ფოტოკამერები მობილურ ტელეფონშია, მაგრამ მათ ცალკე მოწყობილობად ვერ ჩავთვლით, ამიტომ ყველაზე პატარა ფოტოკამერად ითვლება **Chobi Cam One**, რომლის ზომებია 2,86X2.54X2.7 სანტიმეტრი. ამასთან, მას შესაცვლელი ობიექტივები და ფოტოების სანახავი ეკრანიც აქვს. კამერა ფოტოებს მხოლოდ 2 მეგაპიქსელის გაფართოებით იღებს.



ყველაზე პატარა მაუსის **Swiftpoint SLIDER**-ის სამართავად ხელის მთელი მტევანი საჭირო არაა, ამისთვის რამდენიმე თითიც საკმარისია.



ყველაზე პატარა იარაღი შვეიცარიული **Swiss Mini Gun**-ია. მისი სიგრძე 5 სანტიმეტრია და 19,8 გრამს იწონის. იგი სპეციალურად მისთვის შექმნილი 2,34 მილიმეტრიანი კალიბრის ვაზნებით და 0,128 გრამიანი ტყვიებით იტენება.



გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე პატარა ეკრანი შოტლანდიურ კომპანია **Micro Emissive Displays**-ის ლაბორატორიაში შექმნეს. მისი სიგრძე — 3,84, ხოლო სიგანე 2,88 მილიმეტრია.

# სიბერის სტიმულატორი

**რა არის სიბერე? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა არავის შეუძლია, მაგრამ, გამონაკლისების გარეშე, ყველას ეშინია მისი.**

სიბერე სრულიად კანონზომიერი პროცესია, იგი სიცოცხლის განუყოფელი, შემადგენელი ნაწილი და განუწყვეტელი ბიოლოგიური ცვლილებების შედეგია. დაახლოებით 25 წლისათვის ადამიანების უმეტესი ნაწილის ორგანიზმში სრულდება ორგანოებისა და სისტემების ფორმირება და ბიოლოგიური სიბერის პირველი ნიშნებიც სწორედ ამ დროისთვის იჩენს თავს, ხოლო დაახლოებით 40-50 წლის შემდეგ ეს ნიშნები უფრო შესამჩნევი და თვალში საცემი ხდება.

მასსაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ახალგაზრდების „გამოსწორებას" ცდილობენ. მეცნიერებს სურთ,







ახალგაზრდებს მოხუცებისადმი პატივისცემა გაუღრმაონ და ამისთვის ბევრიც იშრომეს. სულ ცოტა ხნის წინ ამ უნივერსიტეტის ლაბორატორიებში სიბერის ორიგინალური სიმულატორი შექმნეს. ის თინეიჯერებს საშუალებას აძლევს, თავი წარმოიდგინონ მოხუცებად და სიბერისას სხეულის დაუმორჩილებლობის გრძნობას განაცდევინებს.

ამ მოწყობილობის სრულ კომპლექტში ბევრი ნივთი შედის: სამაჯურები – ხელის და ფეხის სახსრებისათვის მოძრაობის გასაძნელებლად, მხრების მოძრაობის შემაფერხებლები და ასევე სიარულის შემაფერხებლებიც. სპეციალური შლემი კი კისრის მოძრაობას აძნელებს და მის მცირე დროში დაღლას იწვევს. ამ მოწყობილობის კომპლექტშია ასევე სპეციალური სათვალეც, რომელიც ფერების გარჩევის უნარს აქვეითებს. ცხადია, ეს გამოგონება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ახალგაზრდებს განაცდევინოს ის, რასაც მოხუცი ხალხი განიცდის და მათდამი სიბრალული ჩაუნერგოს. საკითხავი ისაა, როგორი რეაქცია მოჰყვება ამ სიახლეს თვით ახლგაზრდებში. მეცნიერებმაჩვეულებრივ სასურსათო მარკეტში მიიყვანეს სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, რათა გამოეცადათ გამოგონება.




## გიგანტური წიგნის თარო

**რუსეთის ქალაქ ტიუმენში ერთ-ერთი სკოლის ფასადზე ბიბლიოთეკა დახატეს. ძველ ნაცრისფერ შენობაზე არტ-ჯგუფ „ქალაქის ფერის" წევრებმა იმუშავეს და იგი ნამდვილ შედევრად იქცა.მხატვრებმა ფასადი მოხატეს წიგნის თაროდ, რომლებზეც რამდენიმემეტრიანი წიგნის ტომები დაალაგეს: პუშკინის პოეზიის კრებული, უილიამ შექსპირის „ჰამლეტი" და ტიუმენელი ავტორების წიგნები.**

## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

# თენგიზ მუშკუდიანი — 85

**დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ხელოვანს — მსახიობს, მომღერალს, პროფესორ თენგიზ მუშკუდიანს. ამ თარიღს ეძღვნება საიუბილეო კონცერტი, რომელიც 17 ნოემბერს, 19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.**



კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე სხვადასხვა თაობის ქართველი მომღერლები, მათ შორის, ბატონ თენგიზის აღზრდილებიც. იუბილარს სიმღერით მიულოცავენ: **ირინე ალექსიძე, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი, ირაკლი გორგოშაძე, გოჩა დათუსანი-ჯიღაური, არმაზ დარაშვილი, ალუდა თოდუა, აკაკი იოსელიანი, ბელა კავთელიშვილი, ოთარ კუნჭულია, მამუკა ლომიძე, ლევან მაკარიძე, ნათია სტეფანიშვილი, მარიამ ტურაშვილი, კახა შავიძე, ზვიად ხუხუა, ინგა ჯახუტაშვილი.** მათ თანხლებას გაუწევს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი დირიჟორ რევაზ ტაკიძის ხელმძღვანელობით.

**კონცერტის პროგრამაშია როსინის, ვერდის, პუჩინის, ლეონკავალოს, მასკანის, ვაგნერის, მასნეს, ჩაიკოვსკის, ფალიაშვილის, ბალანჩივაძის ნაწარმოებები.**

# მართალი ისტორია

**„ლეკიანობა“ — ასეა დასათაურებული წიგნი, რომელიც ახლახან სსიპ „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ გამოსცა და რომელშიც ჩვენი ქვეყნის იმ ტრაგიკულ მოვლენებზეა საუბარი, ისტორიამ ლეკიანობის სახელით რომ შემოგვინახა. XVIII საუკუნეში ლეკიანობა ისეთივე გამანადგურებელი მოვლენა იყო, როგორც ყიზილბაშობა. მთიელი ტომების საბედისწერო თავდასხმებმა ათასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა და ძირფესვიანად გააჩანაგა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება. ქართლ-კახეთის მოსახლეობა ორას ათას სულამდე შემცირდა. ისტორიის დასასრული რეალობად იქცა.**



თუ უახლოეს წარსულს გადავხედავთ, ისინი იქაც დაუნდობელი მტრის სახით წარმოგვიდგებიან. გავიხსენოთ, რა ხდებოდა 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში. ჩეჩნები ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ ორი სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში. ფაქტია, რომ ისინი ყოველთვის გვმტრობდნენ.

**ამ წიგნის გამოცემა სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რუსეთის გასაღიზიანებლად წინა პლანზე წამოწეულმა ჩეჩნებისა და საერთოდ, ჩრდილოკავკასიელების თემამ განაპირობა.**

სამწუხაროდ, ისტორიული სინამდვილე იჩქმალება, მახინჯდება დღესაც, რადგან საქართველო იქცა ხურდა ფულად დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში. ის საერთაშორისო ძალები, რომლებსაც სურთ, ჩაგვითრიონ ავანტიურაში, რათა გამოგვიყენონ კავკასიაში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, თავს გვახვევენ ერთიანი კავკასიის იდეას, რომელსაც ისტებლიშმენტის გარკვეული ნაწილი იძულების წესით ქადაგებს. **წინამდებარე წიგნის მიზანია, რომ საზოგადოებას შეახსენოს ისტორიული ფაქტები, რათა მან თავად გამოიტანოს დასკვნები, თუ რა ხდებოდა საქართველოს თავს მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიელებს რუსეთი არ აკონტროლებდა და მათ ჰქონდათ საშუალება, ჩვენ მიმართ საკუთარი პოლიტიკა საკუთარი ნებასურვილისამებრ გაეტარებინათ.**

წიგნში თავმოყრილი მცირედი ფაქტები, საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ გასაგები გახდეს, თუ რა საფრთხეს გვიქადის ისტორიის გადაკეთების მცდელობა და მტკიცება იმისა, რომ თურმე ჩრდილოეთ კავკასიელები ჩვენი ისტორიული მეგობრები არიან; რომ თურმე მათთან ერთად, „მტერი“ რუსეთის გარეშე, თავს უკეთ ვიგრძნობთ, რამეთუ ჩვენ გავხდებით რუსეთის საპირწონე. **ცხადია, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება საქართველოს პარლამენტის მიერ ასეთივე სახიფათო მიზნებს ემსახურებოდა.**

**წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია დ. მეგრელიძის, თ. ბოცვაძის, ვ. ითონიშვილის, პ. გუგუშვილის და სხვათა ისტორიული შრომები, ასევე გამოყენებულია მასალები ბროშურიდან „ჟამი ხსნისა“ და ჟურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში“ ამ თემაზე დროდადრო გამოქვეყნებული მასალები.**

# სახელოვან ბერმუხას 95 წელი შეუსრულდა

**ომისა და სამხედრო ძალების სახელოვან ვეტერან მოსე მდინარაძეს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა. მხურვალედ მივესალმებით ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის შრომასა და ბრძოლაში გამოწრთობილ ამაგდარ ვეტერანს, მრავალათასიანი საზოგადოებრივი გაერთიანების აღიარებულ ლიდერთა შორის ღვაწლმოსილ პიროვნებას ადამიანური ბედნიერების საუკეთესო სურვილებით. ვამაყობთ მისი 95-წლიანი ბიოგრაფიით. გვიხარია, რომ იგი ჩვეული შემართებით დააბიჯებს ჩვენ შორის და გვიჩვენებს ქვეყნისა და ხალხის ერთგული სამსახურის, მაღალი ზნეობისა და უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პროფესიონალის თავდადებული შრომისა და ბრძოლის შთამბეჭდავ მაგალითებს.**



**მხედრული ტრადიციების ოჯახში აღზრდილი გურული ყმაწვილი ფაშიზმთან ომის დაწყების დღეებში უყოყმანოდ წავიდა სამამულო ომის ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. მან ღირსეულად განაგრძო საყვარელი ბაბუის გმირული საბრძოლო გზა, რომელსაც რუსეთ-თურქეთის ომში მიღებული ჰქონდა მაღალი ჯილდოები.** ბატონი მოსეს მამა — ჯიმშეთი აქტიურად მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1942 წლის იანვარში მოსე მდინარაძემ წარმატებით აითვისა არხანგელსკის ე. წ. მცირე აკადემიის სამხედრო თეორიის პროგრამა, რისთვისაც მიენიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება, დაინიშნა მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურად, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა მოთხილამურეთა ბატალიონს. 1944 წლის იანვარში, არმიის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, მ. მდინარაძე დაინიშნა მსროლელთა გვარდიული პოლკის მეთაურად. ამრიგად, ორწელიწად-ნახევარში ასეულის ზემდეგი მოსე მდინარაძე 26 წლის ასაკში პოლკის მეთაურად ჩამოყალიბდა, რაც იშვიათი შემთხვევაა.

**1944 წლის ივნისში მისმა პოლკმა გაარღვია გერმანელ ფაშისტთა თავდაცვის ხაზი და პირველი გავიდა სახელმწიფო საზღვარზე, მაგრამ აქ იგი ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. ცხრა თვე იშუშებდა ჭრილობებს. იგი ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობებით დაუბრუნდა თავის დივიზიას, რომელიც იმ დროისათვის მონღოლეთის ტერიტორიაზე ბაიკალისპირეთის ფრონტის შემადგენლობაში იმყოფებოდა. მ. მდინარაძის მეთაურობით პოლკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იაპონიის კვანტუნის არმიის დამარცხებაში.**

**დიდ სამამულო ომში გამოჩენილი მამაცობისა და სარდლობის საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისთვის მოსე მდინარე დაჯილდოებულია წითელი დროშის სამი ორდენით, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე, მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით.**

ომის დამთავრების შემდეგ ბატონი მოსე სამსახურს განაგრძობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დისლოცირებული საბჭოთა შეიარაღებული ძალების შენაერთების შემადგენლობაში.

1947 წელს, მთავარსარდლობის ბრძანებით, პოლკოვნიკი მ. მდინარაძე გადმოყვანილი იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, სადაც 1971 წლამდე ის სხვადასხვა დროს წარმატებით ასრულებდა სამხედრო კომისრის მოვალეობას ქუთაისში, ჭიათურაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისის 26 კომისრის რაიონში.

1972 წელს პოლკოვნიკი მ. მდინარაძე ასაკისა და ჯანმრთელობის გამო სამხედრო სამსახურიდან გადადგა.

წლების განმავლობაში მ. მდინარაძე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს ერთ-ერთ სამმართველოს, აქტიურად მუშაობდა დედაქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციაში.

1995 წლიდან იგი აქტიურად ჩაება ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობაში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქ. თბილისის ვეტერანთა ვაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, თბილისის ვეტერანთა საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 2004 წელს იგი არჩეულ იქნა ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საქალაქო კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც დღემდე განაგრძობს აქტიურ ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. **თავის ცოდნასა და დიდ გამოცდილებას ახმარს ვეტარანთა სოციალური დაცვის, მათი კეთილდღეობის ამაღლების, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მამულიშვილურ საქმეს, რისთვისაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, აგრეთვე, არჩეული იქნა ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ.** იგი აქტიურად წარმართავს ვეტერანთა პირველადი ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის ამაღლების ორგანიზაციულ-მეთოდური უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ბატონო მოსე! ჩვენო საამაყო მეგობარო, მოგესალმებით გულითადი პატივისცემით დაბადებიდან 95 წლის შესრულების საიუბილეო დღეებში და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას თქვენი მხედრული მძიმე ცხოვრების ერთგულ თანამგზავრთან — ქალბატონ ეთერთან ერთად შექმნილ დიდ ოჯახში. გაიხარეთ და გაგვახარეთ ახალი დიდი წარმატებებით მშობლიური ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის სამსახურში.

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის ბიუროს სახელით**

პოლკოვნიკი
**რევაზ ნაცარიშვილი**

**P.S. ბატონ მოსეს ამ საიუბილეო თარიღს ულოცავს, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცლეს უსურვებს სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია.**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894